

კვირის პალიტრა



# პალიტრა

**იბრქენი თავი  
აღმაშენებლის  
თანამედროვედ!**

№16 (410) 17/18-23/18 პირველი  
ფასი მთლიანი



**ნანკა კალატოზიშვილი  
და მისი „მეშალთანა“  
პარტნიორი**

**მსახიობი ქალის პირად  
ცხოვრებაში უხეშად ერევიან**



**თუ რუსეთთან  
ოგი დაიწყო...**



**„გვის“ მსკლუნური  
ინგოკვიუ  
სარკვე  
ბადაფუთან**

„კალიანას რომ მიხედოდას  
საქართველოში დაბრუნება,  
ამას ხალხს ვერ ვაიძულებ“



**სად აბრკელებს „დროების“  
ყოფილი მურნაღისტი „იგაღვი“  
შეწყვეტილ ტელეცხოვრებას**

**დაერესია და მისგან თავის დახსნის გზები**




# საბა SABA

სამზარეულოები იტალიიდან



MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.



 **BERLONI**

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info@saba.ge (+995 32) 38 44 54

# მზის გზის გზნილები

ჟურნალი ჟურნალი



თუ ზემოთი  
გაიყმისებენ,  
შინ ყაიღისამ.



ანგარებით  
ქორწინება



სიტუაცია

ფობობასტი

39-70



№16 (410)  
17 - 23 აპრილი,  
2008 წ.  
ფასი 80 თეთრი

- **მინიატიურები**  
„ჩაროს სანთის დაბრუნება“ ანუ ეპროფიქარი „ლონანა“ ნამდვილმეგობრულად 5
- **ექსკლუზივი**  
ვისთან ერთად ააიკრავა ბაღაფი აფხაზეთის შესყიდვას 6
- **პირთი მინის შვილები**  
„ამდენი წლის შავლაზ ჩაფი სასლის მისქართან ვიღაფი და შინ ვარ ვაფილოფი“ 8
- **საფრთხე**  
თუ რუსეთთან რფი დაფყო... 10
- **ფაქტი და კომენტარი**  
„კვირის პალიტრა“ – 13 წლის იუბილარი 12
- **ეკანს ვიღვა**  
„პროფილი“ – „იღაფი“ შეყვაფილი ტალესმორების გაბრქალვა 14
- **ჟურნალისტის როლში**  
ვისთან ერთოვა ღამღამოზით ანაღბათსოვილი თაფუნა და ვინ არის მამაქასი, როფელმას თათიან გამო თაფის მოქვლა გაღაფვიტა 16
- **ტანღაფი**  
ნაქა ქალბოზოფილი და მისი „მეაღთანა“ მემობარი ანუ ვინ არევა მსანიოზი ქალის ვირაღ მსოვრებაში 18
- **არუღიტი**  
ღოჩანაფილის შემოქმეღვაზა შეყვაარეული პოლიტიქოსის არუღისია 20
- **ანტიღვაქსანაფი** 22
- **ოსტაფი**  
ქანური ჭაფის წყალოზით „გაღარეული“ ფრანგი ქალი და მოფღარელი ჭარქალი 22
- **თამა**  
მათსოვროვა – პროფსია თუ თაფის გაღარჩენის ერთაღართი გზა... 24
- **მსანიოზი**  
ასოზით კონეარანებთან გამარჯვებული მსანიოზი 27
- **საბანქარი**  
საღის სამოსი ანუ რის უფღაბას ართმავს როსა 28

## მათსოვროვა - პროფსია თუ თაფის გაღარჩენის ერთაღართი გზა...

„ექსი წელია, რაც აქ ყოველღე მოყვაფარ შვილიშვილს და მათსოვრობით ნამოენი ფული ოჯახის ბოფეგში შემაქეს. შვილიშვილი მამსნევებს: ბაბუ, მათსოვრობაც ისეთივე ბინესია, როგორიც სხვა დანარჩენი“.



24

## ვისთან ერთოვა ღამღამოზით თაფუნა



„შაბათის შოუს“ გოგონები – თამუნა ლეკვიშვილი და თათია სულუაშვილი ერთმანეთთან სასაუბროდ, „ჟურნალისტის როლში“ მოვიწვიეთ. ეს როლი ამ საქმეში გამოუცდელი თათიასათვის თავღაპირვეღად, ცოტა რთული აღმოჩნდა.

16



პარგახებოღა ქვეყანა... ინგრეოღა სოფლები, ქალაქები... იწვოღა გაბრები... ლეთისმსახურს პირღაპირ საკურთხეველში სჭრიღენ ყელს... იგაცუბღენ ქალებს, ბაფმეებს... ჩვილებს მეკრღიდან ზღეღღენ ღეღებს და ხეზე შემოხეთქებით კლაფენ... და უკუნეთ წყვღიაღში მოულოღნეღად გამორჩნდა სინათლის სხივი. იმეღი, რომ საქართველოს მოკავშირე გამოუჩნღებოღა... ერთმორწმუნე ბიზანტიის გახგზე ახალი იმპერატორი ნიკიფორე მესამე ბოგანაფი ავიღა.

didgoris caze  
frenda is jvari

82

<b>■ თინეიჯერული კონცეპტი</b>	
„ღიღი მადლოზა ყვალას, ვინს გამოვხეხავარა...“	30
„არ მესმის, ღოგინში როგორ ჩაუნაქი?“	32
<b>■ ჩემი სსოპრების გზა</b>	
„ხუთკუთხედას“ შემქმნელი, „გიგარა“, სტუდენტური „ამგონი“ და მანეთიანების დასტა	34
<b>■ ჯანმრთელობა</b>	
დაპრანისინი ქალური ვერსია	37
<b>■ ჟურნალი ჟურნალი</b>	
გზაგანილები	39-70
<b>■ ნამდვილი აგაპი</b>	
სიზმარში გამწვანებელი ქალი...	71
<b>■ ემიგრანტი</b>	
გარემონების ქიზიყელი რკალი და საქართველოზე უფროდ შეყვარებული პატარა	72
<b>■ თანამეგობრული</b>	
უხსოვრის სის ქვე	72
<b>■ რომანი</b>	
სეზა ქვარასხელია. ქარის სიღვრელო...	
(გაგრძელება)	74
<b>■ ბიტი-ბიტი</b>	78
<b>■ საკითხავი ქალბატონის</b>	
✓ თუ მამაკაცი გაკრიტიკებთ	80
✓ სამარხში ქვესი	80
<b>■ ისტორიული რომანი</b>	
გორა მანელია. დიდგორის საზა	
ფრანდა ის ჯვარი (გაგრძელება)	82
<b>■ ადამიანი, რომელიც არასოდეს დაგვიწყდება</b>	
უზაზა მიჯაჭვული დედა ალექსანდრა და ეასარუნიანების პოლიტიკური ფიქრეკეკე	86
<b>■ ბაქარი</b>	
ვნების ვიდეო – მასხოვრის ვნების, ჯვარცხისა და დაფვის მოსახსენიებელი	88
<b>■ ვარსკვლავები</b>	
✓ ფრანსის ფორს ქოლოდა პაიერ ბარდვი	
როლის გარეშე დატოვა	90
✓ ბრედ უიტი დაქარბული ქალაქის	
საქმუნულად მივამზავრება	90
✓ ოლივიერ სოუნის მომავალი ფილის	
სხანარი პრესა ხელში ჩაუვარდა	90
<b>■ პრესლანი</b>	
ქართული ჟურნალისებების	
თანამედროვე სერენი	92
<b>■ ფსიქიკალი</b>	
ჩვენში ანიმაციური ფილმების გადაღება	
ისაე დინყას	93
<b>■ კრიმინალი</b>	
„მე მყავს არასრულწლოვანი ვილიანი, რომლებიც	
საქუთარა ბიტი და მოზლა“	94
<b>■ ბელადი</b>	
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება)	96
<b>■ სიანლა</b>	
ჭიქა ყავით „განმეკიხეზული“ სეაქეკელი...	98
<b>■ დიჯესტი</b>	100
<b>■ სპორტული მოზიქა</b>	101
<b>■ ავტო</b>	102
<b>■ სანეორდი</b>	104
<b>■ ტისტე</b>	105
<b>■ პროგნოზი</b>	106

**გარეკანზე: ირა ღივარტალიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-კოლტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატებად. ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე. მთ. რედაქტორის მონაცემები: ლალი ფაცია, ლიკა ქავჯია. მენეჯერი: მათე კვიციანი. მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49. ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com. რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## მომკვლე გენეპული კასუბი




ბავშვობიდანვე ბევრს კითხულობდა. სტუდენტობის დროს ყველაზე მეტად დეტექტივები იზიდავდა. წესს, რომ ბოლო წლებში მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო ნაკლებად რჩება, თუ არ ჩავთვლით იმ 16-დღიან მიშმილობის პერიოდს, რომელიც საამისოდაც გამოიყენა.

20

## გნების უვიდეო

ეს კვირა იესო ქრისტეს ენების, ჯვარცხისა და დაფვის მოსახსენიებლად დაწესებული, მის ყოველ დღეს დიდი ეწოდება – მოსახსენიებელი მოველნების უდიდესი მნიშვნელობის გამო... წლეულს ენების კვირა 21 აპრილიდან იწყება.



88

## „ხუთკუთხედას“ შემქმნელი, „ამგონი“ და მანეთიანების დასტა



„ვერთობილით მე და ჩემი მეგობრები „არასაბჭოურად“, დაედით „პეინტერსი“... ჯანსული ყოველთვის ჩემი უფროსი მეგობარი იყო, რომელიც დიდი ინტერესით და სიყვარულით ადევნებდა ჩემი და ჩემი მეგობრების ვიდეოს თვალყურს, სშირად გვამაყობდა“.

34



ახია ჩემზე, ახი! რა სიყვარულობანა ამიყვება, რა მინდოდა! ახლა მაინც ხომ მივხვდი, რომ სიყვარული მგაცხებელი მხეცივითაა, რომელიც ბრწყინებით გონებას გიპორტყენის? სანამ სული არ დამისერა, მანამდე, არ მოვისვენე. არ შეიძლება, შეცდე და ვერ მიხვდე, რომ შეცდი. ოღონდ უნდა შეგწვედეს იმის უნარი, რომ აღიარო ეს. არა, უნდა მოვერიო თავს. როგორმე უნდა გამოვდე ამ მდგომარეობიდან. ბოლოს და ბოლოს, დედამიწაზე ვცხოვრობ, მარსზე ხომ არა?

74

# „ოქროს სანმისის დაწესება“ ანუ ეკონომიკური „დოუნა“ ნამდვილმეგრულად



სიმღერა „დოუნა“, რომელიც მომღერალმა უცნობმა მეორედ გააცოცხლა და ერთიანი ოპოზიციის ჰიმნად აქცია, პირველად „მაცი ხვითაში“ გაისმა, როდესაც მეგრული ვაჟკაცები ერთმანეთს მარულაში ეჯიბრებოდნენ. ასე რომ, ეს სიმღერა მეგრელების უფროა და თანაც, მგონი, ახლა მათ უფრო ემღერებათ, ვიდრე ერთიან ეროვნულ საბჭოს, რადგანაც ფოთი უკვე გამოცხადდა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონად და აღმავლობისა და აყვავების (როგორც გვარწმუნებენ) „დოუნა“ მინიმუმ 50 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

პროექტი „ოქროს სანმისი“ მასშტაბებითა და ეკონომიკური პერსპექტივებით მართლაც გრანდიოზულია. ამას მაშინ მივხვდი, ეკონომიკის მინისტრიც კი ფოთში რომ ჩავიდა, თორემ პრეზიდენტი დღეში ოთხ-ხუთ ქალაქში ჩადის. პრემიერ-მინისტრის მიერ დასახელებული რიცხვებიც იმედისმომცემად უღერს: 400 ახალი სანარმო, 3-ჯერ დიდი მოცულობის პორტი, სანყის ეტაპზე 200 მლნ ინვესტიცია და 50 ათასი სამუშაო ადგილი... თუ ეს მართლა ასეა, ეკუთვნის კიდევ ამ პროგრამას „ოქროს სანმისის“ სახელი — ანუ დაუბრუნებიათ ფოთში ფოთიდანვე წაღებული ოქროს სანმისი და ისაა... პრინციპში, რაც საბერძნეთში ქართველები „ჩაუზიდნენ“, ეტყობა, ამოუვიდათ ყელში და თქვეს, წაიღეთ თქვენი ოქროს სანმისი და მოშორდით აქედანო.



თუმცა, ბერძნული არც „არგო“ დამინახავს და „ეკიპაჟი“ ქართული იყო იმ პირველ ჰოლანდიურ ბუქსირზე, რომელიც წარწერით — „პატრიოტი“ ფოთის პორტში უკვე შემოვიდა, მაგრამ გემბანზე იაზონივით ამაყად და ვაჟკაცურად მდგარმა პრეზიდენტმა „ოქროს სანმისი“ გახსნილად გამოაცხადა და იქვე დასძინა: საქართველოში ახალი ოქროს ხანა იწყებაო. ჰოლანდიური ბუქსირი, რაღა თქმა უნდა, პირველმა ლედამ მუზღვაურული წესით „მონათლა“ — ბოთლი თუ არ გატყდა, ცუდის ნიშანიაო და შამპანური ისეთი ძალით მიახეთქა ბორტს, რომ საცოდავი „პატრიოტი“ კინალამ მომენტალურად იქცა წყალქვეშა ნავად.

ამას მოჰყვა შეხვედრა უცხოელ და ქართველ ბიზნესმენებთან, ვიდუროგოლის ჩვენება — თუ როგორი იქნება ფოთი 50 თვეში, ყველაფერი გრანდიოზული კონცერტით დაგვირგვინდა და ხელისუფლებამაც სერიოზული წინასაარჩევნო პიარი გაიკეთა, მაგრამ ყველაზე საგულისხმო მაინც ფოთელების კმაყოფილება იყო: რა სჯობია, თუ 50 ათასი კაცი დასაქმდება და 50000 ოჯახი დანაყრდება, თორემ აქამდე ისეთი გაჭირვება და შიმშილი სუფევდა, რომ ხალხს სისხლი ჰქონდა გამშრალი და კოლას უნიკალური ჯიში, რომელიც მხოლოდ ფოთში გვხვდება, გადაშენების პირას იყო მისული. ახლა კი ხალხსაც ეშველება და კოლოსაც. ასე რომ, „დოუნა“, ფოთელებო, „დოუნა“!.. ესეც ასე, ფოთიც ავაშენეთ, მაგრამ რაც შეეხება და-

პირებას, საქართველოში ახალი ოქროს ხანა იწყებაო, ამის შესრულება შეიძლება, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდეს. ან შეიძლება, ახალი ოქროს ხანა პატარა ტერიტორიაზე გავრცელდეს, თორემ აბა, რა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ საქართველოზეა ლაპარაკი, როცა იმავე ფოთიდან (მით უმეტეს, წყლით) სულ რამდენიმე კილომეტრში — ოჩამჩირეში, რუსეთი სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნას აპირებს. ამ იდეის ავტორის პრეზიდენტობის ვადა „სულს ლაფავს“ და აი, რომ იტყვიან, „უჟღიცი მოიქნია“ და ეს იდეა დუმაში შეაგდო დასამტკიცებლად.

მართალია, ყველანაირ საერთაშორისო ნორმას ეწინააღმდეგება, მაგრამ დუმაში ვინ გვყავს ისეთი, ეს ნორმები ფეხებზე რომ არ ეკიდოს?! ასეა, „აგვიბლატავდა“ რუსეთი, ხომ ხედავთ, ნატოც კი „მივამორე“, „მაპის“ მოცემაც ვერ გაბედაო და ახლა უარესს შერევა: ოჩამჩირის ავიატორიას სამხედრო გემებით ავავსებო და ამის შიშით, რაც უნდა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონად აცხადო, ფოთში სამრეწველო გემები კი არა, სტავრიდა და ხამსაც აღარ შემოცურდება. ოოო, ახლა მართლა „დოუნა“!..

მაგრამ არც მთლად ასე ცუდადაა საქმე, ეს ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული, ათასნაირი მეტალოკრამიტია შემოსული.. ხომ გვაქვს ვიღაც-ვიღაცების ტელეფონები ჩაწერილი? ჰოდა, გადავურეკოთ სულყველას, ავანრილოთ სტრასბურგი თუ ბრიუსელი, ფეხზე დავაყენოთ ბუშის თეთრი სახლი თუ ბიძია თომას ქოხი და ყველა რომ შეუძახებს, იქნებ, მართლა დაიხიოს უკან, თორემ ეგ რომ თავის ჭკუაზე მიუშვა, ოჩამჩირე კი არა, აგერ ჩამომაკითხავს თბილისში და რას ნერ ჩემზეო, ცენზურას დამინესებს. ბოლო-ბოლო, ის ფოთის კოლოები, ძლივს რომ გაუჩნდათ გადარჩენის შანსი, შევუსიოთ და მერე ნახონ „სისხლის ალება“ მეგრულად... ასე რომ, აბა, თქვენ იცით, „დოუნა“, ფოთელებო, „დოუნა“!..

*P.S. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე:*  
— ხედავთ, ბატონებო, რამდენად მომგებიანია პროგრამა „ოქროს სანმისი“: 400 სანარმო გაიხსნება, 50 ათასი კაცი დასაქმდება.  
— და კიდევ, შამპანურის ბიზნესი აყვავდება.  
— როგორ?  
— როგორ და, ჩვენს შამპანურს ისე არავინ ყიდულობს და ამიერიდან ახალ-ახალი გემები და ბუქსირბარუები რომ შემოვლენ, იმისთვის მაინც იყიდიან, რომ ბორტზე შეახეთქონ.  
— ოოო, ეს კარგია, თანაც, თევზის ბიზნესიც აყვავდება: ბადე და ანკუსიც აღარ დასჭირდება, ჩვენი შამპანური ზღვაში რომ ჩაიღვრება, დახოცილი თევზები ამოტივტივდება...

**პროვოკატორი**

# ვისთან ერთად ააიჩიებენ გალუფი აფხაზეთის შესაღწევას და როგორ ჩაუვარდა ქოვზი ნასარში



აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერთან ინტერვიუს ჩანერა იქაურ პოლიტიკოსებთან დაახლოებულმა პირმა შემომთავაზა. თავიდან შევთანხმდით, რომ სერგეი ბალაფში ჩემ მიერ დასმულ კითხვებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უპასუხებდა, ოღონდ, ხუთზე მეტი კითხვა არ უნდა ყოფილიყო. თუმცა შემდეგ, როგორც ჩანს, სეპარატისტი პრეზიდენტი ჩემს სიტყვას ბოლომდე ვერ ენდო და ახალი პირობა წამოაყენა: კითხვები აფხაზეთში შუამავლის ელფოსტაზე უნდა გამეგზავნა. დიდხანს ვფიქრობდი, როგორ ჩამეტია ხუთ კითხვაში ის ყველაფერი, რისი პასუხიც უამრავ ქართველს წლების განმავლობაში აწუხებდა?..

ასეა თუ ისე, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, პასუხიც მოვიდა. აქვე უნდა აღვნიშნო: რესპონდენტს ინტერვიუზე უარი რომ არ ეთქვა, რამდენიმე კითხვის დასმა შერბილებული ვარიანტით ვარჩიე.

„ცივილიზებულ ქვეყნებში მსგავსი პრობლემის მოგვარების უამრავი გზა არსებობს“...

## ნინო აფხაგაძე

— ბატონო სერგეი, პრეზიდენტმა მისეილ სააკაშვილმა აფხაზეთს ახალი პროგრამა შესთავაზა: შეუზღუდავი ავტონომია, თავისუფალი ეკონომიკური ზონა და წამყვანი თანამდებობები ქვეყნის ხელისუფლებაში, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. თავის მხრივ და ჩვენდა საბედნიეროდ, არც რუსეთი აპირებს თქვენი დამოუკიდებლობის აღიარებას. რა გაძლევთ იმედს, რომ ოდესმე აფხაზეთს აღიარებენ და როგორ გეძახებათ მისი მომავალი ისეთი აგრესიული ქვეყნის მეზობლად, როგორც რუსეთია, მით უფრო, რომ რუს პოლიტიკოსებს რამდენჯერმე წამოსცდათ — აფხაზეთი აფხაზეთის გარეშე გვირდებოდეს?

— პირველსავე კითხვიდან იგრძნობა თქვენი განწყობილება. ფაქტია, რომ ქართულ ჟურნალისტიკაში ადგილობრივი პოლიტიკის გავლენა ძალიან დიდია. ერთი, არცთუ დიდი ხნის წინანდელი ამბავი გამახსენდა. როცა ჩვენს ტერიტორიაზე ქართველი ჟურნალისტები დააკავეს, სააკაშვილმა ლამის ომი გამოგვიცხადა და თავგამოდებით ამტკიცებდა, ჟურნალისტების მუშაობა შეუზღუდავი უნდა იყოსო. გამეცინა: როგორც ჩანს, თქვენს პრეზიდენტს დაავიწყდა, შარშან ნოემბერში როგორ შეუვარდა მისი „სპეცნაზი“ ტელეკომპანია „იმედს“. მაგრამ დავანებოთ ამას თავი, ქართულ დემოკრატიას მე ვერ ავაშენებ. რადგან ინტერვიუზე შევთანხმდით, თქვენს კითხვებს ვუპასუხებ, თუმცა უკვე ვხვდები, რა შინაარსის იქნება... ჩვენდა საბედნიეროდ, დღევანდელ მსოფლიოში პოლიტიკური მოვლენები ძალზე სწრაფად იცვლება.

კოსოვოს მაგალითმა ისიც გვიჩვენა, რომ არ არის გამორიცხული, XXI საუკუნე აქამდე აუღიარებელი სახელმწიფოების საუკუნედ იქცეს. თუ საქმე სამართლებრივ საფუძველზე მიდგა, ჩემი აზრით, აფხაზ ხალხს დამოუკიდებლად არსებობის სხვაზე მეტი იურიდიული უფლება აქვს. სააკაშვილის ეს წინადადება აფხაზეთისთვის 20 წლის წინ უნდა შეეთავაზებინათ (ვგულისხმობ სააკაშვილის წინადადებას — ფართო ავტონომიასა და საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე აფხაზის დანიშვნას, რომელიც აფხაზეთის პრეზიდენტი იქნებოდა), ახლა კი დაგვიანებულია. აფხაზეთმა თავიანთი ნება 1999 წელს ჩატარებული რეფერენდუმით უკვე გამოხატეს. მაშინ ქვეყნის 90%-ზე მეტმა აფხაზეთის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი და მე, როგორც ამ ქვეყნის ლიდერს, უფლება არ მაქვს, ხალხის ნების წინააღმდეგ წავიდე. რაც შეეხება რუსეთის დამოუკიდებულებას, — იგი უზარმაზარი სახელმწიფოა და იქ აზრთა სხვადასხვაობა ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა ფაქტია, რომ რუსეთის დუმის, სახელმწიფო სათაბიროსა და პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს. და საერთოდ, ერთ რამეს უნდა შევეგუოთ: საქართველოს, ამერიკის სახით, ჰყავს კარგი პარტნიორი და მხარდამჭერი სახ-

ელმწიფო. ჩვენ, თქვენთან შედარებით, გაცილებით პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ როგორც ჩანს, არანაკლები პერსპექტივა გვაქვს, რაც მხოლოდ ზღვისპირეთის წყალობა არ არის. ხანგრძლივი რესტავრაციის შემდეგ, სოხუმის აეროპორტი სრული დატვირთვით ამუშავდება და საჰაერო მიმოსვლა ყველა მეგობარ სახელმწიფოსთან გვექნება, ვინც კი აფხაზეთში ინვესტიციის ჩადებით არის დაინტერესებული. ზაფხულში სოხუმში ჩვენი მეგობარი ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლობებიც გაიხსნება, რაც ურთიერთობას უფრო გააადვილებს. ასევე ვგეგმავთ ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას. ისე კი ცნობისათვის, შარშან, მხოლოდ ტურისტებისგან მიღებულმა შემოსავალმა 3 მილიონ დოლარს გადააჭარბა. აფხაზეთში მეტი წილი, რუსული კაპიტალი ტრიალებს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზეთის ეკონომიკას რუსეთი მართავს. სექტემბრიდან აფხაზეთში ორი ვალუტა იქნება — ეროვნული და რუსული რუბლი. რუსუ-



კარგი იქნებოდა, ამის პასუხად, 1996 წელს გაეროელებული ინფორმაცია მომეყოლა, რომლის თანახმადაც, საქართველო რუსეთს 20 მილიარდ დოლარს სთავაზობდა, ოღონდ აფხაზეთი მისთვის დაეთმო...

ლი ფული, როგორც უცხოური ვალუტა, გაცილებით ძვირი ეღირება, ჩვენი ეკონომისტები უკვე იმაზე მუშაობენ, თუ რამდენი იქნება სხვაობა.

— მე საკმაოდ ხშირი ურთიერთობა მაქვს უბრალო აფხაზ ადამიანებთან და მათგან მომისმენა, რომ ადრე თუ გვიან, ქართველები და აფხაზები ისევ ერთად იცხოვრებენ. მათგან ვიცი, რომ ადგილობრივებს რუსებთან ასიმილაციის შიში აქვთ. რას ფიქრობს ამაზე აფხაზეთის ლიდერი?

— მე არ ვიცი, თქვენ რომელ აფხაზებთან გაქვთ ურთიერთობა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ თქვენი პასუხი თქვენეული ინტერპრეტაციით აგეხსნათ. ქართველებისა და აფხაზების მომავალ თანაცხოვრებაში შესაძლოა, მათ სხვა რამე იგულისხმეს. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთს საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს, ქართველი დევნილების გარკვეულ ნაწილს აფხაზეთში ცხოვრების საშუალება მიეცემა, მანამდე კი ამ საკითხზე ლაპარაკი არ ღირს. მით უმეტეს, რომ ამის გაკეთებას ჩვენ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებაც არ გვავალდებულებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ გალში 55-60 ათასი დევნილი დაგაბრუნეთ და მათ უფლებებს ვიცავთ. მაშინ, როცა იმ რაიონში ქართველების „დასახურებით“, მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა, მაინც აფხაზეთში ცხოვრება ურჩევნიათ, რადგან სანამ საქართველოში იყვნენ, ლტოლვილის იარაღი არ მოშორებიათ. რაც შეეხება ასიმილაციას, — აფხაზეთს ეს არ ემუქრება, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვი დემოგრაფიულ პრობლემაზე. მართალია, მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება უმჯობესდება, მაგრამ ამასობაში უამრავმა მათგანმა სამშობლო დატოვა, ისევე, როგორც საქართველოდან სამ-

აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ დაბრუნდება, ისევე, როგორც თვით საქართველო — საბჭოთა კავშირის საზღვრებში. თავის მხრივ, საქართველოს არა აქვს იმის ეკონომიკური პირობები, რომ აფხაზეთს იმაზე უკეთესი პერსპექტივა შესთავაზოს, ვიდრე დღევანდელ აფხაზეთში

## სექტემბრიდან აფხაზეთში ორი ვალუტა იქნება — ეროვნული და რუსული რუბლი


არსებობს. ზუსტად თუ არა, დაახლოებით მაინც ვიცი, რამდენი უმუშევარი, მათხოვარი და სამკურნალო თანხის არქონის გამო დაინვალიდებული ავადმყოფი ჰყავს თქვენს ქვეყანას. ძალიანაც რომ მინდოდეს საქართველოში დაბრუნება, ამას ხალხს ვერ ვაიძულებ, რადგან მან ჩემზე უკეთ იცის, იქ, ენგურს მიღმა რა ხდება.

— ყველას ახსოვს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდელი პოლიტიკური დულილი. მოდიოთ, თქვენგან ძალიან მოკლე პასუხი რომ არ მივიღო, ვეცდები, არცთუ ისე შორეული წარსული გაგახსენოთ... მაშინ თქვენ წინააღმდეგ ვიცეპრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა იბრძოდა, რომელიც რუსი სპეცსამსახურების ფავორიტად იყო ცნობილი, თქვენ კი პროაფხაზური კანდიდატი იყავით. სარწმუნო წყაროს ცნობით, თქვენს საპრეზიდენტო კამპანიას, მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი თემურ ქარჩავა აფინანსებდა. მასთან კარგი ურთიერთობა კი ჯერ კიდევ მაშინ გქონდათ, როცა „ჩერნომონენგოს“ ხელმძღვანელობდით. ქარჩავა, ბერეზოვსკი, სერგეი ბალაფში, სავარაუდოდ, ბადრი პატარკაციშვილი და ასევე ბიზნესმენი სკამადა აფხაზე-

აზი ხალხის ინტერესების გამტარებელი არა ხართ. რას იტყვით ნახსენები გეგმის შესახებ?

— რა უნდა ვთქვა?... როგორც თქვენი საუბრიდან ირკვევა, ამდენ ჭკვიან და ფულიან ადამიანს გეგმა მაინც ჩაგვევარდნია... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი ზემოთ ჩამოთვლილ

პირებს, მათ შორის თემურ ქარჩავას ვიცნობ, თავის დროზე მასთან საქმიანი ურთიერთობაც მქონდა, თუმცა — არა მეგობრული. ასე რომ, მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლია... ქართველებს საკმაოდ მდიდარი ფანტაზიის უნარი გაქვთ. ვაფასებ თქვენს ნიჭს... კარგი იქნებოდა, ამის პასუხად, 1996 წელს გავრცელებული ინფორმაცია მომეყოლა, რომლის თანახ-



როცა ჩვენს გერბიორაზე ქართველი ჟურნალისტები დააკვეს სააკაშვილმა ლამის ომი გამოგვიცხადა

მადაც, საქართველო რუსეთს 20 მილიარდ დოლარს სთავაზობდა, ოღონდ აფხაზეთი მისთვის დაეთმო... ეს დაუჯერებელია თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს მაშინ ამხელა თანხა არ ექნებოდა. ისე, ცნობისათვის, რაულ ხაჯიმბას არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე აბარია — ის ძალოვან სტრუქტურებს ხელმძღვანელობს.

— რუსეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. იმაზე თუ გიფიქრიათ, რა ბედი ეწევა აფხაზეთს მაშინ, თუ დემიტრი მედვედევმა საერთაშორისო საზოგადოებას მეტი ანგარიში გაუწია და სეპარატისტების მიმართ მიდგომა შეცვალა. და კიდევ ერთი: აფხაზეთის დამოუკიდებლობას თუ გამოვრიცხავთ, პირადად თქვენ რა გამოსავალს ხედავთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით?

— სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუოთ, რადგან თქვენზე უკეთ ვიცნობ რუსულ პოლიტიკას. მათ თავიანთი გზა აქვთ არჩეული. იმის თქმა არ მსურს,

## იმ ქვეყნის იდეოლოგიაზე აღზრდილი აფხაზი, სადაც ამტკიცებენ, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არასდროს არსებობდა, სამშობლოს ვერ გამოადგება

უშაოდ წასულმა ემიგრანტებმა ამერიკასა და სხვა ქვეყნებს შეაფარეს თავი, ზოგმა — ლეგალურად, ზოგმა — რისკის ფასად... ჩვენებმა რუსეთში მოიკიდეს ფეხი და უკან დაბრუნებაზე ძალიან ცოტა ფიქრობს. აფხაზეთსა და საქართველოს უამრავი საერთო პრობლემა აქვს და იმიტომაც ვთავაზობთ თანამშრომლობას. სააკაშვილის ხელისუფლებამ იცის, რომ

თის შესყიდვას აპირებდით. მაგრამ რუსეთის დაზვერვამ თემურ ქარჩავა სახელმწიფო საიდუმლოს გაცემის ბრალდებით დააკავა (ის კოლონალური თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს). ამის შემდეგ, თქვენ მოსკოვში დაგიბარეს... აფხაზეთის პრეზიდენტი კი გახდით, მაგრამ ადგილობრივები დღემდე აპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ აფხ-

რომ მედვედევი აფხაზეთს მალე აღიარებს, მაგრამ ის ჩვენს მხარდაჭერას მანამდე გააგრძელებს, სანამ საჭირო იქნება. არაერთხელ აღვნიშნე, რომ აფხაზეთში მეტი წილი რუსული კაპიტალი ტრიალებს და რუსული ინვესტიცია შემოდის. ეს არის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა ორ სახელმწიფოს შორის, რომლის ძირფესვიანად მოშლა წარმოუდგენელია. გარდა ამისა, ჩვენ არც გვინდა, რომელიმე სახელმწიფოს ზღვარგადასული დახმარება. ასეთ შემთხვევაში, პატარა ერებს ასიმილაცია ემუქრებათ. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, რომელიც კონფლიქტის მოგვარების ჩემულ გზას ეხება. ჩვენი თანამშრომლობა შესაძლოა, ამ ინტერვიუსთან ერთად დასრულდეს, მაგრამ ჩემი სიტყვები დარჩება: დღეს თუ ხვალ, საქართველოს აფხაზეთის აღიარება მაინც მოუწევს. ჩვენ არსად გვექარება და დაველოდებით ამ დღის დადგომას. კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით გეტყვით: ცივილიზებულ ქვეყნებში მსგავსი პრობლემის მოგვარების უამრავი გზა არსებობს, თუნდაც ჩეხოსლოვაკიის მაგალითი ავიღოთ: დღეს, ეს ორი სახელმწიფო — ჩვენი და სლოვაკეთი მშვიდობიანად ცხოვრობს. საკმაოდ ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობა და ფაქტობრივად გახსნილი საზღვარი ცხოვრებას უადვილებს. ამით არც ერთ მხარეს არ წაუგია. არადა, ძალიან დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწიეს. როცა ჩვენ მშვიდობიან გზაზე ვსაუბრობთ, სწორედ ამას ვთავაზობთ ქართულ მხარეს — აღიარონ აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ნებისმიერი სხვა გზა კონფლიქტს ჩიხში შეიყვანს. იმედია, ამას ქართული მხარე ოდესმე მიხვდება.

**— ბატონო სერგეი, როგორც ვიცი, აფხაზი ახალგაზრდებისთვის განათლების მიღება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. რას იტყვით, თუკი რომელიმე ქართველმა ბიზნსმენმა აფხაზ აბიტურიენტებს ამ მიზნით, ფინანსური დახმარება შესთავაზა?**

— ამ შემთხვევაში, ის აფხაზეთში ვერაფერს დაბრუნდება. გეთანხმებით, რომ პრობლემა არსებობს, მაგრამ აფხაზეთის განათლების სამინისტრო წლების განმავლობაში თავაუღებლად მუშაობს. მართალია, ხარვეზები მაინც გვაქვს, მაგრამ იმედია, რუსეთის დახმარებით, უახლოეს მომავალში გამოსწორდება. ახალგაზრდა თაობა ჩვენი ქვეყნის მომავალია და მე არ მინდა, ერთი მათგანიც კი არაეროვნული სულისკვეთებით აღიზარდოს. იმ ქვეყნის იდეოლოგიაზე აღზრდილი აფხაზი, სადაც ამტკიცებენ, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არასდროს არსებობდა, სამშობლოს ვერ გამოადგება.

# „აფხაზი წლის ზაფხავ რაი სახლის ჭიშკართან ჰიდაჩი და შინ ვაჩ ზაჰლოი!“

ჩემი მასპინძლის, ნინო გოროზიას ქალიშვილები — თამუნა მესხია მითხრა: აზობუნ, ვიდრე ცუდი რამ მოხდება, ოჯახი სხვათა და ბარაქთ იქნება აფხაზეთშიც რომდე ყველა ოჯახმა დიდი სიმდიდრე დააგროვა, ბედნიერი და ტკბილი ცხოვრება გვექონდა და მოსალოდნელ უბედურებაზე და ომზე ვეჭვავდაც არ გვიფიქრობო. სოხუმში, თურმე, სადგურთან ახლოს, ძალიან ლამაზ მალაზ ადგილას ცხოვრობდნენ ქალბატონი ნინო, ან გარდაცვლილი მისი მეუღლე — აპოლონ მესხი და სამი ქალიშვილი. სტუმართმოყვარე ოჯახს თბილისელი დამსვენებლები არ მოჰკლებია მაშინ ლამაზ სახლსა და ეზოს დიდად არ ვაფასებდით, მხოლოდ სიმტკბილობა გვინდოდა; ახლა კი, როცა აბდენი გაჭირვება და სიღარიბე გადავიტანეთ, ყველაფერს სხვა თვალთ შევხედეთო, — მეუბნებიან. — მეუბნებიან. თსუთმეტწლიან განშორების შემდეგ, დიდი ოჯახის სამმა წევრმა გარდაცვლილი დის დასატყობად აფხაზეთში ჩასვლა მოახერხა.



აპოლონ მესხის ოჯახი. 1988 წელი

## ირმა ხარშილაძე

**— ქალბატონო ნინო, თქვენი და რატომ დარჩა იქ? ნინო გოროზია.**

— სოხუმში სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარაში გაანაწილეს. იქ მოეწონა აფხაზ კაცს, გვარად კვინიას და ცოლადაც მოიყვანა. მამაჩემი გაგიჟდა: აფხაზმა როგორ წაიყვანა ჩემი შვილი და შინ მიუფარდა. ჩემი სიძის მამა — შაგერი დონიჯშემოყრილი დახვდა და, — აბა, მე მკითხე, თუ მინდა შენი გოგო რძალადო! — შეუძახა. — რადგან ასე მოხდა, მორჩა, ვეღარაფერს გავწყობთო. ძველ აფხაზებს წესად ჰქონდათ: მთელი ცხოვრების განმავლობაში რძალს ხმა არ უნდა გავცა მამათილისთვის და უსიტყვიდ მომსახურებოდა. მამათილი მოითხოვდა წყალს, — მას უნდა მიეტანა, ფეხის დაბანას მოინდომებდა, — უნდა დაეხანა და ასე შემდეგ. სიკვდილის წინ ამ კაცს ჩემი დისთვის უთქვამს: შენ — მეგრულმა ქალმა ნამდვილი რძლობა გაუწიე ჩემს ოჯახს და ახლა გთხოვ, ხმა გამეციო. ამას მაინც არაფერი უთქვამს — ტრადიცია არ დაარღვია (იციინის). საერ-

თოდ, ქალები სადილს რომ გაამზადებდნენ და ყველანი სუფრას მიუხსდებოდნენ, ერთი მათგანი ფეხზე უნდა მდგარიყო და დან-არჩენებს მომსახურებოდა. ჩემს დას ვეცყოდი ხოლმე: შენ რაღა საჭმელი გხვდება-მეთქი? ჩემი წილიც არის სამზარეულოში დარჩენილიო, — მასაუბობდა.

**— თქვენი და, აფხაზური წესით დაკრძალეთ თუ ქართული?**

— ჩვეულებრივად. მარხვა იყო და ქელქის სუფრაზე ეწყო ლობიო, პალავა, ფლაჟი... მეცხრე დღეს კი, იმათი წესის მიხედვით, სუფრაზე უკვე ხორციანი კერძებიც დააწყეს.

### თავზა

— ბიძაჩემი ძალიან მაგარი კაცი იყო, კარგი ადამიანი. მარულაშიც ყოველთვის პირველობდა. სამი შვილი ჰყავდათ. ერთ-ერთი მათგანი, საცოდავი სლავიკი აფხაზეთთან ომის დროს ჩვენს სახლში იმალებოდა — ვის ვესროლო?! დედა მეგრული მყავს და მამა აფხაზი! მიუტყვიდნენ აფხაზები, ბიძაჩემი ისე სცემეს, შემოაკვდათ, სლავიკს კი ცემის შემდეგ ჯანმრთელობა იმდენად შეერყა, ძალიან მალე გარდაიცვალა. დედასაც რა ექნა? ქმარ-შვილის საფლავი იქ ჰქონდა, სოფელში, რძალი მეგრული ჰყავს, შვილიშვილები დარჩა და ხომ ვერ მიატოვებდა იქაურობას? სხვათა შორის, მერე, აფხაზებმა რომ გაიგეს, მის ქმარ-შვილს იარაღი არავისთვის უსვრია, დედაჩემის ოჯახს აღარაფერს ერჩოდნენ.

**— ქალბატონო ნინო, ახლა როგორ მოახერხეთ ჩასვლა, არ გაგინდოდათ?**

— აფხაზმა დისშვილებმა გადაგვიყვანეს მე, ჩემი მეორე და და რძალი — ენგურის ხიდთან დაგვხვდნენ.



„ჩემმა დამ ბლავილი დაიწყო, თავისი დამწვარი სახლი რომ დაინახა“ (ქალბატონი ნინოს დის სახლი)





**როგორ შეგხვდნენ სოფელში?**

— აფხაზები ძალიან თბილად შეგხვდნენ. იქ ომამდე ხშირად დავდიოდი ხოლმე, ყველას ვიცნობდი, ჩემი სიძის ნათესავეს ძალიან ვუყვარდი. მე ბევრი მათგანი ვერც ვიცანი, თვითონ კი მცნობდნენ და თავს მახსენებდნენ: არ გახსოვარ, ესა და ეს ვარო. მერე სოხუმშიც წავდივით. ჩემი დისშვილები ნერვიულობდნენ, ეშინოდათ, მაგრამ მაინც წაგვიყვანეს. სოხუმი ძალიან გამოცვლილი მეჩვენა. სადგური როგორი დანგრეულიც დავტოვეთ, დღესაც ისევე არის. ბაზარს მაშინ „სნარი-ადი“ რომ დავუცა და დაინვა, ახლაც დამწვარია მითხრეს, გუდაუთას ალამზებენ ძალიან, სოხუმზე ვერ არ ფიქრობენო. შენობები სულ დანგრეულია. ჩვენს ქუჩაზე დამწვარი სახლების ადგილას ხეებია ამოსული.

**თქვენს სახლშიც მიხვედით?**

— მიმიყვანეს, ოღონდ შებინდებულზე.

**ვინმე ცხოვრობს?**

— ადრე ბავშვებიანი აფხაზი ქალი ცხოვრობდა, მერე გაუგდიათ, რადგან სახლის საფასური ბოლომდე ვერ დაუფარავს.

**თამაშა:**

— თურმე, არსებობს ვიღაც — „მეპატრონე“, ვინც ქართველების სახლებს ყიდის. იმ ქალის შემდეგ, პროკურორისთვის მიუყიდა ჩვენი სახლი. ძალიან მაინტერესებს, ვინ არის ის „მეპატრონე“, ჩვენი სახლებით რომ ვაჭრობს.

**ქალბატონო ნინო, ეზოში შესვლით?**

— რას მოვახერხებდით? ჭიშკარს ჯაჭვი ჰქონდა შემოსვეული და უზარმაზარი ბოქლომი ედო. წარმოიდგინეთ: ამდენი წლის შემდეგ ჩემი სახლის ჭიშკართან ვიდექი და შიგნით ვერ შევდიოდი! ღობიდან ვერ გადავხტებოდი, ძალიან მაღალია. ეეჰ! ძალიან დამწყდა გული.

**ძველი მეზობლები ან ნაცნობები არ განახავთ?**

— ჩემი დისშვილი ქვემოთ ვილაცას შეხვდა — ჩემი ქართველი მეზობლის სახლის ახალი მფლობელი აღმოჩნდა. აფხაზურად ლაპარაკობდნენ. მე ცოტათი მესმის აფხაზური და გავიგე, სტუმრებიანად ეპატიუებოდა შინ. რა იცოდა, რომ ქართველები ვიყავით?! ისე კი ვის ვნახავდი? ღამე იყო. მოპირდაპირე სახლში, სადაც ადრე ვეკუეები ცხოვრობდნენ, სინათლე ენთო. საერთოდ, კანტიკუნტად ენთოთ სინათლე, — თურმე, თვითონაც ეშინიათ და ღამით ფანჯრის მინებს აბნელებენ.

**როსი ეშინიათ?**

— რა ვიცი. ფაქტია, რომ სიბნელეში იყვნენ. ჩემმა დამ ბლავილი დაიწყა, თავისი დანგრეული, უფრო სწორად, დამწვარი სახლი რომ დაინახა — ომამდე ისიც იქვე ცხოვრობდა, მეზობლად. თურმე, მეზობელ აფხაზს და სომეხს ვერ გაუყვიათ ის სახლი და სომეხს გადაუწვავს. არადა, ქართველი მარადიურებისგან ჩემი და იცავდა მის ოჯახს. კაცს არგავასი ჰქვია, ვიდექით მის სახლთან, ჩემი და ეძახდა, მაგრამ არავინ გამოხვდა, მხოლოდ ძალი იყვდა. შეეშინდა, ეტყობა და ამიტომ არ გამოვიდა — განა მიხვდა, რომ ჩვენ ვიყავით, უბრალოდ, შეეშინდა. ჩემი და ტირილით ამბობდა: აწი რომ ჩამოვალ, ჩემს დისშვილთან კი არ გაჟერდები, მარტო ამოვალ ამ ეზოში და ღამეს ნასახლარზე გავათევო. ძალიან შეშეცოდა. იქვე

კიდევ ჩემი მამლის სახლი იყო, ახლა ნაგავაყრელად უქცევიათ, ეკალბარდებითაა სასვე. სახლი დანგრეულია. ისე, ჩემს სახლსაც აღარ ჰქონდა ფანჯრები.

**სასაფლაოზე ახვედით?**

— იქ დღისით ავედი. თუ სადმე ლითონი უნახავთ, სულ დაუხსნიათ. ქვა, თურმე, იმიტომ არ მიაქვთ, რომ ზედ ამოკვეთილი სახის ამოშლა ძვირი ჯდება და არ უღირთ. 15 წლის წინ საფლავეზე ავაგა რომ დავვრგეთ, ახლა ხედ არის ქვეშული.

**თამაშა:**

— ჩვენს მეზობლად სხვა სომხებიც ცხოვრობდნენ, არაქელოვები, ძალიან კარგი ხალხი. მათ იარაღი არ აუღიათ ხელში. ვერ გაჩერდნენ და სოხუმიდან წავიდნენ — ადღერსა და სოჭში ცხოვრობენ. სხვათა შორის, დედა თავის ბიძაშვილ-მამიდაშვილებსაც ესტუმრა სოხუმში.

**ნინო:**

— ბიკოლაჩემი ომის პერიოდში ძალიან ცუდად იყო და შვილებს ვერ მიუტოვებიათ. თურმე აფხაზები ძალიან ავიწროებდნენ, შინ უცვივდებოდნენ და სცემდნენ ჩემს ნათესაებს, — აქ რა დაგრჩენიათ, წადით იმ თქვენს საქართველოშიო. მერე მათი აფხაზი სიძე გამოჰქომაგებიათ და ბოლოს, თავი დაუწებებიათ. ახლა მოხუცდნენ და აღარაფერს ერჩიან, პენსიასაც აძლევენ.

**ელოდნენ თქვენს სტუმრობას?**

— არა, სისხარულით კინალამ გაგიუდნენ. ჩემი და და რძალი ვერც იცნო ბიძაშვილს ცოლმა და მერე შეიცხადა: დიიდა, ამას ვის ვხედავო!

**თუ იცით, რით ცხოვრობს იქ ხალხი, სამუშაო აქვთ?**

— რალაც საარსებო წყარო აქვთ — სახაჭაპურები, სანაყინეები, მალაზიები მუშაობს. ერთ ძველ სახაჭაპურში შევედი. ოფიცინანტმა ქალმა ხაჭაპური მოგვართვა და ქართულად დაგველაპარაკა — თურმე, ჩემს დისშვილთან უმუშაოა დამლაგებლად.

**არ შეეშინდა ქართულად დალაპარაკების?**

— როცა მინდა, აფხაზი ვარ, როცა მინდა — ქართველი, ასე რომ, რომელ ენაზეც მინდა, იმ ენაზე დავილაპარაკებო, — გვიტხრა.

**სეზონზე ბევრი დამსვენებელი ჰყავთ?**

— რუსები ჩადიან. თამუნა (შვილს მიუბრუნდა), თურმე, შენი მასწავლებელიც ჩადის ხოლმე აქედან და ისვენებს — ეტყობა, იქ ვილაც მფარველობს. მაგრამ როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა იძაბება, ვერავითარი მფარველი ვეღარ გადაგიყვამს იქით. ოჩაჩირეში, სოფელში ბევრმა გვიტხრა: რატომ აქამდე არ ჩამოხვედით, ცოცხალი რატომ არ ნახეთ თქვენი დაო? ჩემმა რძალმა დაგვაპატიჟა: ნურაფრის გემინიათ, ჩამოდით, დაგასვენებთ, საჭმელსასამელს არ მოგაკლებთო.

**აივრობთ ჩასვლას?**

— არ ვიცი... მაინც მეშინია.

**თამაშა:**

— მთავარი ის არის, რომ ქართველებსა და აფხაზებს — უბრალო ადამიანებს ერთმანეთი არ სძულთ. სოფელში დედას ვინც ხვდებოდა, ყველა გულში იხუტებდა. ყველანი ტიროდნენ და წარსულს იხსენებდნენ — როგორ ილხენდნენ, უკრავდნენ ფანდურზე და ამღერებდნენ... დედა, ის მოჰყვიე, აფხაზი პარლამენტარი რომ ნახეთ, ძალიან კარგად რომ შეგხვდათ...

**ნინო:**

— აფხაზეთში რომ და მახლდა, ის ბავშვობაში 2-3 წელი ცხოვრობდა და სწავლობდა სოფელში, ჩემს მესამე დასთან, რომელიც ახლა გარდაიცვალა. იმის კლასულ ბიჭს შეჰყვარებია და სულ სასიყვარულო წერილებს უგზავნიდა. ომის შემდეგ, რამდენიმე წლის წინ, ჩემი დისშვილისთვის უკითხავს: დეიდაშენი როგორ არის? თუ აფხაზეთში ჩამოვა, აუცილებლად შემახვედრეო. სოხუმში რომ ჩავედი, რამდენიმე დღე დავრჩით. ერთ დღეს პარლამენტის შენობასთან მიგვიყვანა ჩემმა დისშვილმა და ვილაცას დაურეკა, — დაბლა ჩამოდიო. ჩამოვიდა ეს კაცი და ჩემი დისშვილი ეუბნება: შენი თხოვნა შევასრულეო. ის ვერაფერს მიხვდა, გაცილებული იყურებოდა. მერე კი იცნეს ერთმანეთი და ძალიან გაიხარეს. ჩემი და საყვედურობდა: თუ ასე ძალიან გიყვარდი, რატომ არ მომტებნო (იცინის)?

**„მეგობრივი სიზმარი კეთილად ამისდეს და მალე ჩემი ეზოს ჭიშკრის ბოქლომი მართლა გასაღებით გავისხნა!“ (ნინო გოროშია და თამუნა მესხი)**



**თამუნა, თქვენ არ გყავდათ აფხაზი მეგობრები?**

— ძირითადად, ქართველებთან ვმეგობრობდი. ჩემი მეუღლე სწავლობდა რუსულ სექტორზე და აფხაზი მეგობრებიც ჰყავდა. ახლა ინტერნეტით, პროგრამა ОДНОКЛАССНИКИ-ით იზოვა თავისი აფხაზი თანაკლასელები და ყველანი უბედნიერესები იყვნენ. ისინიც არ ცხოვრობენ აფხაზეთში — რუსეთსა და სხვა ქვეყნებში არიან გაბნეული.

**რას ფიქრობთ — შესაძლებელია აფხაზეთში თქვენი მშვიდობიანად დაბრუნება? შეძლებთ იქაურებთან ერთად ცხოვრებას?**

**ნინო:**

— რა გითხრათ? ისე, რატომ ვერ უნდა შეველოთ?!

**თამაშა:**

— დედა, შენ იმიტომ ლაპარაკობ ასე, რომ შენი ოჯახის წევრებს არ უბრძოლიათ და არავინ მოუკლავთ. აბა, იმათ ჰკითხე, ქმარ-შვილი, ნათესალები რომ ამოუხოცეს!

**ნინო:**

— ოჩაჩირეში, სადაც ჩემი და ცხოვრობ-

და, მეზობლად ქართველი ქალი იყო აფხაზზე გათხოვილი. ომი იყო და მაშინ „მხედრონელები“ ჩასახლდნენ სოფელში. ამ ქალს უთქვამს: ნავალ იქით, ძროხებს გამოვდენი, ქართველები არიან, დაფუძახებ და არაფერს დამიშავებენო. წასულა და ისიც მოუკლავთ და მისი ქმარიც. ჩემს დას დაუსაფლავებია. ერთ აფხაზ კაცს კი ორი ქართველი გოგონა მიუცილებია ენგურის ხილამდე, ფულიც მიუცია, — დაგჭირდებათო და დამშვიდობები-სას უთქვამს: ქართველებმა თქვენი თანატოლი ქალიშვილი მომიკლესო... მაშინ ქაოსი იყო. არ ვიცი, რატომ მოხდა ეს აზბავი. როგორ კარგად ვცხოვრობდით ერთად, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით!

**თამუნა:**

— მე მაინც ვფიქრობ, რომ უნდა შევრიგდეთ. ჩემი მეუღლის მეგობრები ინტერნეტით რომ ურთიერთობენ, იცით, რა თბილად გვკითხულობენ?!

— თვითონ ფიქრობენ აფხაზეთში დაბრუნებას?

— მშობლები იქ ჰყავთ და ხშირად ჩადიან.

— მერე, რას ამბობენ, შევძლებთ ერთად ცხოვრებასო?

— (ჩაფიქრდა) იცით, ჯერ ამაზე არ გვილაპარაკია, თუმცა... ერთი თვის წინ არ უჩვენეს ტელევიზიით, ქართველმა ბიჭმა აფხაზი გოგონა ცოლად რომ ითხოვა და აქ ჩამოიყვანა?

**მნო:**

— ომის დროს, აფხაზეთიდან უკვე წამოსულები ვიყავით, რომ დამესიზმრა: სოხუმში, ჩემს ქუჩაზე, ზემოთ, ჩემი დის სახლისკენ მივდიოდი. იქვე უცნობი ახალგაზრდა კაცი შევნიშნე. გავიფიქრე, უკან, ჩემს სახლში რომ გავბრუნდებ, როგორ შევალ, იქ აფხაზები არიან, ნეტავ, სად უნდა გავათენო ღამე-მეტი? ეს კაცი მოვიდა,

„მაშინ ღამამ სახლსა და ემოს დიდად არ ვაფასებდით, მხოლოდ სიამაგეობა გვინდობდა (თამუნა და თამილა მესხები, ნინო გიორგინია სოხუმის სახლში. 1991 წელი)“



გასაღებების აცმა ამოიღო, ერთი გასაღები მოხსნა, მომცა და მითხრა: დიდი ხანი რომ გავა, აი, ამ გასაღებით გააღე შენი სახლის კარი და შედიო. მეტი აღარაფერი მახსოვს. დღემდე არ მაგინწყდება ეს სიზმარი. რა ვიცი, ეგებ კეთილად ამხედეს და მეორედ ჩასვლისას ჩემი ეზოს ჭიშკრის ბოქლომი მართლაც გასაღებით გავაღო?!

# თუ რუსეთთან ომი დაიწყო...

რუსეთისგან ულტიმატუმის ერთ ლაპარაკს საქართველო კი არა, ლამის მთელი მსოფლიო უკვე კარგა ხანია, შეეჭვია. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ნატოში საქართველოს შესვლა მხოლოდ დროის საკითხია, ჩრდილოელი მეზობელი განსაკუთრებით აგრესიული გახდა. „იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოში ინტეგრაციის გზას არ გადაუხვევს, აფხაზეთში სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს და შესაძლოა, შეიარაღებული დაპირისპირებაც დაიწყოს“, — ეს სიტყვები ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელს, კონსტანტინ კოსანოვს ეკუთვნის. მას დუმის დეპუტატის, ლეონიდ სლუცკის „შეფასებაც“ მოჰყვა — ევროპის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება და არ არის გამორიცხული, საქმე საომარ მოქმედებების განახლებამდე მივიდესო...

რამდენად რეალურია რუსეთის მუქარა და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუკი ჩრდილოელი მეზობელი შეიარაღებულ დაპირისპირებას არ მოერიდება? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, ქართველ სამხედრო ექსპერტებს მივმართეთ.



**„მთავარია, რომ ასეთ დროს ქვეყანა ერთი რეჟიმით ცხოვრობდეს...“**

## ლალი კაპასკირი

**ირაკლი ალადაშვილი, „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის — „არსენალი“ მთავარი რედაქტორი:**

— დავინწყით იქიდან, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებმა ჯერ ცხინვალში, შემდეგ კი აფხაზეთში უჩვენა — რუსეთი რეალურად და საკმაოდ აქტიურად ერეოდა ამ პროცესებში. ის იარაღით ამარაგებდა სეპარატისტულ რეგიონებს, მაგრამ მაინც ცდილობდა, ომში ოფიციალურ მხარედ არ გამოჩენილიყო და ახლაც იმავეს ეცდება.

— მერე რამდენად გამოიყენა რუსეთს „უჩინაჩინის ქულის“ მორგება?

— არა მგონია, ეს ახლა გამოუყენდეს, რადგან საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და რუსეთი მის ტერიტორიულ მთლიანობას ოფიციალურად აღიარებს, ამიტომ, ჩვენი ხელისუფლებისა და საზოგადოების წინასწარობიდან გამოყვანას ეცდება. კონფლიქტურ ზონებში ვითომ ოფიციალური წარმომადგენლობების, საელჩოებისა და საკონსულტაციოების გახსნა, სამხედრო ბაზების აღდგენის შესახებ ლაპარაკი ხომ იმას ემსახურება, რომ როგორმე საქართველო აიძულონ, შეიარაღებულ მოქმედებაზე გადავიდეს.

— როგორ შეიძლება რუსეთის ასეთ ნაბიჯებს ჩვენმა ხელისუფლებამ უპასუროს?

— პირველ რიგში, საერთაშორისო ორგანიზაციები კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩართონ საქმეში. რუსეთის ნებისმიერ აგრესიულ ნაბიჯზე გავროში, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში ყველანაირი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ. ცხადია, თუ რუსეთმა უკანდასახევი გზა არ დაგვიტოვა, საქართველოს თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სრული უფლება აქვს და მან ამისთვის ყველანაირი საშუალება უნდა გამოიყენოს. თუმცა, რა თქმა უნდა, ჯობია, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდეს.

— ანუ არ არის გამორიცხული, რომ საქართველომ რუსეთის აგრესიას შესაბამისი პასუხი გასცეს?

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება... კიდევ ერთხელ გეუბნებით: ნებისმიერ ქვეყანას უფლება არაფერს აქვს, არამედ ვალდებულია, თავისი ტერიტორიული მთლიანობა დაიცვას.

— თუ საქმე მართლაც საომარ მოქმედებებზე მიდგა, რა შანსი აქვს საქართველოს?

— ჩვენი ძალა ამ შემთხვევაში, ტანკებით, თვითმფრინავებითა და საბრძოლო ტექნიკით არ განისაზღვრება. მთავარია — ხალხი, საზოგადოება იყოს ერთიანი. საქართველო ყველა იმ ადამიანს ეკუთვნის, ვინც აქ ცხოვრობს, განურჩევლად ეროვნებისა. ამიტომ ის ვალდებულია, ქვეყნის სადარაჯოზე დადგეს. ფრონტის წინა ხაზზე ბრძოლა ყველას როდი შეუ-



საქართველო ყველა იმ ადამიანს ეკუთვნის, ვინც აქ ცხოვრობს, განურჩევლად ეროვნებისა. ამიტომ ის ვალდებულია, ქვეყნის საღარაჯოზე დადგეს

ძლია, მაგრამ რაც შეუძლია, ის უნდა გააკეთოს: ზოგს ომი შეუძლია, ზოგსაც — ზურგში შრომა. მთავარია, რომ ასეთ დროს ქვეყანა ერთი რეჟიმით ცხოვრობდეს და არა ისე, როგორც ეს 1992-93 წელს ხდებოდა: ქართველების ნაწილი აფხაზეთში იბრძოდა და ნაწილი კიდევ — დუბაიში სასაქონლო „დარბოდა“.

**კობა ლიპლიძე, სამხედრო ექსპერტი:**

— ბატონო კობა, რუსეთი უკვე ლიად ლაპარაკობს სამხედრო ოპერაციებზე. თუკი ეს მართლა მოხდა, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

— ჩემი აზრით, რუსეთის მუქარის განხორციელება არარეალურია. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი უფრო ძალის დემონსტრირებას ახდენს. თუმცა, თუ მან ეს მუქარა შეასრულა, ის, როგორც აგრესორი, ნიღაბს ჩამოიხსნის და ფაქტობრივად, სამშვიდობო ოპერაციიდან გამოვა. ეს იქნება მისთვის ღია კონფლიქტი მის მეგობარ და მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის — ნატოს წევრ ქვეყნებთან, რომელთა სტრატეგიული პარტნიორიც არის. ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ალიანსში საქართველოსა და უკრაინის განწევრება მხოლოდ დროის საქმეა და მესამე მხარის პოზიცია, რომელიც რუსეთი იგულისხმებოდა, ამ საკითხზე გავლენას ვერ მოახდენს. ასე რომ, თუ რუსეთმა მართლა მიიღო ეს გადაწყვეტილება, ეს იქნება ყველაზე დიდი შეცდომა, რაც კი სამხრეთ კავკასიაში ჩაუდგინა. თუმცა ამის შემდეგ, ნატოში საქართველოსა და უკრაინის განწევრება კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით მოხდება. ამავდროულად, ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებმაც ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის Map-ის მიცემისგან თავი შეიკავეს, ამით დაანახევებს, რომ წარმოადგენს სახიფათო ძალას, რომელიც ცდილობს, „შიგნიდან“ დაანგრის და შეცვალოს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა.

— თქვენი აზრით, პირდაპირ

**სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, როგორი შეიძლება იყოს საქართველოს პასუხი?**

— ხელისუფლება უფრო აქტიური უნდა გახდეს. საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა გააცნოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დე ფაქტო აფხაზეთის ხელმძღვანელობისთვის 28 მარტს შეთავაზებული, კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გეგმა. ჩვენს მეგობარ ქვეყნებს უნდა აფუხსნათ, რომ ეს პროგრამა საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგშია. თუმცა ამავდროულად, უნდა გაძლიერდეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა და შეიქმნას დამატებითი გარანტიები უშუალოდ აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად. მართალია, ისედაც ყველამ კარგად იცის, რომ „მეფე შიშველია“, მაგრამ საქართველოს პარტნიორ ქვეყნებს მოვლენათა განვითარებისა და რუსეთის ზრახვების შესახებ სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ.

**თქვენ აღნიშნეთ, — რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინის ნატოში განწევრებას დააჩქარებს, თუმცა ბოლო დღეებში რუსული პრესა წერდა, რომ უკრაინა სწორედ ამ საკითხზე მოსკოვთან მოლაპარაკებებს მართავდა...**

— ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რუსმა ჟურნალისტებმა „ნეზავისიმია გაზეტაში“ აღნიშნეს — უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული მეგობრული ხელშეკრულების თანახმად, კიევის მოსკოვის წინაშე არავითარი ვალდებულება არა აქვს აღებული. ასე რომ, უკრაინის ხელისუფლების გადასაწყვეტია, რომელ საერთაშორისო ბლოკში მოისურვებს განწევრებას. ბუქარესტის სამიტზე ყოფინასა, შესაძლებლობა მქონდა, პუტინის პრესკონფერენციას დაესწრებოდი, სადაც რუსეთის ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი თანამშრომლობს და მომავალშიც ითანამშრომლებს ნატოს წევრ ქვეყნებთან. სხვათა შორის, 2002 წელს პუტინის ინიციატივით შეიქმნა „რუსეთისა და ნატოს საბჭო“, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და თუკი ასეთი თანამშრომლობა არსებობს, რატომ უნდა ეკრძალებოდეს უკრაინას ნატოს წევრობა?.. ეს არის რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის უდიდესი შეცდომა, რომელიც თვითონვე შემოუბრუნდება. კონკრეტულად კი იმით, რომ ნატოში უკრაინის განწევრების მომხრე ქვეყნების რაოდენობა გაიზარდება.

— ფაქტია, რომ რუსეთი თავის საზღვრებთან ნატოს წევრი ქვეყნების ხილვას უფრთხის, თუმცა იმავდროულად, თავად, საქართველოს სამხედრო ოპერაციით ემუქრება, რაც საერთაშორისო საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს, რუსეთის აგრესიურობის შესახებ, კიდევ უფრო განამტკიცებს. რა-

**ტომ არ უწევს ამას მოსკოვში ანგარიშს?**

— რუსეთს არ სურს აღიაროს მსოფლიოში არსებული კონიუნქტურა და საერთაშორისო რეალობა. მას არ სურს, რომ მისი „ორბიტიდან“ გავიდეს საქართველო და მით უფრო — უკრაინა, რომლის შესახებაც, ჯერ კიდევ ძერჟინსკიმ ბრძანა, — უკრაინასთან ერთად, რუსეთი ყოველთვის იქნება იმპერია, მაგრამ მის გარეშე იმპერიად ვერასდროს დარჩება. ამას რუსეთი ღიად არ ამბობს, თუმცა მის შესანარჩუნებლად, ყველა ღონეს ხმარობს. მაგრამ მისი მეთოდები მოძველდა.

**რუსეთი საქართველოს დაკარგვასაც მტკივნეულად განიცდის...**

— მართალი ბრძანდებით, საქართველოს დაკარგვასაც მტკივნეულად განიცდის, რადგან ფაქტობრივად, მას დაკარგული აქვს კონტროლი სამხრეთ კავკასიაზე. ეს კი საქართველოს მიმართ მისი არათანამიმდევრული და მტრული პოლიტიკის შედეგია. სწორედ ამან უბიძგა ჩვენს ქვეყანას ნატოს ალიანსისკენ. რამდენიმე წლის წინ, თავდაცვის სამინისტროში ვმუშაობდი და მასსოვს, ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი ინიციატივა უპასუხოდ რჩებოდა, თვით ხელშეკრულებაც — კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ, რომელიც რატიფიცირებული იქნა, — რუსეთმა დაარღვია. ამას დაემატა აგრესია, ქსენოფობიური გამოსვლები, ეკონომიკური ემბარგო და ჩვენ წინააღმდეგ სეპარატისტების მუდმივი წაქეზება. რუსეთს ახლა იმის ეშინია, რომ სამხრეთ კავკასიის



თუ რუსეთმა მართლა მიიღო ეს გადაწყვეტილება, ეს იქნება ყველაზე დიდი შეცდომა, რაც კი სამხრეთ კავკასიაში ჩაუდგინა

ქვეყნები — აზერბაიჯანი და სომხეთი, რომლებიც ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის წევრები არიან, საქართველოს მიჰბაძავენ. ისინი იმ ორგანიზაციისკენ წელა მიიწვევენ, მაგრამ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ გამოვლენილი აგრესია, მათ ნატოში განწევრების სურვილს კიდევ უფრო გაუძლიერებს.

# „კვირის პალიტრა“ — 13 წლის იუბილარი

## ვინ კითხულობს გაზეთს

18 აპრილს ყველაზე მასობრივ ქართულ ყოველკვირეულს — „კვირის პალიტრას“ 13 წელი უსრულდება. პოპულარული გაზეთის „დაბადების დღე“, მაშინაც კი, როცა მრგვალ თარიღთან არ გვაქვს საქმე, მაინც საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა. სწორედ ამიტომ, ამჯერად, რუბრიკის თემად, „კვირის პალიტრის“ როლი და მნიშვნელობა ავირჩიეთ. რას ფიქრობენ საზოგადოებისთვის ცნობილი თუ უცნობი ადამიანები გაზეთზე, რომლის შექმნითაც ბევრ ოჯახში ორშაბათის დღია იწყება?..



### ნათია ჰივიკა

**ლევან ბარკაძეშვილი, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი:**

— უნდა აღვნიშნო, რომ „კვირის პალიტრას“ ძალზე ბევრი მკითხველი ჰყავს და გაზეთის მკითხველთა რიცხვში მეც ვარ. „კვირის პალიტრას“ დაარსებიდან ვკითხულობ. რაც ამ გამოცემას ჩემზე და ჩვენი პარტიის შესახებ მასალა დაუბეჭდავს, ყოველთვის ობიექტური ყოფილა. ამ გაზეთში განსაკუთრებულად ის მომწონს, რომ სკანდალზე გათვლილი არ არის, არც ძალადობას ქადაგებს. ყველა ადამიანს თავისი ფავორიტი ჟურნალისტი ჰყავს. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ფავორიტი ქალბატონი იზო რიკაძეა. მას ინტერვიუს რომ ვაძლევ, ვიცი, იმ სტატიაში ყველაფერი ისე ზუსტად იქნება ასახული, როგორც საჭიროა. „კვირის პალიტრა“ ყოველკვირეული კი არა, ყოველდღიური რომ იყოს, ურიგო არ იქნებოდა. ვულოცავ რედაქციას იუბილეს. ათი ამდენი მიმელოცოს მისთვის. ვისურვებდი, რომ იმ დროს მეც ცოცხალი ვიყო, „კვირის პალიტრაც“, მისი ჟურნალისტებიც და მისი ტირაჟიც.

**ნაზი არონია, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

— „კვირის პალიტრაში“ საკმაოდ კარგი ანალიტიკური მასალები იბეჭდება და სხვა გამოცემებთან შედარებით, განსაკუთრებულად ობიექტურია. მრავალფეროვანი გაზეთია და მასში ბევრ საინტერესო ამბავს ვკითხულობ. ასახავს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენას. ამიტომ, გარკვეული რჩევის მიცემისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ ვისურვებ, რომ ამ გაზეთმა დიდხანს იცოცხლოს, ბაზრის სირთულეებს გაუძლოს, რომელიც ზოგადად, პრესის ბაზარზეც არსებობს და იყოს მონინავეთა რიგებში, რაც მართლა საკმაოდ ძნელია. ყოჩაღ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს, რომ ეს გაზეთი ასეთი პოპულარულია. ეს ხომ მათი დამსახურებაა.

**ბიზ გულაძე, სამხატვრო აკადემიის რექტორი:**

— „კვირის პალიტრას“, დაახლოებით, თვეში ერთხელ ვკითხულობ. მის სმირად წაკითხვას ვერ ვახერხებ. მიმაჩნია, რომ

ეს გაზეთი საკმაოდ საინტერესოა. მასში დაბეჭდილი დანიშნულს, სიამოვნებით ვეცნობი. გარდა ამისა, საინტერესო პოლიტიკურ-ანალიტიკური სტატიები აქვთ, სხვადასხვა საკითხზე გაკეთებული რეიტინგაც არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას. კარგი იქნება, თუ მასში ნაკლები ჭორი დაიბეჭდება. ასევე, სასურველია, რომ ხელოვნების თემაზე უფრო მეტი დაიბეჭდოს და მასალებიც ღრმა ანალიზს შეიცავს. თუმცა პროფესიონალიზმის პრობლემა მხოლოდ „კვირის პალიტრას“ კი არა, მთელ ქართულ მედიას აწუხებს. არ გვყავს პროფესიონალი ჟურნალისტები. მიუხედავად ამისა, ვისურვებდი, რომ „კვირის პალიტრას“ მსგავსი ხარვეზები არ ჰქონდეს. გაზეთს იუბილეს ვულოცავ. მის თანამშრომლებს კი პროფესიულ ზრდასა და ბედნიერებას ვუსურვებ.

**ლემსო ძავითარაძე (ლემს-სანი), რეპერი:**

— როცა ხელში ჩამივარდება, „კვირის პალიტრას“ მხოლოდ მაშინ ვკითხულობ. მომწონს თუ არა „კვირის პალიტრა“? ქალი ხომ არ არის, რომ მომწონდეს? უმთავრესია, რომ ობიექტური ინფორმაცია დაბეჭდოს და თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულოს. რაც მთავარია, ჭორებს არ უნდა ეყრდნობოდეს. მართლა გულით ვულოცავ „კვირის პალიტრას“ იუბილეს და წარმატებას ვუსურვებ...

**ნანული არჩვაძე, დიასახლისი, 58 წლის:**

— ჩემი აზრით, „კვირის პალიტრა“ საქართველოში ყველაზე რეიტინგული და პოპულარული გაზეთია. ორშაბათი დღე თენდება თუ არა, მაშინვე ჯიხურში ჩავდივარ ამ გაზეთის შესაძენად. მიმაჩნია, რომ ის ჩვენში ყველაზე ობიექტური გაზეთია. არც ოპოზიციას უკრავს ტაშს და არც — ხელისუფლებას. გარდა ამისა, მასში უამრავი საინტერესო მასალის წაკითხვა შესაძლებელია. მოკლედ, „კვირის პალიტრა“ ყველაზე მაგარია. ამიტომ, მთელ სარედაქციო კოლეგიას 13 წლის იუბილეს ვულოცავ და ვუსურვებ, კიდევ დიდხანს გაეხარებინოს მკითხველთა გულები.

**ვაჟა ლორთქიფანიძე, პენსიონერი, 73 წლის:**

— „კვირის პალიტრა“ ყოველ ორშაბათ დილას ჩვენი ოჯახის სტუმარია. არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამ გაზეთით დაინტერესებული არ არის. ამიტომაც, ის საქართველოში პირველი გაზეთია. მასში განსაკუთრებულად რუბრიკა „ვერსია“ მომწონს, რომელსაც ბატონი ვაჟა გავაშელი წერს. დაჩი გრძელიშვილის პოლიტიკურ-ანალიტიკურ სტატიებსაც დიდი სიამოვნებით ვკითხულობ. გარდა ამისა, რუბრიკა — „სადღეგრძელოდ“ გენიალურია. იმ კურიოზებზე კარგად ვხალისობ, თუცა უნდა ვაღი-



რო, რომ რატომღაც რამდენიმე წლის წინ, უფრო საინტერესო კურიოზები იბეჭდებოდა. მაშინ ერთ-ერთ ამბავზე მთელი კვირა ვიცინოდი და ყველას ვუყვებოდი. ნეკროლოგების გვერდი რომ აქვთ, ესეც კარგია. ადრე თუ გვიან ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და ხალხმა ხომ უნდა გაიგოს, ვინ გარდაიცვალა? თუმცა, რა დროს სიკვდილია, როცა იუბილეა... „კვირის პალიტრას“ ვულოცავ 13 წლის იუბილეს და ვუსურვებ, რომ ათჯერ ცამეტი წელი კიდევ ეარსებოს და სულ ასეთი პოპულარული და ყველასათვის საინტერესო გაზეთი ყოფილიყოს...

**ნუცა ჯანაშია, მხატვარი, 47 წლის:**

— „კვირის პალიტრა“ ძალიან საინტერესო გაზეთად მიმაჩნია და მას ხშირად ვკითხულობ. მე, როგორც ხელოვნების მოღვაწე, მასში განსაკუთრებულად, კულტურის თემაზე შექმნილ მასალებს ვეცნობი. ისე, პოლიტიკასაც ვერ ავუვლი ხოლმე გვერდს. გარდა ამისა, საკმაოდ საინტერესო ეკონომიკური ჩანართი აქვს. გამომცემლებს, მსგავსი სახის ჩანართის გაკეთება, კარგად მოუფიქრებიათ. მახსოვს, ადრე მსგავსი კრიმინალური ჩანართი ჰქონდათ ხოლმე და ისიც საკმაოდ საინტერესო იყო. მოკლედ, „კვირის პალიტრის“ მთელ კოლექტივს იუბილეს ვულოცავ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. მთავარია, რომ სულ ასეთი მაღალი ტირაჟი ჰქონდეთ...

**ლაშა ზაღალაძე, სტუდენტი, 18 წლის:**

— პრესას საერთოდ არ ვკითხულობ და გამორჩეული არც „კვირის პალიტრაა“. ამ გაზეთის სახელწოდება გამიგონია, ვიცი, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარული გაზეთია და რამდენჯერმე გადამიხედავს კიდევ, მაგრამ მისი ერთგული მკითხველი ნამდვილად არ ვარ. ხანდახან მის ფურცლებზე ავტომობილების შესახებ სიახლეებს თუ გავეცნობი... „კვირის პალიტრას“ იუბილეს ვულოცავ და ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ...

**ნათია თაბაგარი, სტუდენტი, 20 წლის:**

— საერთოდ, პრესით დაინტერესებული არ ვარ, თუმცა „კვირის პალიტრა“ გამორჩეულია. მასში მხოლოდ რუბრიკას — „თქვენთვის, ქალბატონებო“ ვკითხულობ, რომელიც მართლა ძალიან მომწონს. ზოგიერთი საინტერესო ამბავი გაზეთიდან ამოვჭერი და შენახულიც კი მაქვს. ეს რუბრიკა ქალებისთვის ნამდვილად საინტერესოა, რადგან ქალმა ცხოვრება სხვის შეცდომებზე უნდა ისწავლოს, რომ თვითონ მსგავსი შეცდომა არ დაუშვას და გული არ ეტყინოს. „კვირის პალიტრას“ იუბილეს ვულოცავ და ვისურვებ, რომ რუბრიკა — „თქვენთვის, ქალბატონებო“ რამდენიმეგვერდიანი გახადოს. ვფიქრობ, ამით უფრო მეტ მკითხველს შეიძინს.

# „გაჰაქლიეროთ საქართველოს სკოლები!“

## მედიასახლის ახალი ინიციატივა

### 6060 გარდაიხვილი

ქართული ენის დღეს — 14 აპრილს „კვირის პალიტრის“ მედიასახლის წიგნის მაღაზიაში ექსკლუზიური გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. გამომცემლობა „პალიტრა L“-მა მკითხველი საზოგადოების სამსჯავროზე, მისი ზიჯის ილუსტრაციებით გაფორმებული „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგინა და ახალი ინიციატივის შესახებაც ამცნო.

„გაგაფრთიანოთ ძალები და გავაძლიეროთ საქართველოს სკოლები!“ — ასეთია მედიასახლის თაოსნობა და მონოდება, რომელიც ფართო



ლაქების სკოლების ბიბლიოთეკებისთვის. როგორც ჩვენთვის ცნობილია, უახლოეს დღეებში საკუთარი სიტყვის თქმას რამდენიმე ბიზნესორგანიზაცია აპირებს.

მედიასახლი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ ყველა სკოლაში აღმოჩნდება.



საზოგადოებისკენაა მიმართული. მედიასახლი საკუთარ თავზე იღებს აქციის საინფორმაციო მხარდაჭერას, წიგნების რაოდენობით მსურველთა უზრუნველყოფას, სურვილის შემთხვევაში კი — მათ ადგილზე მიტანასაც.

„კვირის პალიტრის“ ამ ინიციატივას პირველად „თი ბი სი ბანკი“ გამოეხმაურა. მან ასეულობით წიგნი შეიძინა — საქართველოს დიდი ქა-



# „პროფილი“ — „იმედში“ შეწყვეტილი ცვლევების გეგმვა

„პროფილი“ ყველაფერი სხვანაირად ჩანს... ამაში მალე დაფრწუნდებით... ეს „მალე“, 29 აპრილს დადგება. ქართველი მაცურებელი მონატრებულ ტელეჟურნალისტს — მანია ასატიანს სრულიად ახალ ამბულაში სწორედ ამ დღეს იხილავს. „იმედში“ 7 ნომერს შეწყვეტილი ტელეცხოვრება „მზეზე“ გაგრძელდება. „პროფილის“ ავტორსა და წამყვანს ამნუთას ოცნებებიც აღარ დარჩა — ის ახლა 29 აპრილით ცხოვრობს და იმედოვნებს, რომ გადაცემის თერაპი გასვლის შემდეგ, მაცურებელი იტყვის — ის, ისევ ის არის...

## ღია სუსპიციბა

სანამ ის გახდებოდა, ვინც ახლაა, სანამ საკუთარ სახეს, სტილს, ადგილს იპოვიდა, ერთი პატარა მეოცნებე გოგონა გახლდათ, რომლის ცხოვრების ამბავიც ასე დაიწყო:

— ჩემი ამბავიც ისეთივე ბანალურია, როგორც ჩემი უამრავი კოლეგისა: მქონდა ბავშვობის ოცნება — ჯადოსნურ ყუთში შეძრომის დაუოკებელი სურვილი. 7-8 წლის ასაკიდან ვოცნებობდი ამაზე ისე, რომ გაცნობიერებულიც არ მქონდა, ეს რა მოვლენა იყო. მერე ოცნებას ბედი „შეეშველა“: 15 წლის ვიყავი, როდესაც შევიტყვე საბავშვო სატელევიზიო კონკურსის შესახებ, რომელში გამარჯვების შემთხვევაშიც, საყმაწვილო გადაცემაზე მუშაობის უფლებას მოვიპოვებდი. წარვადგინე ნაშრომი, ორი ტური გავიარე და ეს უფლებაც მოვიპოვე... დღემდე მასხოვს ის განცდა, როდესაც დღევანდელი საზოგადოებრივი არხის პირველ სტუდიაში, იმ უზარმაზარ პავილიონში შევედი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ იმხელა სივრცე „დამეცემოდა თავზე“. არ დამავიწყდება იქაური სუნი... შეიძლება, ძალიან ბანალურია, მაგრამ როცა ის „თავზე დამხოვილი სივრცე“ და სუნი მახსენდება, დღესაც ჟრუანტელი მივლის. ახლა ვფიქრობ, რომ მაშინ შეიძლებოდა დავთრგუნე კიდევ ასეთ გრანდიოზულ სანახაობას, მაგრამ სანინაალმდეგო შეგრძნება დამეუფლა — ძალიან მომიწია ამ სივრცეში დამკვიდრება, იმხანად ეს ძალიან იოლი მეგონა...

— მაგრამ რეალურად, ამას წლები დასჭირდა...

— ამ წლების მანძილზე, მრავალფეროვანი გამოცდილება მივიღე. ვიყავი დილის გადაცემის — „ალიონის“ წამყვანი, „კურიერის“ რეპორტიორი, ვმუშაობდი „დროებაშიც“. მაგრამ სადაც არ უნდა მემუშავა, ყოველთვის მიყვარდა ადამიანურ ფასეულობებზე აქცენტის გაკეთება. ალბათ ეს მოსწონდათ ადამიანებს და ამიტომაც

მიყურებდნენ... ჩემი ახალი გადაცემაც ასეთი იქნება — ადამიანური გადაცემა ადამიანებზე...

— საზოგადოების რომელ ფენაზე გააკეთებთ აქცენტს ახალ გადაცემაში? ჟურნალისტიკა სწორად ცნობილ სახეებს „ეფარება“...

— „პროფილი“ აუცილებლად იქნება ცნობილი ადამიანებიც, მაგრამ ჩემს გადაცემაში მაცურებელი ახალ ადამიანებსაც აღმოაჩენს. შეიძლება, ისე მოხდეს, რომ ცალკეული სიუჟეტები სულაც არ იყოს კონკრეტული პიროვნებების ცხოვრებაზე აგებული. იქნებ, ძალიან პოპულარული ადამიანიც მოვინვიოთ სტუდიაში, მაგრამ მას მაცურებელი ახალი კუთხით დაინახავს.

— თქვენ ახლა ადამიანების სულში შელწევაზე საუბრობთ.

— სწორად ვამბობ, რომ ცნება — „ქართველი რესპონდენტი“ — ძალიან რთული და ძნელად ასაღები ციხეს იმაგრება. იქნებ იმიტომ, რომ ყველანი ერთმანეთის ახლობლები, ნათესავები და მეგობრები ვართ? ან იმიტომ, რომ სიამაყის გამო, საკუთარი შინაგანი სამყაროს გამომზებურება არ გვსურს? ამ მოვლენას ვერ ავხსნი, მაგრამ არც იმას ვეცდები, რომ მათი ასეთი, ძალიან დაფარული „მე“ საამკარაოზე გამოვიტანო. ჩემი გადაცემა ბინძური ქორების თემა არასდროს გახდება.

— ჟურნალისტებს სწორად გვსაყვედურობენ, რომ სწორედ ამ დაფარულში შელწევის სურვილი გვაქვს. როდესაც ერთ ტავაში გვზრაკვენ, პროტესტის გრძობა მიჩნდება. ჩვენს რესპონდენტებს მივმართავ — თუკი ვილაცამ დააშავა და თქვენი ჭუჭყიანი თეთრულის ამოქექვა განზრახა, დაცვათი თავი, ნუ უჩვენებთ იმას, რაც თქვენი აზრით, დასაფარავია უცხო თვალისაგან და ნუ განგვსჯით ყველას ერთნაირად.

— საჯარო ცხოვრება თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ვილაცას შენი პირადი ცხოვრება დაინტერესებს. როცა ადამიანი საკუთარი პოპულარობისთვის



წლებსა და ენერჯიას ხარჯავს, ეს აღარ უნდა უკვირდეს. ამ ფაქტს საკმაოდ შემწყნარებლურად ვუყურებ. მაგრამ ჩემი გადაცემა მაინც არ იქნება ამაზე ორიენტირებული. მხოლოდ ჭეშმარიტი ფასეულობები მაინტერესებს. ტელევიზია ფართო შესაძლებლობებს გვაძლევს. აქ სწორად, არც არის საჭირო კონკრეტულ იმისათვის, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო აჩვენო. საკმარისია ერთი ნიუანსი. მე არ გეტყვით, ვინ უყვარდა მას, მაგრამ ის საკუთარ სიყვარულზე ისაუბრებს... თუმცა, რესპონდენტის თანხმობის შემთხვევაში, კონკრეტულად იქნება.

— „პროფილი“ სტუდიური გადაცემაა?

— დიას, მაგრამ ის არ იქნება ტოქ-შოუ, კლასიკური გაგებით. ტელევიზია სანახაობრიობასაც მოითხოვს. ჩვენ არ შევიკრიბებით სტუდიაში იმისთვის, რომ დავსხდეთ, ვისაუბროთ და შემდეგ, ბედნიერი სახეებით დავიშალოთ — აქ ყოველთვის მოხდება კვანძის გახსნა: ვილაცა იპოვის, ვილაცა დამორდება, რაღაცას ახალს შეიტყობს საკუთარ თავზე. ეს იქნება ამბავი, რომელიც შესაძლოა, არც დამთავრდეს სტუდიაში, რადგან წინ პერსპექტივაა. მაგრამ აუცილებლად იქნება სანახაობა.

— „პროფილი“ დანყბაა თუ გაგრძელება?

— ჩვენს პროფესიას ის ხიბლიც აქვს, რომ ამ სფეროში მომუშავე ადამიანები ერთმანეთს ვიცნობთ და ერთმანეთის ახლობლები ვართ. „მზე“ ერთადერთი ტელევიზია იყო, სადაც არ მიმუშავია, მაგრამ სწორედ მისი კოლექტივი აღმოჩნდა ის საყრდენი, რომელიც მდგომარეობიდან გამოსვლაში დამეხმარა. კოლექტივი და ჩემი პროფესია — ამ ორი ფაქტორის ერთობლიობა სერიოზული საყრდენი აღმოჩნდა.

— „მზეში“ მისვლამდე დაბნეულობის პერიოდი გქონდათ?

— დაბნეულობის კი არა, ძალიან დიდი დეპრესიის პერიოდი მქონდა. არ ვიცოდი, რა მექნა, სად წავსულიყავი,

საერთოდ, როგორ მოექცეულიყავი... მაგრამ საბოლოო ჯამში, როდესაც ჩემს თავთან მარტო დავრჩი, მივხვდი, რომ ჩემს პროფესიაში უნდა დავრჩენილიყავი. ძალიან მიყვარს ოტია იოსელიანის ერთი ლექსი, რომელიც ასე მთავრდება: „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“... ვფიქრობ, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

**— „პროფილი“ ქართული პროექტია თუ ანალოგი აქვს?**

— მსგავსი ფორმატის უამრავი გადაცემა გადის ამერიკულ თუ ევროპულ ტელევიზორცეში, მაგრამ როგორი წარმატებულიც არ უნდა იყოს საზღვარგარეთ ესა თუ ის პროექტი, მას მექანიკურად ქართულ ტელევიზორცეში ვერ გადმოიტან, რადგან ყველა პროდუქტი კონკრეტულ მომხმარებელზე, კონკრეტულ მაყურებელზეა გათვლილი. ეს „დროებაში“ ძალიან კარგად გამოგვიდიოდა.

**— სადაც არ უნდა ვიდგეთ, არც ჩვენთვისაა სოციალური პრობლემები უცხო. თქვენ ამ თემაზეც აკეთებდით სიუჟეტებს.**

— ამ თემაზე საკმაოდ ბევრი ვიმუშავე. თქვენ წარმოიდგინეთ, იმასაც კი გვეკითხებოდნენ, რატომ აჩვენებთ ამდენ მიმღე სიუჟეტს? მაგრამ მედალს მეორე მხარე ჰქონდა: რაღაც ეტაპზე აღმოჩნდა, რომ ჩვენი საზოგადოება გულისხმიერი გახდა. არ მახსოვს „დროებაში“ გასული არც ერთი ამ ტიპის სიუჟეტი, რომელსაც გამოხმაურება არ მოჰყოლოდა. ჩვენთან მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც კორპუს-კორპუს აგროვებული ხუთ-ხუთი და ათ-ათი ლარი მოჰქონდათ. გვყავდა რესპონდენტები, რომელთა ცხოვრებაც ჩვენი გადაცემის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. არ ვგულისხმობ მიზერულ ქველმოქმედებას, იყო რამდენიმე ადამიანი, რომელმაც სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო. ქველმოქმედება მისაბაძი და გადამდები აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოებისთვის. ახალ გადაცემაში თავიდან, არ ვაპირებ ასეთი მიმღე თემების გაკეთებას. მე მანაც მინდა, რომ ეს მშვიდი გადაცემა იყოს. სიმშვიდის დეფიციტი ხომ ნამდვილად გვაქვს? თუმცა იქნება ადამიანების პრობლემებიც, რომლებსაც ვერსად გავექცევით.

**— თქვენ 9 წლის ქალიშვილი ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვიუს დროს არც ერთხელ არ შემოსულა ოთახში. მან იცის, რომ დედა მუშაობს და ამას ითვალისწინებს?**

— იცის, რომ დედა მუშაობს... მაგრამ არ უყვარს ტელევიზია. მართალია, არასდროს უთქვამს, მაგრამ მგონია, რომ ის ფიქრობს, — ტელევიზიის მონსტრია, რომელმაც დედა წაართვა. საშინლად არ უყვარს „რუსთავი 2“,

რადგან „კურიერის“ დროს, დედამისი მიდიოდა და აღარ მოდიოდა. ასევე არ უყვარდა „დროება“, იმიტომ, რომ დედა მიდიოდა მივლინებაში და ორი კვირის შემდეგ ბრუნდებოდა... ბავშვობაში ცნობილი ადამიანისთვის ქუჩაში თვალი რომ მომეკრა, ორი კვირა ამ ემოციით ვცხოვრობდი, მისთვის კი ეს სულერთია, რადგან ამ ყუთში მჯდარი ხალხი მას სულ გარს ახვევია. ცოტა რომ წამოიზრდება, იმედი მაქვს, შეიცვლის დამოკიდებულებას. სულ აპროტესტებს, როდესაც უქმე დღეებშიც ვმუშაობ და არგუმენტად, თავისი ამხანაგების დედების მაგალითი მოჰყავს, რომლებიც დილით მიდიან სამსახურში და სახლში 6 საათზე ბრუნდებიან. მაგრამ რომ არ ვიმუშაო, მთელი ცხოვრება თავზე ჩამომექცევა. ეს ჩემი ცხოვრების წესია, თუმცა, რა თქმა უნდა, მატერიალურ მხარესაც აქვს მნიშვნელობა. იმედი მაქვს, რომ ამას ნუცა ოდესმე გაიგებს. ჩვენ გვყავს ძიძა, რომელმაც ის ფაქტობრივად, გაზარდა. როცა სამსახურში ვარ, ის ძიძასთანაა. ძიძის გოგოა... ასე ვცხოვრობთ. ქმარს გავცილდი, მაგრამ არა მგონია, ამის მიზეზი ის იყოს, რომ სულ გარეთ ვიყავი. ამას წინათ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა შემექმნა. ექიმმა მითხრა, რომ ეს იმ ქალებისთვის დამახასიათებელი დაავადებაა, რომლებიც ბევრს მუშაობენ: ქალის ორგანიზმი ვერ უძლებს ასეთ დატვირთვას, მაგრამ სახლში ჯდომა და ბორშის კეთება რომ გამოგიწე-



როცა სამსახურში ვარ, ის ძიძასთანაა (მაია შვილთან ერთად)

რო, უარესად გახდები, ამიტომ ისე იცხოვრე, როგორც ცხოვრობ, — დასძინა. ყველას თავისი გზა აქვს. ბავშვობიდანვე მინდოდა ასეთი ცხოვრება. ხანდახან სახლში ყოფნა და სამზარეუ-

ლოში ტრიალიც მიყვარს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

**— ისე გამოდის, რომ ახლა იმ ადამიანს ვსაუბრები, რომელმაც თავის ადგილს მიაგნო ანუ მაია ასათიანს ასრულებული ოცნებებიც აქვს?..**

— მეოცნებე ნატურა ვარ. მგონი, ჩემს სიუჟეტებს ეტყობა, რომ მეოცნებე ადამიანის გაკეთებულია. ისევ ბავშვობის მოგონებას მივუბრუნდები: როდესაც პირველ სტუდიაში მოვხვდი პირველად, მაშინ დილის საინფორმაციო პროგრამა „ალიონი“ პოპულარობის პიკში იყო და იმ დროისათვის უნიკალური სტუდია ჰქონდა. „ალიონის“ სტუდიაში ჩუმად შევიპარე და სიბნელეში მდგარ, დიდ თეთრ სავარძელში ჩავჯექი. მახსოვს ჩემი ფიქრები: რა მოხდება, რომ აქ დავჯდე და გადაცემა წავიყვანო-მეთქი?! 3 წლის შემდეგ ეს ოცნება ამისრულდა. შესაბამისად, ოცნებას აზრიც აქვს, ოღონდ ხელიც უნდა გაანძრიო. ძალიან მიყვარს ჩემი ფილმი ფერეიდნელ ქართველებზე. თუნდაც ამ ფილმისთვის ღირდა ჟურნალისტობა და მთელი ამ სირთულეების გადატანა...

**— თქვენს სიუჟეტებში მუსიკასაც დიდი დატვირთვა აქვს.**

— მუსიკას ტელევიზიაში დიდი როლი აქვს. ჩემს სიუჟეტებში მართლაც, იგრძნობა ჩემი დამოკიდებულება მუსიკისადმი. საბუნებრივად, შევხვდი ადამიანს, რომელმაც, როდესაც ვუამბე, რა მინდოდა, ზუსტად ისეთი მუსიკა დანერა ჩემი ახალი გადაცემისთვის, როგორიც მესმოდა, მაგრამ ჩემი უნიჭობის გამო ვერ გადმოვცემდი. ეს არის კომპოზიტორი მიშა მდინარაძე. მისი მუსიკა გადაცემის „ქუდშიც“ აჟღერდება. ასეთი ტიპის ტელეპროდუქციაში მუსიკა — „ერთ-ერთი პერსონაჟია“.

**— თქვენი კაბა იმ სტილისაა, რომელმაც საოცრად მომაგონა ოდრი ჰეპბერნი...**

— განსხვავებული იერი მინდოდა, მქონოდა. კარგად რომ დავფიქრებდი, ეს ჩემი ბუნებისთვის ძალზე ორგანულია. დიზაინერმა ქეთი კალანდაძემ ამას ხორცი შეასხა. გასული საუკუნის 60-იანი წლების ქალბერი სტილი მინდოდა; შეიძლება, ამზიციურად ჟღერს, მაგრამ თუ გნებავთ — ოდრი ჰეპბერნის სტილი...

**— თქვენს სიუჟეტებში ყოველთვის ჩანდა ქალი, ახლა კი ასეთი იმიჯით, ამას განსაკუთრებით გაუსვამთ ხაზს. ეს, ჩემი აზრით, კომპლიმენტია.**

— ჩემთვისაც, ამიტომ — დიდი მადლობა. სულაც არ არის ჩემთვის კომპლიმენტი, თუ მეტყვიან, რომ მამაკაცივით ვიმუშავე... ყველა გადაცემაში იმ თემის შესაბამისად მეცმევა, რაზეც ლაპარაკი იქნება. ვფიქრობ, ესეც შემატებს ხიბლს გადაცემას.

სკოლა ჩონიძევილი

ქართლისტი — თათია სულაშვილი  
რასაონიანი იანა ლაპინიანი

— თამუნა, როგორც ვიცი, ძალიან დატვირთული დღის რეჟიმში გაქვს, სულ ახლახან ოჯახიც შექმენი, თავისუფალი დრო თუ გაქვს და როგორ იყენებ მას?

— გართობას მხოლოდ კვირასა და ორშაბათს ვახერხებ. თუმცა ორშაბათობითაც არ გამოდის, რადგან ძირითადად, სახლში ჯდომა მინევს, უფრო სწორად — მთელ დღეს ძილში ვატარებ.

— მეუღლესთან ერთად, გასართობად სად დადისხარ?

— ამ მხრივ, ჩემი მეუღლე ძალიან აქტიურია, თავად მანვდის იდეებს, თუ სად უნდა წავიდეთ და როგორ გავერთოთ. ისე, მასთან ერთად, ყოველ საღამოს, სამსახურის შემდეგ, მშვენივრად ვერთობი (იცინის).

— დაოჯახებული გოგონები-სგან საყვედური მეუღლეების მისამართით ხშირად მსმენია. ამბობენ, რომ ისინი შეყვარებულობის პერიოდში უფრო ყურადღებიანები და მზრუნველები იყვნენ. რას იტყვი ამ მხრივ, შენს მეუღლეზე?

— ასეთი რამ მეც ბევრს მსმენია. მართლაც, შეყვარებულობის პერიოდში მამაკაცები უფრო ყურადღებიანები და თბილები არიან. ოჯახის შექმნის შემდეგ, თითქოს დუნდებიან და ეშვებიან. მაგრამ ასეთი რამ ჩემს შემთხვევაში, არ მომხდარა, პირიქით — გიგი ახლა უფრო ყურადღებიანი და მოსიყვარულეა...

— ერთმანეთს სიურპრიზს ხშირად უკეთებთ?

— შეყვარებულობის პერიოდში, სიურპრიზს ერთმანეთს ხშირად ვუკეთებდით. ერთმანეთი ბევრჯერ გავიცოცებია. რაც ერთად ვცხოვრობთ, ამ მხრივ, არც ერთს არ გვიპატიურია. მაგრამ ჩვენ ხომ ყველაფერი წინ გვაქვს (იღიმება)...

— მეუღლეს გემრიელი კერძების მომზადებით არ აოცებ ხოლმე?

— ოო... ჩემი კულინარიული ოსტატობით გიგი მართლაც, გაოცებულია. ძალიან გემრიელ კერძებს ვუმზადებ. როგორც თვითონ მითხრა, არ ელოდა, რომ ასეთი მზარეული ვიქნებოდი. მის გამო, ხინკლის მომზადებაც კი ვისწავლე, თან — პროფესიონალურ დონეზე. ხინკალს ისეთ ლამაზ ნაოჭებს ვუკეთებ, რომ საქმელად ვერც კი გაიმეტებ (იცინის).

— ხინკლის შემსწავლელი სპეციალური კურსები გაიარე?

— გიგის ბებია ამ საქმის კარგი მცოდნეა. ვთხოვე, ჩემთვისაც ესწავლებინა და ათვისება არ გამჭირვებია.

— ესე იგი, საოჯახო საქმეების კეთებას იოლად შეიწვიე, ხომ?

— არც ისე. გათხოვებამდე არანაირ საოჯახო საქმეს არ ვაკეთებდი, დედა სახლში იყო და ყველაფერს ის აკეთებდა. ამიტომ, რალაც-რალაცების გაკეთება მარ-

# ვისთან ერთოჯახი დაელოდებოდა ხსენებოდა თამუნა

„შაბათის შოუს“  
გოგონები — თამუნა  
ლეკვეიშვილი და თათია  
სულაშვილი  
ერთმანეთთან სასაუბროდ,  
„ჟურნალისტის როლში“  
მოვიწვიეთ. ეს როლი ამ  
საქმეში გამოუცდელი  
თათიასათვის  
თავდაპირველად, ცოტა  
რთული აღმოჩნდა.  
მითხრა კიდევ —  
მეზინია, ინტერვიუ არ  
ჩაგიგდო... თუმცა  
საბოლოოდ კარგად  
გაართვა თავი. თამუნამ  
კი კოლეგის  
გამოუცდელობით  
ისარგებლა და  
რესპონდენტთან ლაღად  
საუბარი არ გასჭირვებია.



# და ვინ არის მამაკაცი, რომელსაც თათიას გამო თავის მოკვდა გადაწყვიტა

თლა ძალიან გამიჭირდა. მაგალითად, აღმოვაჩინე, რომ თეთრეულის გაუთოება ძალიან რთული ყოფილა. დედას ვთხოვე, — იქნებ, ამ საქმეში ისევე შენ დამეხმარო-მეთქი. დროთა განმავლობაში, ალბათ, ამასაც ვისწავლი.

— თამუნა, შენ და გიგი მართლაც ცხოვრობთ?

— მამამთილთან ერთად ვცხოვრობ. ძალიან თბილი და მშვიდი ადამიანია. რაც შეეხება დედამთლს, — სანამ გიგის გაყვებოდი ცოლად, ის გარდაიცვალა. ვიცნობდი. კარგი ურთიერთობა გვქონდა.

— გამოდის, ოჯახის მთავარი დიასახლისი ყოფილხარ.

— დიას, ვუძღვები ოჯახს, როგორც შემძლია.

— შენს საქმიანობასთან დაკავშირებით, გიგის რაიმე პრეტენზიები ხომ არა აქვს?

— მე და გიგი 3 წლის განმავლობაში ვიყავით შეყვარებულები. მან ჩემი საქმიანობის შესახებ ყველაფერი კარგად იცოდა, შესაბამისად, ახლა არანაირი პრობლემა არ აქვს, არც არაფერი სწყინს, და არც „უტყდება!“ ის ცივილიზებული ადამიანია.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე შენს სკეტიჩს არ მოსწონებია და შენთვის უსაყვე-

დურია?  
— არასდროს უთქვამს, ესა თუ ის როლი რატომ ითამაშეო?... პირიქით, ხშირად მაძლევს რჩევებს და მეუბნება: შეგეძლო, უკეთესად გეთამაშაო.

— როდის ჩსუბობთ?

— შეყვარებულობის პერიოდში, გამუდმებით ვჩსუბობდით. თუკი გოგოსა და ბიჭს შორის რაიმეზე კონფლიქტი შეიძლება მოხდეს, ყველაფერზე გვიჩსუბობია. სხვათა შორის, ამ ჩსუბობის ერთმანეთი ძალიან კარგად გავიცანით. ახლა უკვე აღარ ვჩსუბობთ და არც ვკამათობთ.

— შენმა მშობლებმა სიძე როგორ მიიღეს?

— გიგის დიდი ხანია, იცნობენ. თუ სახლში მისვლას ვაგვიანებდი, იცოდნენ, რომ მასთან ერთად ვიყავი და არ ნერვიულობდნენ. გიგიმ მათი ნდობის მოპოვება დანახვისთანავე შეძლო.

— მეუღლის მეგობრებს, მის ახლობლებს როგორ შეეწყვი?

— მშვენივრად. გიგის მეგობრები მეუბნებიან, რომ ძმაცაცების მეუღლეებიდან, ყველაზე მეტად, მე ვუყვარვარ, რაც ძალიან მახარებს.

— „კალიცოს“ ტარება არ გაგიჭირდა?

— თავიდან, ვერ ვეუბნოდი. ახლა ნელ-ნელა ვჩვევი. ისე, სიმართლე გითხრა, ხელზე რომ მიკეთია, ძალიან მომწონს...



**ქართლისტი — თამაზ ლავინიძის  
რეპორაჟაჟი — თათია სულაველი**

— მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლები ვართ, არის რაღაც საკითხები, რომლებზეც მოუცლევლობის გამო, სამსახურში ვერ ვსაუბრობთ. ახლა, რადგანაც შენთვის შევითხვების დასმის საშუალება მომეცა, მაქვს შანსი, შენ შესახებ ყველაფერი შევიტყო. თუ იცი, შენ მიერ ნათამაშები, მამაკაცების როლებს როგორი გამოხმაურება აქვს? მაყურებელს მოსწონს?

— სხვათა შორის, რაც მამაკაცების როლების თამაში დავიწყე, უფრო პოპულარული გახდა. ქუჩაში მცნობენ, კომპლიმენტებს მეუბნებიან. ამასთან დაკავშირებით, ერთი კურიოზიც კი გადამხდა თავს: მაღაზიაში პიჯაკის შესაძენად შევედი. გამყიდველმა რომ გაიგო, პიჯაკის არჩევა მინდოდა, მამაკაცის კოსტიუმები გადმომიწყო. ძალიან გაგებრაზდი და იმწუთასვე მაღაზია დავტოვე. რატომ ეგონა, რომ მამაკაცის კოსტიუმებს ვიცვამდი, ვერ მივხვდი (იციან).

**პროფესიით მსახიობი ხარ?**

— დიახ. თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობ, მე-4 კურსზე. წელს ვამთავრებ და სადიპლომო სპექტაკლზე ვმუშაობ.

— მე კი ვიცი, როგორ მოხვდი ჩვენს გუნდში, მაგრამ იქნებ, მკითხველს მოუყვე უფრო კონკრეტულად ამის შესახებ.

— სკოლაში სწავლის პერიოდში, ჩემი — გლდანის სკოლა მუხიანის სკოლას „კავენში“ ეჯიბრებოდა. მიზანდღეობა და ვანო ჯავახიშვილს ვთხოვეთ, ჩვენი გუნდი მოემზადებინათ (მაშინ ისინი სტუდენტები იყვნენ). მამაკაცის როლი პირველად სწორედ მაშინ შევასრულე. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ერთხელ, მიშასა და ვანოს ქუთაისის გუნდთან შეხვედრა ჰქონდათ, დამიკავშირდნენ და მთხოვეს, მამაკაცის როლი ითამაშეო. დაეთანხმდი. მაღე სტუდენტი გახდი. მე-2 კურსზე ვიყავი, რომ მათ ისევ მთხოვეს დახმარება, ოღონდ — უკვე „შაბათის შოუსთვის“. მაგრამ დატვირთული გრაფიკის გამო, მათთან მისვლა ვერ შეეძლო. მერე, როცა უკვე თავისუფალი დრო გამიჩნდა, როგორღაც, მივედი.

**მამაკაცის როლის შესრულება არ გიჭირს?**

— არა. ბავშვობაში ჩემში კაცური მანერები ჭარბობდა. ძალიან მომწონდა მამაკაცის შარავლები. პატარა გოგონებს ხომ დედის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა უყვართ?! მე კი, პირიქით, მამაჩემის ბოტასებს ვიცვამდი და ფეხბურთის ისე ვთამაშობდი. ამიტომ, მამაკაცის როლები ჩემთვის იოლი შესასრულებელი აღმოჩნდა.

— აბა, მე მთელი ბავშვობა ბებიჩემის „ფრანცუზკებით“ დავდიოდი. თათია, ახლაც ისეთივე ხარ, როგორც პატარაობაში იყავი თუ შეიცვალე?

— სკოლის დამთავრების შემდეგ საგრძნობლად შევიცვალე.

— თეატრალურ უნივერსიტეტში პოპულარული გოგონა ხარ. ჯგუფები და მეგობრები შენს სატელევიზიო საქმიანობას როგორ აფასებენ?

— სიმართლე რომ გითხრა, თეატრალურ უნივერსიტეტში, ჩემი საქმიანობა არ მოსწონთ. თეატრი და სცენა სხვა რამაა, ტელევიზია — სხვა. თუმცა ვცდილობ, ორივე საქმიანობა ერთმანეთს უმტკივნეულოდ შევუთავსო.

**ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ...**



**მე და გიგი 3 წლის განმავლობაში ვიყავით შეყვარებულები**

**დეგ, ხომ არ აპირებ, რომელიმე თეატრთან ითანამშრომლო?**

— ამის გამოცდილება უკვე მაქვს: გარკვეული პერიოდის მანძილზე, ახმეტელის თეატრში ვთამაშობდი, მერე, რაღაც მიზეზების გამო, რეჟისორმა თეატრი დატოვა და მეც წამოვედი.

**ჩვენი ბიჭებიდან ყველაზე კარგი, მეგობრული დამოკიდებულება ვისთან გაქვს?**

— ვერც ერთ მათგანზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. განსაკუთრებით კარგად ვურთიერთობ ახალმოსულ ბიჭებთან. საერთო ჯამში, ყველამ კარგად მიმიღო და გამიგო.

**თათია, შეყვარებული თუ გყავს?**

— შეყვარებული არა მყავს, თუმცა თავყვანისმცემლები ნაკლებობას არ ვუჩივი.

**თავყვანისმცემლები შენდამი სიმპათიას როგორ გამოხატავენ?**

— მირეკავენ, მიმესიჯებენ. მათ გამო მობილურის ნომერი ბევრჯერ შევიცვალე.

**შენ თვითონ როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— საერთოდ, გარეგნულ

მონაცემებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, ის ადამიანი, ვინც ჩემ გვერდით იქნება, მიგებდეს, იუმორის გრძნობა ჰქონდეს და ჩემს საქმიანობას პატივს სცემდეს. ამიტომ, ჩემს რჩეულს ამ ყველაფერზე წინასწარ შევუთანხმებდი.

**თავყვანისმცემლები სიურპრიზებს არ გიკეთებენ?**

— ასეთი რამ ხშირად ხდება. ერთხელ დაბადების დღეზე ერთ-ერთმა თავყვანისმცემელმა დამირეკა და მთხოვა, სადარბაზოსთან შეხვედროდი. უარი ვერ ვუთხარი, რადგანაც ძალიან მთხოვა... როცა ჩავედი, პატარა ლამაზი კოლოფი გამომიწოდა. გავხსენი და შიგ ოქროს სამაჯური იყო. ეს საჩუქარი არ გამოვართვი. მან კი გაბრაზებულმა, გადააგდო. მერე, თურმე მთელი ღამე სახლში არ მისულა, მშობლები მე მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, შენთან ნამოვიდაო. შუალამისას, ტბაზე ნახეს. თავის მოკვლა მინდოდაო, — უთქვამს. მაგრამ ორი კვირის შემდეგ, ცოლი მოიყვანა. მეუბნებოდა, — ისე მიყვარხარ, ჩემი სიყვარული ორივეს გვეყოფაო... სასაცილოა, არა?

**თათია, და-ძმა გყავს?**

— 2 და და ერთი ძმა მყავს. დები გათხოვილები არიან, ძმა 16 წლისაა.

**შენს სატელევიზიო საქმიანობას მშობლები როგორ ეგუებიან?**

— სხვა რა გზა აქვთ?! ეგუებიან. სახლიდან დილის 9 საათზე გამოვდივარ და შინ ღამის პირველზე ვბრუნდები. ჩემს საქმიანობაში მშობლები ხელს მიწყობენ. როცა გავთხოვდები, მერე რა იქნება, ვერ გეტყვი.

კონკრეტული  
მბღვაბი  
4  
გამოვიდა!  
ი-კითხვით  
წიგნის მაღაზიაში



**მარკ ჯონიშვილი**

**ნიკა:**

— თეატრალურ უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდით, ნანკას შორიდან ვიცნობდი, რადგანაც იქ ერთ-ერთი მშვენიერი და ეშხიანი გოგო გახლდათ.

**ნანკა:**

— ახლა გავნითლდები, საკმარი-სია...

**ნიკა:**

— არა, ნანკა ეს სიმართლეა, შენ მართლაც მშვენიერი ხარ... პირადად კი ნანკა ფილმის გადაღებისას გავიცანი. გიგა ლორთქიფანიძემ გადაიღო ნოდარ დუმბაძის მოთხრობის — „ნუ გეშინია, დედას“ მიხედვით ფილმი, სადაც მე — ჯაყოს, ნანკა კი დადუნას თამაშობს.

**ნიკა, ფილმზე მუშაობისას ნანკა ხომ არ შეგიყვარდა?**

— ნანკა არა, მაგრამ მისი მეგობარი შემეყვარდა. 7 წელი ერთად ვიყავით, ახლა კი დავშორდით. ეს ფილმი ამ მხრივ ჩემთვის მართლაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან მასზე მუშაობისას საყვარელი ადამიანი ვიპოვე.

**ნანკა, ნიკას შეყვარებულობის პერიოდში რჩევებს არ აძლევდი?**

**ნანკა:**

— რა თქმა უნდა, ვაძლევდი, მაგრამ მე ნიკუშას პირადად რასაც ვურჩევ, იმას საქვეყნოდ არ ვიტყვი. ეს ჩემი, ნიკუშასა და მაკუნას საქმეა.

**თეატრის სცენაზე თუ შედგა თქვენი ტანდემი?**

— მიუხედავად იმისა, რომ ახლა მარჯანიშვილის თეატრში სტუმრად ვარ, მქონდა ბედნიერება, რომ ამ თეატრის სცენაზე ჩეხოვის „თოლიაში“ ნიკასთან ერთად მეთამაშა.

# ნანკა კალატოზიშვილი და მისი „მექალთანე“ მეგობარი ახუ ვინ ერევა მსახიობი ქალის პირად ცხოვრებაში

მსახიობების — ნანკა კალატოზიშვილისა და ნიკა კუჭავას ტანდემი პირველად, 7 წლის წინ, ფილმის გადაღებისას შედგა. ისინი დღეს საუცხოო მეგობრები არიან. ნანკას ალიზანებს ის ფაქტი, რომ ნიკას სერიალის — „ჩიფსების თაობა“ — გამო მექალთანის იმიჯი შეექმნა და ვახოსთან მის გაიგივებას აპროტესტებს. მომავალში კი სურვილი აქვთ, მინიმუმ, 10 როლი მაინც ითამაშონ ერთად.

**ნიკა:**

— ამ სპექტაკლშიც შეყვარებულებ-ის როლებს ვთამაშობდით.

— შემოქმედებით რჩევებს თუ აძლევთ ერთმანეთს?

**ნანკა:**

— რჩევებს არა, მაგრამ პრემიერის წინ, ნიკას ვეხუტებოდი და ვუბნებო-დი: ენერჯია მომეცი-მეთქი და ისე გავდიოდი სცენაზე.

**ნიკა:**

— ზოგ მსახიობს არ სიამოვნებს რჩევის მიცემა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემთვის ისეთი რჩევა მოუციათ, რომელიც შემდეგ გამითვალ-ისწინებია.

**ნანკა:**

— ერთმანეთის მოსაზრებებს პა-ტივის ვცემთ, თუმცა ჩვენთვის ყველაზე ღირებული — პროფესიონალის შეფასებაა. მე, მაგალითად, ნიკო გომე-ლაური „ოსტატი და მარგარიტაზე“ მუშაობის დროს, ძალიან დამეხმარა. მეუბნებოდა: ხომ არ გწყინს, რჩევებს რომ გაძლევო? არადა, როგორ უნდა მწყენოდა, როცა ზუსტ, კარგ რჩევებს მაძლევდა და ვითვალისწინებდი კიდევ.

**ერთმანეთს ხშირად ხვდებ-ით?**

**ნიკა:**

— თბილი და მეგობრული ურთ-იერთობა გვაქვს, მაგრამ დროის სიმ-ციურის გამო, ერთმანეთს ხშირად ვერ ვხვდებით.

**ნანკა:**

— შეიძლება, 3 წელი გავიდეს და მეგობარი ვერ ნახო, მაგრამ ამით არაფერი იცვლენ-ბა. ის, მაინც შენი მეგობარია, მე ყოველთვის მიხ-არია ნიკას ნახვა. ისეც ყოფილა, რომ შემთხვევით შევხვედრივართ ერთმანეთს და კარგი დრო გავგი-ტარებთ.

**ნიკა:**

— ცოტა ხნის წინ, საბილიარდოში ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით და დავლიეთ.

— როგორ გგონია, ქალსა და კაცს შორის მეგობრობა შესაძლებე-ლია?

**ნანკა:**

— მიმაჩნია, რომ შესაძლებელია, თუ ისინი კუნძულზე მარტონი არ არიან (იციან).

**ნიკა:**

— ნანკა, შენ ახლა მგონი, შენსავე პასუხს შეეწინააღმდეგე, არა?

**ნანკა:**

— ისე, გააჩნია, იმ კუნძულზე ვისთან ერთად ვიქნები.

**ნიკა:**

— წარმოიდგინე, რომ იმ კუნძუ-ლზე მე და შენ „გავიჩითოთ“. შესა-ძლებელია, რომ ჩვენ შორის რამე მოხდეს?

**ნანკა:**

— ბევრი მეგობარი ბიჭი მყავს და მჯერა, გოგოსა და ბიჭს შორის მეგო-ბრობის.

**ნიკა:**

— ჩემთვის ორი რამ არსებობს — სიყვარული და მეგობრობა. უმეგო-ბროდ ცხოვრება ვერ წარმოიდგენია. მეგობარი გოგონებიც მყავს. მსგავსი რამ არ შემთხვევია, მაგრამ არ გამ-ოვრიცხავ, რომ შესაძლოა, რომელიმე მათგანის მიმართ გრძნობა გამიჩნდეს,



მე ნიკუშას პირადად რასაც ვურჩევ, იმას საქვეყნოდ არ ვიტყვი

რადგანაც ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ბავშვობიდან მეგობრობდნენ და მერე დაოჯახდნენ.

**ნანკა:**

— ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მეგობრობიდან მოდის სიყვარული, არა?

**სერიალებზე რას იტყვით?**

— სერიალები, რომლებიც ყოველდღე გადის, არ მიყვარს. ამიტომაც ვთქვი „ასაში“ ყოველდღიურ გადაღებაზე უარი. მიმაჩნია, რომ ამ დროს, როგორც მსახიობი, მაყურებლისთვის მოსაბეზრებელი ხდები.

**ნიკა:**

— ვეთანხმები ნანკას იმაში, რომ მაყურებელი ყოველდღე თუ გხვდავს, რაღაც მომენტში ჰბეზრდები. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სერიალები შემოსავლის წყაროა. საქართველოში რომ სერიოზული კინოგადაღებები მიმდინარეობდეს, სერიალისთვის შეიძლება, დროც არ გვეკონოდა.

**ნანკა:**

— სამსუხაროა, რომ დღეს ბევრი არ დადის თეატრში და სპექტაკლებიდან არ გვიცნობენ.

**ნანკა, ნიკა მოგწონს სერიალში „ჩიფსების თაობა“?**

— მომწონს, მაგრამ ნერვებს მიშლის ის ფაქტი, რომ მისი როლის გამო, მექალთანის იმიჯი შეექმნა. ცუდია, როცა როლთან გაიგივებენ. ახლა ჩვენ უნდა ვითამაშოთ „უჟასში“ მანიაკის როლები და მერე ნეტავ, რას იტყვიან? მეც ხშირად მეკითხებიან: კატუსიასთან საერთო რა გაქვსო? ღმერთმა დამიფაროს, რომ ამ ამორალურ ქალთან რაიმე საერთო მქონდეს. სერიალში არ დარჩენილა მამაკაცი, რომელსაც არ ეზრანჭებოდა. სასაცილო კი ის იყო, რომ ბოლოს, რეჟისორმა სიურპრიზი მომიწყო და აღმოჩნდა, რომ ჩემი გმირი ქალწულია.

**ესე იგი, ნიკა ცხოვრებაში მექალთანე არ არის?**

— ნიკა ერთგული ადამიანია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი დაქალის შეყვარებულია. მე ვაპროტესტებ, ნიკუმას თავის გმირთან ვახოსთან რომ აიგივებენ.

**მეგობრები რაზე კამათობთ?**

**ნიკა:**

— არასდროს გვიკამათია.

**ნანკა:**

— მოდი, რა, ნიკა ახლა ვიჩხუბოთ (სერიოზულ სახეს იღებენ და იწყებენ კამათს. — ავტ.).

**თქვენს შემოქმედებაში რა სახალეა?**

— „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეჟისორმა მარკესის მოთხოვნის მიხედვით 20-წუთიან ფილმში გადა-

მილო. ფილმის სახელწოდება ჯერ არ ვიცი და არც ის, როგორი ნამუშევარი გამოვიდა. ამჟამად დათო დოიამ-ვილთან ვმუშაობ; ის ახლა „მაკბეტს“ დგამს.

**ნიკა:**

— ჭოლა (რეჟისორი ლევან ნულაძე. — ავტ.) ბერნანდ შოუს „პიგმალიონის“ ვერსიაზე მუშაობს, სადაც ჩემს პერსონაჟს სიმონიკა ჰქვია.

**რას უსურვებთ ერთმანეთს?**

**ნანკა:**

— სერიოზულ როლებს კინოში და თეატრში — ლევან ნულაძესთან. ვიცი, რომ ჭოლასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. მინდა, რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ გახვიდე. პირად ცხოვრებაში კი — გეპოვოს ისეთი ადამიანი, ვინც ვახოსთან არ გაგაიგივებს.

**ნიკა:**

— მეპოვოს თუ დამებრუნებინოს?

**ნანკა:**

— ეს შენზეა დამოკიდებული, თუმცა მე პირად ცხოვრებაში ახალ გზას გისურვებდი.

**ნიკა:**

— ნანკა, შემოქმედებით ცხოვრებაში, რაც თავად მითხარი, იმავეს გისურვებ. რაც შეეხება პირადს — შენი ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ამბობ, რომ სიყვარულში ხელს გიშლიან და შენს ცხოვრებაში ცუდად ერევიან. მინდა გირჩიო: ყველაფერი დაიკიდე! თქვენს საქმეს მიხედეთ და ბედნიერები იყავით, ისე, ვიცნობ იმ ბიჭს?

**ნანკა:**

— არა, არ იცნობ, მოვა დრო და გაგაცნობ.

**ნიკა:**

— არავის მისცეთ ნება, რომ ბედნიერებაში ხელი შეგიშალოთ! ამის უფლება მშობლებსაც კი არა აქვთ.

**ნანკა:**

— მას არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავს და ისინი არაფერ შუაში არიან. ეს არის გარე სამყარო, რომელიც ვერ ეგუება, რომ ვიღაც ვილაცასთან კარგად არის. 10 წლის წინ, დათო ევგენიძემ რჩევა მომცა — და დღემდე ვითვალისწინებ. მან მითხრა: ნანკა, თბილისი არის ქალაქი, სადაც ლამაზად ამიანს ჭამენ. ეცადე, არ შეიცვალო.



არავის მისცეთ ნება, რომ ბედნიერებაში ხელი შეგიშალოთ!

## დუბაის პრინცმა აქლემში 2,7 მილიონი დოლარი გადაიხალა

დუბაის საამიროს მემკვიდრე პრინცმა, შეიხმა ჰამდან ბინ-მოჰამედ ბინ-რაშიდ ალ-მაკტუმმა ბედუინების ტრადიციებისადმი მიძღვნილ ფესტივალზე 16 აქლემში 4,5 მლნ აშშ დოლარი გადაიხალა და ამ თანხიდან 2,7 მილიონი — მხოლოდ ერთი აქლემის საფასურია! ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ გამოიყენებს პრინცი ახალ შენაძენს, თუმცა სპარსეთის ყურის ქვეყნებში ჯიშისანი აქლემის ფლობა თავისთავად პრესტიჟულია. მით უმეტეს, რომ არაბეთის ქვეყნებში ფაშატი აქლემების დოლი ხშირად იმართება.

არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ-ზაბიში ჩატარებული ფესტივალის ნაწილი იყო აქლემების სილამაზის კონკურსი, რომელშიც საამიროებიდან, საუდის არაბეთიდან, ომანიდან, კატარიდან და ბაჰრეინიდან ჩაყვანილი 1000-მდე აქლემი მონაწილეობდა. კონკურსის ორგანიზატორებმა ულამაზესი აქლემის, ცალკეულ კატეგორიაში გამარჯვებული ცხოველებიც გამოავლინეს. მაგალითად: აქლემი, რომელსაც ყველაზე ლამაზი ყელი ან კუზი აქვს... კონკურსის საპრიზო ფონდი რამდენიმე მილიონი დოლარი იყო! რეგიონის მცხოვრებთა მომთაბარე ტრადიციების პატივსაცემად გამართული მე-19 ფესტივალის ორგანიზატორი, არაბთა გაერთიანებული საამიროს სამეფო ოჯახი იყო.

უცნობია, პრინცის მიერ გადახდილი 2,7 მლნ დოლარი ერთი აქლემის რეკორდული საფასურია თუ არა, მაგრამ ეს თანხა არაფერია იმ 16 მილიონ დოლართან შედარებით, რომელიც მყიდველმა 2006 წელს ფლორიდის აუქციონზე წმინდა სისხლის ულაყში, სახელად The Green Monkey გადაიხალა!!!

# დამხანაშვილის შემოქმედებებზე შეყვანებული ზოლოციუსის გამოცდისა და შემდეგ ცდაზე გაცემული პასუხები

„მგონი, თავი არ შევირცხვები...“

ბავშვობიდანვე ბევრს კითხულობდა. სტუდენტობის დროს ყველაზე მეტად დეტექტივები იზიდავდა. წუხს, რომ ბოლო წლებში მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო ნაკლებად რჩება, თუ არ ჩავთვლით იმ წოდებულ შიმშილობის პერიოდს, რომელიც საამისოდაც გამოიყენა. თანამედროვე ქართველი მწერლებიდან აკა მორჩილიძის ნაწარმოებები მოსწონს. მისი საყვარელი მწერალი — გურამ დოჩანაშვილია. მისი ნაწარმოებები იმდენჯერ აქვს წაკითხული, რომ ცალკეული თავების ზეპირად ციტრებაც კი შეუძლია. არც წიგნის მოპარვის ფაქტს მალავს და ამბობს, რომ მოსკოვის ონკოლოგიურ ცენტრში მუშაობის დროს, აკადემიკოს ბლოხინის „ონკოლოგია“ მისსაკუთრად კითხვავს — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? — მასსუსობს, რომ ამაზე არასდროს უფიქრია. მცირე პაუზის



შემდეგ სამართლიან და არაორდინარულ პერსონაჟთან — დათა თუთაშინასთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს. მაშ, ასე — „ერუდიტის“ დღევანდელი სტუმარია „ახალი მემარჯვენეების“ ერთერთი ლიდერი, პროფესიით ექიმი, ეკონომისტი და იურისტი დავით საბანელიძე.

## თამუნა კვიციანი

— 17 წლის ასაკამდე მას მარია ერქვა და გვარად კორბელი იყო. შემდეგ, გაზეთის მაგნატს გაჰყვა ცოლად და ქმრის გვარი მიიღო. მალე საკმაოდ ცნობილი პოლიტიკოსი გახდა. ვინ არის იგი — მარგარეტ ტუთიერი, გოლდა მერი თუ მადლენ ოლბრაიტი?

— მადლენ ოლბრაიტი.

— რომელ წელს მიენიჭა სტალინის გენერალისიმუსის წოდება?

— ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს.

— რომელი პოლიტიკოსის სრული სახელია მუჰამედ აბდელ რაჰმან აბდელ რაოუფ არაფატ ალ ქუდუა ალ ჰუსეინი?

— (იციან) იასირ არაფატის.

— დიას. მისი პირველი სახელი — მუჰამედ აბდელ რაჰმანი, მამის სახელი — აბდელ რაოუფი, პაპის სახელი — არაფატ, ოჯახის გვარია — ალ ქუდუა, ხოლო ალ ჰუსეინი — იმ კლანის სახელია, რომელსაც ეს ალ ქუდუას გვარი ეკუთვნის. ვინ არის მიწვეული ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლად?

— ზაქარია ფალიაშვილი.

— ცდებით. სწორი პასუხია — მელიტონ ბალანჩივაძე. არისტოტილე, სოკრატე, დიოგენე, პლატონი — ამ ფილოსოფოსთაგან რომელს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი?

— სოკრატეს.

— რომელი ქვეყნის ისტორიული ოლქა კასტილია?

— ესპანეთის.

— ანჯელინა ჯოლი, ჯულია რობერტსი, იზაბელ აჯანი, ნიკოლ კიდმანი — ამ მსახიობებიდან რომელია ტომ კრუზის ყოფილი ცოლი?

— ანჯელინა ჯოლის ძმას რა ჰქვია, თუ მეტყვით?

— არ ვიცი.

— ჯონ — ე.ი. ჯონ ჯოლი (იციან).

— კითხვაზე ვერ მიპასუხებთ?

— იზაბელ აჯანი არ იქნებოდა, რადგან ის ტომ კრუზზე ბევრად უფროსია. ანჯელინა ჯოლი ტომის ცოლად ვერ წარმომიდგენია. ჯულია რობერტსთან ქორწინება არ ჰქონია. ე.ი. ტომ კრუზის ყოფილი ცოლი ნიკოლ კიდმანია.

— გამოიცანით. რომელ ქალაქში მდებარეობს „მარაკანას“ სტადიონი?

— რიო-დე-ჟანეიროში.

— რამდენ ხანს გრძელდება ჟირაფის ყველაზე ხანგრძლივი ძილი — 24 საათი, 12 საათი, 1 საათი თუ 20 წუთი?

— ალბათ 1 საათი.

— ცდებით. ჟირაფის ხანგრძლივი ძილი 20 წუთს არ აღემატება. რომელმა ქართველმა რეჟისორმა გადაიღო „დონ კიხოტი“?

— რეზო ჩხეიძემ.

— თბილისის შემდეგ, საქართველოს რომელ ქალაქში ყველაზე მეტი მოსახლეობა?

— ქუთაისში.

— რომელი ცეცხლსასროლი იარაღის სახელწოდება ითარგმნება ლათინურიდან „ემზადე ომისთვის“?

— ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვისვენებ, მოგვიანებით გეტყვით. შემდეგი კითხვა დამისვით.

— ჩამოთვლილთაგან, რომელია ყველაზე დიდი უდაბნო — გობის, საჰარის, ყარაყუმის თუ ალაშანის?

— საჰარის.

— საჰარაზე დიდი, გობის უდაბნოა. რა ჰქვია გზას, რომელიც თბილისს ვლადიკავკაზთან აკავშირებს?

— საქართველოს სამხედრო გზა.

— რა ჰქვია მოსწრობის ბაბუას, ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში „ძალი“?

— ეს მოთხრობა ძალიან მიყვარს (ფიქრობს) თუ შეიძლება, ამ კითხვაზეც მოგვიანებით გიპასუხებთ.

— თქვენი ნებაა. ვინ იყო 1992-95 წლების მონვევის საქართველოს პარლამენტის სპიკერი?

— ვახტანგ გოგუაძე.

— რა ეწოდება დიდ ბრიტანეთში დედოფლის ძმას?

— (ფიქრობს) არ ვიცი.

— კონსორცი. რომელმა რომელმა სარდალმა ჩაახშო სპარტაკის აჯანყება?

— მარკუს კრასუსმა.

— ჰამბურგი, დრეზდენი, ბრემენი, ჰანოვერი — ამ ქალაქებიდან, რომელი არ შედიოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში?

— დრეზდენი.

— რომელ სახელმწიფოში მიმდინარეობდა „ვარდების ომი“ ცნობილი შინაომი?

— ვარდების ხსენება აღარ მინდა... (ფიქრობს) თუ კარგად მახსოვს, ინგლისში, ასეა?

— დიას. რომელ ქალაქშია ბრანდენბურგის კარბუჭე?

— ბერლინში.

— რომელ ბრძოლაში დაიღუპა ქართლის მეფე ლუარსაბ I?

— ვერ გიპასუხებთ.

— გარისის ბრძოლაში. — რა გატაცება ჰქონდა ლეონიდ ბრეჟნევს?

— ავტომობილის მართვა. ლამაზობით მოსკოვის ქუჩებში

დაქროდა.

— ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს დებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაიცავდა. რას აკეთებდა 1 წლის შემდეგ, როცა მისი თანამდებობიდან წასვლის დრო მოდიოდა?

— ხალხის წინაშე ფიცს დებდა, რომ სიტყვა პატიოსნად შეასრულა.

— რა ჰქვია ხევისბერი გოჩას შვილს?

— ვიცი... (ფიქრობს) ონისე, ხომ?

— დიას. რომელია შექაპრის მშობლიური ქალაქი ინგლისში?

— ზუსტად ვერ ვისხენებ, მაგრამ ვიცი, რომ იგი ინგლისის ერთ-ერთ პატარა ქალაქში დაიბადა.

— და ეს ქალაქია სტრატფორდი. რომელმა მხატვარმა გამოაცხადა თავი გარდაცვლილად, რათა შემდგომ მისი ნახატები ძვირად გაყიდულიყო?

— ასეთი რამ მოხდა? არ ვიცი.

— რემბრანდტმა. რის მიმართ შიშს ეწოდება მონოფობია?

— სიმარტოვის.

— საქართველოს რომელ კუთხეშია ბარაკონის ეკლესია?

— რაჭაში, სოფელ წესში. ამ ეკლესიის ეზოში საგანელიძეთა საგვარეულო სასაფლაოა.

— რომის რომელი იმპერატორი მონანილეობდა გლადიატორთა ბრძოლებში?

— კომოდუსი.

— რომელ ოკეანეში მდებარეობს ბერმუდის სამკუთხედი?

— ატლანტის ოკეანეში.

— სპორტის რომელი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის შემოკლებული დასახელებაა FIDE?

— ჭადრაკის. ეს თამაში ძალიან მიყვარს; შემიძლია, ზეპირად, დაფის გარეშე ვითამაშო.

— დაალაგეთ ომები, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით: გარნისი, დიდგორო, კრწანისი და ბაზალეთი.

— მიუხედავად იმისა, რომ თარიღებს კარგად ვერ ვიმასხოვრებ, ვეცდები, ამ კითხვას სწორად ვუპასუხო: დიდგორი, გარნისი, ბაზალეთი, კრწანისი.

— სენა, ტბრო, ხუანხე, ტემზა — ამ მდინარეებიდან რომელი არ გადის ქვეყნის დედაქალაქზე?

— ხუანხე.

— ვინ არის „ქართველის დედის“ ქანდაკების ავტორი?

— ელგუჯა ამაშუკელი.

— I მსოფლიო ომში მოხალისედ რომელი ფრანგი კომპოზიტორი იბრძოდა?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებთ. მაგრამ მგონია, რომ წლის ბოლოს „ანბანის“ ჩუქებას არ ვიმსახურებ (იციინის)...

— ნამდვილად არ იმსახურებთ, თქვენ ერთ-ერთი საუკეთესო ხართ მათ შორის, ვინც წლეულს ამ რუბრიკისთვის ჩავენერე. I მსოფლიო ომში მოხალისედ მორის რაველი იბრძოდა. „ვინც უპირველესად არ არის ადამიანი, ის ვერასდროს გახდება ექიმი“. ვის ეკუთვნის ეს ცნობილი გამონათქვამი — ალექსანდრე მაკედონელს, დიოგენეს თუ არისტოტელეს?

— ალექსანდრე მაკედონელს.

— რამდენი გქონათ ხელფასი, თუ 20%-ით გაზრდის და ამის შემდეგ, 20 ლარით შემცირებისას, იგივე დაგრჩათ?

— (ფიქრობს) 100 ლარი.

— წყალბადის გარდა, რომელი ქიმიური ელემენტი შედის მარლმუჟავას შემადგენლობაში?

— ქლორი.

— ადრე რა სახელს ატარებდა მეტროს სადგური „აგლაბარი“?

— „26 კომისარის“.

— ბატონო დავით, თუ იცით, რომელ ქვეყანაშია თავგის საჭერი საფანგების მუზეუმი?

— (იციინის) ასეთი მუზეუმიც თუ არსებობდა, არ ვიცი. ერთი პერიოდი თავგებმა ავსტრალიის მოსახლეობა ძალიან შეაწუხა, მაგრამ არა მგონია, იქ საფანგების მუზეუმი არსებობდეს.

— ასეთი მუზეუმი გერმანიაშია. ვინ დააარსა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — საპატოო ლეგიონის ორდენი — კარდინალმა რიშელიემ, ნაპოლეონ I-მა თუ ლუდოვიკო XIII-მ?

— ნაპოლეონ I-მა.

— ხელოვნების რომელ სტილს მიეკუთვნება ზამთრის სასახლის არქიტექტურა სანქტ-პეტერბურგში?

— ბაროკოს. მაგრამ იქ, საფრანგეთთან და ესპანეთთან შედარებით, ბაროკოს უფრო გამართივებული ვარიანტი გვხვდება.

— რომელი ცხოველის ბენვისგან შეკერილი ქუდები ასურავთ დიდი ბრიტანეთის მეფის გვარდიელებს — მელიის, კვერნის თუ დათვის?

— დიდი ქუდები ასურავთ, რომლებსაც, ჩემი აზრით, დათვის ბენვისგან უნდა ამზადებდნენ. გამოვიცანი?

— დიას. 1919 წლის პარიზის საზავო კონფერენციაზე ერთ-ერთი ინგლისელი ლორდი დაინტერესდა ორი დელეგატის ეროვნული ტანსაცმლით და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ლორდ ჯორჯს ჰკითხა, — ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ, რომელი ქვეყნის წარმომადგენელია ეს ორი ადამიანი? ვისზეა ლაპარაკი?

— ვიცი, რომ ესენი ჩოხებში გამოწყობილი ქართველები იყვნენ, მაგრამ ვინ, ვერ დავისახელებთ.

— ესენი იყვნენ კარლო ჩხეიძე და ვეგენი გეგეჭკორი. „ნუ გიკვირთ, ლორდო, ესენი იმ ქვეყნიდან არიან, რომელსაც შეუძლია, მთელი ევროპა მინისტრებით მოამარაგოს“, — უთხრა ლორდმა. ძველი მსოფლიოს გამოჩენილ სწავლულთა შორის, რომელი იყო ენაბლუ — ციცერონი, ეზოპე თუ დემოსთენე?

— დემოსთენე. ის გამუდმებით ცდილობდა, მეტყველება გაეუმჯობესებინა, საამისოდ, ზღვის სანაპიროზე მიდიოდა, პირში კენჭებს იდებდა და ლაპარაკში ვარჯიშობდა.

— სად არსებობდა ძველი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა — ათენში, ალექსანდრიაში, როდოსში თუ სირაკუზაში?

— ალექსანდრიაში.

— რა ფერის თმა აქვს მალვინას „ბურატნოს თავგადასავალში“?

— ცისფერი (იციინის).

— რომელი მომღერლის ნამდვილი სახელია რეჯინალდ კენეტ დუაიტი?

— თუ შეგიძლიათ, სავარაუდო პასუხები მითხარით.

— სტინგის, პოლ მაკარტნის თუ ელტონ ჯონის?

— ელტონ ჯონის, მაგრამ პასუხში დარწმუნებული არ ვარ.

— თქვენი პასუხი სწორია. ბატონო დავით, სანამ ბოლო შეკითხვას დაგისვამდეთ, შეგახსენებთ, რომ თქვენ 2 კითხვაზე გაქვთ პასუხი გასაცემი.

— დიას! არ დამვიწყებია: უნდა დავასახელო, რომელი ცეცხლსაროლი იარაღი ითარგმნება ლათინურიდან „ემზადე ომისთვის“ (ფიქრობს). იარაღი მხოლოდ თეორიულად ვიცი, თოფიდან არ ვისვრი, ჩიტიც კი არასდროს მომიკლავს... უმეტეს შემთხვევაში, იარაღი მის სახელს ატარებს, ვინც გამოიგონა: „ვალტერი“, „მაკაროვი“, „ლუგერი“... რომელი იარაღი არ არის გვარზე? (ფიქრობს) „პარაბელუმი“. სწორად გიპასუხეთ?

— დიას. მეორე შეკითხვა გახსოვთ?

— დიას: რა ერქვა მთხრობლის ბაბუას ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში „ძალი“? მახსოვს, რომ ძალს სახელი არ ჰქონდა. იმ მეზობელ კაცს, რომელიც ბაბუასთან მივიდა, ბაგრატა ერქვა, ბაბუას კი... (ფიქრობს) ისიდორე?.. არა, არა, სპირიდონი ერქვა! როგორც იქნა, გავისხენე (იციინის).

— დაბოლოს, დაასრულეთ ზუსტის ცნობილი გამონათქვამი: „ყოველი სურვილი ყველა ადამიანისა ერთად რომ ასდეს, ეს დედამინა...“

— (ფიქრობს).

— ეს დედამინა რად გადაიქცეოდა?

— „...სამოთხედ გადაიქცეოდა“.


— ძალიან კარგი წარმოდგენა გქონათ ადამიანებზე. ბუასტი კი ფიქრობდა, რომ ამ შემთხვევაში „...ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა“.

— აი, რა განსხვავებაა ჩემსა და ბუასტს შორის: მე ადამიანებს კარგი მხრიდან შევხედე (იციინის)... საინტერესო რუბრიკა გაქვთ. მგონი, მეც არ შევირცხვინე თავი.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ირიტი თვალის ფერადი გარსის ანთება.
2. ირანის პარლამენტის ქვედა პალატას მეჯლისი ჰქვია.
3. მაიკლ ჯორდანი 40 წლის ასაკში ნაეიდა კალათბურთიდან.
4. ატომური საათი 1 700 000 წელიწადში მხოლოდ ერთი წამით ცდება.
5. ფერწერულ ნაწარმოებთა საცავს ძველ საბერძნეთში პინაკოთეკა ერქვა.
6. ალბრეხტ დიურერი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო ნიურნბერგში.
7. ხმაელა ლაპარაკის უნარის დაკარგვას, ჩურჩულით ლაპარაკს აფონია ჰქვია.
8. ვაკისი რკინიგზის ყრილია, რაზედაც შპალეზია დანყობილი და რელსებია დაგებული.
9. მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს თურქეთში ვილაიეთი ჰქვია.
10. ინდოეთის პრემიერ-მინისტრს, რაჯივ განდის, იტალიელი სონია ანტონია მაიკო ჰყავდა ცოლად.



11. საფასურით ფულის დამზადებულს, აგრეთვე სარგებლით ფულის გამსესებულს ზარავი ერქვა.


12. „ჩვენს ქვეყანაში მწვანე ფერის 205 გრადაცია შეგიძლიათ იხილოთ“, — ირწმუნებიან პანამელები.

13. „აღამიანთან მოლაპარაკება გაცილებით ადვილია, თუკი მიზანში გაყავს ამოღებულ“, — ამბობდა ამერიკის მომავალი პრეზიდენტი, გენერალი ეიზენჰაუერი.

14. „მე ვჩერა კაშმარნი სონ პრისნილსა, ზახოდეტ კო მენ მოიო სობსტვენოე სერადეცო ი გავარიტ: „ნიჩევო, შტო ია ზეზ სტუკა?“, — შავი იუმორის ხასიათზეა მიხილ ზადორნოვი.

15. მართლმადიდებლურად მონათლულ კოლაუ ნადირაძეს დედა კათოლიკე ჰყავდა. იგი მესამე დაჰყავდათ, სადაც მომავალი პოეტი პირველად ეზიარა კლასიკურ მუსიკას.

16. ცხოველთა განთქმულ მომთვინიერებელს, მარგარიტა ნაზაროვას (მას მაყურებელი კარგად იცნობს ფილმიდან „ზოლიანი რეისი“) ჰქონდა ნომერი, რომლის დროსაც იგი ორ ტუმბოს შორის დგებოდა, ერთ ტუმბოზე მჯდარი ვეფხვი მის ბრძანებზე კამარას კრავდა, თავზე გადაეველებოდა და მეორე ტუმბოზე ეშვებოდა. ერთხელაც უნიფორმისტებმა ტუმბოები შორ მანძილზე დააღაგეს, გადახტომისას მტაცებელმა მანძილი ვერ მოზომა, ქალს თავზე დაეცა და უკანათათების კლანჭებით სკალბი მოხადა. ნაზაროვა ცოცხალმკვდარი გაიტანეს არენიდან. მან ურთულესი ოპერაცია გადაიტანა და გადარჩა. ასეთი ტრავმის შემდეგ ბევრი ვეღარ გაბედავდა მტაცებლებთან მუშაობას, მაგრამ მარგარიტა ძლიერი ად-



ქანსუკი ზაჭის წყალობით „ბაღაჟუდი“ უზანბო შალი და მომღვაწე ჰუკუკი

ანუ საქმე, რომლის გვალაბად ღირს

ქაზის ერთერთ უღამაზეს სოფელ ბოდბისგეში შემორჩენილ ერთადერთ მეჭურჭლეს — ელგაზუბა მამაჩემის, იგივე გუჯა პაპას, ყველა იცნობს. მან თიხის ჭურჭელი პირველად, 13 წლის ასაკში დააზადა და მას შემდეგ ამ საქმეს ვერ შევლია. ამბობს, რომ თიხა უარყოფითი ენერჯისგან დაცლაში ეხმარება და ისვენებს ფრანგ ქალბატონს, რომელსაც მისი წყალობით, საქართველო და კახური ქაჭა არასდროს დაავიწყდება.

თორნიკე ყაჩიშვილი

— დიდი ხანია, რაც ამ პროფესიას ემსახურებით?  
— 75 წლის გახლავართ. ცამეტი წლის ვიყავი, როცა ხელობა ვისწავლე და მას შემდეგ, ამ საქმეს ვეღარ შევეშვი. ახლა უკვე სტაჟიანი მეჭურჭლე ვარ — 63 წელია, თიხისთვის არ მიღალატია და სანამ ცოცხალი ვიქნები, მას ვერც შეველევი (თუ რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა არ მიღალატებს).

— ვინ გასწავლათ ეს ხელობა?  
— თიხაზე მუშაობა მამაჩემისგან ვისწავლე. პაპაჩემისგან ხშირად გამოგონია, რომ ამ საქმის ცოდნა და სიყვარული წინაპრებიდან მოგვდამს. ჰოდა, ოჯახურ ტრადიციას არც მე ვღალატობ...

— თუ გახსოვთ, პირველად რა ნივთი გააკეთეთ?  
— კარგად მახსოვს, მამა სახლში არ იყო და დაზგასთან დედაჩემის უკითხავად დავექეი (სხვათა შორის, დღესაც ამ დაზგაზე ვმუშაობ). თიხა დავდე, წყლით დავანაშე და ფიალის ამოყვანა დავიწყე. მალე მამაჩემი დამადგა თავზე და მითხრა: ძლივს მოვესწარი იმას, რომ დაზგასთან დამჯდარი მენახეო. მან პირველი ნამუშევარი არ მომიწონა, თან, ვითომ მანუგემა: თავიდან ლამაზ ფიალებს ვერც მე ვაკეთებდიო. ამ სიტყვებმა სტიმული მომცა, რომ უფრო კარგი ფიალები გამომსვლოდა. ნამუშევრები უკვე დამოუკიდებლად ვმუშაობდი, საკუთარი თავის შენახვა შემეძლო.

— როგორ მზადდებთ თიხის ჭურჭელი?  
— თავდაპირველად, თიხა კარგად უნდა გამოაშრო (ამას ორი-სამი დღე სჭირდება), შემდეგ კი შეგიძლია, დაზგას მიუჯდე და

თიხა დანაშო. თიხის გუნდას, იმისდა მიხედვით, თუ რა ზომის ჭურჭელს ამზადებ, ათავსებ დაზგის თევშე და იწყებ მუშაობას. ხელები ყოველ წუთს უნდა დაისველო, რათა თიხა დაგემორჩილოს. როცა მას სასურველ ფორმას მისცემ, თაროზე დაპირკავებული უნდა დადო — ჭურჭლის მთავარი დეტალი მისი ძირია და რადგანაც ყველაზე სქელია, ჯერ ის უნდა გამოშრეს. შემდეგ, ჭურჭელს გამოწვავს სჭირდება...

— თქვენ დაზგა მართლაც, ძალიან ძველია. მისი შეცვლის სურვილი არ გაქვთ?

— ჰო, ასაკით ჩემზე დიდია, მამაჩემის გაკეთებულია — სანამ მე ამქვეყნად ვაჩნდებოდი, ის ამ დაზგას უკვე ამუშავებდა. ეს დაზგა დღესაც ძალიან კარგად ასრულებს თავის მოვალეობას და ამიტომაც, მის გამოცვლას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, ის კიდევ ბევრ ჭურჭელს შთაბერავს სულს...

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენად განსხვავდება ახალი ტექნოლოგიები ძველისგან?

— არ არის დიდი განსხვავება. უბრალოდ, ახალი ტექნიკა უფრო სწრაფად მუშაობის საშუალებას გაძლევს, მაგრამ იმისთვის, რომ ხარისხი საუკეთესო იყოს, ანუ ჭურჭელი მალევე არ გატყდეს, თიხაში სხვადასხვა ნივთიერებას ურევენ. მე კი მსგავსი რამ არ მესაჭიროება, რადგან ყველაფერს მამაპაპური წესებით ვაკეთებ. მართალია ვნვალობ, მაგრამ ეს ამაღ ღირს. მაგალითად, ჩვენს ეზოში ორმო ამოვთხარეთ, მასში ცეცხლამძლე აგურები ჩავენყვეთ და ასე მივიღეთ ქურა. სწორედ იქ ხდება ჭურჭლის გამოწვა, დამუშავება და საბოლოო სახის მიცემა; ამას კი 3 დღე სჭირდება, ხოლო თანამედროვე სპეციალური ლუმენი ამ საქმეს ერთ დღეში ასრულებს.

— ალბათ, ჭურჭლის გამოწვას

მაღალი ტემპერატურა სჭირდება...

— კი, მაგრამ თუ ძალიან მაღალი ტემპერატურა იქნა ან ჭურჭელს ცეცხლის ალი მოხვდა, ის აუცილებლად დაზიანდება. მსგავსი რამ იშვიათად მემართება — ას ცალში ოთხი-ხუთი რომ გატყდეს, არაფერია.

— თქვენს ნამუშევრებს სად ყიდით?

— ჩვენი სოფლის ბაზარში. სხვათა შორის, ყველაზე კარგად ქოთნები, სხვა სახის ჭურჭელი კი იშვიათად იყიდება. სამწუხაროდ, თხა პლასტმასმა ჩაანაცვლა.

— თქვენი ნამუშევრები უცხოელს თუ უყვია?

— მსგავსი რამ ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ განსაკუთრებით, ერთმა ასაკოვანმა ფრანგმა ქალბატონმა დამამახსოვრა თავი. მას ახალგაზრდა თარჯიმანი გოგონა ახლდა. ქალბატონმა ჩანთიდან ფრანგული ღვინის ბოთლი ამოიღო და გოგონას რაღაც გადაუღალაპარაკა. მან კი მითარგმნა: ამ ფიალით ღვინოს ხომ მიირთმევთ? კახელი რა კახელია, თუ ღვინოზე უარს იტყვის?

— დაუფიქრებლად ვუპასუხე: რატომაც არა-მეთქი? ფიალები შევავსე, ერთი მას მივანოდე, მეორე — ფრანგ ქალბატონს. ქალბატონი ფრანგულად რაღაცას მეუბნებოდა და ბოლოს, ქართულად წამოიძახა: „გაუმაჯოს“. ფიალა ბოლომდე დაცალა. თარჯიმანმა მითხრა, — უღამაზესი ქიზიყის და თქვენი სადღეგრძელო დალიაო. მეც ორივე ვადღეგრძელე და გადავკოცნე. სურათებიც გადავიღეთ. წასვლას რომ ამირებდა, გამახსენდა, ჩანთაში ერთი ლიტრი ჭაჭის არაყი მქონდა და ვუთხარი: ისე ვერ გაგიშვებთ, თუ კახური ჭაჭა არ გაგასინჯეთ-მეთქი. 3-4 ჭიქა „გადაკრა“ და კარგადაც შეზარხოშდა; წასვლა აღარ უნდოდა, მაგრამ თარჯიმანმა არ მოასვენა. ერთი ბოთლი არაყი თან გავატანე. ამაზე სულ გადაიარა. ბოლოს, ფიალები და კოკურა იყიდა. ალბათ, რამდენჯერაც იმ ფიალებს შეხედავს, იმდენჯერვე საქართველო და კახური ჭაჭა გაახსენდება (იციინის).

— ამბობენ, ფიალა ღვინოს სულ სხვა გემოს აძლევსო...

— იქიდან დაიწყო, რომ ღვინოა თვითონ მაღლიანი და დალოცვილი სითხე. წარმოიდგინე, ერთ ფიალაში რამდენნაირი ღვინო ისხმება და თითოეული მათგანი თავისებურ, სპეციფიკურ გემოს ტოვებს. ამას თავი რომ დავანებოთ, თიხას ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს — დადებითი ენერგიით გავსებას. მაგალითად, როცა ჭურჭელს ვაკეთებ, უარყოფითი ენერგიისგან აშკარად ვიცლები...

— იმასაც ამბობენ, — თიხა

მღერისო...

— თიხა არა მარტო მღერის, არამედ საშუალებას გაძლევს, შენი თავი გამოავლინო, იფანტაზირო, გამოძერწო ყველაფერი, რასაც მოიფიქრებ. მისი გამოყენება მუსიკალურ ინსტრუმენტადაც შეიძლება — ის მართლაც, არაჩვეულებრივ ხმას გამოსცემს...

— ძირითადად, რა სახის ჭურჭელს ამზადებთ?

— ქოთნებს, ფიალებს, მანენის ქილებს, დოქებს, კოკურებს.

— ყველაზე მეტად, რომელი ჭურჭლის დამზადება გიყვართ?

— ყველა იმ ჭურჭლის დამზადება მიყვარს, რაც კარგად იყიდება — ეს ჩემი შემოსავლის წყაროა და მუშაობისას საკუთარ სიამოვნებაზე აღარ ვფიქრობ... სანამ ახალგაზრდა ვიყავი, დღეში 50-მდე სხვადასხვა სახის ჭურჭელს ვამზადებდი, ახლა კი ათზე მეტს ვეღარ ვაკეთებ.

— თქვენს შვილს ან შვილიშვილს თუ ასწავლეთ ხელობა?

— შვილს ვასწავლე, შვილიშვილმა კი მიყურა და ისე ისწავლა. ის ახლა ისეთ რაღაცებს აკეთებს, მიკვირს — ლარნაკებს, ქოთნებს ისე აჩუქურთმებს, რომ ისინი ხელოვნების ნიმუშები უფროა, ვიდრე უბრალო თიხის ჭურჭელი. მიხარია, რომ ჩემი იმ ქვეყნად წასვლის შემდეგ, ამ ტრადიციას ჩემი შთამომავლობა გააგრძელებს.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ პროფესიას დაეუფლო?

— მთავარია მონდომება და თიხის ჭურჭლის დამზადებას კი არა, შეუძლებელს შეძლებ. სამწუხაროდ, ახალგაზრდებს ეს საქმე ნაკლებად აინტერესებთ. ვნუხვარ, რომ ვებრძები და ამ სოფელში, ჩემი შვილისა და შვილიშვილის გარდა, ხელობა ვერავის ვასწავლე. ყველა ახალგაზრდას უნდა, დიდი თანამდებობის კაცი გამოვიდეს და ამიტომაც, ხელობის სწავლას არ კადრულობს. მათი მშობლები უამრავ თანხას „ყრიან“, რადგან სურთ, შვილები „დოსტურები“ და პროკურორები გამოვიდნენ. მეცინება, რადგან ეს ვითომდა მომავალი „დოსტურები“ და პროკურორები სასწავლებელში არც კი დადიან... მე ჩემი ხელობა, ჩემი ხელებით სულჩაბერილი ნებისმიერი თიხის ჭურჭელი ძალიან მიყვარს და მჯერა, ოდესღაც ჩემი შვილთაშვილები ამით იამაყებენ, ჩემი გაკეთებული ფიალებით დიდი პაპის სადღეგრძელოს შესვამენ. ■



ას ცალში ოთხი-ხუთი რომ გატყდეს, არაფერია

ინფორმაციულ-ჟეპეხეპიტი კოლაჟი



ამიანი იყო და კვლავ დაუბრუნდა ცირკის არენას; ხოლო ის ვფხვი, რომელმაც მარგარიტა დაასახიჩრა, სამი კვირის განმავლობაში საქმელს არ ჭამდა — გრძობდა საკუთარ დანაშაულს.

17. „ტიხა უკრაინსკა ნოჩ... ნო სალო ნალო პერეპრიატატ“, — „პოპულარიზაციას უნდევს“ „უკრაინულ ანდაზებს“ ლეონ იზმაილოვი.

18. „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, მაგრამ შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას“, — ამბობდა ნაპოლეონი.

19. „მაია ტიომა უწმინა-ზაგადკა. ზაგადკა ვსიუ კვარტირუ“, — წუნუნებს ეგგენი პეტროსიანი.

20. მიხაილ სუსლოვს ჭირის დღესავით სძულდა ვლადიმირ ვისოცკი. „მისი სიმღერები ანტისაბჭოური ქვეტექსტებით არის სავსე“, — ამბობდა იგი მომღერლის შესახებ. სუსლოვი საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გახლდათ და ქვეყნის იდეოლოგიასაც სრულიად განაგებდა.

21. „შესანიშნავი შვიდეულის“ ნახვის შემდეგ „შვიდი სამურაის“ რეჟისორმა აკირა კუროსავამ ამერიკელ რეჟისორ ჯონ სტერჯესს სამურაის ხმალი გადასცა საჩუქრად.

22. 2005 წლის 21 ნოემბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი საფრანგეთიდან საქართველოში გამოასვენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს. საქართველოს დაუბრუნდა ქაქუცას ხმალიც და დროშაც.

23. 1934 წელს გალაკტიონ ტაბიძეს ქუჩაში დახვდნენ, სასტიკად სცემეს და პალტო გახადეს. თბილისი ტანსაცმლის გარეშე დარჩენილი პოეტი ორი თვე გარეთ ვერ გამოდიოდა.

24. რუსეთის იმპერატორის, პეტრე პირველის მეუღლე ეკატერინა თავის დროზე უბრალო მრეცხავი იყო. ქალაქ ორენბურგის ალემის შემდეგ იგი რუსებს ჩაუვარდა ტყვედ და მომავალი იმპერატორიცა ჯერ პორუჩიკი შერემეტევის, მოგვიანებით კი გრაფი მენშიკოვის საკუთრებად იქცა. ამ უჟანასწელთან სტუმრობისას პეტრე პირველი ისე მოიხიბლა ქალის სილამაზით, რომ თავისთვის დაინარჩუნა. ეკატერინა ჯერ მისი საყვარელი იყო, მოგვიანებით პეტრემ იგი ცოლად შეირთო.

25. ლადო გუდიაშვილს ბავშვები ძალიან უყვარდა. ერთხელ მეზობლის ბავშვს, რომლის ოჯახიც ხელმოკლედ ცხოვრობდა, ველოსიპედი უყიდა. საჩუქარს თოკი გამოაბა და სახურავიდან მისი ფანჯრების გასწვრივ ჩაუშვა. ბავშვის გაკვირვებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.





# მათხოვრობა — პროფესია თუ თავის გადარჩენის ერთადერთი გზა...

## „მაყურაბალმა“ თუ არ დავროთ ნება, ისა, სამათხოვროდ ვარსად დადგები“

ყოველ დღით ჩემი სახლის ფანჯრიდან ვხედავ, თუ როგორ მოჰყავს ახალგაზრდა გოგონას ხელკავით ხანდაზმული მამაკაცი, ახლომდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე დასვამს და იქ მთელი დღით ტოვებს. მერე მოხუცი ქუდს მოიხდის, ფეხებთან დაიდებს, ფერად სათვალეს მოირგებს და გამვლელებს მიწყალვებს სთხოვს. საღამოს გოგონა ისევ მოდის, ქუდში დაგროვილ ხურდა ფულს ჩანთაში იყრის და მოხუცი მიჰყავს. უკვე წლებია, რაც ამ სურათს მუდმივად თვალს ვადევნებ, ამასობაში მოხუცი კიდევ უფრო დაბერდა, წელში მოიხარა, მაგრამ ყინვასა თუ გაუსაძლის სიცხეში მაინც მთელი დღე ზის მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე და ყოველი ხურდის განკარგულებაზე ამბობს: „ღმერთმა დაგლოცოთ, შვილებო“.

### ივა ტუნიავილი

— ღმერთმა დაგლოცოთ, შვილებო!

— გამდლობ, ბაბუ. იცით, მე დიდი ხანა გიცნობთ, ყოველ დღით გხედავთ, რომ აქ ვილაც გოგონას მოჰყავხართ.

— ის გოგონა ჩემი უმცროსი შვილიშვილია, აქვე მახლობლად მუშაობს სურსათის მაღაზიაში.

— თუ მუშაობს და შემოსავალი აქვს, არ ეცოდებით, მთელი დღით, მოწყალეების სათხოვნელად რომ გტოვებთ?

— გინდოდა გეტქვა, სამათხოვროდ რომ მტოვებს, არა? თითქმის ექვსი წელია, რაც აქ, ყოველდღე მოყვავარ შვილიშვილს და მათხოვრობით ნაშოფნი ფული ოჯახის ბიუჯეტში შემაქვს. შვილიშვილი მამხნეებს: შენ არ ინერვიულო ბაბუ, მათხოვრობაც ისეთივე ბინესია, როგორიც სხვა დანარჩენი, ოღონდ უფრო იოლი და ნაკლებშემოსავლიანია.

— მაინც როგორია „თქვენი ბიზნესის“ ყოველდღიური შემოსავალი?

— ოთხი, ხუთი, იშვიათად კი შვიდი ლარი დღეში. ეს ორ-სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე ჩემი მოხუცებულობის პენსია.

— მაგრამ არც მათხოვრის ხეცდრა შესაშური.

— ახალგაზრდობიდან მოყოლებული, უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე თბილისის მეტროპოლიტენში ვმუშაობდი. ჩვენს ქვეყანაში ბოლო ოცი წლის მანძილზე რაც მოხდა, ჩემგან არ გესწავლება. ბევრი გაჭირვება გამოიარა ჩვენმა ოჯახმაც, ეს ყველაფერი კი, ჩემს ჯანმრთელობაზე აისახა. ამდენმა სტრესმა და ნერვიულობამ შექრიანი დიაბეტი გამიჩინა, რის გამოც, თვალში სინათლე წამერთვა. სიბრძავედ შრომისუუნაროდ მაქცია, ამას კი უფრო მეტად განვიცდიდი, ვიდრე დაკარგულ თვალისჩინს. ერთხელ შვილიშვილმა შემომთავაზა: იმ მიწისქვეშა გადასასვლელში, სადაც ვმუშაობ, უამრავი ადამიანი მათხოვრობს, ზოგი სრულიად ჯანმრთელია და ინვალიდის

ეტლში ზის, რომ ხალხს თავი შეაცოდოს, შენ კი ნამდვილად უსინათლო ხარ და მოწყალეობაზე უარს არ გეტყვიანო. ერთი კვირა ქალივით ვტიროდი, როდესაც ჩემს თავს სამათხოვროდ გასულს წარმოვიდგენდი; შემდეგ, ბედს შევეგუე, შვილიშვილის ნებას დავყვე, ახლა კი ამ თემაზე ვხუმრობ კიდევ: სამსახურში არ დამაგვიანდეს-მეთქი. ოთხმოცს მიტანებული კაცი უსინათლო ვარ. ამიტომ, სწორად ხდება ისე, რომ ბოშები მთელი დღის თანხას მართმევენ ხოლმე. კალიბრებით შემოგესევიან შეჩვენებულები და საშველად ვინმეს დაძახებასაც ვერ მოასწრებ, ისე აგაცლიან მთელი დღის ნაშოფს. ამიტომ, დღის განმავლობაში ჩემი შვილიშვილი რამდენჯერმე მაკითხავს და რასაც ვახვედრებ, თან მიაქვს. ხომ გაგიგონიათ, ნათქვამია: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, ეტყობა, მათხოვრობაში უნდა ამომხდეს სული ინჟინერ კაცს...

ამ მოხუცთან საუბარმა გამათამაშა, მუჭში ცოტა ხურდა ფული ჩავიყარე და გადავწყვიტე გამერკვია, ვისთვის არის მათხოვრობა პროფესია და ვისთვის — თავის გადარჩენის ერთადერთი გზა. შორს წასვლა არც დამაჭირვებია, ჩემი ნაცნობი მოხუცისგან, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ფეხმომტვრეულ სკამზე, შუახინის ქალი ხელგამოწვდილი იჯდა. მათხოვარი ჩემი სუხნია აღმოჩნდა, მეორე ჯგუფის ინვალისი ივა პარტიჩიანი.

— ჩემი ერთადერთი მარჩენალი ჩემი ძმა იყო. ცოტა ხნის წინ, ისიც გარდაამცვალა და სრულიად მარტო დავრჩი. არადა, იცი, რა ოჯახში ვარ გაზრდილი? მამა სამხედრო მოსამსახურე იყო,

დედა პედაგოგი, ვაზიანის დასახლებაში მშენიერი ბინა გვექონდა, ახლა კი ცარიელტარიელი ვარ. უნინ ორგანიზაცია „ნითელი ჯვარი“ მედიკამენტებით, პროდუქტებით მუხმარებოდა და თავი როგორღაც გამქონდა. ახლა მხოლოდ პენსიის ამარა დავრჩი და ისიც კომუნალურ გადასახადებში არ მყოფნის. ამგვარმა ყოფამ იძულებული გამხადა, მემათხოვრა; ძალიან მრცხვენია, მაგრამ ეს რომ არა, ალბათ, შიმშილით სული ამომხდებოდა. ბევრს ვერ ვშოულობ, ოთხი-ხუთი ლარი თუ შევავროვე მთელი დღის განმავლობაში, ჩემს გაჭირვებას ისიც ჰყოფნის. აქედან ერთი ლარი „მაყურებელს“ მიაქვს. „მაყურებელი“ — გამოცდილი და სტაჟიანი მათხოვარია, რომელიც ადრე თავად მათხოვრობდა ამ „პადზემკაში“. ამ „მაყურებელმა“ თუ არ დავროთ ნება, ისე სამათხოვროდ ვერსად დადგები. შაბათს და კვირას მოწყალეებს სამეხის ტაძართან ვითხოვ. ხომ იცით, ამ დღეებში ბევრი წყვილი ინერს ჯვარს, ბედნიერი ადამიანები კი უფრო გულუხვები არიან. ერთხელ ერთმა მოძღვარმა 10 ლარი



„ღმერთმა დაგლოცოთ, შვილებო“



მაჩუქა, ამის გამო სამების მათხოვრებმა ჩხუბი ამიტყეს და გამომაგდეს...

ემასგან რამდენიმე მეტრში, ქვის იატაკზე ფეხმორთხმული, ახალგაზრდა ბოშა ქალი ზის და ჭუჭყიან ზენარში გახვეულ ჩვილს ანანავებს. მელიმბა, რადგან ვიცი, როგორც კი მასთან ახლოს მივალ, შემომკნავლებს: დამეხმარე დეიდა, შენი ლამაზი თვალების ჭირიმეო, ახლა რომ ვთქვათ, სადაური მისი დეიდა ვარ, მაგრამ ჯანდაბას, ასე იყოს მანამ, სანამ მისგან იმას არ გავიგებ, რაც მაინტერესებს.

— „შენი შვილების ჯანმრთელობაში გაიხაროს!“ — მიუხედავად ბოშა მას შემდეგ, რაც მის ყულაბაში რამდენიმე მონეტა ემშვება. თვალი ბოშა ქალის ოქროს ბეჭდები-სკენ გამიბრბის, ისიც ამჩნევს ჩემს ცნობის-მოყვარე მზერას და ხელს ბავშვის ზენარის ქვეშ მალავს.

— როგორ ხარ? — ბოშას ძველი ნაცნობივით ვკითხები. გამიგია, რომ ბოშები ცბიერი ხალხია და მათი გულახდილობის იმედი არ უნდა მიქონდეს, ამიტომ ვცდილობ, ეშმაკობაში ჭკუით ვაჯობო.

— რა გინდა? — მკვახედ მპასუხობს ბოშა და გაცხარებით იფხანს თავს.

— ვერ მიცანი? ზემოთ საცხობში რომ ვემუშაობდი და შენს ბავშვს „ბულკებს“ რომ ვაჭმევდი...

— ეს ჩემი ბავშვი არ არის, — ტყუილში გამომიჭირა ბოშამ.

— შენი და როგორ არის? — ვკითხები იმ იმედით, რომ ვიცი, დედისერთა ნამდვილად არ იქნება.

— შენ ჩემს დაში, სამირაში აგერიე. მე მაია ვარ და შვილი ჯერ არ მყავს. ეს პატარა ჩემი ძმისშვილია. — მიღიწის ბოშა ქალი და ვხვდები, რომ მიზანში მოვარტყი.

— შენი და სადაა? — ვკითხები, ძველი ნაცნობის ბედით შენუხებული.

— სამირა ზემოთ „მადზემკაში“ მათხოვრობს. იქ უფრო მეტი ფულის შოვნა შეიძლება.

— გადამრევთ თქვენ, კაცო, რამდენჯერ ვუთხარი შენს დას, დაანებე თავი მათხოვრობას და ხელი ნორმალურ საქმეს მოჰკიდე-მეთქი.

— ამაზე კარგი რა უნდა იყოს, არაფერს აკეთებ, ფული შემოგდის და ბავშვებიც იზრდებიან. მერე ისინიც სწავლობენ მათხოვრობას და თავის რჩენა არ უჭირთ. აგერ ჩემმა მეზობელმა ინვალიდის „კალიასკა“ იშოვა, შიგ თავისი ჯანმრთელი შვილი ჩასვა და ხალხს თავი ისე შეაცოდა, რომ ახლა „პასილოკში“ ლოტკინზე მისნაირი სახლი ბარე ორს არა აქვს. მერე კიდევ იტყვი: ციგნებს ბევრი ბავშვები ჰყავთო. რომ ვიმუშაოთ, ბავშვები როდისღა გავაჩინოთ? — ასეთი არგუმენტით გაამართლა ბოშა მაიამ მათხოვრის პროფესია. მუჭში დარჩენილ ხურდას დავხვდე და ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო ცენტრთან ჩამწკრივებულ მათხოვრებს გამოველაპარაკე.

**ნანა, 77 წლის:**

— მდიდრები უფრო ძუნები არიან, შვილო. მთელი დღეა ვდგავარ და თხუთმეტ

თეთრზე მეტი ვერ შევადგოვ. დაცვის თანამშრომლებიც ძალღებვით გვეცევიან, სუპერმარკეტის კარს ახლოს არ გვაკარებენ. რა ვქნა, რა ვაჭამო ჩემს დაობლებულ შვილიშვილებს? დედ-მამა ავარიში დაეღუპათ; სამი ბიჭი დამიტოვეს გასაზრდელად. უფროსი 17 წლისაა, შუათანა 16-ის, უმცროსი კი წელს წავიდა სკოლაში. დღეში სამი ლარის მარტო პური გვჭირდება, ამის გარდა, ბავშვებს სამოსი უნდათ, წიგნები. ადრე მერიის შენობასთან ვითხოვდი მონყალუბას, იქ უფრო მენამარებოდა ხალხი. ვიფიქრე: ამ მალაზიაში ყველაზე მდიდარი ქართველები დადიან, ხურდა ფულს როგორ არ გადმომიგდებენ-მეთქი. ესენი კი თითქოს ვერც მამჩნევენ. არც მე ვარ ჯანმრთელი, მარჯვენა ხელი პარალიზებული მაქვს, გულიც მანუხებს; არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ. მხოლოდ ის მანუხებს, რა ემელება ჩემს შვილიშვილებს, მე რომ აღარ ვყოლები?

**მარინა, 56 წლის:**

— პროფესიით მედდა ვარ, მრავალი წლის განმავლობაში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდი, შემდეგ შემამცირეს და ელემენტარული შემოსავლის გარეშე დავრჩი. უფულობამ ჩემს შვილს ქურდობისკენ უბიძგა, ციხიდან რომ გამოვიდა ტუბერკულოზით იყო დაავადებული. ბინაც კი გავყიდე, რომ შვილს განკურნებაში დაეხმარებოდა, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი გააწყვეს და 27 წლის ვაჟკაცი მინაში ჩავდე. მის გარდა, კიდევ ერთი ვაჟი დამრჩა, რუსთავეთი ვიქირავეთ ბინა და დღემდე იქ ვცხოვრობთ. ჩემი შვილი მუშაობს, მაგრამ მისი ჯამაგირი ორი ადამიანისთვის სამყოფი არაა. ჩემს შვილს ჰგონია, რომ მეც ვმუშაობ და წარმოადგენაც არა აქვს, რომ ყოველდღე რუსთავეიდან თბილისში მოწყალეების სათხოვნელად დავდივარ.

**— ახალგაზრდა ქალი ბრძანდებით, არ გირჩევნიათ, რომ სადმე დასაქმდეთ?**

— მათხოვრად არავინ იბადება, ამას ცხოვრება გაიძულებს. რამდენჯერმე ვცადე, სამსახურში მოწყობა. ერთხელ გამიმართლა და ოჯახში დამხმარედ ამიყვანეს. შვილიშვილს დედა ვარ, ყოველთვის ცრემლის შეკავება მიჭირს, სხვისი მწუხარების ატანა კი არავის სიამოვნებს. ამის გამო მალევე გამათავისუფლეს სამსახურიდან. მას შემდეგ სამსახურის შოვნას უშედეგოდ ვცდილობ. ერთხელ იმ ზომამდე მივედი, თავი რომ გამომეკვება, სანაგვე ურნებში ვექებდი პროდუქტების ნარჩენებს. ეტყობა, ხალხსაც ძალიან გაუჭირდა, ნარჩენებს ნაგავში აღარავინ ყრის. სხვა რა გზა მაქვს, ხმის ჩახლქამდე უნდა ვიყვირო: დამეხმარეთ! იქნებ ვინმეს გავაგონო.

ძვირად ღირებული ავტომობილებით და გაჭედილი სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორია დავტოვე და უკიდურესად ლატაკი მოსახლეობის ძიება რუსთაველის გამზირზე განვაგრძე. მეტროს სადგურ „თავისუფლების“ წინ, ფარდაგზე სამხედრო

სამოსში ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი ინვაკაცს კისერზე მუყაოს მოზრდილი ქალადი ევიდა, სადაც ენერა, რომ დახმარებას აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანი, 42 წლის **დავით ბიორბაძე** ითხოვდა.

— აფხაზეთში ნალმზე ავფეთქდი, თვალი დავკარგე. შუაზე ვარ გადაჭრილი, ნახევარი კაცი დავრჩი. შვილები მყავს, შვილიშვილები, მეუღლე. ოჯახს კაცის ხელი უნდა, მე კი ჩემი ჯანმრთელობა ქვეყანას შევნიერე.

**— როგორც ომის მონაწილეს, ქვეყნის ხელისუფლება არ გეხმარება?**

— თქვენ, რა, ამ მთავრობის კიდევ გვერათ? ხელისუფლების კი არა, ხალხის ნდობა დავკარგე. ყველა მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს. ეს პრეზიდენტი რომ ამბობს: საქართველო სიღარიბის გარემოში, საქართველო კი არა, მსოფლიო ვერ გათ-



დამეხმარე, დეიდა, შენი ლამაზი თვალების ჭირიმეო

ავისუფლებულა სიღარიბისგან. გვატყუებს ეს ხელისუფლება, თვალში ნაცარს გვყვრის. ჩემისთანა ხეიბარ მეომარს, თვეში რომ 120 ლარს უხდიან, ამით უნდა ვარჩინო ოჯახი? თუ ვაჟკაცები არიან, მოვიდნენ და თვალი გამისწორონ, თავად რაში ეყოფოდათ ეს თანხა? უბედურება ისაა, რომ მე ერთადერთი ვეტერანი არ ვარ, ვინც ამ ხელისუფლებამ ხალხის მონყალუბის იმედად დატოვა. ათამდე ჩემი თანამებრძოლი ვიცი, ვინც დღეს მათხოვრობით ირჩენს თავს.

ამასობაში, ჩემს მუჭში ხურდა ფულის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ამიტომ, როდესაც ქაშუთისკენ მიმავალს, გზად ჩია ტანის ბებო შემხვდა და ნამლისთვის ფულის დამატება მთხოვა, უკანასკნელი ხუთთეთრიანი მონეტა გავუწოდე. ხელისგულზე დადებული ხურდა ბებომ ჯერ სახესთან ახლოს მიიტანა, უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და მთელი ხმით მომამძა: ვინაა შენი ხუთთეთრის მათხოვარიო?! როგორც კი მათხოვრის რისხვას დავაღწიე თავი, თინეიჯერი გოგო-ბიჭები მომიხალოვდნენ და ახლა მათ მთხოვეს, ოცი თეთრით დაეხმარებოდით.

— ჩვენ ვარკეთილში კრძო სკოლა „ოპიზაში“ ვსწავლობთ. ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საბავშვო თეატრში ვიყავით, ის ფული, რაც მშობლებმა გამოგვატანეს, შემოგვხარჯა, ამიტომ, ახლა გამველევებს ვთხოვთ დახმარებას.



მიმეზი, რამაც ეს ადამიანები გაამათხოვრა, უკიდურესი სიღარიბეა...

დღეში სამი ლარი, რომელსაც მეპატრონე მისდიდა, არაფერი მყოფნიდა. შემდეგ ცუდი ამბავი შემემთხვა, მდულარე წყალი გადამესხა ტანზე და უმიძმესი დამწვრობა მივიღე. ექსი თვე ვიმუშრნალე. ამ ხნის განმავლობაში, ჩემი შვილები სასნაულის წყალობით გადაურჩნენ შიმშილით სიკვდილს. როგორც კი ფეხზე წამოდგომა შეეძელი, მათხოვრობა დაიწყე. საეკლესიო დღესასწაულებზე ხალხი უფრო გულუხვია და ჩემს შვილებს ნოყიერი სადილით ვანებიერებ. ჩვეულებრივ დღეს 6-7 ლარს მიინც ვმოულობ. სახელმწიფომ მრავალშვილიან დედებს ყველანაირი შეღავათი მოუხსნა, ამის გამო, ელექტროენერჯის დავალიანება დამიგროვდა და ამ დღეებში რასაც ვმოიფი, თელასში უნდა მივიტანო. საეკლესიო პირებიც ხშირად მესმარებინან. ცოტა ხნის წინ, მონაზონმა ბავშვებისთვის ტანსაცმელი მომიტანა. სამოსი კი ყველაზე მეტად სჭირდებათ ჩემს შვილებს, რადგან მათხოვრობით ნაშოვნნი ფული მხოლოდ მათ გამოსაკვებად მყოფნის.

— უკანასკნელი წლების განმავლობაში, თბილისში, არაერთი უფასო სასადილო გაიხსნა. თქვენ არ სტუმრობთ უფასო სასადილოებს?

— ერთხელ ვიყავი მხოლოდ უფასო სასადილოში. ჩემი შვილების გარეშე ლუკმას როგორ შევჭამდი, ქილა მივიტანე და უფასო სადილი ბავშვებს მივუტანე სახლში. ბავშვებმა ხორციან წვნიანში თმის ბუნჯი იპოვეს და პირიც აღარ დააკარეს. მირჩენია, ჩემი შვილები, ღარიბული, წყალნაკლები, მაგრამ სუფთად მომზადებული წვნიანი დავაპურო, ვიდრე უსუფთაოდ მომზადებული, დამადლებული ხორციანი სადილით.

მიზეზი, რამაც ეს ადამიანები გაამათხოვრა, უკიდურესი სიღარიბეა. მაგალითად, იმავე მინისტრებმა გადასახვლელები მონყალეებს ითხოვეს ქალი, რომელმაც გულის მანკით დაავადებული შვილის გადასარჩენად ყველაფერი გაყიდა, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. იქვე გიტარაზე უკრავს სამხედრო აკადემიის კურსანტი, რომელიც ქუჩის მუსიკოსობით მცირეწლოვანი შვილისთვის პამპერსა და საკვებს ყიდულობს. ვიღაც, ავადმყოფი ნათესავისთვის მონყალე-

ბას ითხოვეს, ვიღაც კი, სიკვდილის პირას მისული მშობლისთვის. ამ ფიქრებით დამძიმებული, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში ჩამოვჯექი და ის-ის იყო, წამოსვლას ვაპირებდი, რომ გარს ოცამდე ქუჩის მანანწალა ბავშვი შემომხვია. ჯიბეები მოვიტყევე, ყოველი შემთხვევისთვის, თუ მოსვენებას არ მომცემდნენ: დეიდა, სუთი „პაპიკი“ მომეცი, რაო. მაგრამ ჩემდა გასაკვირად, მათხოვრობას შეჩვეული ბავშვები, უჩვეულოდ ღირსეულად იქცეოდნენ და ვილაცის გამოჩენას ელოდნენ. რამდენიმე წუთიც არ გასულა, ბავშვებმა მხიარულად შემოპკრეს ტამი: ბესო მასწავლებელი მოვიდაო და ახალგაზრდა მამაკაცს გარს შემოეხვიენენ. მასწავლებელმა ბავშვები წინილებით გადაითვალა, დაწყვილა და ალექსანდრეს ბალისკენ წაიყვანა. ნანახმა ძალიან დამაინტერესა. ამიტომ, სასწრაფოდ ვცადე, გამეჩვენა რა მსაქმეოდა ბესო მასწავლებელს ქუჩის ბავშვებთან.

ბესო მჭიდროდ, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“:

— ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია — „ქუჩის ბავშვები“ საზოგადოებას დაეუბრუნოთ. ჩვენ, თბილისის სხვადასხვა უბანში, მანანწალა პატარებს ვაგროვებთ, ვუტარებთ ხატვის გაკვეთილებს, ვასწავლით ანბანს, წერას და ვაპურებთ კიდევ. თავიდან, ქუჩაში ნანწალა და მათხოვრობას შეჩვეულ პატარებს, სასწავლო რეჟიმთან შეგუება უჭირთ; განსაკუთრებით კი ბოშა ბავშვების დაყოლიება ჭირს. ბევრმა ისიც კი არ იცის, რისთვის გამოიყენოს კალამი, როგორ მოხაზოს ფურცელზე წრე, წერაკითხვის ცოდნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მიმიე სოციალური ყოფა მნიშვნელოვან დაღს ასვამს მათ ფსიქიკას და სერიოზული ძალისხმევა გჭირდება, რომ ბოშო ისევე გავადვილოთ ბავშვი. როდესაც ამას ვაღწევთ, ისინი ხალისით დადიან გაკვეთილებზე, უჩნდებათ სწავლის სურვილი და იმდით შეჰყურებენ მომავალს. ჩვენ გვიჩნდა, ამ ბავშვებს საშუალება მივცეთ, გააკეთონ არჩევანი მათხოვრის პროფესიასა და სრულფასოვან ცხოვრებას შორის.

— ფული რისთვის გჭირდებათ? — სახლში დასაბრუნებლად გვიჩნდა. მართალია, ახლა მოსწავლეებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა უფასოა, მაგრამ ჩვენი სკოლის დირექტორი უფასო მგზავრობის ტალონებს დღემდე ამზადებს. — მესმის, რომ ფული გჭირდებათ, მაგრამ არ გრცხვენიათ უცხო ადამიანებისთვის მისი თხოვნა? — რა არის ამასი სამარცხვინო? ჩვენ ახალგაზრდები ვართ, არ ვმუშაობთ, ფული საიდან უნდა გვეზიდეს? ასეც რომ არ იყოს, ნახევარი საქართველო გამათხოვრებულია და მაინცდამაინც ჩვენ რატომ უნდა გვრცხვნოდეს?

უკვე ცრა წელია, ექვსი შვილის დედა, ნალი მზარობი მონყალეებს ქაშუეთის ეკლესიის წინ მდებარე მინისტრებმა გადასახვლელები ითხოვეს. კალთაში ოთხი წლის ლუკა უზის, რომელიც მისი თანატოლებსგან განსხვავებით, არ ცვლქობს, არ თამაშობს, მორჩილად ზის და ელოდება, როდის განკარუენდება მონეტა მისი სათამაშო ავტომობილის საბარგულში.


— ჩვენ ვზიანის დასახლებაში ვცხოვრობთ. ჩემი მეუღლე რკინიგზის დეპარტამენტში მუშად მუშაობდა, უმიძმეს შპალებს ეზიდებოდა. ამის გამო, მუცლის თიაქარი გაუჩნდა, ოპერაცია ესაჭიროება, მაგრამ ამის საშუალება ჩვენს ოჯახს არა აქვს. ოჯახის ერთადერთი მარჩენალი მე ვარ. ჯერ სასადილოში ჭურჭლის მრეცხავად ვმუშაობდი, მაგრამ

კალიფორსკოი ბრიტანელ მოზარდებს 37 ათასი ჰინბი ლუდი ჩამოართვეს

დიდ ბრიტანეთში სპირტიანი სასმელების მცირეწლოვანი მომხმარებლების წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის შედეგები შეაჯამეს. პოლიციელთა მიერ მოზარდებისთვის ჩამორთმეული ალკოჰოლის საერთო რაოდენობამ 20947 ლიტრი შეადგინა! ახალგაზრდებს 37000 ჰინბი ლუდი, სიდრი და 1165 ლიტრი ლვიონ ჩამოართვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მცირეწლოვან დამნაშავეთა (51431) მეოთხედი — 15 წლამდე ასაკის ბავშვია. დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით წამოწყებული კამპანია 2008 წლის 8-24 თებერვალს ჩატარდა და სახელმწიფოს 760.000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ახალგაზრდებს შორის ანტისოციალური და დანაშაულებრივი ქცევის წინააღმდეგ მიმართულ აქციაში ინგლისისა და უელსის პოლიციის 39 ქვეგანყოფილება მონაწილეობდა. სამინისტროს წარმომადგენელი ვერნონ კოუკერი აცხადებს, რომ საზოგადოება პოლიციის ქმედებას სრული მხარდაჭერით შეხვდა. კოუკერი პირობას დებს, რომ 2008 წლის თებერვალში ჩატარებული კამპანია უკანასკნელი არ იქნება!

# ასობით ეონეხენსტონ გამახჯვებული მსახიობი

## და მისი ებიუტი დიდ სცენაზე



სცენა სპექტაკლიდან „რომეო და ჯულიეტა“

თანამედროვე თეატრის კორიფეს — რობერტ სტურუას მიერ რუსთაველის თეატრში მისაღებად გამოცხადებულ კასტინგში, 2000-მდე მსახიობი გოგონა მონაწილეობდა. ბატონმა რობერტმა სამ მათგანზე შეაჩერა არჩევანი. მათ შორისაა მანანა აბრამიშვილი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, თეატრის ახალი სპექტაკლის — „სტუმარი“ — პრემიერით წარდგა მაყურებლის წინაშე...

### ნათია ქვიციანი

— რუსთაველის თეატრში მოხვედრა ბევრი დამწყები მსახიობისთვის აუღდენელ ოცნებად რჩება. შენ გაგიძარტლა და სულ რამდენიმე თვეა, ამ სახელგანთქმული თეატრის მსახიობი ხარ. ამისთვის კი საკმაოდ მძიმე და მკაცრი კონკურსის გავლა მოგიხდა. გვიამბე, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

— შარშან სექტემბერში რუსთაველის თეატრში კასტინგი გამოცხადდა. რობერტ სტურუამ „ვეფხისტყაოსანი“ უნდა დადგას და სწორედ ამ სპექტაკლისთვის სურდა, მსახიობი გოგონები შეერჩია... ზღვაზე დასასვენებლად ვიყავი წასული, როდესაც ჩემმა ჯგუფელებმა დამირეკეს და ეს ამბავი შემატყობინეს. მეორე დღესვე ჩამოვედი და რუსთაველის თეატრში მივედი. ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ პირველ დღეს, გასაუბრებაზე სულ 12 გოგო მივედით. 6-მა გოგონამ გასაუბრება მაშინვე გაიარა. მერე ბატონმა რობერტმა რეპეტიცია დაიწყო და დანარჩენი 6 მსახიობი მეორე დღისთვის დაგვიბარა. მეორე დღეს კი იმდენი ხალხი მოვიდა, რომ ყველანი იმედი გადამეწურა... ვიდრე კასტინგი დაიწყებოდა, ყველა ერთად შეგვიყვანეს და თეატრის დირექტორმა, ზაალ ჩიქობავამ გამოგვიცხადა, — „ვეფხისტყაოსნისთვის“, პირველ რიგში, თქვენი გარეგნობა გვინტერესებს, ამიტომ ჯერ შეგათავალიერებთ და პირდაპირ გეტყვით, ვინ — ნაივდეს და ვინ — გასაუბრებაზე დარჩესო. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ყველა დავეტოვებინეთ და სათითაოდ შეგვაბონშეს. ჩემ წინ 6 გოგო შევიდა და ყველა მათგანი უკან მალევე გამოვიდა. მე მეშვიდე ვიყავი. რობერტომ მითხრა, — ლექსი ნაივდესეო. მარი აბრამიშვილის „აი, სად შემხვდი“ ნაივდესეო. მერე შემეკითხა, ცეკვა თუ შეგიძლიაო? — თუ გნებავთ, ვიმღერებ კიდევ-მეთქი, — ვუპასუხე და საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ წამოვიწყე. სიმღერის დამთავრებისთანავე, ასეთი ამოცანა დამისახა: წარმოიდგინე, რომ ეკლესიაში ხარ, მომავცდავი შვილი გაყავს და ღმერთს მის გადარჩენას ევედრები, „შენ ხარ ვენახი“ კი ლოცვის სახით იგალობეო. ამ ამოცანის შესრულება არ გამჭირვებია. ბოლოს, უკვე დაჩოქილი აღმოვჩნდი და გაქვავებული სახეზე ცრემლები თავისთავად მომდლიოდა... ბატონ რობერტს ახალი იდეა დაებადა: ასე დაჩოქილმა წარმოიდგინე, რომ მუღლზე ჭიანჭველები დაესივნენ და ძალიან

შეგანუხეს, მაგრამ ამის გამო ღმერთთან კავშირის განწყობა არ გინდა, მერე კი უეცრად გაიფიქრებ, — ვაითუ, ეს ღვთიური ნიშანიაო?! ეს ამოცანაც შევასრულე. მერე რამდენიმე მუღლიაზე ვიცეკვე კიდევ. ბატონი რობერტი მაინც არ მომეშვა და მითხრა, — რომელიმე ლექსი ნაივდესეო, ოღონდ ისე, ვითომ ანგეღლინა ჯოლი ხარო... უცნაურია, მაგრამ ჯოლის „ნილაბორგებულმა“ რატომღაც, გალაკტიონის „წუხელი, ღამით ქარი დაქროდა“ ნაივდესეო. ბოლოს, ბატონმა რობერტომ მითხრა, — ახლა ეს ლექსი ისე სექსუალურად ნაივდესეო, რომ ამ დარბაზში მსხდომი მამაკაცები აქედან გასატანები გახდნენო... ესეც რომ გავაკეთე, მადლობა გადამიხადა და გამომიშვა. გარეთ მყოფი კონკურსანტები ალღელებულნი დამხვდნენ. მითხრეს: იმდენ ხანს გააჩერა, შენ ნამდვილად მიგაღებენო. ზუსტად მესამე დღეს დამირეკეს და მეორე ტურზე დამიბარეს. იქ მისულმა შევიტყვე, რომ ამდენი გოგოდან მეორე ტურში მხოლოდ 8-ნი გასულვართ. გასაუბრებაზე რომ შევედი, ბატონმა რობერტომ მითხრა, — ახლა ძალიან მეძინება და გამომაფიხილეო. ავდეკი და მხიარული სიმღერები შევასრულე. მერე რაღაც ფურცლები მომცა და მითხრა, რომ იქ დაწერილი ტექსტი სხვადასხვანაირად უნდა ნაივდესეო. ამით მეორე ტური ამოიწურა, რის შემდეგაც ძალიან დიდხანს ჩემთვის არავის დაურეკავს. ერთ დღეს კი ჩემს ტელეფონზე უცნობი ნომრიდან ზარი დაფიქსირდა. რატომღაც, ჩვევად მაქვს, რომ უცხო ზარებს არასოდეს ვპასუხობ. იმ ნომრიდან მთელი დღე მირეკავდნენ. საღამოს ვიფიქრე, — მგონი, ვიღაცა ძალიან უჭირს-მეთქი და ვუპასუხე. თურმე, რუსთაველის თეატრიდან რეკავდნენ: მაცნობეს, რომ ბატონმა რობერტმა თეატრში მიმიღო. ვერ წარმოიდგენთ, რა რეაქცია მქონდა: ველარ ვაცნობიერებდი, ვტიროდი თუ ვიცინოდი. ეს ემოცია დღემდე მომყვება. რატომღაც, არ მჯერა, რომ ეს სინამდვილეა და ჩემს თავს ხდება. თეატრში პირველად რომ შევედი, კედლებს ხელით ვესებოდი, იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს სიზმარი არ იყო...

— მოდი, ახლა ის მოგიყვები, როდის და როგორ გადამწყვიტე რომ მსახიობი გამხდარიყავი?

— ამის თქმა გამიჭირდება, რადგან ბავშვობიდან მსახიობობაზე ვოცნებობდი. შესაბამისად, ამ შეკითხვაზე

ვარ პასუხი არ მაქვს. მით უმეტეს, რომ ოჯახში მსახიობი არავინ მყავს... თავდაპირველად, თეატრალურ ინსტიტუტში რომ ჩავბარე, ქეთი დოლიძის სახელოსნოში მოვხვდი. სარეჟისორო-სამსახიობო ჯგუფები იყო. მერე, პირად ცხოვრებაში პრობლემების გამო, სწავლის შეწყვეტა მომიხდა. 4-წლიანი შუალედის შემდეგ კი, თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ხელმეორედ ჩავბარე და რეზო ჩხაიძის სახელოსნოში მოვხვდი. სწავლა შარშან დავაბრუნე.

— რომელი იყო შენი პირველი როლი? და საერთოდ, რა სამსახიობო გამოცდილება გაქვს?

— პირველი კურსიდანვე თეატრალურ ინსტიტუტში დადგმულ სხვადასხვა სპექტაკლში ვმონაწილეობდი. ჩემი პირველი სერიოზული როლი კი შექსპირის ბეისის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში — „რომეო და ჯულიეტა“ — იყო, სადაც ჯულიეტა განვასახიერე. ამ სპექტაკლით საქართველოს ყველა კუთხე შემოვიარეთ. დადგმა ახალგაზრდა რეჟისორებს — ნენო კვათახაძესა და ავთო ბაქრაძეს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, პირველსავე კურსზე, ინსტიტუტიდან გასტროლებზე ინგლისსა და შოტლანდიაში გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად, გამოცდილი მსახიობებიც იყვნენ, რომლებმაც იქ სპექტაკლი დადგეს. ჩვენ კი იქაურ კოლეჯში ლექციებზე დავდიოდით. ჩვენს გამოცდილებასაც ვუზიარებდით იქაურ სტუდენტებს. სხვათა შორის, იქ მართლა ბევრი რამ შევისწავლე.



პირველსავე კურსზე, ინსტიტუტიდან გასტროლებზე ინგლისსა და შოტლანდიაში გავემგზავრეთ (ელდინბურგში სეირნობისას)

— ვიცი, მარტის დამლევს გაიმართა სპექტაკლის პრემიერა, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებ...

— მართალია. რეჟისორმა გომა გორგოშიძემ ურიკ ემანუელ შმიდტის ნაწარმოების მიხედვით დადგა სპექტაკლი „სტუმარი“, სადაც ექიმ ფროიდის ქალიშვილის როლს ვასრულებ. სპექტაკლში, ჩემ გარდა, კიდევ სამი მსახიობი: ბაჩი ლევაგა, ბაჩო ჩაჩიბაია და გოგა ბარბაქაძე თამაშობენ. სხვათა შორის, რეჟისორმა პირველად იმუშავა რუსთაველის სცენაზე. ასე რომ, ეს სპექტაკლი ჩემთვისაც და მისთვისაც ასეთ დიდ სცენაზე სადებუტო იყო. თან, როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს პიესა საქართველოში პირველად დაიდგა.

— ვინც რუსთაველის თეატრში მოხვდება, ყველა ამბობს, რომ იმ სცენაზე გამოსვლა, სადაც გამოჩენილი მსახიობები მდგარან, საკმაოდ ძნელია. შენ როგორ შეგეფუ ამ სცენას?

— დღემდე უხერხულობის შეგრძნება მაქვს. რეჟისორმაც კი მომცა შენიშვნა, მითხრა, — ნუ გრძნობ თავს შეპოჭილად იმის გამო, რომ ამ სცენაზე დიდ მსახიობებს უთამაშიათო. თავმდაბლობამ საკუთარ თავში ჩამკეტა და მუშაობაში ხელს მიშლიდა. მეჩვენებოდა ამ გრძნობისგან გათავისუფლდი. ამაში კი თეატრში მომუშავე ხალხი დამეხმარა. ვერ წარმოიდგენთ, რუსთაველის თეატრში რამხელა სითბო და სიყვარული ტრიალებს. არაფანსადი კონკურენცია საერთოდ არ შეინიშნება, პირიქით — ყველა ყველაფერში მესმარება.

— რომელიმე ფილმში თუ მონაწილეობდი ან ახლა ხომ არ გაქვს რაიმე შემოთავაზება?

— თემურ ფალავანდიშვილმა გადაიღო ფილმი „უკანდი“. ეს ცხოვრებისეული დრამაა, რომელიმე ერთ-ერთ მთავარ როლს ვასრულებ. ამ სურათის პრემიერა კინოს სახლში უკვე გაიმართა. მეორე ფილმი კი, ირავლი კოჭლამაზიშვილმა გადაიღო. ეს სურათი დოკუმენტური გახლავთ, გალაკტიონის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. როგორც ჩემთვის ცნობილია, რეჟისორს ეს ფილმი რუსეთიდან დაუკვეთეს, შესაბამისად, მისი პრემიერაც იქ შედგება.



ვერ წარმოიდგენთ, რუსთაველის თეატრში რამხელა სითბო და სიყვარული ტრიალებს

# „ემერიკელი“ ქართველების წაღიღი, დანიელი „ჩოხოსანი“, სულის სემოსი პნუ

## რის უფლებას ართმავს ჯანს ჩოხა

სამი წლის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის რაინდთა დასი დაარსდა. საბჭოთა პერიოდში მოღვაწე, ძველი „ჩოხოსნებისგან“ განსხვავებით, მის მესვეურთა ძირითად მიზანს, პროტესტი არ წარმოადგენდა — ისინი ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებასა და მოყვასის მხარში დგომას ქადაგებენ. „ჩოხოსნების“ ერთ-ერთ წარმომადგენელთან, ბატონ კოტე მიქაძესთან საუბარი იმით დავიწყეთ, თუ როგორ გახდა „ქართველი რაინდი“ პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტეჟული — წმინდა სტანისლავის ორდენისა. როგორც მისმა უმცროსმა მეგობარმა, ასევე „ჩოხოსანმა“ ლაშა ცირამუამ მიაშპო, პოლონეთში ერთ-ერთ ოფიციალურ მიღებაზე ბატონი კოტე ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მისულა. მის დანახვაზე, მთელი დარბაზი უნებლიეთ, ფეხზე წამომდგარა. წვეულების დასასრულს, პოლონელები იმის გარკვევას ცდილობდნენ, მათაც შქონდათ თუ არა მსგავსი სამოსის ტარების უფლება...



### სათუნა ბახტურიძე

— ბატონო კოტე, პოლონელებმა წმინდა სტანისლავის ორდენით რისთვის დაგაჯილდოეს?

— სიყვარულისთვის. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. წმინდა სტანისლავის ორდენს 250 წლის ისტორია აქვს, მას პეტრე ჩაიკოვსკი და სალვადორ დალი ატარებდნენ. ორდენის დევიზი — „დასაჩუქრე და ნახალისე!“

— ქართველ „ჩოხოსანთა“ რიგებში რა მოტივით განეწიდა?

— სიმართლე რომ გითხრათ, ადრე ჩემში პროტესტს იწვევდა ის ფაქტი, რომ ჩოხის ჩასაცმელად, რომელიმე ორგანიზაციაში უნდა შევსულიყავი, მაგრამ გოგი დოლიძემ აგიტაცია გამიწია და ბოლოს და ბოლოს, ოფიციალურად გავწევრდი ჩოხოსანთა საზოგადოებაში. ბატონი გოგი ინიციატივიანი კაცია, საზოგადოებრივი საქმეების კეთება ძალიან უყვარს. არც თავად ისვენებს და არც სხვას ასვენებს. შეიძლება ითქვას, რომ მეც ამიყოლია.

— მეჩვენებოდა, ეს საზოგადოებრივი საქმიანობა რაში გამოიხატება?

— „ჩოხოსნებში“ ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ ახალქალაქის სოფელ სპასოვკაში ერთადერთი ქართული სკოლის ბავშვებს შეძლებისდაგვარად დავუხმარე. იქაურ ქართველებს ძალიან უჭირთ. გარდა იმისა, რომ უმცირესობაში არიან, მძიმე კლიმატურ პირობებშიც უწევთ ცხოვრება. „ჩოხოსნებმა“ სანერო შე-

ნატანიდან გარკვეული თანხა გამოყვავით, შემა ვუყიდეთ და ერთიანად გადავიხდეთ ფული იმისათვის, რომ დილაობით სკოლის სასადილოში ჩაი უფასოდ დაეღლიათ. სომხებს რაიმე პრეტენზია რომ არ გამოეთქვათ, უფასო ჩაით სომხური სკოლის ბავშვებზე უზრუნველყავით. ქართული სკოლის დირექტორმა ისიც გვითხრა, — კონცერტების ჩასატარებლად, აკორდეონს სომხური სკოლიდან ვთხოვლობთ ხოლმეო. პოდა, ავიღე ჩემი გიტარა, ერთმა „ჩოხოსანმა“ — თავისი აკორდეონი, მეორემ — პიანინო, სატიკითო მანქანა ისტრუმენტებით გავავსეთ და ამ სკოლაში წავიღეთ... ასევე ვპატრონობთ მოხუცთა პანსიონატის ბინადრებს, ფინანსურადაც ვხმარებთ და დღესასწაულებსაც ვულოცავთ. ახლა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი — ცნობილ ხელოვნების მოღვაწეთა დაბადების დღეების აღნიშვნა და მათი ნაღვანის პოპულარიზაციაა. ვახტანგ ტაბლიაშვილი სიკვდილის წინ ორჯერ მოვიწახულები. მისი ცხოვრების შესახებ უნიკალური კადრები გადავიღეთ. ახლა ძალიან მინდა, რომ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ფილმი გადავიღო. ამ ადამიანს საზოგადოების დიდი ნაწილი კარგად არ იცნობს, არადა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელიც გადასახლებაში ყოფნისას, არადაამიანურად მოკვლეს — 73 წლის კაცს თავში ურო ჩაარტყეს... გოგი დოლიძემ სტავროპოლის მხარეში ის სახლი მოძებნა, სადაც

ციფრები ცხოვრობდა. ამ ქალაქის ხელმძღვანელობას მოველაპარაკეთ და გადამხედა, რომ იქ დიმიტრი ციფრის მემორიალური დაფა გაკეთდეს. უამრავი ღირსეული მამულიშვილი ჰყავდა საქართველოს, რომელთა ხსოვნასაც შესაბამისად ვერ ვაფასებთ. ძალიან გვინდა, ქიზიყში „დოდაშვილობა“ დავანესოთ. კაცი 31 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ უამრავი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო. კიდევ ერთ ფაქტს დავასახელებ: ამ რამდენიმე ხნის წინ, გადავიღეთ ფილმი „კვლი“, სადაც „ჩოხოსნების“ ცხოვრება და მოღვაწეობაა ასახული. შვილები და შვილიშვილები გვყავს, მათ უნდა იცოდნენ, ვისი გორისანი არიან, ვინ იყვნენ მათი წინაპრები.

**— თქვენთან თანამშრომლობით ახალგაზრდები თუ არიან დაინტერესებულნი?**

— საინტერესო რა არის, იცით? ახალგაზრდას ამ საკითხზე ისე, უბრალოდ რომ დაელაპარაკო, არ აცხვება, მაგრამ როგორც კი რაიმე ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას, მერე უკვე საკუთარი ინიციატივით მოდის. ჩვენთან ყველაზე პატარა „ჩოხოსნანი“ წლინახევრისაა. 3 წლის ბავშვებიც გვყავს. მალე ჩემს შვილიშვილსაც მოვიყვან ამ ორგანიზაციაში. პატარებთან დაკავშირებით, ძალიან კარგი გეგმები გვაქვს. გვინდა, რომ ბავშვები ჩვენთან ერთად, თეატრში, ოპერასა და კინოში ვატაროთ, თვეში ერთხელ მათთვის ქართული ფილმების ჩვენება მოვანყოთ. ვფიქრობ, ამ გზით, ღირსეულ თაობას აღვზრდით.

**— „დასის“ წევრებისთვის ჩოხის ტარება აუცილებელია?**

— არა. რადგან ჩოხა ძალზე ძვირი სიაბოვნებაა (ყველაზე უბრალო ჩოხა და ქამარ-ხანჯალი 400-500 ლარი მაინც ჯდება), გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი წევრებისთვის ეს ვალდებულებად არ დაგვეწესებინა. მთავარია, სულით იყო ჩოხოსანი. რეზო ესაძემ ძალიან საინტერესო რამ თქვა: ჩოხა არ არის სხეულის სამოსი — ის სულის სამოსიაო! ჩემი აზრით, გენიალური ნათქვამია. სხვათა შორის, ვისაც საშუალება არა აქვს, მაგრამ გულით უნდა ამ სამოსის ტარება, მათ ვესმარებით. ჩოხას რომ ჩაიცვამს კაცი, ის იმ წუთშივე იგრძნობს, რომ ბევრი რამის უფლება აღარ აქვს...

**— მაინც, რისი უფლება არა აქვს?**

— გარდა იმისა, რომ „ჩოხოსანმა“ უღირსი საქციელი არ უნდა ჩაიდინოს, გარეგნულადაც კარგად უნდა გამოიყურებოდეს, მოშვებულად ჯდომა ან მოხრილი სიარულიც კი არ ეპატიება. როდესაც ჩოხა მაცვია, თითქოს „გამარჯობასაც“ სხვანიარად ვამბობ... ერთხელ ამერიკელი ჟურნალისტი გვესტუმრა. რამდენიმე დღე დარჩა ჩვენთან და აღფრთოვანებული გავემგზავრეთ სამშობლოში. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ ქართველ „ჩოხოსნებზე“ ექვსგვერდიანი სტატია გამოაქვეყნა. ეს დიდი სტიმული იყო იქაური ქართველებისთვის: როგორც შევიტყვე, ბევრ მათგანს ჩვენს საზოგადოებაში განწევრების სურვილი გასჩენია. სხვათა შორის, მინდა გითხრა, რომ დანიელი „ჩოხოსანიც“ გვყავს.

**— დანიელი კაცი რით დაინტერესეთ?**

— მართლა არ ვიცი, თავად გამოთქვა სურვილი. სკანდინავიური წარმოშობის ამერიკელია. მშვენივრად ცეკვავს „ქართულს“.

**— ახლა თქვენი ანსამბლის შესახებ მოგვიყვით.**

— ძალიან კარგი მუსიკალური ხელმძღვანელი გვყავს — ჯემალ ადამაშვილი. მორწმუნე კაცია. იშვიათი სიმღერები იცის და ჩვენც გვასწავლის. სიმართლე რომ გითხრა, ორი თუ სამი პროფესიონალი მომღერალი გვყავს, დანარჩენები — მოყვარულები ვართ.

**— თავად თუ გაქვთ მუსიკალური განათლება?**

— სპეციალობით ინჟინერი ვარ, მაგრამ მუსიკალური განათლებაც მაქვს მიღებული. მუსიკა რომ არა, ამდენ ნერვიულობაში, დიდხანს ვერ გაძლებდი. დარდისა და ფიქრისაგან თავის დახსნას მხოლოდ მაშინ ვახერხებ, როდესაც „ჩოხოსნებთან“ ვმღერი ან ჩემს ოთახში განმარტოებული, მუსიკას ვუსმენ.

**— რა განერვიულებთ, ბატონო კოტე?**

— მამაჩემი მაშინ გარდაიცვალა, როცა მიტინგები დაიწყო, ინერვიულა და გული გაუსკვდა. ქვეყანაში შექმნილი არეულობის გამო, მეც ძალიან ვნერვიულობ, მეშინია, ჩემს შვილებს რაიმე არ შეემთხვავთ.

**— „ჩოხოსნები“ პოლიტიკურ მოვლენებშიც მონაწილეობთ?**

— ჩოხას ადამიანებზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია, ამიტომ, პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმას კატეგორიულად გამოვირიცხავთ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველას ერთ აზრი გვაქვს: პოლიტიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავერევით, თუ — ღმერთმა დაგვიფაროს! — სისხლის ღვრა ატყდება. იარაღით არ გავარდები, მაგრამ რილაც ფორმით მაინც მივიღებ მონაწილეობას, შვილების ჩხუბს შორიდან ვერ ვუყურებ.

**— „ჩოხოსნებს“ შორის მებრძოლეთ თუ არიან?**

— კი, რამდენიმე მებრძოლი გვყავს. მათ შორის ერთ-ერთი, ოსია, რომელიც აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძოდა. პირადად ჩემთვის ეს ომი გაუმართლებელია, იმიტომ, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ახალგაზრდები, გამოუცდელი ქართველი ბიჭები სასაკალაოე მიჰყავდა. მათ შორის, ჩემი შვილიც იყო.

**— გადარჩა?**

— კი, გადარჩა. ღმერთს ვევედრებოდი — ნეტავ, ხელში ან ფეხში დაიჭრას-მეთქი... ერთხელაც, უვნებელი დაბრუნდა. გამიხარდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ გამოვიცხადე, — ბიჭებს სიტყვა მივეცი და უკან უნდა დავბრუნდეთ. სმა არ ამომიღია, წესით, მეც უნდა წავსულიყავი, მაგრამ ოჯახი ვერ დავტოვე. შეიძლება, თავს ვიმართლებ, მაგრამ ასე... ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ გმირებს არ ვაფასებთ. მეგობარი მყავდა — თამაზ ძიძიგური. აფხაზეთში რომ წავიდა, შინ ორი მცირეწლოვანი შვილი, ცოლი და მოხუცი დედა დატოვა. მეორე დღესვე დაიღუპა, მისი ოჯახი კი უპატრონოდ დარჩა. სახელმწიფო მათი მდგომარეობით ერთხელაც არ დაინტერესებულა...

„ჩოხოსანთა“ მოძრაობა, საქართველოსთვის ტრაგიკულ პერიოდში დაიწყო: გასული საუკუნის 20-იან წლებში, ოთხმა ახალგაზრდამ — კონსტანტინე გამსახურდიამ, პავლე ინგოროყვამ, ვახტანგ კოტეტიშვილმა და ალექსანდრე აბაშელმა, გლოვის ნიშნად, შავი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა. მეორედ „ჩოხოსნები“ ასევე პროტესტის ნიშნად გამოჩნდნენ: ცნობილმა ქველმოქმედმა და ინჟინერმა ბუკა ნაკაიძემ თავისი უახლოესი მეგობრები შემოიკრიბა და „ჩოხოსანთა საქმო“ ჩამოაყალიბა. შემდეგ, 1973 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს, დავით აღმაშენებლის 900 წლისთავის საიუბილეოდ, კედლის გაზეთის გამოშვების ნება არ დართეს, ჰენრი კუპრაშვილმა, ზურაბ გველესიანმა და თამაზ შეროზიამ ჩოხოსანთა ორგანიზაცია დააფუძნეს და გადაწყვიტეს, რომ ყოველ წელს, 8 თებერვალს ჩოხებში გამოიწყობილებს აღენიშნათ ეს დღე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღევანდელ „ჩოხოსანთა“ მთავარ მიზანს არა პროტესტი, არამედ მოყვანის მხარში დგომა და ეროვნული ტრადიციების განმტკიცება წარმოადგენს.





ლიპა ქაჩიაი

ალო, 16 წლის:

„გამარჯობა, ქალბატონო მარინა. ძალიან მომწონს თქვენ მიერ შესრულებული თითოეული როლი. ნამდვილად კარგი მსახიობი ბრძანდებით, რადგან ერთნაირად კარგად თამაშობთ ყველა როლს. მე თქვენი ერთგული ფანი ვარ და თითქმის ყველა სპექტაკლს ვესწრები. იმედი მაქვს, ახალი კინოროლებითაც მალე გაგვანებივრებთ. მაინტერესებს, ახლო მომავალში რომელ სპექტაკლში, რომელი გმირის როლში მოგვევლინებით და ასევე, კინოს სფეროდან ხომ არ გაქვთ რაიმე შემოთავაზებები? პასუხებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.“

მარინა პახიანი:

— ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ თინეიჯერ გოგონას უყვარს თეატრი. ახლო მომავალში, ჩემი მონაწილეობით, რუსთაველის თეატრში 2 სპექტაკლი გამოვა: გოჩა კაპანაძის მიერ დადგმული „მოხუცი ჯამბაზები“, სადაც ერთ-ერთი მოხუცი ჯამბაზის როლს შევასრულებ და სანდრო მრეველიშვილის „კვერცხი“ (მარსოს პეისის მიხედვით), რომელშიც ახალგაზრდა ქალბატონს, სიყვარულის სიმბოლოს განვასახიერებ... სამწუხაროდ, კინოს სფეროში ახალი არაფერია, ქართული კინემატოგრაფია ისევ დუმს და მის გამოლვინებას საშველი არ დაადგა. მქონდა შემოთავაზება რუსეთიდან, მაგრამ ჯერჯერობით, ფილმის გადაღება იქაც შეჩერებულია...

ნინო, ბათუმიდან:

„მინდა, ქალბატონ მარინას დავუსვა ასეთი კითხვა: მალე ბებია გახდებით და როგორ ფიქრობთ, ეს თქვენს „თინეიჯერობაზე“ რაიმე ზეგავლენას მოახდენს? იცით, მეც იმავე სიტუაციაში ვარ და ამ კითხვას ამიტომაც გისვამთ. იმის გამო, რომ ბებია უნდა გავხდეთ, მეგობრები ცუდ

„დიდი ეგლოზა ყველას, ვინს გაომეხმავს. ვინს ღაინსმეხმავს ჩემი ხელოვნებით, ჩემი პეისონაჟებით“

„აღუ ბაბია ვახდებით... ეს თქვენს „თინეიჯერობაზე“ როგორ იმოქმედებს?..“

დღეში მაგდებენ, დამცინიან, არადა, გარეგნულად ისე გამოვიყურები, მართლაც გასათხოვარი გოგონა გეგონებთ. როგორ ფიქრობთ, ნაადრევი ბებიობა კარგია? იმედია, პასუხს გულახდილად გამცემთ.“

— რა თქმა უნდა, კითხვაზე გულწრფელად გიპასუხებთ. ძალიან სასიამოვნოა, ჩემს ინტერვიუს ბათუმიდან რომ გამოეხმაურეთ. ალბათ იცით, ამ ორი თვის წინ თქვენს ქალაქში ვიყავი, სადაც ვმონაწილეობდი სპექტაკლ „მამურში“, რომელიც ცნობილი ფრანგული პეისის, „მამურს“ მიხედვით დაიდგა. სხვათა შორის, ამ სპექტაკლში შევასრულე ერთ-ერთი ჩემი უსაყვარლესი როლი, განვასახიერებდი 106 წლის ქალბატონს. ბათუმი ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ სპექტაკლზე მუშაობის დროს უფრო მეტად შემიყვარდა. იქ 3 თვე დავყავი... მართალია, ჯერ ბებია არ ვარ, მაგრამ რამდენიმე თვეში გავხდები და მეექვსეა, რომ ამან ჩემი შინაგანი სამყარო ძირეულად შეცვალოს. რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც დაგცინიან, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მგონია, რომ მათ თქვენი შურთ. არ შეიძლება, დასცინო ქალს, რომელიც კარგად, ახალგაზრდულად გამოიყურება და ასევე გრძობს თავს. ესე იგი, მათ ძალიან უნდათ, ასევე გამოიყურებოდნენ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ. ასე რომ, გული ნუ დაგწყდებათ.

ბიო:

„ძალიან საინტერესო ქალბატონი ბრძანდებით. მაინტერესებს, თქვენს მშობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ, როდესაც მსახიობობა გადაწყვიტეთ? ასეთი

ნარმატებული რომ გახდით, ამის მიზეზი მხოლოდ შრომაა თუ ვილაცამ შეგინყოთ ხელი? რას იტყვით იტყვით? თქვენ ხშირად გიმართლებთ?“

— რეაქცია ნამდვილად ჰქონდათ იმიტომ, რომ მე ქორეოგრაფიული სასწავლებელი დავამთავრე და ისინი მიიჩნევდნენ, რომ მშვენიერი მონაცემები მქონდა იმისთვის, რომ კარგი ბალერინა გამოვსულიყავი. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, 17 წლის, როცა უარ ვთქვი არჩეულ პროფესიაზე და სხვა ავირჩიე, მართალია — სცენა, მაგრამ დრამატული სცენა, სიმართლე გითხრათ, ამას სახლში ცოტა უსიამოვნებაც კი მოჰყვა. მიღწეულით ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილოა, ფიქრობს, რომ მეტის გაკეთება შეეძლო. რაც შეეხება ნიჭს, ბევრი მსახიობისთვის მარტო ეს არაა საკმარისი. შრომაც არის საჭირო... საბედნიეროდ, მე დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია, საკმაოდ ადრე მომაქციეს ყურადღება რეჟისორებმა, თვით რობერტ სტურუამ, რომელმაც მე-4 კურსელი რუსთაველის თეატრში მთავარ როლზე მიმინვა. თქვენ იტყვით, ახსენეთ, რა თქმა უნდა, ამის გარეშე ვერაფერს მიაღწევ.



საკმაოდ ადრე მომაქციეს ყურადღება რეჟისორებმა

**სევდა, 14 წლის:**

„პირველად რომელი როლი შეასრულეთ, ყველაზე მეტად, რომელი გმირი იყო თქვენს ხასიათთან ასე და რატომ? რომელ რეჟისორთან უფრო მოგწონთ მუშაობა და შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ერთი რეჟისორის მსახიობი ხართ? გკოცნით, ძალიან მიყვარხართ“.

— **შემდეგ, დრამატულ სცენაზე რუსთაველის თეატრში, სტურუამ დადგა შატროვის „ლურჯი ცხენები ნითელ ბალახზე“** — ძალიან ცნობილი და განმარტებული სპექტაკლი და მასში ვთამაშობდი საპოჟნიკოვას, რომელიც დღემდე ერთ-ერთ უსაყვარლეს როლად რჩება. მას შემდეგ, ბევრი საინტერესო როლის თამაში მომიხდა და რომელიმე გამოყოფა მიჭირს. მსახიობი ყოველთვის ცდილობს, ერთმანეთსგან განსხვავებული როლები შეასრულოს. ის სწორედ მაშინაა საინტერესო. ძალიან მიყვარდა კორდელია „მეფე ლირიდან“, მარია სტიუარტი და ა.შ. აღარ ჩამოვთვლი. ერთი რეჟისორის მსახიობი, ვფიქრობ, არა ვარ. საბედნიეროდ, არსებობენ ისეთი რეჟისორები, რომლებთანაც მუშაობა ძალიან სასიამოვნოა. პირველ რიგში, ჩემი პედაგოგი, მასტრო — რობერტ სტურუა. ბევრჯერ ვიმუშავე ბატონ გორა კაპანაძესთან. მიმუშავია ავთო ვარსიმაშვილთან, გოგა თავაძესთან და სოსო ნემსაძესთან, ბათუმში. თითოეულ მათგანთან საინტერესო და განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამომიყალიბდა.

**უცნობი ბოზო, 17 წლის:**

„ძალიან საინტერესო პიროვნება ხართ. თქვენი შვილი არასდროს შეგწინააღმდეგებიათ? მისთვის არასდროს გიყვირიათ? არ მჯერა, რომ მას ყველაფერში უგებდით. ისიც ძალიან მაინტერესებს, რძალთან როგორ ურთიერთობა გაქვთ და თქვენი შვილები ცალკე რატომ გადავიდნენ საცხოვრებლად? გკოცნით ძალიან ბევრს. მიყვარხართ“.

— **რა თქმა უნდა, შემწინააღმდეგებია კიდეც, ხანდახან მიყვირია, წარმოუდგენელია, ორი ადამიანი გვერდგვერდ ცხოვრობდეს და მათ რაც არ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, ერთნაირად აზროვნებდნენ ნებისმიერ საკითხზე და კამათის სურვილი არ უჩნდებოდათ.** კამათის მერე მივდივართ ხოლმე კონსენსუსამდე. სერიოზული უსიამოვნებები ჯერჯერობით არ გვექონია და იმედია, არც გვექნება. რძალთან მართლაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და იმედია, ასე გაგრძელდება. რაც შეეხება

მათ საცხოვრებლად ცალკე გადასვლას, ვფიქრობ, რომ რაღაც პერიოდი ახალგაზრდებმა ცალკე უნდა გაატარონ. თუმცა საბოლოოდ, განწყვეტილი გვაქვს, ვიყიდოთ დიდი სახლი, სადაც ყველა ერთად ვიცხოვრებთ.

**თინიჯიკარი:**

„მე ჩემს მშობლებთან ვერ ვმეგობრობ, რადგან ისინი ყოველთვის მეჩხუბებიან, ყველაფერს მიკრძალავენ. ძალიან მინდა, თქვენისთანა კარგი მშობლები მყავდეს, მაგრამ ალბათ, ამასაც ბედი უნდა. წარმატებებს გისურვებთ. თქვენ ისეთი მშობელი ხართ, რომ ერთი კი არა, ბევრი შვილი უნდა გყოლოდათ. გკოცნით უამრავს“.

— **სამწუხაროდ, მართლაც, ერთი შვილი არაა საკმარისი.** საქართველო ძალიან პატარაა და საკმაოდ ცოტანი ვართ. არ მინდა, ქადაგებასავე გამომივიდეს, მაგრამ მოვუნოდებ ყველა ახალგაზრდას, იფიქროს, პირველ რიგში, საქართველოზე და გამრავლდეს. თან ბევრად უფრო მზიარული და საინტერესოა ოჯახი, სადაც ბევრი შვილი იზრდება. შვილები უნდა გააჩინონ. სამწუხაროდ, ამაზე ფიქრი ჩემთვის ძალიან გვიანაა. თინიჯიკერი, ეცადე, მშობლებს გაუგო. მე არ ვიცი, რაში მდგომარეობს თქვენი ოჯახური პრობლემები, თუმცა, რა თქმა უნდა, მშობლებმა უნდა გაგიგონ, უნდა ეცადონ, რომ დაგიახლოვდნენ; მაგრამ ხანდახან ბავშვმაც უნდა გადადგას ნაბიჯი მშობლებისკენ და მათ რაღაცაში დაუთმოს, თორემ მალე მშობელი შენც გახდები და შეიძლება, იმავე პრობლემების წინაშე თავადაც დადგე ალბათ ამას სხვებიც გეუბნებიან, რომ ყოველთვის მშობლები არ არიან დამნაშავენი.

**ბოლო რამდენიმე კითხვაზე ჩვენც მოგვიხდა პასუხის გაცემა.**

**N.I:**

„გამარჯობა, ჩემო კარგებო! თქვენი რჩევა მჭირდება. ერთი ბიჭი მიყვარს, მაგრამ მას სხვა უყვარს. მან სხვათა შორის, გაიგო, რომ მიყვარს და როცა შემხვდება, თავზიანად, თბილად მექცევა. მგონია, რომ მასაც მოვწონვარ. მირჩიეთ, როგორ შევავარო თავი? გთხოვთ, არ ვიცი, რა ვქნა. ძალიან მიყვარს. ლიკა, გეხვეწები, დამიბეჭდე და მირჩიეთ რაიმე“.

— **ჩემო კარგო, თავადვე ამბობ, მას სხვა უყვარსო და რადგან რჩევის მოცემის უფლებას მაძლევ, გირჩევ საკუთარ თავს მოერიო.** შენ ახალგაზრდა ხარ და შესვდები ქეშმარილ სიყვარულს.

**გვანცა, 19 წლის:**

„გამარჯობა, ლიკა. მაპატიე, ასე გვიან რომ გწერ, მაგრამ მოსვენება დავკარგე, აღარ ვიცი, რა ვქნა. ჩემი საყვარელი ადამიანი სამი თვეა, ცხენშია და იცი, რატომ დააკავეს? — დანის ტარების გამო. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ მისი ნახვის უფლებას არ მაძლევს. პროკურორი პაენის უფლებას არ მაძლევს: ცოლი ხომ არ ხარო. ეს ერთი პრობლემა, მეორე კი ისაა, რომ ჩემს ძმას არ უნდა, ერთმანეთი გვიყვარდეს. მეუბნება, ცუდი ადამიანიაო. არადა, ვიცი, რომ ის ჩემ გარეშე ვერ იცოცხლებს. აღარ ვიცი, რა ვქნა. ერთხელ მაინც მანახვონ, რა მოხდება? მირჩიეთ რაიმე“.

— **ჩემო საყვარელო, ასე შორიდან ძალიან რთულია რაიმე რჩევის მოცემა.** გულწრფელად თანაგიგრძობ, ვიზიარებ შენს ტკივილს. ეცადე, სერიოზულად გააანალიზო, ეს ყმანვილი მართლაც ის არის, ვინც შენ გჭირდება ცხოვრებაში, მართლა გიყვარს თუ ეს მხოლოდ გატაცებაა. თუ მართლა გიყვარს, უნდა დაელოდო და ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ შენს სიყვარულს ვერავინ შეეხოს.

**ენიზბა, 17 წლის:**

„ლიკა, მინდა, ჩემს პრობლემებზე მოგწერო. ყველა მგზავნებს ვთხოვ, რამე მირჩიონ, რადგან ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენი აზრით, რა უნდა ქნას გოგომ, რომელსაც არჩევანი საყვარელ ადამიანსა და მშობლებს შორის აქვს გასაკეთებელი? თანაც ისე, რომ თუ საყვარელ ადამიანს აირჩევს, მშობლებს სამუდამოდ დაკარგავს. არადა ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. რას მირჩევთ, ღირს ასეთ სიტუაციაში სიყვარულისთვის ბრძოლა? წინასწარ დიდი მადლობა“.

— **ფიქრობ, ჯერ უნდა გაარკვიო მიზეზი, ასე კატეგორიულად რატომ გიკრძალავენ მასთან ურთიერთობას, რატომ არ მოსწონთ შენი რჩეული, ნუთუ ის მართლაც ისეთი ადამიანია, ვის გამოც ამქვეყნად ყველაფერზე ნახვალ და მშობლებსაც კი დაკარგავ?**

**ოლეგარიო:**

„როგორ მინდა, ადამიანებს ჩემი სატკივარი გვაგებინო. იმათ გულამდე მივღებ ჩემი სანუხარი თუ სიხარული, მაგრამ ვერ ვახერხებ. არ ვიცი, რის გამო, არა იმიტომ, რომ ვერ მიგებენ. არა, ჩემები, ყველანი კარგები არიან, უბრალოდ, მე არ გამომდის. მე ისინი, ყველა ძალიან მიყვარს, თბილები და ნალდები არიან... მირჩიეთ რაიმე! გთხოვთ!“

— **შენ თავად აღიარებ, რომ ისინი ძალიან კარგები არიან, საყვარლები. ესე იგი, შენშია პრობლემა და უნდა შეეცადო, გაიხსნა იმ ადამიანებთან, ვინც შენთვის ძვირფასია და ვისაც შეუძლია დაგესმაროს.**

გამოსაპარაკა

# „არ მესმის, ლოგინში როგორ ჩაუხეჩი?“



სამილუშა:

„პანუ, გეტყობა, რომ ძალიან საყვარელი ადამიანი ხარ და მინდა, ცხოვრებაში უზომოდ ბედნიერი იყო. დამიჯერე, გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს. როცა ჩვენს ცხოვრებაში ცუდი რამ მოხდება, მას აუცილებლად, დიდი ბედნიერება მოჰყვება ხოლმე და ეს დაუნერვლი კანონივითაა. კარგად დაფიქრდი, თუ ის ადამიანი არ გიყვარს, დაშვებული შეცდომის გამო, მის გვერდით ცხოვრებას თავს ნუ აიძულებ... მაგარია, დედამიწვილები რომ გყოლია. მეც მყავს და-ძმა და მათ გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ნუ მერყეობ, აუცილებლად ნახე ისინი. გაოცებული ვარ, დედაშენი როგორი კარგი ადამიანი ყოფილა, მან ხომ შენ შესახებ ყველაფერი გიამბო. ჰოდა, მოუფრთხილდი დედას. პანუ, იცოდე, საქართველოში ერთი ადამიანი მაინც ცხოვრობს, ვინც მთელი გულით თანაგიგრძნობს და ეს, მე ვარ. უფალი გფარავდეს.“

**BABY:**

„მართალია, ბიძაშენი ცუდად მოიქცა, მაგრამ მისთვის ყველაფერი უნდა აგეხსნა და თუ ის ბიჭი ნამდვილად გიყვარდა, არ უნდა დაშორებოდი. რაც შეეხება შენს ამჟამინდელ შეყვარებულს, თუ მის გრძნობებში დარწმუნებული არ ხარ, არ მესმის, ლოგინში როგორ ჩაუხეჩი? მგონი, თავადაც არ იცი, რა გინდა.“

**უცნობი:**

„მაინტერესებს, რატომ ხართ ასეთი სულელები? რატომ ჩქარობთ ვილაცასთან ლოგინში კოტრილას? ამას მაშინ ვერ მოასწრებთ, როცა გათხოვდებით? მერწმუნეთ, ყველა ქართველი, ქალში პატიოსნებას აფასებს და არა — გარყვნილებას. პირადად მე, თქვენისთანა არც შვილი მჭირდება და არც — რძალი. ღმერთმა დამიფაროს!“

**პატრუშა:**

„არ ვიცი, რა გირჩიო, რადგან თავადაც დაკვარგე სიყვარული და მას შემდეგ აღარავინ მყვარებია. რატომ? — ჩემს

„გზის“ №15-ში დაიბეჭდა 16 წლის პანუას მესიჯი, სათაურით — „გაყიდული ჩვილი და არაფრის გამო დაკარგული სიყვარული“. შეგახსენებთ, გოგონა მისტირის თავის პირველ სიყვარულს, რომელიც ბოროტი ენების გამო დაკარგა. ამჟამად პანუა საბერძნეთში ცხოვრობს და ჰყავს საქმრო, რომელსაც ქალიშვილობა შესწირა, მაგრამ ახლა ხვდება, რომ ის ბიჭი არ უყვარს. გოგონამ, რამდენიმე თვის წინ ისიც გაიგო, რომ თავის დროზე ბიოლოგიურმა დედამ გაყიდა და რომ ჰყავს დედამიწვილები, რომლებთან დაკონტაქტებასაც ვერ ბედავს.

გულთან ახლოს არც ერთ ბიჭს არ ვუშვებ, რადგან იქ ჩემი პირველი სიყვარული ცხოვრობს და სამუდამოდ ასე იქნება. ეგ ბიჭი თუ არ გიყვარს, დაშორდი, თავს ნუ იტანჯავ.“

**ლელა:**

„ვეფიქრობ, საკუთარი თავის რწმენა არა გაქვს და ამიტომაც, შეცდომას შეცდომაზე უშვებ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ. „დაიკიდე“ ყველაფერი და ცხოვრება თავიდან დაიწყე. გაიცანი დედამიწვილები, ახალ პარტნიორს კი შენი მართვის უფლებას ნუ მისცემ. შეეცადე, ნამდვილი სიყვარული იპოვო და საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნო. წარმატებებს გისურვებ!“

**ახალგაზრდა დედა, მამაკო:**

„ამქვეყნად უცნაური არაფერია და ყოველი ახალი სიყვარული წინას სჯობს. ქალიშვილობას ნუ მისტირი. მთავარი ისაა,

მაგრად გაგამწარებს. იცოდე, მერე სანანბელი გაგხდება.“

**თინიჯიკი დედა:**

„რატომ ირთულებ ცხოვრებას? რატომ იტანჯავ თავს? მერე რა, რომ ქალწულობა მას ჩააბარე? დამიჯერე, გამოჩნდება ადამიანი, რომელსაც ეყვარები, გეყვარება, გაგიგებს და შეცდომასაც გააბათილებს. არავის მისცე უფლება, თავის ჭკუაზე გატაროს. ისარე და იბედნიერე.“

**ბალღმართი ნიპი:**

„შენი „ესემესებით“ მივხვდი, რომ ის ბიჭი არ გიყვარს. მერე რა, რომ ქალწულობა ჩააბარე? — ამით ცხოვრება არ მთავრდება და მჯერა, წინ უამრავი ბედნიერი დღე გელის. იქნებ, შენს პირველ სიყვარულს ისევ ახსოვხარ? თუ სურვილი გექნება, შემეხმინე და ვიმეგობროთ.“

**მის რაალი:**

„მართალი ხარ, სისულელის გამო დაგიკარგავს ბედნიერება... სულით არ დაეცე, საკუთარი თავის რწმენა არ დაკარგო.“

**ბარუცაიხ:**

„ლიკ, როგორ ხარ? პანუა, როგორც მივხვდი, საბერძნეთში ცხოვრობ. შენი შეყვარებულის შესახებ რჩევას მოგცემ: ეტყობა, ის ბიჭი ბერძნულ ტრადიციებზე არაა აღზრდილი. ამას იმიტომ გეუბნები, რომ თავად ბერძენი ვარ და ვიცი. ჯობს, ისეთი ადამიანი იპოვო, ვინც არანაირად არ შეგზულუდავს. შემეხმინე.“

**თაშუნა, 19 წლის, ძვერიდან:**

„ძალა მოიკრიბე და დედამიწვილებს შეეხმინე. ახლა ყველაფერს რომ გიშლის შეყვარებულს, მერე რაღას იზამს? ეტყობა, ეჭვინია.“

**ალბაჯი:**

„სისხარულო, ეტყობა, ძლიერი ადამიანი ხარ, რამდენი რამე გადაგიტანია. გასაგებია, რომ მას ქალიშვილობა ჩააბარე, მაგრამ თუ არ გიყვარს, მთელი ცხოვრება არ უნდა მიუძღვნა. შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ისეთს შეგიყვარებს, როგორც ხარ. ძალა მოიკრიბე და შენს და-ძმას დაელაპარაკე. ერთმანეთს ნუ დაკარგავთ. წარმატებებს გისურვებ!“

**ლანა:**

„ეჰ, ჩემო პანუა, ბევრი უსამართლობაა ამქვეყნად. ბედს არ შეეგუო. მერე რა, რომ მასთან იწევი?.. შენი ყოფილი „ლოვეს“ მოქებნა არ გიციდია? მგონი, ეს უნდა გააკეთო... გკოცნი.“

„თუ შენ გაუბე აღმზრდელ დედას, იხივ გააკიებხ ჩადენილ შეცდომას...“

მასთან ერთად ცხოვრების აწყობას შეძლებ თუ არა.“

**ბანძის მამიკაელი:**

„მგონი, ევროპულ-აზიური აზროვნების ლაბირინთში გზა აგებნა. დაშვებული შეცდომებისგან დასკვნები გამოიტანე და ახლობლების დახმარებით სწორი არჩევანი გააკეთე.“

**როკ პრისტი:**

„შენს „ლოვეს“ არ უნდა დაშორებოდი. ის ხომ შენი წრფელი სიყვარული იყო?.. როცა ახალ შეყვარებულს ქალიშვილობა ჩააბარე, ძალიან ცუდად მოიქეცი, მაგრამ... დამიხსოვრე, მას აღარაფრის უფლება არ უნდა მისცე. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ და გაკოცე :)“

**იკუშაჯი:**

„ნუ ნერვიულობ, ჩემო კარგო. თუ იმ კაცთან ქალურ ბედნიერებას ვერ გრძნობ, ჯობს, დაშორდე. მერწმუნე, ქალიშვილობა არაფერს ნიყვტს. მთავარია, შენ რას განიცდი. მსოფლო საკუთარ თავსა და გრძნობებზე იფიქრე.“

**დაშორილიშაელი:**

„გირჩევ, იმ ტიპს დაშორდე, თორემ



**მ+ღ:**

„არ გიფიქრია, რომ საქართველოში დაბრუნდე და პირველი სიყვარული ნახო? ვფიქრობ, შენ ის ისე გიყვარს. ჩამოდი, იქნებ გაგიმართლოს. P.S. ლიკ, მე ყოველთვის ვკითხულობ შენს რუბრიკას და მაგრად მომწონს, მაგრამ რატომღაც, პირველად გიმესიჯებ და იმედია, დამიბეჭდავ. გაკოცეთ ყველას“.

**პატარა ლულა:**

„პანუა, ჯობია, იმ ტიპს ახლავ დაშორდე. ჯერ მართლა პანუა ხარ და თავის დროზე ნამდვილი სიყვარული გეწვევა, მანამდე კი ბედნიერებით დატყბი. უსაზღვრო სიყვარულს გისურვებ, უფალი გფარავდეს“.

**მულატა:**

„აუ, მაგარი სუსტი გოგო ხარ. მე ბებიას და ბიძის მაგრად „დავიკიდებდი“. რაც მინდა, იმას გააკეთებ, ამას ვერავინ დამიშლის... იმ ტიპს როგორ დაუნევი? აუ, თურმე, ტიპთან დანოლა არ „ტეხავს“ და დაშორება „გიტყდება“? მაგარს „ჭედავ“, რა. იმ ბიჭს ცოლად ჩმორი გოგო უნდა, რომელსაც იოლად „გაიგდება“. და კიდევ, დედამამიშვილებთან რა გინდა? — აქეთ გირეკონ. „ვაფუდედა“, საკუთარ ცხოვრებას თავადვე მოუღე ბოლო. იყავი დამოუკიდებელი და „არას“ თქმა ისწავლე. დაშორდი იმ იდიოტს, სანამ გვიანი არ არის. ქალებს სქესს ნუ გვირცხვენ, ცოტა მაგრად დადექი“.

**განა:**

„მეც მუშენებიან, და-ძმა გაყავს. გთხოვ, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი და შეემხმინე. გელოდები“.

**ყვანი:**

„იმის გამო, რომ იმ ბიჭთან ქალიშვილობა დაკარგე, ცხოვრება არ დაინგრიო და დრო ნამდვილი სიყვარულის ძებნას დაუთმე... იმას რა სჯობია, ორი დედა რომ გეყოლება და ორივეს ეყვარები?! თუ არა და, გამზრდელი დედის სიყვარულიც საკმარისია...“

**ნამდვილი, ორიბინალი მამრალი ვალო:**

„აუ, ეს რა „ჩხლართი“ მესიჯიაა... რა გითხრა, ჩემო კარგო, რით გაგახარო? შენს ადგილას ძველ სიყვარულს არ დავასამარებდი, მისთვის ვიბრძოლებდი. ეგაა მთავარი და არა შენი ვითომდა წესიერი ბიძა და მისი ოჯახი. ახალი „ლოვე“ გიყვარს თუ გემინია, რომ მის გარდა სხვა არავინ შემოგხედავს? დააშავე, ჩემო კარგო, როცა მას უსიყვარულოდ დაუნევი. უფალი გფარავდეს“.

**სვანის „ლოვე“:**

„თუ არ გიყვარს, მასთან ოჯახის შექმნა სისულელეა. შენს ადგილას არც სააგენტოში სიარულს შეგწვევდით. სიყვარულში მთავარი ნდობაა, ის კი თურმე, მართლმართლად გიშვებ, რაღაცების ჩაცმას გიკრძალებს. კარგად დაფიქრდი“.

**გაპტრი ბოზო:**

„გირჩევ, შენი ცხოვრება თავადვე მართო. გამბედაობა მოიკრიბე და შენი მშობლები ნახე. წარმატებებს გისურვებ! თუ ეკლესიაში დადიხარ, მოძღვართან მიდი, დაელაპარაკე და ის ჩვენზე უკეთეს რჩევას მოგცემს“.

**მის X14:**

„მშობლებმა გაგყიდეს, შენ კი მზად ხარ, ეს ყველაფერი აპატიო? არიან კი ამის

ლირსნი?.. რაც შეეხება შენს შეყვარებულს, თუ საკუთარ გრძნობებში დარწმუნებული არ ხარ, არანაირი მიზეზის გამო არ დარჩე მასთან. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და დაკომპლექსება არ ღირს“.

**ბიპა:**

„ძალიან აველედი. პატარავ, მხოლოდ საკუთარ გულსხმას მიენდე. შენზე უკეთ ვერავინ მოიფიქრებს, რა და როგორ უნდა გააკეთო. მთავარია, ისე მხიარული იყო და გიყვარდეს სამყარო. მინდა, დაგეხმარო და თუ სურვილი გექნება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი. მნამს, ეს ყველაფერი ნაღვლი და გტკივა. გთხოვ, არ იდარდო. გკოცნი და თავს გაუფრთხილდი“.

**ცრემლუპა:**

„რას ჰქვია, არ იცი, ეს როგორ მოხდა? აბა, მე ვიცი? სხვა გზა არ გაქვს, უნდა დაშორდე, რადგან ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება. იმედს ნუ დაკარგავ, შენც გეწვევა ნამდვილი სიყვარული“.

**ლოვა:**

„გამარჯობა, ლიკუმ. როგორ ხარ, დაიკო? მინდა, პანუას წერილს გამოვეხმაურო: ნამდვილად არაა კარგი თავგადასავალი და მეტიც, შენმა ნაამბობმა, პირადად ჩემში, ზიზილი უფრო გამოინვია, ვიდრე სევდა. 13 წლის ასაკში, რომელ სიყვარულზე და ნამდვილ გრძნობებზეა ლაპარაკი? ნეტავ, გამაგებინა, სად აქვს ამ ხალხს ამდენი ფანტაზიის უნარი? უხეშად ნუ მიიღებ, მაგრამ მე არც შენი ცრემლების მჯერა და არც გამოვლილი ნაწინავე დღეების. ბიძაშენი კარგად მოქცეულა, სახლიდან რომ გაგიშვა, თორემ საქართველოში ასეთ საქციელს მართლა არავინ გაპატიებდა და ოჯახსაც შეარცხვენდი. ვითომ გულისტკივილით რომ ამბობ, იმ ტიპს ქალიშვილობა ჩავებარებ, ვინმემ დაგაძალა? შენზე ძალა იხმარა? მაშინ, ახლა რატომღა ბორგავ? ღმერთმა ხელი მოგიმართოს და უფალმა ყველა ცოდვა შეგინდოს, თორემ ადამიანებმა შენნაირები არ

უნდა დაინდონ. წმინდა მარიამი გფარავდეს, ჩვენ ხომ მისი შვილები ვართ“.

**წინილა:**

„თუ ფიქრობ, რომ მასთან ბედნიერი ვერ იქნები, ჯობია, დაშორდე. შეიძლება, თქვა: სხვა სხვის ომში ბრძენია; რა გენალვლება, შენ კი არ ჩააბარე ქალიშვილობაო, მაგრამ მერწმუნე, ეს არაა მთავარი და ამის გამო ცხოვრება არ უნდა დაინგრიო. შენ თუ გაუგე შენს აღმზრდელ დედას, ისიც გაპატიებს ჩადენილ შეცდომას... გისურვებ, მალე ჩახუტებოდე შენს დედამამიშვილებს. გკოცნი“.

**კიპო:**

„ჩემო პატარა მეგობარო, ძალიან ძნელია, ვიღაცას რაიმე ურჩიო ისე, თუ ამის გამოცდილება არ გაქვს. ჩემო კარგო, ჯერ ძალიან პატარა ხარ, მაგრამ უკვე ბევრი რამ გამოგიცდია. თანაგიგრძნობ... იქნებ, დედას დაელაპარაკო? მასზე უკეთესად ვერავინ გაგიგებს! წარმატებებს გისურვებ, პატარა სიხარულო. უფალი იყოს შენი მფარველი, ყველგან და ყოველთვის...“

**ფაუსტი:**

„იცოდე, პანუე, რომ სიყვარული მაშინაა ძლიერი, როცა ერთმანეთის დაკარგვის გეშინიათ. შენი ნაამბობიდან ჩანს, რომ ის პატარა მიზეზის გამოც კი მიგატოვებს. რომ უფარდე, შენს მოდებობასაც აიტანდა და მიტოვებით არ დაგემუქრებოდა“.

**უცნობი:**

„დარწმუნებული ხარ, რომ გიყვარს? იქნებ, შეეჩვიე? თუ უყვარხარ, მაშინ მიგიღოს ისეთი, როგორც შეგიყვარა. ნუ მისცემ უფლებას, თავის ნებაზე გათამაშოს. წარმატებები!“

**AVRIL-LAVIGNE:**

„პანუა, ერთი შეცდომა ხომ დაუშვი და ფრთხილად იყავი, მსგავსი რამ აღარ დაგემართოს. დიდი მნიშვნელობა აქვს, ცხოვრების თანამგზავრად ვის აირჩევ. ჰოდა, კარგად აწონ-დანონე ყველაფერი. ჩემო კარგო, მინდა, უსაზღვრო ბედნიერება გისურვო“.

**„მინდა, წაღს მაინც გავხედავ სხულებს, მაგრამ...“**

**აბიტურიენტა:**

„აუ, ახლა სევდამ შემომიტირა და გადავწყვიტე, თქვენთვის მესიჯი მომეწერა. ვარ აბიტურიენტი. ძალიან მინდა, წელს მაინც გავხედავ სტუდენტს, მაგრამ სიზარმაცე მძლევეს. ვგრძნობ, რომ სათანადოდ არ ვემზადები, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავს მაინც ვერ ვერევი. გამოცდები კი უფრო და უფრო ახლოვდება, ნერვიულობა მემატება... ხალხნო, იქნებ, თქვენ მირჩიოთ რაიმე, საკუთარი გამოცდილებიდან. როგორ გახდით სტუდენტები? იქნებ, გამოცდების ჩაბარების პერიოდი გაიხსენოთ. თქვენს მესიჯებს სულმოუთქმელად ველი“.

*P.S. თუ აბიტურიენტკას წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.*



მისი ყველა სიმღერა პიტია, ამის მიზეზი, ალბათ, ლექსიცაა, რომელიც მანამდეც პოპულარული გახლდა, და მუსიკაც, რომელიც ასე ორგანულად ერწყმის ლექსს. ცნობილი მამის არანაკლებ ცნობილი შვილი, რომელმაც შეძლო მშობლის ჩრდილიდან გამოსვლა, ყოველგვარი დიდი ძალისხმევის გარეშე, 40 წლის ასაკში, დიდ სცენაზე პირველსავე გამოსვლით, უცბად გახდა პოპულარული და დღემდე ინარჩუნებს ამ პოპულარობას. მამუკა ჩარკვიანმა თავისი განსაკუთრებული ცხოვრების გზა განვლო, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, „წინ, კიდევ ბევრი გასაგლეჯია“.

**მანანა ჭირაქაძე**

— დავიბადე თბილისში, 1955 წლის 24 აგვისტოს, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ოჯახში. დედაჩემი — ირმა ჩხეიძე ფილოლოგია. დღემდე მგონია, რომ დედაჩემმა ყოველთვის ყველაფერი იცის, მას ყველა კითხვაზე აქვს პასუხი. როცა დედაზე ვლაპარაკობ, მისი უნიკალური ბიბლიოთეკა მასხენდებდა, რომელიც მამამისის — მიშა ჩხეიძის დანატოვარია. ის დიდი ხნის წინ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრი იყო. ნიჭიერი კაცი იყო, ცნობილი თავისი განსაკუთრებული სიყვარულით წიგნების მიმართ. მოსკოვიდან დაბრუნებულს, უზარმაზარი, მძიმე ჩემოდნები ჩამოჰქონდა, რომლებშიც წიგნები ეწყობო. დაბადებიდან დღემდე, პეკინზე ვცხოვრობ და ჩემი ბავშვობის მოგონებებიც ამ უბანთანაა დაკავშირებული.

**„ხუთუნეულას“ შემქმნელი, „გიტარა“, სტუდენტური „ამბოხი“ და მანეთიანების დასტა**

დიდი ეზო გვეკონდა, ბევრი ბავშვი ვიყავით, სხვადასხვა ასაკის, ვმეგობრობდით, ვჩხუბობდით, ვრიგდებოდით, კარგი დრო იყო. ჩემი და — თავო ჩემზე ცხრა წლით უმცროსია, მისი პირველი სიტყვები იყო: „მამუკა ჩემია“ და დღემდე აგრძელებს ამ ხაზს, ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა და შემიძლია, მშვიდად ვიყო.

— მამათქვენი ერთ-ერთი ცნობილი 60-იანელია. რა შემორჩა თქვენს ბავშვობის მოგონებებს — ვინ იკრიბებოდა იმ დროს თქვენთან ოჯახში, როდის ხდებოდა ეს?

— ო-ო-ო, ეს ხშირად ხდებოდა. მაგრამ პირველ იანვარს — დედაჩემის დაბადების დღეს თითქმის ყველა 60-იანელი — მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი... — ყველა, ყველა, ჩვენთან იყო. თამადა ამ დღეს ყოველთვის ბატონი ირაკლი იყო აბაშიძე.

— როდესაც ამ რუბრიკას რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი (პოეტ მორის ფოცხიშვილის ქალიშვილი) სტუმრობდა, მან განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენა ბიჭვინთაში გატარებული საზაფხულო არდადეგები, სადაც ყველა სამოციანელი, ოჯახთან ერთად, ისვენებდა.

— ეს მართლაც, დაუვინყარი დრო იყო. ძირითადად, აგვისტოში ჩავდიოდით, იყო ერთი ჟრიაშული, გრიალი... იქიდან აღარ გვინდოდა წამოსვლა. ჩემს დაბადების დღეს ყოველთვის იქ ვიხდიდი — მე ხომ 24 აგვისტოს ვარ დაბადებული! კარგ დროს ვატარებდით: მე, გიგი სულაკაური, ბასა ფოცხიშვილი, ოთარ ჭილაძის შვილები, რომან მიმინოშვილის ოჯახი, დათუნა მალრაძე, ნანა მალრაძე. მერე და მერე, რომ წამოვიზარდე, ყოველთვის ვცდილობდი, უფროსების გარეშე წავსულიყავი ზღვაზე. გაგრაშიც დავდიოდი და ბიჭვინთაშიც. მასხოვს, მაშინ უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული მქონდა და

ვმუშაობდი, ისე გამიტკბა გაგრაში ყოფნა, რომ ორი თვე გადავაბი გრიალი. მხოლოდ მამაჩემის აქტიური ჩარევის შემდეგ დავუბრუნდი თბილისს.

— მამუკა, ახლა მშობლები „განსაკუთრებულად არჩევენ შვილისთვის სკოლას — არა უზნის მიხედვით, არამედ პრესტიჟულობისა და „დონის“ მიხედვით. მაშინ როგორ იყო?

— მე პირველ საშუალო სკოლაში შემეყვანეს, მესამე კლასიდან კი აქვე, 61-ე სკოლაში გადმოვედი, რომელიც დავამთავრე კიდევ 1972 წელს. დაბალკლასებში ფრიადოსანი ვიყავი, მერე სამედიცინაში გადმოვედი. მეცხრე კლასში დავინწყე მუსიკის წერა. მე და ჩემმა მეგობრებმა სკოლაში ანსამბლი ჩამოვყალიბეთ და „ხუთუნეულა“ დავარქვით. ინსტრუმენტები ჩვენი შეძენილი იყო. ჯგუფის წევრები კლასელები ვიყავით და ერთი — ჩემი მეზობელი — ან გარდაცვლილი, პაატა ქობალია.

— საინტერესოა, იყო თუ არა პრივილეგიებულ მდგომარეობაში ცნობილი პოეტის შვილი? მასწავლებლები ისევე გსჯიდნენ, როგორც სხვა ბავშვებს? ოღონდ არ მითხრათ ახლა, ცელქ არ ვიყავიო.

— (იცინის) კი, ცელქი ვიყავი. ძირითადად, ლიტერატურა მაინტერესებდა და მუსიკა. მათემატიკის მასწავლებელი „გიტარას“ მეტახდა: ადექი, „გიტარა“, გაკვეთილი მოჰყევო. სულ ოინებს ვუწყობდი ხოლმე მასწავლებლებს. ერთხელ, ისტორიის გაკვეთილია და ჩანთიდან ტელეფონის ყურმილი ამოვიღე — ჩვეულებრივი ტელეფონის ყურმილი. მოზრულურები მაშინ სად იყო?! ისტორიის ბატონი ალექსანდრე ალბასანია გვასწავლიდა, ძალიან კარგი პიროვნება. ალო! — ჩაეძახე ყურმილში, — ბატონი ალექსანდრე დაკავებულია, გაკვეთილს გვიხსნის-მეთქი... მერე ვაგრძელებ, — ბატონო ალიოშა, სასწრაფო საქმე აქვთ და ვერ მოიცდიან, მობრძანდით და დაელაპარაკეთ-მეთქი. გაჩერდა, თავი გადააქნია და მშვიდად მითხრა: დაკვიდე ყურმილი, ჩარკვიანო და გარეთ გაბრძანდიო... რაც შეეხება პრივილეგიებს, იმ პერიოდში არანაირი განსაკუთრებული მდგომარეობით არ ვსარგებლობდი. მამაჩემი საერთოდ არ იყო სკოლაში ნამყოფი, არც დედაჩემი დარბოდა მასწავლებლებთან ხშირად, ზოგიერთი მშობელივით.

— ნუთუ მშობლები არ ჩარეულან თქვენს სამომავლო გეგმებში? გადანყვეტილ-



ირმა პაგარა ჯანსუღ ჩარკვიანი მარჯვს

**ბა სწავლის გაგრძელების შესახებ დამოუკიდებლად მიიღეთ?**

— რადგან ლიტერატურა მიყვარდა, გადავწყვიტე, უნივერსიტეტში, ფილოლოგიურზე ჩამეზარებინა, არც მშობლებს ჰქონიათ რაიმე ამის საპროტესტო, პირიქით — მომიწონეს გადაწყვეტილება და სკოლის დამთავრებისთანავე, იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი.

— 1972 წელი „გაგანა“ კომუნისტების ხანაა. კომუნისტური იდეოლოგია, მორალი — რას უზირი სწობდა ყოველივე ამას „ახალგაზრდა მომცხვარი“ სტუდენტი მამუკა ჩარკვიანი?

— პროტესტი ჩემთვის მიუღებელი რაიმის მიმართ ყოველთვის მუსიკა იყო და არის. ჩვენი ჯგუფი „ხუთუნჭულა“ უნივერსიტეტში განაგრძობდა არსებობას. მეორე კორპუსში, ფიზიკოსების კლუბში ვიკრიბებოდით ხოლმე, გამოსვლები კი პირველ კორპუსში გვქონდა. ვასრულებდით სიმღერებს „პინქ ფლოიდის“, „ლედ ზეპელინის“ რეპერტუარიდან და ჩემს სიმღერებს. მაგრამ ჩვენი „ამბოხი“ დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ ამბავს გავიხსენებ. „სტუდენტური დღეუბია“ და ჩვენც გვაქვს ერთი ნომერი — ჩემი სიმღერა. სიმღერა შევასრულეთ და თემა გავაგრძელეთ გიტარით, სოლო...



ჯანსუღი ყოველთვის ჩემი უფროსი მეგობარი იყო

ატყდა მთელი ამბავი — ტაში და ამ დროს დაუშვეს ფარდა, აღარ მოგვცეს გამოსვლის გაგრძელების საშუალება. მერე იყო გაფრთხილება. აღარც ფიზიკოსთა კლუბში შეგვიშვეს და ასე დამთავრდა ჩვენი ჯგუფის „მოღვაწეობა“.

— საინტერესოა, პროტესტის რა ფორმა აირჩიეთ ამის შემდეგ?

— (იცინის) ვერთობოდით მე და ჩემი მეგობრები „არასაბჭოურად“, დავ-

დიოდით „პაეზდკებში“... ჯანსუღი ყოველთვის ჩემი უფროსი მეგობარი იყო, რომელიც დიდი ინტერესით და სიყვარულით ადევნებდა ჩემი და ჩემი მეგობრების ვოიაჟებს თვალყურს, სწორად გვაშაყირებდა. ერთხელ მე და ჩემი მეგობარი ზურა ჩაფიქე გაგრამი მივდიოდით. ფული კი მქონდა — ჯანსუღის მეგობრებმა მარტუქეს, — მაგრამ ველოდებოდი, რომ მამაც დამაფინანსებდა. მართლაც, სადგურში გაცილებისას, მთელი „პაჩკა“ ჩამიდო ჯიბეში. გახარებულმა, ზურას გადავუღაპარაკე — აუ, ბიჭო, იცი, რამდენი ფული გვაქვს, მატარებელში რომ ავალთ, მაშინ დავითვალოთ-მეთქი... ავედით მატარებელში და რას ვხედავთ? — ჯანსუღს მანეთიანების შეეკრა არ მოუცია?! სულ ასი მანეთი იყო... გაგვაშაყირა, რა... ჩამოვედი და ხურდა დავუბრუნე — ორმოცდაათი მანეთი მივეცი და ვუთხარი — მეტი ვერ დავხარჯე-მეთქი...

საუბარში, ბატონ მამუკასთან სტუმრად მოსული, მისი ბავშვობის მეგობარი — თეიმურ გაფრინაძე ჩაგვერთო:

— ჯანსუღი სულ გვაშაყირებდა. ვოლგოგრადში ვიყავი და იქიდან აღფრთოვანებული დავბრუნდი, შთაბეჭდილებები ბიჭებს გავუზიარე: ლამაზი ქალები, გრი-

# „მგლები“ სრული ვერსიას!

## „მგლები 1“ „მგლები 2“, „მგლები 3“ და „მგლები 4“

### 18 აპრილიდან უუჩნესლ ყოველ პარასკევს! უუჩნესლ

### „ტელეპალიტრაში“

მრავალი მკითხველი დაუჩინებთ გვთხოვს რომან „მგლების“ სრული ვერსიის დაბეჭდვას. ვინაიდან „გზაში“ დავიწყეთ გოჩა მანველიძის ისტორიული რომანის — „დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი“ — ბეჭდვა, „მგლების“ სრული ვერსია „ტელეპალიტრაში“ დაიბეჭდება, რომელიც ისევე, როგორც „გზა“, „კვირის პალიტრის“ მედიასახლის ერთ-ერთი გამოცემაა.

ალი... შევგაგულიანე და გადავწყვიტეთ ვოლგოგრადში წასვლა, მაგრამ მშობლებმა არ გაგვიშვეს და ახლა მეცინება — ან ჩვენ რა გვინდოდა იქ, ვოლგოგრადში, ლამაზი ქალები სხვაგან გამოილია?.. როდესაც ბატონ ჯანსულს ვუსაყვედურე — მამუკა რატომ არ გამოუშვით-მეთქი? — ჯერ არაფერი მიპასუხა, მერე მითხრა, — არსად წახვიდე, შენთვის საჩუქარი მაქვსო, — და მეორე ოთახში გავიდა; იქიდან გამოსულმა წიგნი გამომინოდა წარწერით: „ვოლგოგრადის ბრძოლების მონაწილეს და ჩემს თანამესაზრგეს, დიდი პატივისცემით — ჯანსულ ჩარკვიანი“.



ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა და შემიძლია, მშვიდად ვიყო

— მამუკა, მესმის რომ სტუდენტობის დროს ერთობოდით. ალბათ იყო ბევრი გატაცება, მაგრამ იყო სიყვარულიც. როდის გენვიათ ეს დიდი გრძობა და რით დამთავრდა ამბავი პირველი სიყვარულისა? — პირველ კურსზე სწავლისას 19 წლის ვიყავი, ის — 17-ისა და ეს ამბავი ქორწინებით დამთავრდა. შეგვეძინა ირინოლა, რომელიც ახლა 30 წლისაა. შემდეგ კი, 5 წელიწადში მე და ჩემი

მეუღლე დავშორდით ერთმანეთს. 15 წელი ისე დავდიოდი და არც კი მიფიქრია ცოლის მოყვანა, ვიდრე ირმას არ შევხვდი — ჩემს დღევანდელ მეუღლეს, გენიალურ გოგოს, რომელმაც მაჩუქა ვაჟი — პატარა ჯანსულ ჩარკვიანი. ირმა ჩემი პირველი მსმენელია, მას კარგი გემოვნება აქვს.

— ვიდრე სიმღერა თქვენი მთავარი საქმე გახდებოდა, სად მოღვაწეობდით? სომეხები კარგი კარიერა გაგაპყებინათ?!

— (იცინის) კარიერა არ მიტაცებდა. უნივერსიტეტის დამთავრების მერე ვმუშაობდი შემოქმედებითი ახალგაზრდობის ცენტრში, მეტეხის თეატრში იყო ჩვენი ოფისი. ვანყობდით საღამოებს, უფრო ხშირად — ბაკურიანში სიმპოზიუმების დროს. შემდეგ გადავედი ლიტერატურის მუზეუმში, დირექტორის მოადგილედ, მერე — ქალაქის კულტურის სამმართველოს დირექტორის მოადგილედ და ბოლოს, სიმღერის გამო, ყველაფერს თავი დავანებე.

— როდის და სად შედგა თქვენი დიდი სასცენო დებიუტი?

— ომის შემდგომი პერიოდი იყო (აფხაზეთის კონფლიქტი მაქვს მხედველობაში) მერე — სამოქალაქო ომი და ის დრო დგებოდა, როცა ნელ-ნელა ლაგდებოდა ყველაფერი. ჯანსულის შემოქმედებითი საღამო მოეწყო ომგადატანილ თბილისში და შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან ინტერესიც დიდი იყო. ჩემი სიმღერა — „მწვანე რტოები“ მერაბ სეფაშვილს უნდა შეესრულებინა, მან კი როგორღაც დამიყოლია, მასთან ერთად გამოვსულიყავი სცენაზე. ისე ვვლავადი,



პროტესტი ჩემთვის მიუღებელი რაიმის მიმართ ყოველთვის მუსიკა იყო და არის

როდესაც სიმღერა დამთავრდა, მიკროფონი ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან. მერე წავიდა და წავიდა. მეორე დღესვე ამ სიმღერას რადიო ატრიალებდა 24 საათი, გაჰიტდა, რა!.. შემდეგ იყო სხვა სიმღერები. ერთ რომელიმეს ვერ გამოვყოფ, რადგან ყველა კარგად მიიღო მსმენელმა. ახლაც მაქვს ახალი სიმღერები, მაგრამ რატომღაც, ვერ მივალნიე ჩამწერ სტუდიამდე. 6 სიმღერა მაქვს მზად, „ორკესტროვკა“ გია მაჭარაშვილმა გამიკეთა — სრულიად უსასყიდლოდ. საერთოდ, გიას დიდი როლი მიუძღვის ჩემს შემოქმედებით წარმატებებში. ალბათ, მისი ვალიდან სიცოცხლის ბოლომდე ვერ ამოვალ.

— მამუკა, თქვენ უამბიციო ადამიანი ხართ?..

— ალბათ, კი. არც კარიერა მაინტერესებს და არც — პოლიტიკა. თუმცა ჩემთვის სულერთი არ არის, როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებ, როგორი იქნება ჩემი სამშობლო — საქართველო. ვმღერი მაშინ, როცა მემღერება, ამ ბოლო დროს კი, რატომღაც, აღარა ვარ სიმღერის ხასიათზე. მიზეზს ვერ გეტყვი, შეიძლება, ყოფიან ამის ბრალი, შეიძლება — სხვა რამ.

— წარსულიდან რას წამოიღებდით? რა ან ვინ არის თქვენთვის ყველაზე ფასეული და რაზე გწყდებათ გული?

— გული — по большому счету — არაფერზე მწყდება. ჩემი გზით ვიარე და კიდევ ბევრი მაქვს გასავლელი. ყველაზე ფასეული კი — ჩემი ოჯახია: მშობლები, შვილები, მეუღლე, და. ჩემი ცხოვრების გზა კი ყოველთვის იყო გზა თავისუფლებისაკენ.

დანანებით დავემშვიდობე ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს და სადარბაზოში ვიდრე ლიფტს ველოდებოდი, მეზობელი ბინიდან მუსიკის ხმა გამოვიდა. „მე რომ გელი, იცოდე, ისე არსად გელიან“. როგორც ჩანს, მამუკა ჩარკვიანს მეზობლებშიც ჰყავს ფანები... უკვე გვიან იყო და დოლიძეზე ტაქსი გავაჩერე, ტაქსის მძღოლმა რადიო ჩართო და იქიდანაც მამუკა ჩარკვიანის ხმა ჩამესმა — ისევე და ისევე სიყვარულზე მღეროდა:

„ჩვენი სათქმელი უთუოდ დღეს ვთქვით, რა დროს შიშია და მოკრძალება?! ეს სიყვარული საუბრობს ლმერთთან, და ალბათ, მალე ჩამობრძანდება...“

კალიფორნია

# მიცვალებულმა საკუთარ დაკრძალვაზე დაიგვიანა

უდროოდ გარდაცვლილი დენის ჰემილტონი კანადის ალბერტის პროვინციაში სამსახურში გარდაიცვალა. გარდაცვლილის ცხედარი კანადის აღმოსავლეთით მდებარე ნიუფაუნდლენდის პროვინციაში უნდა გადაესვენებინათ, მაგრამ მიცვალებულმა საკუთარ დაკრძალვაზე დაიგვიანა. ავიაკომპანიამ — Air Canada ჰემილტონის კუბო ავიარეისიდან მოხსნა, რათა საბარგულში მგზავრთა ბარგისთვის ადგილი გამოეთავისუფლებინა. კომპანიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რეისის შეყოვნების გამო, კუბო მონრეალისკენ მიმავალი თვითმფრინავის ბორტზე ვერ მოხვდა. კომპანია კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას იმის შესახებ, თითქოს ჰემილტონის კუბო რეისიდან საბარგო განყოფილებაში ადგილის სიმცირის გამო მოხსნა. „სამწუხაროდ, ამას უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ვვარაუდობდით“, — ამბობს Air Canada-ს წარმომადგენელი. ცნობისათვის: ალბერტისა და ნიუფაუნდლენდის პროვინციებს შორის მანძილი 4000 კილომეტრია.

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

# ღვრისი ქალური პერსონა

მსოფლიო სტატისტიკის თანახმად, დეპრესიით გატანჯულთა სამი მეოთხედი ქალია, ხოლო მამაკაცები მხოლოდ ერთ მეოთხედს თუ შეადგენენ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დეპრესია, ძირითადად, ქალური დაავადებაა. თუმცა მთლად ასეც არაა საქმე. უბრალოდ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ქალები დეპრესიის მიმართ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი.

## ქალური ღვრისი გამომწვევი მიზეზები

საზოგადოდ, დეპრესიის ნებისმიერი მიზეზი ორ ჯგუფად იყოფა. ენდოგენური (ანუ შინაგანი) მიზეზები თავის ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესებით არის განპირობებული. ეგზოგენურს (ანუ გარეგანს) კი სტრესი, ნერვიული გადაღლა და ტრავმული სიტუაციები იწვევს. დეპრესიისკენ ქალებს მამაკაცებზე ბევრად მეტი შინაგანი მიზეზი უბიძგებს. მამაკაცურისგან განსხვავებით, ქალური დეპრესია უფრო სწრაფად ვითარდება და ხშირად უფრო ღრმავალია, რამაც მნიშვნელოვან როლს რამდენიმე ფაქტორი ასრულებს. კერძოდ:

## ნივთიანებათა ცვლის თავისებურებები

ჰორმონული ფონი ქალებში მამაკაცებზე უფრო ხშირად და სწრაფად იცვლება, რაც მენსტრუალურ ციკლთანაა დაკავშირებული. ორგანიზმში მიმდინარე ცვლის პროცესები, თავის მხრივ, ტვინში მიმდინარე ცვლის პროცესებთან არის დაკავშირებული, ხოლო ჰორმონული ფონი კი წინამენსტრუალური სინდრომის დროს განწყობილების მკვეთრი ცვლილების, ანდა მშობიარობის შემდგომი დეპრესიის მიზეზი ხდება.

## ინფორმაციის ქალური აღქმის თავისებურებანი

უკვე წარსულს ჩაჰპარდა ის დრო, როცა იმის დასამტკიცებლად, რომ ქალური აზროვნება მამაკაცურს არაფრით ჩამოუვარდება, ლამის ნამდვილი ბრძოლები იმა-

რთებოდა. ახლა, როცა ეს უკვე აღიარებული ფაქტია, დღის წესრიგში დგას ახალი საკითხი — მაშ, რაში მდგომარეობს განსხვავება?

„ქიმიურ-ბიოლოგიური თვალსაზრისით, ქალის ტვინში შეღწეული სიგნალი, რომელიც საქმეში ტვინის სტრუქტურების მეტ რაოდენობას რთავს, უფრო გრძელ გზასაც გადის. ხოლო რაც უფრო გრძელია გზა, მით მეტია გადაცდომის ალბათობაც, რაც როგორც მექანიკაში, ისე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მოქმედი უნივერსალური პრინციპია“, — განმარტავს რუსული კლინიკა „პრეობრაჟენის“ მთავარი ექიმი ვი-აჩესლავ დავიდოვი. თუმცა მოვევით მაღალ მატერიებს და თუნდაც ბანალური ქოლგების მაგალითი მოვიხმოთ. ზოგიერთი ხელჯოხის ფორმის ქოლგის დამტკრევა ძალიან ძნელია, რადგან ნაკლებ დანაყოფებს შეიცავს. მაგრამ, სიდიდისა და მოუხერხებლობის გამო, მისი ტარებაც საკმაოდ ჭირს. სამაგიეროდ, ხუთი დანაყოფის მქონე დასაკეცი ქოლგა თვით ყველაზე პატარა თეატრალურ ხელჩანთაშიც კი ადვილად ეტევა. თუმცა, სწორედ ამ თვისების გამო, მისი გატეხის ალბათობაც რამდენჯერმე იზრდება.

## ქალური ემოციური სფეროს თავისებურებანი

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პუნქტი ყველას არ ეხება. მაგრამ მაინც საკმაოდ გავრცელებული ფაქტია. ბევრ ქალს მრისხანების გამოხატავსთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ამაში ნაწილობრივ დამნაშავეა სოციალური ნორმები, რომელთა მიხედვითაც ქალს ყველაზე მეტად მრისხანება არ შეეშენის. ამიტო-



მაცაა, რომ ხშირად ქალები მრისხანების გამოხატვას წყენის სახით ამჯობინებენ, რომელსაც თან წუნუნა, საკუთარი თავის დათრგუნვა და სიბრაღული ერთვის.

მაგრამ ქალური დეპრესიის მხოლოდ ენდოგენური ფაქტორებით ახსნა ძალზე მარტივი გამოსავალი იქნებოდა. არადა, ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც მარტივადაა საქმე. ანუ ჰორმონების „აჩოჩქოლება“ და ადამიანის გულის დამძიმება და დათრგუნვა ერთია. სინამდვილეში, ჰორმონული ცვლილება მხოლოდ დეპრესიის კატალიზატორია, ხოლო ძირითადი მიზეზები კი ისევ გარეთაა საქებარი. მაგალითისთვის, ქალები მამაკაცებზე უფრო მტკივნეულად რეაგირებენ ოჯახურ და შვილებთან დაკავშირებულ პრობლემებსა თუ პირად უსიამოვნებებზე.

ქალური დეპრესიის პრობლემა ერთგვარ „ჩაკეტილ წრეზე“ მოძრაობაცაა. ყველაფერი კი ჰორმონული ფონის ცვლილებებით იწყება, რომელსაც შეიძლება, ტრავმის გამოწვევი ცხოვრებისეული ეპიზოდის დაერთოს. ამის შემდეგ ხდება ინფორმაციის დამუშავება, რომლის დროსაც ჩავარდნიბა შესაძლებელია. ეს, თავის მხრივ, ჰორმონების რაოდენობის ცვლილებას იწვევს და წრეც იკვრება.

## როგორ აღმოვაჩინოთ ღვრისი?

ერთი შეხედვით ეს თითქოსდა, გულბრყვილო კითხვაა. დეპრესიაში ხომ მაშინ ხარ, როცა გული იმდენად გაქვს დამძიმებული, რომ ამქვეყნად აღარაფერი გახარებს. თუმცა ასე ამკარად გამოხატული დეპრესია მაინც სანახევრო უბედურებაა. არსებობს უფრო საშიში, შენიღბული დეპრესიაც, რომლის დროსაც წინა პლანზე განწყობილების დაქვეითება კი არა, ტკივილის შემცველი ფაქტორები გამოდის. თანაც, ტკივილები შეიძლება, ნებისმიერ ადგილზე: ზურგში, კიდურებში და ა.შ. გაჩნდეს. არცთუ იშვიათია კუჭთან დაკავშირებული პრობლემებიც. შენიღბუ-

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია**  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაჩა	2 კვ.
1. რუსეთის ზღვრისა	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	35.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.90	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.90	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.5
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრესის გადრეკილების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქს: 38-26-74  
 ავრეთვე ნებისმიერი სხვა დასაბეღების ჟურნალ-გაზეთები  
 E-mail: elva@kvispalitra.com

ლი დეპრესია ძირითადად, ქალების ხვედრია. ისინი მამაკაცებზე უფრო მეტად ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობაზე, ამიტომაც „ორგანიზმში არსებული უნესრიგობის“ გამოც უფრო მეტად შფოთავენ. სტატისტიკის მიხედვით, იმათ შორის, ვინც ექიმს სომატური ავადმყოფობების სიმპტომებით მიმართავს, დაახლოებით 30%-ს სწორედაც შენიღბული დეპრესია ანუხებს.

და მაინც, გამოვუტყდეთ საკუთარ თავს, რომ მხოლოდ იოქონდრიკები თუ აღიქვამენ დეპრესიად განწყობილების დაქვეითებისა თუ ტკივილის ცალკეულ შემთხვევას. მამ როგორღა შეიძლება დეპრესიის ყველა სხვა დანარჩენი სიმპტომისგან გამოცალკევება? ამ კითხვაზე ვვლავაც კლინიკა „პრეობრაჟენის“ მთავარი ექიმი ვიჩქესლავ დავიდოვი პასუხობს. მისი აზრით, „დეპრესიის ერთ-ერთი დამახასიათებელი სიმპტომი ძილის სისტემატური დარღვევაა. დაძინებასა და გამოღვიძებასთან დაკავშირებული სირთულეები, რეგულარული კომპარული სიზმრები, განწყენებული აზრები (რომლებიც ემოციურ რეაქციებს არ იძლევა, მაგრამ ადამიანი მათ მაინც მუდმივად განიცდის) უშლის სწორედ ხელს დაძინებას, ანდა შუალამისას გამოღვიძებას იწვევს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თუ თქვენ რამდენიმე დღე ერთმანეთის მიყოლებით ცუდად ან საერთოდ არ გძინავთ, უთუოდ

დეპრესიის ზღურბლთან დგახართ და მამინვე ექიმთან უნდა გაქანდეთ. არსებობს სტრესული სიტუაციები, რომლებიც ნერვული სისტემის ზედმეტად დაძაბვასთანაა დაკავშირებული და მალევე განიმუხტება ხოლმე. მაგრამ თუ ასეთი სიტუაციები სისტემატური ხასიათისაა (მაგალითად, მთელი თვე გრძელდება) და სიცოცხლის ხარისხს აქვეითებს, მაშინ მათ ბევრად მეტი ყურადღებით უნდა მოევიდოთ“.

პასუხი კითხვაზე, თუ როდის უმჯობესია დეპრესიის თაობაზე ექიმისთვის მიმართვა, ბანალურია და, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დაავადების დროს, მარტივად ჟღერს: რაც ადრე, მით უკეთესი. ანუ მით უფრო ნაკლები ძალისხმევა გახდება საჭირო მკურნალობისთვის.

მეგაპოლისების იმ მცხოვრებლებს, რომლებიც ბევრს მუშაობენ, უფრო ხშირად ასტენოდეპრესიული სინდრომი ახასიათებთ. ეს დეპრესიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსუბუქი ფორმაა, რომელიც ნერვული სისტემის მუდმივი დაძაბვისა და გადაღლის შედეგად წარმოიშობა. მაგრამ თუ მას ყურადღებას არ მიაქცევთ, დეპრესიული ეპიზოდები შეიძლება, გახანგრძლივდეს და გახშირდეს კიდევ. შრომას გადაყოლილი ადამიანისთვის თერაპიად შეიძლება ის დღის რეჟიმი იქცეს, სადაც, მუხლჩაუხრე-

ლი შრომის მიუხედავად, დასვენების, ფიზიკური აქტიურობისა (თუნდაც სალამოს გასეირნების სახით) და ვიტამინების მიღებისთვისაც მოინახება დრო.

დეპრესიის უფრო რთული შემთხვევა თავის ტენში მიმდინარე პროცესების შეცვლასთანაა დაკავშირებული. დასვენებისთვის ტენის სიამოვნება ესაჭიროება. ხოლო როცა ორგანიზმში სიამოვნებაზე პასუხისმგებელი დოფამინების გამომუშავება მცირდება, ადამიანი გასართობს გარე სამყაროში ეძებს. შედეგად კი ინფორმაციული დაწყებული და ალკოჰოლური დამთავრებული რისკებიც მაშინვე იზრდება. და, როგორც ნებისმიერი დამოკიდებულებისას, სულ უფრო მეტი „დოზის“ მოთხოვნილება იწვევება.

ასეთ შემთხვევაში ექიმს, რა თქმა უნდა, ანტიდეპრესანტებისა და სედატიური საშუალებების დანიშვნა შეუძლია და მართალიც იქნება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ მედიკამენტური მკურნალობის შედეგად ჯერ არც ერთ დეპრესიას არ გაუვლია. ამიტომაც დეპრესიის სიმპტომების ჩახშობასთან ერთად, მათზე სწორი რეაგირების სწავლაც აუცილებელია, რაშიც ფსიქოთერაპია დაგეხმარებათ. თანაც, ამ დროს ვილაცას მსხნელად შეიძლება, სინათლეთერაპია (სინათლით ზემოქმედება), ვილაცას კი მუსიკათერაპია (მუსიკის ზემოქმედება) მოეველინოს...

# სიასლა!

# ჩანართი გათოვის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

## სასლუი პაბარა ჰყავს

### რეცხვის პედიატრი



შეაბროვა და აკინძა



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე



ბავშვის ფსიქოლოგია



როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა




შპს "მზესუნთქვები"

# მზესუნთქვები


17.04. - 23.04.2008

## ანგარიშით ქორწინება

ზოგიერთი ქალი ვინც  
გამიფიქრებს, ჩემი უფუფრით  
ფულს მეც ავტომატურად  
მიღობს. დედაა! რა  
გამიკურსოვს! უფრთხოდ  
შეცდომის დაფუძვლა!




## ფობობასები



თუ მიგაჩნია, რომ ეს  
მამაკაცი არჩევნებამდე  
დარჩენილ დღეებს ითვლის,  
ვფიქრობ, არც შენ იქნები  
ამ პროცესის მიმართ  
გულგრილი


## სიტუაცია

...აი, თქვე ჩინოვნიკებო,  
რასაა, რომ სჩადიხართ,  
ასე აწვალვით ხალხს?  
ყველაფერს დავწერ  
და მერე ნახავთ, თქვენ-  
მეთქი. ოო, ეს „დავწერ“  
არ მოეწონათ.



საიქიოს მაცნე,  
„გზის“ ფანი  
ლექტორი და  
პატრული ქალების  
ტულეტში

# ანბარებით ქონინება



მარი ჯაშარიძე

## შუთუს სიყვარული

„კარგი იყო ის დრო! ერთად ვიყავით მე და შუთუ... თავი უბედნიერესი ადამიანი მეგონა... იყო სიხარული, სევდა, ჩხუბი, შერიგება... ასე გაგრძელდა 1 წელი. ჩვენ მაინც ერთად ვიყავით, ბედნიერები. ყოველი ჩხუბის შემდეგ ვრიგდებოდით და კვლავ ვტკბებოდით სიყვარულით. მოხდა ისე, რომ ჩემი „ლოვე“ წავიდა ჩემგან ძალიან შორს, დიდ, ცივ, თეთრ მოსკოვში. 15 დღე კარგად ვიყავით. ის მპირდებოდა, მუდამ ვეყვარებოდი, რაც არ უნდა მომხდარიყო და თუ ოდესმე ჩხუბი მოგვივიდოდა, მაინც შემირიგდებოდა. მპირდებოდა, რომ დაბრუნდებოდა და ერთად ვიქნებოდით სიკვდილამდე. წყეულიმც იყოს ის დღე, როცა ვილაცამ დამიმესიჯა და მეც ვუპასუხე. ეს მისმა ძმაცაცებმა მომიწყვეს, მერე ჩამიშვეს და დამაშორეს ჩემს პირველ სიყვარულს. მე ყველაფერი ავუხსენი. ვუთხარი, რომ მის გარდა არავინ მაინტერესებდა და დაველოდებოდი, მაგრამ მას უკვე ყველაფერი გადანყვეტილი ჰქონდა და უარი მომიხია — დავიღალე შენი ხუშტურების ატანით, შენ მე ზედ გადამიარე, ხელი ჩავიქნიე ყველაფერზე და სიყვარულზე ფიქრიც არ მინდა; მარტო ფეხბურთი და მორჩაო! ეს ჩემთვის დიდი შოკი იყო. მას მერე 2 თვე გავიდა და ჩემს სახეზე ძველებური ღიმილი აღარავის უნახავს. მოსვენება დავკარგე, გაკვეთილებისკენ გული არ მიმიწევს. დავიღალე ასეთი ყოფით, მაგრამ მწარე ბედს ვეგუები. ის მაისში ჩამოვა. გულისფანცქალით ველოდები მის ჩამოსვლას, მაგრამ

წარმოიდგინეთ, რომ „გზავნილები“ ერთი პატარა, ვირტუალური ქალაქია. მე ამ ქალაქს არქიტექტორი, დამაარსებელი (ნუ, მართალია, ვახტანგ გორგასალივით მდულარე წყალში ჩავარდნილი ხობით ვერ დავიკვებნი, მაგრამ ხმალი მეც მაქვს) და ერთპიროვნული მამართველი ანუ მერი (მარი) ვარ. ჩვენს ქალაქში მხოლოდ სიკეთე და მეგობრობა სუფევს. სად იპოვი სხვაგან ისეთ ადგილს, სადაც შური, მტრობა, მკვლელობა და ძარცვა-ყაჩაღობა არ არის? — მხოლოდ აქ, „გზავნილ-იორკში“. ამ ქალაქში, როგორც სხვაგან, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ცხოვრობენ, თავ-თავიანთი ხასიათითა და ტკივილ-სიხარულით. ჩვენი აეროპორტიც გვაქვს („გზის“ ფურცლები) და ავტონომიაც („ჟურნალი — ჟურნალში“). მუდმივი მცხოვრებლებიც გვყავს და შემთხვევით შემოხეტებული, ქალაქში გავლით მყოფი სტუმრებიც, რომელთაგან ზოგი საცხოვრებლად ჩვენთან რჩება, ზოგიერთი კი ისევ თავისი გზით, თავისი ქალაქსკენ მიემართება. „ქალაქ“ კვირიდან კვირამდე თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ხუთშაბათობით კი თანაქალაქელები ერთსულოვნად იკრიბებიან და ერთმანეთის ამბებს იგებენ. ხოლო მანამდე მათ მიერ გამოგზავნილი მესიჯები ქალაქს თავზე დაფრინავენ და ჩემს ტელეფონს „ატიკტიკებენ“. თანაც, მესიჯზე ისეთი ზარი მაქვს, თითქოს თითოეული თქვენგანი კოცნას მიგზავნის. „მპუაპ“, „მპუაპ“, „მპუაპ“, გამუდმებით გაიძახის ჩემი ტელეფონი და ყოველი მესიჯის ბოლოს, მართლაც წერია: „მარი, მიყვარხარ, გკოცნი“. დიდი მადლობა, ამდენი სითბოსა და სიყვარულისთვის (უპ, რას გასკდება გულზე უგულავა!). თითოეული თქვენგანი უნებურად ჩემი ცხოვრების ნაწილად იქეცით და თუ რომელიმე მიმივიწყებს, მგონია, რალაც მომაკლდა (სიყვარულის ახსნის გუნებაზე ვარ, როგორც ვატყობ). ახლა გულის აჩუყების გამო თვალზე მომდგარ ცრემლს შევიშრობ და საქმეს მივხედავ.

რა შეიცვლება ამით? ისევ ცრემლი, სევდა... ვერ გავუძლებ ამდენს. მე ხომ სულ რალაც 17 წლის ვარ. ყველას დიდ მადლობას ვუხდი იმისთვის, რომ მამხნევებდნენ — ლიმონას, კანიბალკას და ჩორს. ჩემი იმედი თქვენ ხართ. ნეტავ, დავიბრუნებ ჩემს პირველ სიყვარულს? ძალიან მინდა, ბედნიერი

ვიყო. ღმერთს ვთხოვ, იქნებ მეც გადმომხედოს და გამიბართლოს. ძალიან ცუდად ვარ. მეგრელი მგელო“.

## გათხოვება ქრთამით

„ჩვენთან გათხოვება ძირითადად ქრთამით ხდება. მოკლედ, გოგოს უნდა უყიდონ მაქსიმუმ 5 ოქროს ბე-



ჭედი, თითო 100-ლარიანი; ბრილიანტის „ტროიკა“, 2 ცალი; 100-გრამიანი „ცეპი“; 2.000 ლარის ჩასაცმელი; ერთი „მეშოკი“ ფქვილი; 40 კილოგრამი ბრინჯი. ჰოდა, ამიტომაცაა, რომ ანგარება მთავარი მარცვალა ქორწინებაში; ამიტომაცაა, რომ ყველა ოჯახი ნატრობს გოგონებს, ბიჭებს კი — არა. მეცოდებთან ბიჭები, რადგან დღემდე უცოლოდ არიან, საწყლები. ყველას ხომ არ აქვს მაგდენი მაყუთი? აი, მე კი ჯერ ვერ მომატყუეს, რადგან „რკინები“ არ მიზიდავს და ჩაცმითაც მარტო გაქუცული ჯინსით დავტასაობ. ჰოდა, ახლა, ამ სიბერის უამს კაბის ჩამცმელი ვარ? ჩვენთან ხომ გათხოვილები შარვალს აღარ იცვამენ. არა, ნურას უკაცრავად, თქვენი მოსატყუებელი კბილები სად მაქვს? ისედაც სულ 3-4 კბილი მაქვს „ჩანნიკნიკებული“. ამ შემთხვევაში გამოთქმა — ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ჩვენთან სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს. მე უბედური კი ბოხი ხმით ვარ სატირალი. მდიდარს ვინუნებ, რადგან ლარიბი მიყვარს, მაგრამ ვინ გამათხოვებს მასზე? P.S. მარი, ეს თემა ჩემი ტკივილია, ქალი გაუთხოვარი ვრჩები და შენ მაინც გამიგე, გთხოვ გრუზინკა“.

**ფრთებგაშლილი**

„ერთი წლის წინ მეზობელი გამითხოვდა. ძალიან ლამაზი გოგო იყო და მეგონა, ქმარიც ლამაზი ეყოლებოდა. რომ დავინახე, კინალამ ინფარქტის ნიშნები დამემართა. თავისზე 20 წლით უფროსი, დაბალი, მელოტი, ღიპიანი, უღვაშიანი. ჰოდა, ამ გოგოს ვუთხარი — შენნაირ „ლამაზ“ ქმარზე არც მე ვიტყვოდი უარს-მეთქი. — მაგის სიმ-

დიდრეზე კი ნაღდად ვერ იტყოდი უარსო, მითხრა და დაიწყო ჩამოთვლა: 2 სახლი ქალაქში, 2 ვილა წყნეთში, ანგარიშები საზღვარგარეთ, 4 მანქანა, ბინა — მოსკოვში... მე ვუსმენდი და ვფიქრობდი, რომ ანგარება მაგარი რამეა. ცოტა ხანში წაალებინებდა ქმარუკას წერილს მიქელგაბრიელთან და მერე კი იცხოვრებდა, ფრთებგაშლილი გრუზინკა“.

აცხოვს, რომ იცოდე, გაგიჟდები; დედა რომ მოგიკვდეს, მეტორტე ცოლი მაინც დაგრჩებაო. მოკლედ, გოგო იმფერი დაუხასიათა, დაბრმავდა საცოდავი კაცი. მერე მაჭანკალი ლელუკასთან ლაპარაკობდა — ლელა, ძღაბი, რომ იცოდე, ჯენერი ისეთი წესიერი და ისეთი კარგი დედ-მამის შვილია, მოსკოვში, კრემლის წინ 5-ოთახიანი ბინა აქვს; ახლა ჩამოვიდა,

**ჯიპი სულ სხვაა**

„თემამ ახლო წარსული გამახსენა და გამეცინა. ეს ახლა, თორემ მაშინ სიკვდილი მინდოდა. მე და ერთ უმთვარო ლამესავით შავ ბიჭს სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. ლამე ტელეფონი ბალიშად მქონდა და მესიჯები — საბნად. მის გარეშე სუნთქვა მეზარებოდა და მისი ცხოვრებით ვცხოვრობდი, მაგრამ ერთ დღესაც, შავმა გოგომ ჯიპით ჩაიარა და ჩემი „სიმპატიკოც“ „თან წაიღო“. 6 წლის სიყვარულს ისე დაესვა წერტილი, ვერც მივხვდი, რა მოხდა. იყოს ახლა იმ შავი ქალის გვერდით და ჩემზე იფიქროს. ჩემი „სუპერგმირი“ ერთი პატარა კაცი აღმოჩნდა. ასე გაცვალებს სიყვარული ჯართში. თურმე მარტო „ბალი“ კი არა, ჯიპიც სულ სხვა ყოფილა“.

**ჯენერი და ჯულიეტა**

„მეზობელი მყავდა, „იმენა“ „კუჭის ტკივილი“. :) ჩაბერდა სახლში. გაათავა 28, 29, 30 წელი და ოჯახის წევრები „სერიოზნად“ ნერვიულობდნენ. არადა, ლელუკა ისეთი წუნია იყოო... მოსკოვში უნდოდა გათხოვება. მოკლედ, დაჩითა საქმროც. მათი მაჭანკალი ძალიან მლიქვნელი ვინმე იყო. ბიჭი მოატყუა, ლელა რა კერძებს ამზადებს ან რა ტორტებს

ქართველი ცოლი უნდა და ისევ „გააჭენებს“ მოსკოვში, კაი ცხოვრება გექნება და სულ „პოდნოსით“ გატარებენო. მოკლედ, აუხდა ლელას ოცნება. „დაჟე“ ესიზმრებოდა კრემლის წინ ცხოვრება. როგორ ალაგებდა სახლს და ეალერსებოდა მეუღლეს. მოსკოვი, მოსკოვიო და, აჰაა, ბატონო, მოსკოვიც. მაგრამ ვაააი, სიმართლევ, რა მწარე ხარ, შე ოხერო! ეს ჯენერი მართლა იყო გარკვეული ხანი მოსკოვში, ოღონდ ისეთი მაგარი და ფულიანი — კი არა, როგორიც მაჭანკალმა მოაბოდილა: თურმე, ერთ-ერთ ტუალეტის ქალაღდის „ცეხში“ მუშაობდა, უბრალო მუშად. ჩამოვიდა სოფელში და როცა ამოისუნთქასავით, ცოლიც მოუნდა. დაქორწინდნენ რომეო და ჯულიეტა. არავის მიჰყავს მოსკოვში ჯულიეტა. პატარძალი იმშვენებსავით პატარძლობას, მაგრამ ოჯახის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ სულაც არ იყო ისეთი ყოვლისმცოდნე



სამსახურში სისულოვის ყოიება ამსხვიოებს სმენას და მხედველობას.

დიასახლისი, როგორც დახატეს. ასე ჩარჩა ჩვენი ფულიება ჯენერისთან ერთად, მიყრუებულ სოფელში. ფულის დედაც! მეცოდება ანგარებიანი ხალხი! მეგრელი მგელო“.

**სამჯერ გათხოვილი**

„ჩემს მეზობელზე მოგითხრობთ (პირობითად, ანა და ლაშა). ანა 18 წლისაა და რამ გაამწარა ასე, არ ვიცი. პირველად ქუთაისში გათხოვდა, შეყვარებულის ჯინაზე, ერთი დღის გაცნობილს გაჰყვა. იმათაც მიიღეს და აასხეს ოქრო-ვერცხლი. ერთ თვეში ქმარს „ვადა გაუვიდა“ და უკან გამოთხოვდა. ჰოდა, ადგა და ლაშას ესროლა ამურის ისარი. 3 თვის განმავლობაში იღებდა ყვავილებს, მობილურებს... არადა, 180 სმ-ია სიმაღლეში, ლაშა კი 150 სმ არ იქნება, მაგრამ „ზატო“ ფული აქვს იმდენი, უფ, უფ... ჰოდა, ადგა და კიდევ გათხოვდა, ოლონდ ბათუმში. მერე, ადგა ეს ჩვენი გამოჩერჩელებული ლაშა და უკან წამოიყვანა. მთელი უბნის დასაცინები გახდნენ, მაგრამ ქუჩაში ისე სეირნობენ, გეგონება უდიდესი სიყვარულით შეუღლდნენ. არ ვიცი, სადამდე მიჰყავს ადამიანი სიხარბეს. ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი... მარ, მიყვარხარ მთვარემდე. ფარვანა“.

**ემიგრანტის აღსარება**

„ადამიანს, რომელსაც უზომოდ ვუყვარდი და ჩემთვის ყველაფერს აკეთებდა, ზურგი ვაქციე და სხვას, იმ დროს უფრო გავლენიანსა და ფულიანს გავყევი. რამდენიმე წელი მართლაც გემრიელად ვიცხოვრე. შემდეგ აირია ცხოვრება და მეც სხვებივით მომიწია ოჯახის დატოვებამ და უცხოეთისკენ გამგზავრებამ. ის ადამიანი, რომლის უზომო სიყვარული ვერ დაავასე, ახლა დიდ ბიზნესში ტრიალებს. ასეთია ცხოვრება. ანგარებით არაფერი უნდა გააკეთო, თორემ ჩემს დღეში აღმოჩნდებით. ეს ამბავი საქართველოში არც გამახსენდებოდა, მაგრამ აქ, როცა სხვისი მზხამსახურე ვარ, ვერ

ვივინყებ. ხომ შეიძლებოდა, ასეთ ცხოვრებას ავცდენოდი? ემიგრანტი“.

ივნისში ქორწილი იყო დანიშნული. რა თქმა უნდა, ნინუცამ მეც დამპატიყა.




მარი, მიყვარხარ და შენზე ფიქრში ჩამეძინა

**მეგობრობა გზად და სიღად**

„ერთ მშვენიერ დღეს, ფანჯარა გამოვადე და ქუჩიდან ტირილის ხმა შემომესმა. სასწრაფოდ გავედი გარეთ და სახლის წინ მჯდარი პატარა გოგო აღმოვაჩინე. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მე და ნინუცა დავმეგობრდით და თავისი გასაჭირიც მიაგბო. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ მის ბიზნესმენ მამიკოს უნდოდა, თავისი ერთადერთი, 17 წლის ქალიშვილი ბიზნესპარტნიორის შვილისთვის მიეთხოვებინა, რომელიც 32 წლის და თანაც, განქორწინებული იყო. ამ ქორწინების მიზანი კი საბანკო ანგარიშის მილიონებით გაზრდა გახლდათ. რა თქმა უნდა, ამ საშინელ, ანგარებიან ქორწინებას წინ აღვუდექი, მის ჩასაშლელად ყველა ღონე ვიხმარე, და იცით, რა მოხდა მერე?“

იმ დღეს ექსკურსიაზეც კი არ წავედი, ჯგუფებთან ერთად. ჰოდა, ქორწილის დილას, მობილურზე ნინუცას მეგობარმა დამირეკა და ისეთი ამბავი მაუწყა, უკეთესს ვერც ვინატრებდი. ჩემი პატარა მეგობარი წინაღმეც თავის შეყვარებულთან ერთად გაპარულა. ვისი დამსახურება იყო ეს HAPPY END-ი? — რა თქმა უნდა, ჩემი. აბა, სხვა ვინ დაარიგებდა ანგარების მსხვერპლ მეგობარს ჩემსავით კარგად? ნინუცას მშობლები მალე შეურიგდნენ და საქორწინო მოგზაურობაშიც გაუშვეს. სიძე კი, რომელიც არც ისე მდიდარია, სიმამრს ძალიან უყვარს. თუმცა, ამ ამბავმა მაინც მოიტანა ცუდი შედეგი: ნინუცას მამიკოს ახლა რამდენიმე მილიონით ნაკლები აქვს, ეგ არის და ეგ. ჰოდა, მთავარი დამავინყდა — მე მალე მათი პანუკას ნათლია გავხდები. აი, ეს არის ნამდვილი სიყვარული. გკოცნი, მარიკუნა. იმედია, ჩემს ნაამ-



ყველაზე მეტს, ამჩვენების წინ, იყვანაშის მერე და სეფსულომ აწყაძელ იცუყუბიან.

### გამოუცდელი

„ამას, ახლა რასაც გიამბობთ, ალბათ ანგარებიანი ქორწინება ჰქვია. ვიცი, ბევრ ახალგაზრდას მოსვლია ანალოგიური რამ. ჯარიდან ახალი ჩამოსული ვიყავი. ქალთან კონტაქტი მანამდე არ მქონია, არადა, დიდი სურვილი მქონდა. კარგი იქნებოდა, ვინმე უფროსი მეგობარი მყოლოდა, რომელიც ან ქალებში წამიყვანდა, ან წესიერად ამიხსნიდა, რა გაჭირვება მადგა. შეყვარებულს მყავდა, მაგრამ მშობლებმა ძალით გაათხოვეს, სანამ ჯარში ვიყავი. რა უნდა მექნა? ქალი მინდოდა. პირველი ქალი, ვინც გამიცინა, ჩემი ჯგუფელი იყო. მეც ბევრი აღარ მიფიქრია და მოვიტაცე. დედაააა! რა გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი მთელი ცხოვრება თითებს ვიჭამ, სიმწრისგან. ეს რა უბედურებას გადავეყარე! ახლა მარტო ვარ, ჩემი შვილიც უმამოდ იზრდება. ყველას ვურჩევ, გაითვალისწინოს ჩემი გამოცდილება. პამიდორა. P.S. ლიმონას გადაეცით, „სამეფო კარზე“ ჭამის მინისტრის პოსტზე, იქნებ ჩემი კანდიდატურა წარადგინოს. ყველანი მიყვარხართ“.

ბობს უყურადღებოდ არ დატოვებ. იკუშკები“.

### ანგარებიანი მეგრელკა

„ვზივარ და ვფიქრობ, რა მოგწეროთ. თან მეშინია, რომ მოგწეროთ და მარიმ ისევ დამაიგნოროს, ამას ვერ გადავიტან. ავხტები, დავხტები, ისევ ავხტები, ბოლოს სადმე

დავეხეთქები და მივიმტვრევ კიდევ ცხვირ-პირს. რა იყო, ვიფიქრე, დებიუტია-მეთქი და გამოვგზავნე და გამოვგზავნე მესიჯები, მაგრამ ვინ დაგიბეჭდა? მარის მონოპოლია აქვს და ჩვენ, საცოდავი მოკვდავები რას გავხდებით? ალბათ ამასაც არ დამიბეჭდავს, მაგრამ არა უშავს, ხომ ვთქვი, ასეთები გადაგვიტანია-მეთქი? :) ანგარე-

ბით ქორწინებაზე რა უნდა გითხრათ იმაზე მეტი, რომ 16 წლის დაქალი გამითხოვდა და გაჰყვა 37 წლის ბიზნესმენს. დახარბდა ფულს. არა მგონია, მათმა ბედნიერებამ დიდხანს გასტანოს. მაინც დავლოცავ. ისე, მეც ალბათ ანგარებით გავთხოვდები. ჩემს რჩეულს უნდა ჰქონდეს დიდი, ძალიან დიდი გული, ისეთი, მე რომ ჩამტიოს თავიდან ფეხებამდე; ისეთი თვალები, მარტო მე რომ ვჩანდე; ისეთი დიდი ხელები, მთელი ძალით რომ მიხუტებდეს. ამაზე უფრო მდიდარს ვის გავყვები? :) იცით, უკვე თქვენც მიყვარხართ, თქვენც ჩემი რჩეულები ხართ. :) მეგრელკა“.

### ვალიკო

„ანგარებით ქორწინებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მოტაცებით ქორწინება ხომ გაგიგიათ? სწორედ ასე აღმოვჩნდი ჩემი მეუღლის მეუღლე. არ მიყვარდა. სულ რაღაც, 2 კვირის გაცნობილმა მტაცა ხელი და მომიტაცა. სიკვდილი უფრო მინდოდა, ვიდრე მისი ცოლობა, მაგრამ ვერაფერს გავხდი და ბედს შევეგუე. დავრჩი მასთან. უკვე დიდი ხანია, ცოლქმარი ვართ, მაგრამ არ მიყვარს. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, 3



„ალოო, ლარისუ ივანოვსუ ხაჩუ“

წლის წინ გავიცანი მამაკაცი, რომელმაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ვალიკოს გაცნობის და მასთან სიახლოვის შემდეგ მივხვდი, თუ რა არის სიყვარული, ბედნიერება; მას შემდეგ ვიგრძენი თავი ნამდვილ ქალად. თურმე რა ცოტაა საჭირო იმისთვის, რომ ბედნიერად იგრძნოს ქალმა თავი. ამას კი ზოგიერთი დოკლამა ქმარი ვერ ახერხებს და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. ამიტომაცაა, რომ ცოლები ღალატობენ. მიყვარს მამაკაცი, რომელმაც კარგად იცის ქალის ფასი. ვალიკო ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარულია. როდესაც გავიცანი, მაშინ ის პატიმარი იყო. ერთი თვეა, რაც გათავისუფლდა. ამჟამად თბილისში არაა, მაგრამ ყოველდღე ველოდები. ვალიკო, ჩამოდი, უშენოდ მიჭირს“.

*ახლა კი თემაზე მოსულ მოკლე მესიჯებს გავცნობთ.*

**ძროხა რად მინდა, ბიჭი მაჩვენეთ...**

„ანგარებით მთხოულობდა ყველა. მამის ქონებას ეშურებოდნენ. მე კი სიყვარული მინდოდა. ბოლოს, ავდექი და უქმროდ გავაჩინე ბავშვი. ახლა ვცხოვრობ უანგაროდ“.

„ჩემი ექსპეყვარებული მანქანას დახამდა და სხვა — ანუ სოფო მოიყვანა, მაგრამ დასვა სიმამრმა ცარიელზე. ჩემს ქმარს კი 2 მანქანა ჰყავს და მაგრადაც მიყვარს. ასეა, აკო, ასე! :) ხარბი არ უნდა იყო. დაგღუპა ანგარებააააა! ზიხარ ჩალაგამოვლებული? ცუნცულა“.

„ანგარებით ქორწინება — არა, მაგრამ მცდელობა ნამდვილად იყო. ეს ამბავი დეიდაჩემს შეემთხვა. სოფელში მეზობლის კაცი მოვიდა და დაუნყოფი დეიდაჩემს — ბევრი ღორი და ძროხა მყავსო. თავის ბიჭს კი სულ არ ახსენებდა. :) დეიდამ უთხრა — ღორი და ძროხა რად მინდა, ბიჭი მაჩვენეთ. :) დიდი ხანი ვხალისობდით მგაგ თემაზე. ახლა დეიდა ცხოვრობს ქმარშვილთან ერთად და ბედნიერია, „სასიძო“ კი ისევ — უცოლო. ეკაბეკა“.

„ქორწინება ანგარებითო,

**პატრული ქალების ტუალეტში**

„ერთხელ, პატრულირებისას საპირფარეოში შესვლა მომინდა, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივში და რა თქმა უნდა, ქალების განყოფილებაში. ჰოდა, ბოლოსკენ დავიძარო, მაგრამ ჩემი გავლა და ქალების წამოხტომა წივილ-კივილით, ერთი იყო. ნუ, ქალ და მამაკაც პატრულს ხომ ერთნაირი ფორმა გვაქვს?! თან ქუდიც მებურა და სახეზე ვილა მიყურებდა? რა მექნა? მივალწიე ბოლომდე და ახლა სხვები შემოლაგდნენ. აღარ გინდა უკან გამოვლა? მაგრამ იქ ხომ არ დაფრჩობდი. ჩემი გამოსვლა და შეკვივლებები ერთი იყო. ფართხაფურთხით გაცვივდნენ. მე კი მეცინებოდა და თავდახრული გამოვდიოდი. წინ ქალი შემომხვდა და უი, კაცებისაში შემოფსულვარო, თქვა და უკან გავარდა. მას მერე როგორ შევალ საზოგადოებრივ ტუალეტში, სულ რომ მოგვკვდე? ელისო“.

ეგ ის არაა, უაკლინ კენედი არისტოტელე ონასისს რომ გაჰყვა ცოლად? მგონი ჰამლეტმა თქვა — არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენო. ოჩოპინტრე“.

„ბავშვობიდან ერთი ბიჭი მეზიზღებოდა. როცა გავიზარდეთ, დამიმესიჯა და სიყვარული ამიხსნა, მაგრამ იმდენად ვერ ვიტანდი, რომ ვერ ვანყობდი ურთიერთობას; თან იმიტომაც არ შემეყვარდა, ღარიბი რომ იყო. ახლა კი ვნანობ, მეგობრობის საშუალება რომ არ მივეცი. ნამდვილი ანგარებიანი ვარ. ნათათო“.

„ჩემი მეზობელი ბიჭი „გაჰყვა“ მდიდარსა და მახინჯ გოგოს. ჰოდა, ახლა კი გრიალებს „ჰამერიო“. :) ასე რომ, ჩავარდა საჯდომით თაფლში. მარ, რატომ მბლოკავ? გინდა, ჰიტლერს დავუძახო? :) ვერმახტი“.

„ოჯახის ანგარებით შექმნა არ ვარგა, ყოველთვის სიყვარულით სჯობია. მე ასე მოვიქცევი. მუკობაზიერი“.

„ჩემს 15 წლის დაქალს ერთი ბიჭი სიგიჟემდე უყვარს. ბი-


ჭიც, მ წელია, ეტრფის, მაგრამ გოგოს ახლობლები უკრძალავენ ურთიერთობას და მას 31 წლის მილიონერზე ათხოვებენ. ქალმერთი ნიკე“.

„რატომ არის ყველაფერი ფულზე დამოკიდებული? ფულიანს ისევ ფულიანი უნდა. ზოგი მიმტკიცებს, სიყვარულს ფულით იყიდისო. ალბათ ეს არის ანგარება. გველი“.

**ყველაფერზე თემის გარდა**

**გაუბედავი**

„გასაკვირია, მაგრამ პირველად, 18 წლის ასაკში, სწორედ ახლა შემეყვარდა, 1-ელ კურსზე. შემეყვარდა კურსელი, რომელსაც არც კი ვიცნობ. დღე არ გავა, არ შემხვდეს, მაგრამ არ ვაქტიურობ და შესაბამისად, ვერც გავიცანი. ძალიან მტკივნეულია ეს ყველაფერი ჩემთვის. დღე მისით იწყება და მასზე ფიქრით მთავრდება. დაქალები მეუბნებიან,



*შევიძინე ჩემს დასამოყვარებელს. მოსამყაროს ნომერი — 022.*

გაიცანო, რაც არცთუ ისე ძნელია, რადგან ბევრი რამ გვაკავშირებს, მაგრამ არ შემიძლია პირველი ნაბიჯის გადადგმა. ძალიან ცუდად ვარ, მინდა დავივიწყო. ბევრი იტყვი, გატაცებაა, როგორ შეიძლება, არ იცნობდე და გიყვარდესო. მეც ასე მეგონა, მაგრამ საუბედუროდ, მიყვარს. ვერასოდეს ვიფიქრებდი, პირველი სიყვარული თუ ასეთი მტანჯველი იქნებოდა ჩემთვის. მეგი“.

### რა ლამაზია ცხოვრება

„დღეს შესანიშნავი ამინდი იყო. გადავწყვიტე, მტკვრის სანაპიროზე გამესეირნა და

მომხვეოდა ვინმე და მოეპარა პირველი კოცნა. თოლიების ფრთები ვინატრე, ახლოს რომ მივსულიყავი შეყვარებულ გულებთან და მივხვდი, ჯერ ადრე იყო დასასრული. ავტობუსში ავედი. საოცრად პოეტური განწყობილება დამეუფლა. ლექსების კრებული ამოვიღე და კითხვა დავიწყე. მუქი სათვალით სამყაროს გავემიჯნე, პოეზიაში გადავსახლდი. ბიჭის ხმამ გამომარკვია: „გოგონა, გიყვართ პოეზია?“ — „დიახ“, — ვუპასუხე გაოცებულმა. — „მაშინ თვალები დამანახვეთ!“ — უხმოდ მოვიხსენი სათვალე და შევხედე. — „გოგოვ, ლალისბაგიანო, ჩემო თვალებმოკამკამევ“, —

### გეგე

„მინდა, ერთ თელაველ კოლორიტზე მოგწეროთ. გეგე ალბათ, ყველა თელაველმა იცის. ერთხელ, გეგე რესტორნიდან საკმაოდ „ნაკითხი“ წამოვიდა და პარტიულ კრებაზე მივიდა, რომელსაც რაიკომის წარმომადგენელიც ესწრებოდა. გეგეს დაჯდომისთანავე ჩაეძინა და ხვრინვაც ამოუშვა. კრების თავმჯდომარემ მის გვერდით მჯდომს ანიშნა, გააღვიძეო. მანაც რამდენჯერმე ძლიერად უბიძგა. ჯერ ისევ ძილ-ბურანში მყოფ გეგეს თავი რესტორნის მაგიდასთან ეგონა და ხმამაღლა წამოიყვირა: რა გინდათ, თქვე შობელძაღლებო, ეგ სადღეგრძელო უკვე დავლიეო. მის რეალი“.

### საიქიოს მაცნე

„ჩემი დებიუტი „გზაში“ არ შედგა, მაგრამ კიდევ ვცდი. აღარ მინდა ჩრდილში ყოფნა. მსურს, როგორი აქტიური მკითხველიც ვარ, ისეთი აქტიური მგზავნელი გავხდე. ახლა კი ამბავი: სოფელში იშვიათად დავდივარ, ძირითადად — ზაფხულში და ნაკლებად ვიცნობ ხალხს. პოდა, ერთ შემოდგომის დღეს მე და მამიკო წავედით სოფელში. დანიშნულების ადგილს რომ მივალნიეთ, ის იყო, მანქანიდან გადმოვედი, რომ მეზობელი მოხუცი ქალი მოვიდა და მთხოვა: შვილო, ჯიმშერისთან ჩადი, უთხარი, ურემი წამოიყვანოს და წამოვიდესო. მე „ჯუმბერი“ გავიგონე და წავედი ჯუმბერთან. მის ეზოში „კოლორიტ“ ჭორიკანებს მოეყარათ თავი. დავიძახე. გამომხედა ჯუმბერმა და რაც შეიძლებოდა, განაზებული ხმით, დანაბარები გადავეცი: — ჯუმბერ ბიძია, დედათქვენმა გამომგზავნა, ურემი წამოიყვანოს და წამოვიდესო. იქ ამბავი დატრიალდა... კაცი ძლივს მოასულიერეს. გონს რომ მოვიდა, მკითხა: შვილო, სად ნახე დედაჩემი, ასე რომ დაგაბარა, ქალი 20 წლის მკვდარია და ურემი საიქიოში უნდა წავუყვანო? ისე შემრცხვა... ამის მერე „საიქიოს მაცნეს“ მეძახიან

### „გზის“ ფანი ლექტორი

„მარი, რას გვიშვრება ეს „გზავნილები“! ჩემი ცხელი ამბიდან გაიგებ, რომ დილით ჯერ „გზა“ ვიყიდე და მერე კითხვაში გართულმა, ლექციაზე დავაგვიანე. მერე ლექციაზე ვიჯექი და ლექტორის მოსმენის მაგივრად, განძის მაძიებლის „შემეცნებით-გასართობ“ მესიჯებს ვაბუღებულედი. ძაან მაგარი ტიპია. შეიძლება, მენდელევეის პერიოდული სისტემა ჩემსავით არ იცოდეს, მაგრამ თხრობის დონე და მსოფლმხედველობა მაგარი აქვს. მოკლედ, ამ დაცემა მესიჯზე ვკაიფობ და უცებ ჩამოვარდნილმა სიჩუმემ შემანუხა. თურმე, ჩემ უკან ლექტორი იდგა და ისიც მესიჯებს ღიმილით კითხულობდა. თვალი ველარ მოსწყვიტა „ფანდარასტ მიშას“. ეტყობა, ფინალმა დააინტერესა და მითხრა — ხმამაღლა წაიკითხეო და წავიდაა... მთელმა კურსმა განძის მაძიებლის მესიჯზე ვიხარხარეთ. მარი, „გზავნილები“ ისეთი მაგარი გამოგონებაა, ჩემს ლექტორს ქამიაც კი დაავიწყა და ჩვენთან ერთად წაუცვლქა. გეფანატებით. განძი“.

ჩემი რომანისთვის ფინალი მომეფიქრებინა (მას უკვე 2 წელია, ვწერ). ვუყურებდი მეტეხზე ჩახუტებულ წყვილებს და საოცრად მომინდა, მეც

საოცარი ხმით დაიწყო ბიჭმა. ღმერთო, ეს სასწაული იყო ან დასაწყისი სასწაულისა! რა ლამაზია ცხოვრება! პარიჟანკა“.



აჟ ზუმბერის ვაჟი, მისი მამაა.

„ვალინკა“

„დათიკომ რეზინის ჩექმა (გურიაში „ვალინკას“ ეძახიან) იყიდა და ის იყო და ის, მოსვენება დაკარგა. ცოლმა დილაადრიან გააღვიძა: „ადე, დათიკო, „ვალინკა“ გაცვია და შეშა შემოიტანე“. ადგა დათიკო, შემოიტანა შეშა. — ადე, ახლა, დათიკო, „ვალინკა“ გაცვია, წყალი შემოიტანეო. შემოიტანა... — ადე ახლა, „ვალინკა“ გაცვია და ძროხა მეიყვანე და მიხედეო... გაბრაზდა დათიკო, გაიხადა ჩექმა, მიაწოდა ცოლს და უთხრა: აჰა, ქალო, შენ ეს „ვალინკა“ და რაც გინდა, ქენი, ამას მოვაკვლევინებ თავსო? ლუნა“.

სოფელში. :-) თქვენი ერთ-გული ქეთუსია“.

ისტორიული დღე

„კიდევ ერთი ისტორიული დღე დამთავრდა „გზავნილების“ ცხოვრებაში; კიდევ ერთხელ მოვუშალეთ ნერვები ერთმანეთს მე, ჩორიმ, ილინმა, ლიმონამ, იკჩომ, ლელუჩიამ, პარიჟანკამ, მანესტრომ და დუჩიმ. მოკლედ, იქ ამბები დატრიალდაა! ვინ ვის კოცნიდა, ჩქმეტდა; უხერხული კია, მაგრამ ვინ ვის მკერდში ყოფდა ტელეფონს, ვერ გაიგებდი. :) პორნოგრაფიული ფილმები მიმიქარავს, რაც ჩორიმ აფიქსირა. ერთი ჩემი და ილინის მეტად „ინტიმური“ ფოტოც გადაიღო. ლიმონას სამართლის კოდექსმა მეტად დამაინტერესა, განსაკუთრებით — სექსუალური ძალადობის მუხლმა (ჰო, უნდა ვიცოდე, რამდენს მომისჯიან). იკჩოს სექსუალური უმცირესობის დარდი ჩაჰყვა გულში. ილინმა ლამის თვალი გამომთხარა. ჩორიმ ფეხი დამიდო. მანესტრო ჩემს გასუქებას ცდილობდა. ყველამ ჩემთვის მოიცალა, რა! ლორელაი. P.S. ჩორი, ის ფოტოები არავის აჩვენო, არ დაგვლუპო“.

ლევოს სურათები მქონდა ნიგნებშიც და რვეულებშიც. ეს უზომოდ აღიზიანებდა ჩემს კლასელ ბიჭებს, ერთი მეგობარი საერთოდ ცუდად ხდებოდა მის დანახვაზე. მე კი გაკვეთილზე ვაჩვენებდი ხოლმე ლევოს სიფათს, რასაც შედეგად ბევრჯერ მოჰყოლია მისი ცისფერი (თუ მწვანე) თვალების დახაზვა და დახევა. :( მართლა ლამაზი სიყვარული გქონდა, უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, 4 შვილის ყოლას ვაპირებდით (აფსუს, რა ლამაზები იქნებოდნენ!), მაგრამ მერე გამოჩნდა ჯონდი კი არა და, ენრიკე. :) ჰოდა, მასში გავცვალე. დიდხანს მეხვეწა ლეო, დარჩი, დარჩიო, მაგრამ მე უკვე აღარ მიყვარდა. მექალთანე იყო და დაძვრებოდა აქეთ-იქით. მას მერე ვეღარ ვიტან მწვანეთვალეობა ბიჭებს. მივუგდე საქორწინო ბეჭედი და გავყევი ჩემს შავთვალეობა ენრიკეს. :) ასე დასრულდა ჩვენი რომანი. ახლა კი მე და ლიმონა ერთად ვმღერით — მაყვალ გიგავ თვალეობო. P.S. ჰო, მართლა, ლიმონ, ჩემი მზითვი ხარ. პარიჟანკა“.

შეხვედრა

„9 აპრილს, ასეთ წვიმაში მე, ლელუჩია და ლორელაი შეხვედით ერთმანეთს. ლორემ დაგვპატიჟა შეხვედრაზე და არ მივიდოდი?! 3 საათზე რუსთაველზე იყავიო, მითხრა და თვითონ 3-ის 18 წუთზე დაერჭო იქ. მე 4-ის 12 წუთზე მივედი. მშიერი და გაყინული ლორე ბანკომატთან იდგა და გაკიოდა, ბანკომატი გამორთულიაო, რითაც წერაკითხვის უცოდინარ ქართველებს ანათლებდა. ლელუჩიას ველოდებოდით, რომელიც ფეხსაცმლის საყიდლად იყო წასული, თავსხმა წვიმაში. ჩვენ გარდა ვერავინ მოვიდა. ლანკას კომპიუტერი „მიჰყავდა“ ექიმთან, ლიმონა წვიმამ შეაშინა, ჩორი სოფელში გახლდათ, პავლიკამ და პენსიონერმა კი საერთოდ არ უპასუხეს ლორეს ზარს. ნელკამ — 5-ზე მოვალო, მაგრამ არ მოვიდა. ლორეს მოშივდა და კაფეში დავსხედით, იმერული ხაჭაპურის ჭამა დავინწყეთ და მალე გალუმპული ლელუჩიაც შემოგვიერთდა. ვიჭორავეთ, ვიციინეთ და ვიმაიმუნეთ. მერე ლელუჩიამ უცებ ჩანერა ჩვენთან ინტერვიუ, რომელსაც იმედია, მარი დაგვიბეჭდავს. მერე სახლებში წავედით და მომავალი შეხვედრის იმედით დავშორდით ერთმანეთს. მოკლედ, რაც მაგრები ვართ, მგზავნელები ვართ. კიკო და აბსურდა, გაიხარეთ! მრ.ზ. მიყვარხააარ! სესი“.

ვაჟკაცი


„ახმეტაში ვიყავი, ძმაკაცთან და სალამოს ბინდში ეზოს ბოლოში ჩავედით, დარგული ნერგის მოსაძებნად. სამეზობლო „სეტკის“ იქით კი მეზობლის საქათმე იყო მიდგმული. უცებ, ამ საქათმიდან გვესმის: „ჰოდა, ჩემო კოლავ, ჩვენს გაუტყხელ“.

შავთვალეობა ენრიკე

„ჩემი პირველი სიყვარული დი კაპრიო იყო. :) მის მზერაზე ვეცემოდი და ვდნებოდი (მაშინ მოდაში იყო „ტიტანიკი“. თან, პატარა ვიყავი და მეპატიება).

მამცხობელია ეს ის ამის, მოცა ყოველივეს ზუსტად იცი, სად ახყავს მენი ნიჟიბი.





ძილისგუდა

კაცობაი გაუმარჯოი და ჩვენზე მაგრების დედაცაა... ეეე, ალავერდიც შენთანაა!“ — ამ დარდიმანდულ ხმას უცებ მეორე, აგრესიულ-კაპრიზული ხმა ჩაენაცვლა: — „ფუუჰ, მგონი თავზე დამასკინტლეს, მე ამათი დედაც!“ — და წავიდა სართულებიანი გინება... თურმე, მეზობელს ცოლი დაღევას უკრძალავდა და ძმაკაცთან ერთად საქათმეში შემძვრალა, საქეიფოდ. ჰოოდა, ასეთი ლაჩარი, ვაჟკაცობის სადღეგრძელოს რიხით სვამდა. ვაი, ცივილიზაციის სირცხვილო, თურმე სადამდე შეიძლება დაეცეს ჰომო საპიენსი!“

### ჟურნალისტი

„4 წლის წინ, როცა პირველკურსელები და თან ძალიან გამოუცდელები ვიყავით, მე და ჩემმა მეგობრებმა ქუთაისში ერთ-ერთი ჟურნალის გამოცემა დავინწყეთ (საცოდავად, მხოლოდ 1 ნომერი გამოვიდა). ჰოოდა, წავედი რაგბისტებთან ინტერვიუს ჩასაწერად (რაგბის დიდი თაყვანისმცემელი ვარ). გუნდთან შეხვედრა არ მოხერხდა, ბიჭები თბილისში იყვნენ წასულები თამაშზე. მხოლოდ 2 რაგბისტი და მათი მწვრთნელი ჩავწერე.

ცოტა ხანში „ტრენერი“ და ერთ-ერთი სპორტსმენი სიყვარულში გამომიტყდნენ (თან ძმაკაცობდნენ), მე კი გული არც ერთს არ დავწყვიტე და ორივეს უარი ვუთხარი. მაპატიეთ, ბიჭებო, მაპატიეთ. მის რაგბი“.

### ბავშვთმძულე

„ვაი, ბავშვები არ დამანახვოთ! რა საშინელე-ბაა! ნუთუ ყველა ბავშვი ერთნაირია? არა რა, ამევესო მოთმინების ფიალა. ჯერ იყო და, მეტროში ერთ ბავშვს

### შაქრიანის ამბები

„გეგეს ციხის ზედამხედველი შეხვდა. გეგემ მოიკითხა — როგორ ხარო? — ეჰ, გეგე კარგად ვერ ვარ, შაქარი მაქვსო. გეგემ კი უთხრა — ბიჭო, მთელი ცხოვრება დედიშენსას ჭამ და შაქარი რამ გაგიჩინაო? ერთხელ, სუფრაზე ნასვამმა სუფრის წევრმა დაიტრაბახა: მერე რა, რომ უმაღლესი განათლება არ მაქვს მიღებული, ჩემს დაწესებულებაში მდივნობამდე ხომ მივალნიეო? ერთ-ერთმა სუფრის წევრმა, ასაკოვანმა ქალბატონმა კი უთხრა: ეჰ, შვილო, არ გეწყინოს, ცხვარი რომ შემობრუნდება, კოჭლები წინ ექცევიანო. თელავთან ახლოსაა სოფელი შაქრიანი. მაგარი ხობმა ხალხი ცხოვრობს. ერთ-ერთ შაქრიანელს დედა შეუჩნდა — შვილო, ცოლი როდის მოგყავსო? — პარასკევსო, — უპასუხა შვილმა. პარასკევიც დადგა და დედამ ქათმები დაკლა, ყველაფერი გაამზადა და შვილის მოსვლას დაელოდა. — გოგო სადააო? — იკითხა სადემამთილომ. — დედი, მე გითხარი, პარასკევს მოვიყვან-მეთქ, მაგრამ რომელ პარასკევს, ის ხომ არ მითქვამსო?! მიიყვანა ძმაკაცები და კარგად იქეიფა. დედამისი კი ყველა პარასკევს იმ იმედით ხვდება, ახლა მაინც მოიყვანს ცოლსო. მის რეალი“. მოკითხვა ლუნას. მის რეალი“.

ქალო, ხომ გითხარი  
ეს შეშა ნედლია-მეთქი...



მოვეწონე. მე რაა, ალბათ ჩემი მაისური მოეწონა. რომ ჩამებდღვნა, თითქმის ჩამომახია, აღარაფერი დააკლდა. ბავშვის დედამ სულ ბოდიშები მიხადა, მაგრამ ბოდიში წამალი რომ იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდა-მეთქი, ვუპასუხე და ჩავედი იქ, სადაც არ უნდა ჩავსულიყავი. ახლაა და ჩემი დეიდაშვილის შვილს პირდაპირ, წყობიდან გამოვყავარ. ამას დაამატე ის, რომ ბალში უნდა წავიყვანო, წამოვიყვანო, ვასეირნო და მაინც არ ვევასები. ხვდებით? აბა, გაბედე, ხელი დაადე და, პირდაპირ საჩივლელად მიდის. არ ეხერხება, თუ რა?!. თავიდან რომ მომიცილოს, ხან ჩემი საყურე არ მოსწონს, ხან მეუბნება — ცუდი მეცადინეობა იციო. ახლა უკვე საღამოა და ხან ერთ საქანელაზე „ვაკატავებ“, ხან — მეორეზე. გარბის შუა ქუჩაში, მე კი რა თქმა უნდა, მივდევ, თან ცოტა არ იყოს და, შემცივდა. კაროლინა“.

არ მყვარებია არასდროს! ამით აღშფოთებული გავემართე ელესთან შესახვედრად. იქ ჩორიც დამხვდა. მერე ორივემ იმხელა იკივლა ლიმონას დანახვაზე, რომ მხოლოდ სულმნათი შოთას ძეგლი არ მოტრიალებულა ჩვენკენ. :) ლელუც მალე მოვიდა და როგორც გაირკვა, ყველას გაჰკვირვებია, პარიჟანკას რა დაუნერიაო. არ ვარ მე ის ქალი, არა! მათმა ნახვამ დამავინწყა, „დაგრუზული“ რომ ვიყავი, მაგრამ მეორედ ბიჭების გარეშე აღარ შევხვდეთ, რაა... მაგრად შეგვანუხეს გაურკვეველმა „ელემენტებმა“. ვის რა უნდოდა, ვერ გავიგეთ. ტყუილად კი არ მასწავლიდა მანესტრო კანონებს. ზუსტად ვიცი, რომ თავდაცვის მიზნით თუ მივაკლავ ასეთ აბეზარ ტიპებს, ბევრს არ მომისჯიან. :) „დაჟე“ მადლობას მეტყვის ბევრი. P.S. მარ, იქნებ არ მიმბლოკო? :) პარიჟანკა“.

### ვინ ვის ჩინჩლავს?

„მომავალი „ზომოზომისტი“ ეზრდება საქართველოს, ჩემი ბიძაშვილის სახით. ერთი ძალღი ჰყავს, საცოდავი, გამოადებია სულ. ბიცოლაჩემი ამბობს, ჭკვიანი ძალღიაო. ჭკვიანი კი არა, დაადებია შენმა შვილმა! ქათმები ჰყავს კიდევ, კვერცხის დადებას არ აცლის, სულ იცის, რომელ ქათამს რომელი მამალი ჩინჩლავს. როგორც ჩემი და იტყოდა — ქათამი დაიკაკანებს თუ არა, მაშინვე გარბის და ნახევრად გამოსულ კვერცხს გამოსვლაში ეხმარება. ამას წინათ, სახლში შემოსული არ ვიყავი, გიორგიმ ახალი ამბავი მაცნობა — ქათამი მომიკრუხდა და ახლა შენთვისაც უნდა მოვაკრუხოო. ვაი... გიო, შენ ჭკუა მოგცა, მე — ფული და მარის — გაძლება, ჩვენს ხელში! P.S. მარ, გამაღობ, ჩემი გული რომ გაახარე. ეჰ,

### „მკვლელი“ პარიჟანკა

„დღეს ძალიან ცუდად ვიყავი. დილით ვნახე, ვილაცის მესიჯზე ჩემი ნიკი იყო მიწერილი. ბოლო მართლა ჩემია, მაგრამ 20 წლით უფროსი კი არა, საერთოდ

მოკრულ ვიყავი  
— ეს სახელმწიფო სადღესასწაულებსა,  
შეიქმნა — უმძიმესი.





ისევ ლუნა ვიქნები, რაღაც ლუნიტა არ მომხვდა ისე. ლუნა“.

### ნათესავის სიყვარული

„ოო, მარ, ჩემი პირველი სიყვარული ისეთი იყო! ისეთი ადამიანი შემეყვარდა, რომელიც არ უნდა შემეყვარებოდა, რადგან ნათესავი იყო და მისი შეყვარება დაუშვებელი გახლდათ, მაგრამ რა მექნა, გულს ვერ ვუბრძანებ. თან პატარა ვიყავი, ცამეტი წლის, უჭკუო და სერიოზულად შემეყვარდა. მის გამო ღამეებიც კი გამითენებია, მაგრამ გავიდა 2 წელი და ძალაუნებურად დავივიწყე, რადგან ერთმანეთს არც კი ველაპარაკებოდით და ურთიერთობა, ფაქტობრივად, არ გვექონდა. ახლა უკვე 17 წლის ვარ და ვიპოვე ადამიანი, რომელსაც ვუყვარვარ და თანაც — ძალიან. იმ ადამიანს კი ცოლი ჰყავს. MIS ROCK“.

„ერთ ამბავს მოგიყვებით და მკითხველმა განსაჯოს, სასაცილოა თუ სატირალი. ერთი ქართველი დედა, რომელიც უსაბუთოდაა (როგორც უმრავლესობა) ათენში, პოლიციამ დაიჭირა. იცით, საცოდავს, შიშით ჩაეფსა. ისეთ საზიზღრებსაც კი, როგორც ამათი პოლიციელები არიან, შეეცოდათ და გაუშვეს. იცით, ეს რატომ დავწერე? მეც და ბევრი, ასეთი შიშით ვცხოვრობთ. ნუთუ არ შეიძლება, რომ ჩვენმა მთავრობამ სთხოვოს ამ ქვეყნის მთავრობას, რომ მის ხალხს თავისუფლად მოძრაობის საშუალება მისცეს?! აბა, კარგად, თამი“.

„ქუთაისში ვარ და დღეს ქუთაისელი მგზავნელების შეხვედრაზე ხარების ეკლე-


სიაში წავედი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა — მარტო ოლეგარიო მოვიდა, მეუღლესთან ერთად. გავიცანი და ძალიან გამიხარდა. შეხვედრის ინიციატორი, ესმერალდაც ვერ ვნახეთ. ჟურნალიც ვაფრივალეთ, მაგრამ... ნუ, მოკლედ არ ვიცი, რა ვთქვა. P.S. მარ, გთხოვ, ეს დაბეჭდო, რომ წაიკითხონ და მერე არ თქვან, არავინ მოსულაო. ნონ სტოპ“.

„გამარჯობა, მარი! დიდი მადლობა მინდა გადაგიხადო, ჩემი მესიჯის დაბეჭდ-

ვისთვის. მართალია, დილიდანვე მომხვდა დედუნასგან დაგორგლილი „გზა“ თავში, მაგრამ მაგას ვინ ჩიოდა?! სიხარულით ფრთაშესხმული, უკვე სხვა გალაქტიკაში დავფრინავდი. დებიუტი შედგა წარმატებით. თუ მიმიღებთ თქვენს გუნდში, სიხარული მერე ნახეთ. ჰო, სულ დამავიწყდა, 15 წლის ვარ და ვოცნებობ ჟურნალისტობაზე. ყველა მგზავნელს ვეფერები შორიდან. პატივისცემით, მაკუნა“.

„მარიამულო, მინდა

როცა „არსენალი“ და „მილანი“ ერთმანეთს ხვდება



ძვირფასო, დღეს ყვირას, შავში ცოცხლოვში მინც წაიყვანე...

გითხრა, რომ ახლა საქართველოს თუნდაც 1 პროცენტი შენი წყალობით ბედნიერია. კაი ხარ, შენი ჟურნალივით. ანი მოგწერ ხოლმე. მიყვარხარ. MADE IN ქუთაისი“.

„მარი, ლა იყო, ლაა? რა დაგემართა, რად დამჩაგრე, რადგან პატალა ვაარ? სამაგიეროდ, დიდი გული მაქვს. რაიმე ხომ არ განყენინე?

მესიჯებს რატომ აღარ მიბეჭდავ? რათა, რათა, რათა? მეც მინდა ვინმესთან ინტერვიუს ჩანერა (გინდა — კაია, უნდა დაიმსახურო!). ვინმე ბალდათის რაიონიდან არ ამესიჯებს? გააქტიურდით, რა, ბალდათელებო! მარ, გთხოვ, ეს მაინც დამიბეჭდე, თორემ „ავს-შფოთდები“. აბეზარა ვარ. P.S. მართალია, თავს გაბეზრებთ, მაგრამ არა უშავს. არ გინდათ „გზავნილებში“ ერთი აბეზარი მგზავნილი გყავდეთ?“

„ხალხო, გამხურვალეობა დაინყო! თავს უშველეთ! ახლა ისეთი ცეცხლი მიკიდია, ანტარქტიდის აისბერგიც ვერ გამაგრილებს. ლექციიდან გავიპარე და ახლა ბიჭების ტუალეტში ვიმალები. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ პირსაბანთან ჩემი ლექტორი კაცი დგას და მელოტ თავს ისველებს. მიშველეთ! ნიმიფა“.

„ჩემი სიყვარული 10 წლის წინ დაინყო. ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში სხვა პიროვნება და... ჩვენი ლამაზი სიყვარული დროებით დავიწყებას მიეცა. მე გავთხოვდი. მყავს ორი ანგელოზი. რამდენიმე წლის შემდეგ, მეუღლეს გავშორდი და ჩემი პირველი სიყვარული დამიბრუნდა, სრულიად შემთხვევით. მას ცოლი არ მოუყვანია. ალბათ მე მელოდებოდა... და აი, უკვე 4 წელია, ერთად ვართ და ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემს პატარა ოჯახთან ერთად. თქვენი ბებერი მკითხველი, ხვანცალა“.

„ჩემს კლასელ გოგონებს პაემანი რომ აქვთ, სულ მიმაღავენ. მე კი სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდები ხოლმე დამალულ პაემნებზე. ჯერ არც ერთი კლასელის პირველი პაემანი არ „გამიმაზავს“. პეტრუშკა“.

„იცო, რად გიმესიჯებ? არ იცი, მაგრამ გეტყვი. კარგად წაიკითხე და დაიმახსოვრე: გიმესიჯებ იმიტომ, რომ მიყვარხართ და მახსოვხართ მაშინაც კი, როცა იმდენი მაქვს სასწავლი, რომ თავის მოსაფხანადაც არ მცალია. კახელო-616“.

„პირველად ბალში შემიყვარდა. მახსოვს, როგორი სიხარულით ვუთმობდი ჩემს ფაფას და როგორ ვტი-

როდი, გიორგის დედიკომ მეც წამიყვანოს თავისთან, სახლში-მეთქი. წლები გავიდა და უზომოდ ვატკინე გული ჩემს ბალიდან ნაფერებ სიყვარულს. ნია-ნია“.

„ჩემს ფანებს მივმართავ: არავის მოგცემთ ინტერვიუს! :) მეტი საქმე არ მაქვს, „გზაში“ დაიბეჭდოს ჩემი ინტერვიუ, ან მესიჯი. :) ბიჭოს! არ შემანუხეს?! :) ბიბო“.

„პირველი სიყვარული VI კლასში მენვია. ერქვა კი სიყვარული? ესეც საკითხავია. იმ ბიჭს სოსო ერქვა და ჩემი დაქალის შეყვარებული იყო. ისე უყვარდათ ერთმანეთი... მე კი მათ სიყვარულს ისე ვუწყობდი ხელს, როგორც ნამდვილი მეგობარი. წერილების მიმტან-მომტანი ვიყავი. მოკლედ, მთელი 2 წელი მიყვარდა. 2 წლის მერე ისინი დაშორდნენ და როცა შანსი მქონდა, ბრახ!

— მეც გადამიყვარდა და მეგობრულად შევხედე. აი, ასეთი იდიოტური სიყვარული მქონდა. სასაცილოა, ხომ? ბუტია“.

„ჩემი პირველი სიყვარული ძალიან ლამაზი იყო. მაშინ სულ პატარა ბავშვი ვიყავი და ეს ბავშვური სიყვარული მუდამ იცოცხლებს ჩემში. უკვე 7 წელი გავიდა. ვალერი, იცი, ჩემი შვილიც შენსავით რაგბისტი იქნება. მის რაგბი“.

„თეო მგელო, კაი ლექსი გითხრა? „მგელი მგლობას არ მოიშლის, ან მოკვდება, ან იმეფებს, ის არ მოშინაურდება და ძალღივით არ იყფებს“. მგელს ყეფა არ უხდება. „ვოტ ტაკ!“.

„ქუთაისელო მგზავნილებო, თაის, ესმერალდა, ნათათო, იგივე GREEN GIRL, ლეო და ა.შ. ორშაბათს, 21 აპრილს, პიონერთა პარკში, სვეტებთან შევხვდეთ, „გზით“ ხელში. გელით. ეშმაკუნა“.

„მააარ, ცოტა დამაგვიანდა, ხომ? აუ, პირველად 15 წლისას შემიყვარდა, მაგრამ ისე მაგრად მატკინა იმ უნამუსომ გული, რომაა... ახლაც იგეთი ნატკენი მაქვს, როგორიც მაშინ. დამიბეჭდე რა, გეხვენები, დამიბეჭდე რა, ნუ მახვენნიებ, რა გჭირს, ქალო, ქალი არა ხარ? შენ ისეთი კაი ხარ, დამიბეჭდავ. ახმეტუნა“.

„დღეს 10 აპრილია. თელავში ვიყავი. სახლში რომ წამოვედი, ახმეტის „მარშრუტკაში“ ორი გოგონა „გზას“ კითხულობდა. რომ ჩამოვდიოდი ჩემს გაჩერებაზე, მაშინ შევნიშნე და ამიტომ ვერ ვკითხე, „გზაელები“ იყვნენ თუ არა. გოგონებო, „გზაელები“ ხართ?“


„ოჩოპინტრეს მინდა ვკითხო, ბოლნისელია? ძაან მაგარი ადამიანია. დამიბეჭდე, რა, გთხოვ, შენ ხომ კარგი გოგო ხარ?“

„კახელო მგელკაცა, რამდენადაც ვხვდები, შენი სახელი არაფრით ემთხვევა მეგრულ მგელოს. აქ გასაცოფებელი არაფერია, თორემ საქართველოში იმდენ ბავშვს არქმევენ გიორგის, ასე თუ იფიქრებენ, გავქრებით ამ ქვეყნიდან. კახელო მგელკაცა, ნუ შეიცვლი ნიკს, მაგრად გიხდება. ნინი“.

*მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — გულმავიწყობის შედეგი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

„გზავნილების“ არსებობის მანძილზე ვინ და რა არ დაუფიცებიათ ჩემთვის — „გზავნილები“, მესიჯები, „გზა“, მთავარი რედაქტორი, მგზავნილები (დედ-მამაზე აღარაფერს ვამბობ), კომპიუტერი, ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია, „ჯეოსელი“, სვანობა, ჯაფარიძეების მოდგმა და ის „მარშრუტკაც“ კი, რომლითაც სამსახურში მივდივარ (საწყალი „184“), რომ მესიჯი გამოვაქვეყნო, მაგრამ ამ კვირაში მეჩემ ისეთი ვინმე დამაფიცა, გადავწყვიტე, მისი მესიჯი აუცილებლად გამომექვეყნებინა: „ჯაფარიძეების ქალავ, რათ მბლოკავ, რომ არ მალღირსე „გზის“ სინათლე? დავაიწყდი ხალხს და ისევ შენ უნდა მიშველო და დამიბეჭდე, იმ პატარას გაფიცებ, „გზავნილების“ ქვეშ რომ ხატია და ბრძნულ აზრებს რომ აფრქვევს. მეჩემ“. ჰოდა, მოკლედ ჩართვის კითხვის იდეაც ამ მესიჯმა მომანოდა: ვის დავიფიცებ ტყუილზე? მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

დააკვირდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში  
და ეცადე წარმოიდგინო, რას ითვლის ეს მამაკაცი.  
შემდეგ ფოტოტესტის პასუხებს დახედე.



1. თუ ფიქრობ, რომ ის შემოსავალს ითვლის, სავარაუდოა, გამდიდრებაზე მეოცნებე ადამიანი იყო. მიგაჩნია, რომ ფულს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში და მღვდელი ჭილოფში სულაც არ იცნობა. ნუ დაგავიწყდება, რომ მდიდრებიც ტირიან.

2. თუ გაიფიქრე, რომ ფოტოზე აღბეჭდილი მამაკაცი ყოფილ საყვარლებს ითვლის, ალბათ, მექალთანე მამაკაცი ან მისი ცოლი ხარ. საეჭვოა, ზრდასრულ მამაკაცს ხელის თითები ეყოს ქალების დასათვლელად. ამიტომ, შენი ვერსია ალბათ მცდარია.


3. თუ გაიფიქრე, რომ ვალებს ითვლის, საინტერესოა, თავად შენი ვალი რამდენს შეადგენს? უეცრად

მილიონი რომ მოიგო, ყველა მევალეს გაისტუმრებ თუ მეორე მილიონის მოგებას დაელოდები?

4. „ეს მამაკაცი ალბათ ცოლებს ითვლის“ – ეს გაიფიქრე? სავარაუდოა, რომ დაოჯახებული მამაკაცი ხარ, მაგრამ თვალი გაქცევაზე გიჭირავს. მართალია, მჯობნის მჯობნი არ დაილუვა, მაგრამ ისიც უნდა გახსოვდეს, რომ საბოლოო ჯამში ყველა ქალი ერთნაირია.

5. თუ მიგაჩნია, რომ ეს მამაკაცი არჩევნებამდე დარჩენილ დღეებს ითვლის, ვფიქრობ, არც შენ იქნები ამ პროცესის მიმართ გულგრილი. აქედან ჯი დასკვნა – პოლიტიკაში აქტიურად ხარ ჩაბმული და არც ის არის გამორიცხული, რამდენიმე ღამე პარლამენტის წინ, ჯარავშიც გქონდეს გატარებული.

# პრაზიდანის ილაზია და „ოროსანი“ რიგობის ახალი



ვფიქრობ, „ოროსანი მოსწავლის სინდრომი“ ნებისმიერი ადამიანისთვის ცნობილი მოვლენაა. ეს ის შემთხვევა გახლავთ, როდესაც ცნობილი ოროსანი მოსწავლის ასამაღლებლად, უეცრად გამოსწორებას და გაკვეთილების მომზადებას გადაწყვეტს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან წინა წლებში არავითარი ცოდნა არ მიუღია და ინტელექტუალური საფუძველი (უფრო სწორად — უსაფუძვლობა) ამის საშუალებას არ აძლევს. მონადინების შედეგად შესაძლოა, სამოსანი გახდეს, მაგრამ მასწავლებლები ჩვევის გამო მაინც ორიანებს უწერენ. ასეთ „ოროსანებად“ დღესდღეობით ქართველი ჩინოვნიკები და ის სფეროები რჩებიან, რომლებიც უბრალო მოკვდავთ ემსახურებიან.

ცოდვა გამხელილი ჯობს და საბჭოთა წყობილების დროს ჩინოვნიკებს ზიანი უფრო მოჰქონდათ, ვიდრე სარგებელი. უბრალო ადამიანი მათთვის ცარიელი ადგილის ტოლფასი იყო.

ახლა, ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის წარმოდგენით, სიტუაცია შეცვლილია და ხალხისთვის მომსახურების ნებისმიერ სფეროში კომფორტია შექმნილი. თუმცა, თუ „უზენაესთაგან“ ვინმეს ჩემი აზრი აინტერესებს, ვეტყვი, რომ ეს მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი. ამას საკუთარი გამოცდილებიდან ვამბობ, დანარჩენს კი ქვემოთ მოგახსენებ.

გამგეობებით დავინწყებ. ამას წინათ, კერძო ფირმის რეგისტრაციისთვის გლდანი-ნაძალადევის გამგეობას მივაკითხე. ჯერ იყო და, ჩემი სახელი და გვარი კომპიუტერში შეიყვანეს თუ არა, მკითხეს — თქვენ რომელი მარი ჯაფარიძე ხართ, ვაგზლის ბაზრობაზე რომ ვაჭრობსო? — არა-მეთქი, გავაქნიე თავი. — იცით, თქვენი სახელით და გვარით ვილაც უკვე დარეგისტრირებულია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში; იქ უნდა მიხვიდეთ და ცნობა მოიტანოთ, რომ თქვენ ის მარი ჯაფარიძე არ ხართო. — ეგ როგორ-მეთქი? — საპასპორტო მონაცემებს ეტყვი, შეადარებენ, ცნობას დაგინერენ და მოიტანეთო. — კი, მაგრამ თქვენ შეადარეთ-მეთქი. — ვერ შევადარებთ, რადგან იმ მარი ჯაფარიძის მონაცე-

მები სრულად არ არის შეყვანილი. სიმართლე რომ გითხრათ, ვრაფერი გავიგე, მაგრამ ახლა მეორე გამგეობას ვწვიე. ვიფიქრე, დედას მაინც დავიფიცებ, რომ ვაგზალზე არ ვვაჭრობ და დამიჯერებენ-მეთქი. აქ რატომ-ღაც ყველა უწყური სახით დაიარება და კითხვაზე პასუხი რომ მიიღო, ძალიან უნდა შეეხვეწო, დააფიცო ან დააგინო. მოკლედ, იქ განცხადება დამაწერიეს, დედა დამაფიცეს და 4 სამუშაო დღის შემდეგ დამიბარეს პასუხზე. ამის გამო აღვშოთი და — აი, თქვე ჩინოვნიკებო, რასაა, რომ სჩადიხართ, ასე აწვალვით ხალხს? ყველაფერს დავენერ და მერე ნახავთ, თქვენ-მეთქი. ოო, ეს „დავენერ“ არ მოეწონათ. — გვიჩივლებთო? მკითხეს. — არა, უურნალში დავენერ-მეთქი. ნუ, რა გინდა, რომ თქვა და ქნა? დაფაცურდნენ და ცნობის ასაღებად მეორე დღეს დამიბარეს. როგორც იქნა, ავიღე იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ მე ვაგზალზე არ ვვაჭრობ. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ბარიერის გადალახვამ მომიწია (ყველგან ხომ არ გააკეთებ იმის აფიშირებას, რომ უურნალისტი ხარ), მაგრამ მთელი 1 თვის წვლების შემდეგ ჩემსას მაინც მივალნიე.

ესეც ასევე... დედაქალაქში რომ ასეთი სიტუაციაა, პერიფერიებში რა იქნება-მეთქი? — გავიფიქრე და ბედმა უცებ მომცა იმის შანსი, რომ მენახა, რა ხდება პერიფერიაში.

რამდენიმე დღის წინ რუსთავში, საჯარო რეესტრს ვწვიე უკვე დღის ბოლო იყო და თანამშრომლებს ალბათ ამის გამო ჰქონდათ „მამის მკვლელის“ სახეები. თეჯირს მიღმა 3 თანამშრომელი იჯდა. ერთ-ერთი, ყველაზე „კეთილგამომეტყველებიანი“ მამაკაცი შევარჩიე და მივესალმე. სალაშზე არ მიპასუხა და ისე გამომხედა, თვალებით მეუბნებოდა — ვის რაში სჭირდება შენი სალაში, დროზე თქვი, რაზე მოთრეულხარ და „დავაი“, დაახვიე აქედანო.

— თუ შეგიძლიათ, მითხარით, შეიძლება თუ არა, რომ ოჯახის წევრზე გაფორმებული ბინის შესახებ საჯარო რეესტრიდან ამონაწერი ავილო? თუ თვითონ უნდა მოვიდეს?

— რად გინდათ?

— ბინის გაყიდვას ვაპირებ.  
— ბინის პატრონი სად არის? —  
ლამის ოჯახის წევრებთან მოკითხვაც დამაბარა.

— რაიონში ცხოვრობს და ვერ ჩამოდის.

— აბა, ბინას როგორ გაყიდით?  
— ნოტარიუსით დამონებულ მინდობილობას გამომიგზავნის.

— ჰოდა, წადით, ჯერ მინდობილობა გააკეთეთ და მერე მობრძანდით.

— ეს მინდობილობა თქვენ გჭირდებათ?

— არა, მე არ მჭირდება, მაგრამ ჯერ ეგ გააკეთეთ. საჯარო რეესტრიდან ამონაწერს ვადა გასდის და მერე ხელახლა დაგჭირდებათ თანხის გადახდა და საბუთის გაკეთება, — მზრუნველად მოევიდა ჩემს ბიუჯეტს.

— ეგ თქვენი საქმე არ არის. მე გკითხებით, შემიძლია თუ არა, ამონაწერი მივიღო?

— დიახ.

მერე აღმოჩნდა, რომ თურმე ჯერ თხოვნა, მუდარა, ვედრება უნდა დავწერო, რომ ბინის პრივატიზაციის საბუთი 4 სამუშაო დღეში მივიღო (დაჩქარებული მეთოდი რუსთავში რატომღაც გაუქმებულია) და ნახევარი საათი ბანკის წარმომადგენელს ველოდო, რათა 50-თეთრიანი ქვითარი მომცენ. სულაც არ ყოფილა სასაცილო ის ანეკდოტი, სვანებზე რომ არის გავრცელებული — სვანმა გამყიდველს ჰკითხა, 5-ლარიანი მონო რა ღირსო?... საჯარო რეესტრში აღმოვაჩინე, რომ 50-თეთრიანი ქვითარი ლარ-ნახევარი ღირს! ახლა იტყვი, შენც სვანი ხარ და იმიტომო. ნუუუ-რას უკაცრავად! ასეთივე ტარიფებია იმერლებისთვის, გურულებისთვის, ქართლებებისა და ყველა სხვა კუთხის წარმომადგენლისთვის. ზედმეტი 1 ლარი ბანკის მომსახურების ყოფილა. „ვოტ“! ვინაიდან სიტყვა ბანკზე ჩამოვარდა, მომდევნო ნომერში ამ სფეროს შესახებ (და არა მარტო) მოგიყვებით. თითქმის ყველა ბანკთან მჭიდრო კავშირი მაქვს და თამამად შემიძლია, შედარებაც მოგახდინო. ახლა ხომ სიტყვები — „ბანკი“, „კრედიტი“, „განვადება“ და „პროცენტი“ ასეთი მოდურია. მომდევნო კვირას გაიგებთ, ვინ როგორ ემსახურება ხალხს და როგორ ასრულებს პრეზიდენტის 50-დღიან პროგრამას.

და საერთოდაც, ვფიქრობ, ყოველკვირა საგანგებოდ ხომ არ ვწვიო სხვადასხვა ოფისს და მის შესახებ ინფორმაცია მკითხველს დაუფარავად მივანოდო? ვნახოთ, ვნახოთ... იქნებ ჩემი სტუმრობის შიშით, ყველა მიმსვლელში მე მიგულისხმონ და მომსახურება გააუმჯობესონ...

# აივრანსი გზავნილების ოცნება

მარ, როდესაც შენი შემოთავაზება წავიკითხე, სადაც მომავალ ჟურნალისტებს მგზავნილებთან ინტერვიუს ჩაწერას სთავაზობდი, ძალიან მომეწონა. მე არც მოქმედი ჟურნალისტი ვარ და არც – მომავალი, მაგრამ ძალიან მომინდა, ინტერვიუ ჩამეწერა და იმედი მაქვს, დამიბეჭდავ. ჩემი რესპონდენტები, საბერძნეთში მყოფი მგზავნილები, დები არიან – კოხი-20 და მის 13.07. ჩვენი ინტერვიუ მესიჯებით შედგა, ხოლო ფოტოები, რომლებსაც გიგზავნი, მათმა დედამ ქუთაისში გადმომცა.



## მარი კოხიძე (ნიკ სტოკ)

— კოხი-20 და მის 13.07, გაეცანით მკითხველს—

კონი

— მე ვარ სოფიო ხელაძე. დავიბადე 1985 წლის 20 მაისს.

მის 13.07

— მე ვარ ხათუნა ხელაძე. დავიბადე 1983 წლის 13 ივლისს.

— როგორ და როდის გაჩნდა „გზავნილები“ თქვენს ცხოვრებაში?

— პირველად „გზავნილებში“ 2 წლის წინ გამოვჩნდი. ჯერ გერმანიაში ვიყავი, ხოლო შემდეგ — საბერძნეთში გადმოვედი. გერმანიაში ყველაფერ ქართულს მოკლებული გახლდით. აქ კი ჟურნალების კითხვით ვირთობდი თავს და საქართველოს ამბებსაც ქართული პრესით ვიგებდი. ასე გავხდით დიდი ოჯახის პატარა წევრი.

კონი-20

— „გზავნილები“ ჩემს ცხოვრებაში მის 13.07-ის მეშვეობით შემოიჭრა. გერმანიიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, როცა ხათომ მგზავნილების შესახებ მიახლო. მას მერე „ლომკები“ მაქვს. მახსოვს, ნიკი სტიქიამ გამირითმა, რასაც გამოხმაურება მოჰყვა. ნელ-ნელა მგზავნილებმა შემიყვარეს და მეც დიდი ოჯახის პატარა წევრი გავხდით.

— რას ნიშნავს თქვენთვის მგზავნილობა და რა როლი აქვს „გზავნილებს“ და მგზავნილებს თქვენს ცხოვრებაში?

— მგზავნილობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ხოლო „გზავნილები“ ჩემი მეორე ოჯახია.

მის 13.07

— როცა მგზავნილი ხდები,

ცდილობ, შენი თითოეული გზავნილი საინტერესო იყოს, რათა ქალბატონი მარის ცენზურას გაუძლოს და დღის სინათლე ელირსოს. მგზავნილები კი ჩემი ახლო მეგობრები გახდნენ. მათი ტკივილი მტკივა და სიხარულის მოზიარე ვარ.

— კიდევ რას გვეტყვით თქვენზე?

კონი-20

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ცოტა ძნელია, მაგრამ შევეცდები, ობიექტურად გიპასუხო. ვარ სანდო და გამტანი მეგობარი, მხიარული, ჯიუტი, პრინციპული და ზოგჯერ — დაუნდობელი.

მის 13.07

— ჩემი შეფასება თქვენთვის, მგზავნილებისთვის მომინდვია. ვარ ჯიუტი, პრინციპული; ამავდროულად, მიყვარს ბევრი სიცილი. გარეგნულად — სუსტი და სულიერად ძლიერი ვარ, ამტანი და გამტანი.

— რას მტყვით მარზე და როგორ შეაფასებდით მის შემოთავაზებას, ინტერვიუების თაობაზე?

მის 13.07

— მარი არაჩვეულებრივი ჟურნალისტი. მან შეძლო და „გზის“ საშუალებით შეკრიბა მგზავნილთა დიდი ოჯახი, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა. ინტერვიუები კი საუკეთესო საშუალებაა, თითოეული მგზავნილის გასაცნობად. მარის იდეები ნამდვილად არ აკლია და მინდა, დიდი წარმატებები ვუსურვო.

კონი-20

— ყველა დამეთანხმებით, რომ მარის მშვენიერი ტიტული ვუბოძე — „ყველაზე ჭკვი-

ანი ჟურნალისტი“ და არც შეემცდარვარ. ის ისეთ საინტერესო რუბრიკებს გვანვდის, რომ თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას საინტერესოს ხდის. მარი, ასე გააგრძელე.

— თქვენს მეტსახელებზე გვითხარით ოროდეს სიტყვა ეს სახელები რატომ დაირქვით? მის 13.07

— მე 2 ნიკით ვამესიჯებდი: NIKY და 13.07. პირველი მეგობრებმა შემარქვეს, ერთ-ერთ მსახიობთან მსგავსების გამო. მეორე კი თავად შევირჩიე, დაბადების დღისადმი უზომო სიყვარულიდან გამომდინარე.

კონი-20

— ჩემი ნიკი ასე იშიფრება — 20 ჩემი დაბადების რიცხვია, ხოლო რაც შეეხება „კოხს“, 20 მაისს კოხინჯრობის დღესასწაულია. ყველაფერი შევკრიბე და ჩემი ნიკი მივიღე.

— სოფი, ვიცი, რომ საბერძნეთში გათხოვდი. სად გაიცანი შენი მომავალი მეუღლე?

— სიყვარულის არ მჯერა. ვფიქრობ უბრალოდ, შეჩვევით ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ და ამ ყველაფერს სიყვარულს უწოდებენ. ჩემი მეუღლე ათენში გავიცანი. მასში ის თვისებები აღმოვაჩინე, რაც სხვა მამაკაცში არ შემინიშნავს. მივხვდი, სწორედ ის იყო, ვისაც ვეძებდი. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. მალე პატარაც გვეყოლება და უფრო ბედნიერს გახდის ჩემს პატარა ოჯახს.

— რაზე ოცნებობენ კოხი-20 და მის 13.07?

კონი-20

— ოჰ, ცოტა მძიმე კითხვაა. :-) არ ვოცნებობ, უბრალოდ

მინდა, რომ ყველა ემიგრანტი თავის კუთხეს დაუბრუნდეს.

მის 13.07

— ჩემი ოცნებაა, საქართველო გაძლიერებული ვნახო. ყველა ემიგრანტი დაუბრუნდეს საქართველოს, თავის ოჯახს და ბედნიერი სახეები დამენახოს, სვედიანი თვალების ნაცვლად.

— ოცნების ახდენას და

სულ მალე გაძლიერებულ საქართველოში დაბრუნებას გისურვებთ, ჩემო კარგებო. ინტერვიუს ბოლოს, რას უსურვებთ ჩვენს მგზავნელებს?

კონი-20

— გმადლობთ, გენაცვალე. გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს. ღმერთი გფარავდეთ. ამინ.

გკოცნით და გეფერებით შორიდან.

მის 13.07

— უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა, საინტერესო კითხვებისთვის. მგზავნელებს დიდ სიყვარულს ვუსურვებ. ნუ დაიკარგებით და იყავით აქტიურები. უფალი გფარავდეთ.

# ვერმასტი ანუ ვერმასტი და ვერმასტი

თაო ლეონიძე (ლიმონა)

ჩემს რესპონდენტად ერთ-ერთი პერსპექტიული სასიძო მგზავნელი ამოვარჩიე. :) მანდილოსანო მკითხველებო, ყურადღებით გაეცანით ამ ინტერვიუს. არ გაუშვათ შანსი ხელიდან. :) ვერმასტი აქტიური მგზავნელია, ბათუმიდან. უყვარს მეგობრებთან ერთად ბორიალი და დროს ტარება, ფეხბურთი და როკის მოსმენა. მისდევს ჯანსაღი ცხოვრების წესს. არ უყვარს სხვების მიბაძვა. მისი საყვარელი გამონათქვამია — „თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის“. „გზასა“ და ქალს მის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. მათ საერთო ის აქვთ, რომ კაცს, ორივე უცებ დააბამსო, — მომწერა. იურისტ ქალს ამხელა ვალდებულება არ უნდა ამელო თავზე, მაგრამ მაინც ვცდი. :) ვინც რისკავს, შამპანურსაც ის სვამსო, ამბობენ. :) ახლა კი თავად მოვუსმინოთ იმ ბიჭს, რომელიც ისეთი უცნაურია, რომ ხანდახან დედამისიც ვერ ცნობს. :)


— ვერმასტი, აბა, შენი თავი გაგვაცანი, გეთაყვა. სახელი, გვარი, ასაკი, წონა, სიმაღლე, ფეხის ზომა... არც ოჯახური მდგომარეობა დაგავინწყდეს.

— ვანიშნავი ვარ გვარად, როლანდი მქვია სახელად. :) უბრალოდ, როკო დამიძახეთ. :) 18 წლის ვარ, 176 სმ სიმაღლის. 3ა-3ა — 177, 70 კილოგრამი, უცოლო და უშვილო. :)

— მაშასადამე, თავისუფალი ხარ, არა? :) გაითვალისწინებენ მაგას „მანდილომგზავნელები“. ახლა შენი ნიკის საიდუმლოც გაგვანდე. რატომ — ვერმასტი?

— ლიმონ, ეგ საქმე შენთვის მომინდვია. მარტო შენ იცი ჩემი ნიკის სრული ისტორია. :)

— უჰ, რაც მე შენი ნიკის გამოცნობაზე ვინვალეუბოლოს, მოვბოდე, თავადების



ძველქართული სახელია-მეთქი. თურმე, ერთ-ერთი გერმანული სამხედრო-სადაზვერვო შენაერთის სახელი ყოფილა. :) იცოცხლე, მერე კი გადავიკითხე გერმანულ დაზვერვაზე ყველაფერი. :) მოდი, „მანდილომკითხველებს“ წარუდგინე ვერმასტი თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

— რბილი ხასითი მაქვს, მეგობრული და გამგები. ზრდილობიანი, თბილი და როგორც მეუბნებიან, ცოტა უცნაური პიროვნება გახლავარ. ახლა „ცუდებზე“ გადავალ — საშინლად დაბნეული და გულმაკინცი ვარ. შესაძლოა, ნივთი წინ მედოს და ვერ ვიპოვო. :) არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ არ ვწნევი, არ ვსვამ და არც ვკაიფობ.

— კარგია, კარგი. ვისთანაც ბოლომდე იხსნები, ხვდება, რომ მართლაც უცნაური ბიჭი ხარ (ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება დატოვე და სხვაზე — არ ვიცი). როგორ გგონია, ცხოვრების ჩარჩოში ჯდება? მოგწონს ჩვენი ტრადიციები?

— არც „აზიატი“ ვარ და არც — უსაზღვროდ ევროპელი. ამ ეტაპზე ქალწულობის ინსტიტუტი არ მომწონს. მერე ვნახოთ. სიყვარული სერიო-

ზულად ჯერ არ მწვევია. კაცი ბუნებით მონადირეა. რაც უფრო მეტი ნანადირევი აქვს, მით უფრო კარგად გრძნობს თავს. პირადად მე, ამ ეტაპზე პასიური მონადირე ვარ.

— შენ, კიკომ და ლელუჩიამ ბათუმში ახალი კლუბი შექმენით. ორიოდვე სიტყვით გვითხარო, რას აპირებთ სამომავლოდ?

— სამომავლო გეგმები ჯერ-ჯერობით მზადების პროცესშია. მხოლოდ ის ვიცი, რომ ზაფხულობით ბათუმში ჩამოსულ მგზავნელებს კარგ მეგზურობას გავუწევთ.


— ერთ სურვილს შეგისურვებ-მეთქი, რომ გითხრა, რას მოხვებ? :)

— საქართველოს გამთლიანებას. იქნებ ოდესმე დაგვადგეს საშველი?! მერე — ერთგულ მეგობრებს და წრფელ სიყვარულს.

— ეგ უკვე სამია. ინტერვიუს დასასრულს, მითხარი, როგორ წარმოგიდგენია შენი თავი 30 წლის შემდეგ?

— ალბათ მელოტიც ვიქნები და ლიპიანიც. :) ისე, მინდა, ჩემთვის, მყუდროდ ვცხოვრობდე და ცოლი ყოველ დილით ყავას მიდუღებდეს.

# ბურისტაზის სასაინსო პრაქტიკა



**1.** სასტუმროს პერსონალის მხრიდან უხეშობის მსხვერპლი გავხდით. რესტორანში ოფიციატები მხოლოდ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ლაპარაკობდნენ. ამის გამო უესტების გამოყენება მჭირდებოდა. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს, წითელი ღვინო გადავისხი და ტანისამოსი დავილაქავე. გთხოვთ, ზარალი — 600 დოლარი და ერთი ბოთლი წითელი ღვინო ამინაზლაურით.

**2.** შევიძინეთ საგზური ოკეანეში სამოგზაუროდ, რომლის ღირებულებაში ზვიგენებზე ნადირობაც შედიოდა. მთელი 4 საათი ვიყავით ოკეანეში, დავსველდით, გავიყინეთ, მაგრამ ზვიგენი არ გამოჩნდა. გთხოვთ, დაგვიბრუნოთ საგზურში გადახდილი თანხა.

**3.** ცოლი დასასვენებლად თურქეთში გავამგზავრე. სასტუმროს ნომერში წინასწარ შამპაური და ყვავილები შევუკვეთე. ადგილზე ჩასულმა მეუღლემ მითხრა, რომ ნომერში ჩემი საჩუქარი არ დახვედრია. სასტუმროში დავრეკე და ყველაფრის გამოსწორებას შემპირდნენ. ჩემი ცოლი ძალიან გაბრაზდა მომსახურე პერსონალზე და პორტიეს ყვავილები და ბოთლი თავზე გადააყარა. ამის გამო სასტუმროში სკანდალი ატყდა. მათ ყველაფერი საჭიროებისამებრ რომ გაეკეთებინათ, ეს ამბავი არ მოხდებოდა. ახლა გთხოვთ, მორალური ზიანი აგვინაზლაურით.

**4.** ტაილანდში, სასტუმროში ყოფნის დროს, ლამდამობით, უცნაური ხმები მალვიძებდა. როგორც მომსახურე პერსონალმა ამიხსნა, პალმის ხიდან ქოქოსის ნაყოფი ცვიოდა. არადა, საკუთარი თვალთ დავინახე, როგორ უშვებდნენ ხეზე, ქოქოსის

ნაყოფის მოსაკრეფად თოკზე გამობმულ მაიმუნს. ყველაფერთან ერთად, უმნიშვარი ქოქოსის რძეს ვსვამდი, რადგან მეეჭვება; მაიმუნი მწიფე და მკვახე ნაყოფს ერთმანეთისგან არჩევდეს. გთხოვთ, ზარალი ამინაზლაურით.

**5.** ადგილობრივი „მულატკები“ გამომწვევად ათამაშებდნენ საჯდომს და მკერდს იშიშვლებდნენ. მამაკაცების სიმცირე იგრძნობოდა, ხოლო ვინც იყო, ისინიც — ძალზე შეუხედავები. ამის გამო იძულებული ვიყავი, დასვენების ნაცვლად, ქმარი მუხეუმებში მეტარებინა.

**6.** მენეჯერი:  
— ქალბატონებო, თქვენ ამბობთ, რომ ანტალიაში ვერ იმხიარულეთ, ვერავინ გაიცანით და ირგვლივ მხოლოდ თურქები იყვნენ. როგორ ფიქრობთ, თურქეთში თურქები არ იქნებოდნენ?

— ჰო, მაგრამ ამდენი?

**7.** მოგზაურობის დაწყების წინ არავის უთქვამს, რამდენი ფული უნდა წაგველო. მიუხედავად ამისა, მაღაზიებში ძალით დავყავდით. ბოლო დღეებში, ავტობუსით მგზავრობის ფულიც აღარ გვექონდა. გთხოვთ, ამინაზლაურით მორალური ზიანი.

**8.** აღმოვთებული ვარ. მე და ჩემს მეუღლეს გერმანიაში წასასვლელ ვიზაზე უარი გვითხრეს, მაგრამ ამიტომ კი არა, იმის გამო ვლელავ, რომ ვიდრე ჩვენ საელჩოსთან, რიგში ვიდევით, ჩვენი სახლი დაინვა. თანაც, კონსულთან გასაუბრების დროს, ჩემი ქმარი ისე ლელავდა, რომ ხელოვნური „ჩანი“ გაუტყდა და ახლა იძულებულია, ჩუმად იყოს. მე კი არ გავწუმდები და მოვითხოვ კომპენსაციას დამწვარი სახლის, გატეხილი „ჩანისა“ და მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ბებიის გამო.

**9.** ეგვიპტეში მოგზაურობამდე, წყალქვეშ ცურვა ვისწავლე, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი ცოდნა იქ ვერ გამოვიყენე, რადგან წყალქვეშ უამრავი არაბი მამაკაცი დაცურავდა და ყველა მე მიყურებდა.

**10.** ჩინეთში, ჩინურ რესტორანში ვახშობის დროს, ოფიციალტი მაგიდაზე თეფშებს დემონსტრაციულად ისროდა. შემდეგ აგვიხსნა, რომ ჭურჭლის მელოდიური ხმა მის ხარისხზე მიუთითებდა. თქვენ შეძლებთ ჭამას მაშინ, როდესაც თეფშებს გესვრიან?

მოკლე ჩართვა

## რას არ მივწერ უყვარაზულს?

• არ უნდა უთხრა შეყვარებულს, რომ მოგწონს მისი გრძელი ცხვირი, მისი მულოტი თავი, მის ელაში თვალები. ეს მე ვთქვი? არა, არ მითქვამს, მარი ჯაფარიძემ გამომიტყა. გრუზინკა.

• არ მივწერდი, რომ მინდა ლამით ჩემთან დარჩეს... მინდა, მის მკერდზე ჩამეძინოს... ძალიან მინდა, მაგრამ ამ ყველაფერს მას ვერ მივწერ. არა, სულ გავგიჟდი, რა... :- ) ცრემლუკა.

• ნაბიჭვარო, „პეტუნა“ ხარ! შენი დედა ნამეტნავად გასვეტდა, ვითომ რაო? როდის წამიყვან ცოლად? შენი რომ ვიქნები, გაგაგიუებ... მეგრელი მეგლო.

• სიხარულო, მე შენ მიყვარხარ, როგორც მანონი, მაგრამ მანონს საერთოდ არ ვჭამ.

>>>23

# პროქონილა

რეალური ამბის პერსონაჟების მისამართით რამდენიმე მესიჯი მივიღე. მინდა, დასაწყისში მკითხველის აზრი შემოგთავაზოთ.

„მარი, სულაც არ მომწონს ეგ დათო. რა ნახა მასში ანამ? შესაძლოა,

მართლაც სიმპათიურია, მაგრამ ვაჟკაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ანასავით აწყობილი ბიზნესი და ცხოვრება რომ მქონდეს, კაცების დედაც-მეთქი, ვიტყვოდი. :) შეეშვას, რა! რუსო“.


„მარ, სად გაიცანი ეგ ანა? კარგი ტიპი ჩანს. ვენაცვალე, ვგიჟდები ასეთ ქალებზე, მიხანიც რომ აქვს და ისიც იცის, რა უნდა. ანა, გაიხარე, წარმატებებს გისურვებ“.

„კაროჩე“, ქალბატონო მარი, ამ რეალურს აღარ წავიკითხავ. თქვენ ყოფილხართ, რაც ყოფილხართ. ჩვენ, კაცები კი საცოდავი არარაობები და უთავმოყვარეოები ვართ, არა? ერთი, ეგ დათო გამაცანი, და ისე დავუყუო, შენი მოწონებულნი. მარ, შენი ფანი ვარ, მაგრამ თუ ანას ჭკუას არ ასწავლი, თაყვანისმცემელთა რიგებს გამოგაკლდები. პატივისცემით, უჩვეულო მამაკაცი“.

„ისე ჩამითრია რეალურის კითხვამ, რომ ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი, ამბის გაგრძელება რომ წავიკითხო. მაგარია, როცა სხვის ცხოვრებას თვალს ადევნებ. ნეტავ, რით დამთვარდება „ბრძოლა“? “

„ანას ამბავი ჩემი მეზობლებისას ჰგავს ძალიან, მაგრამ იმათ 2 ბიჭი ჰყავთ. მარ, იქნებ, შეცვლილი გაქვს რაღაცები და მართლაც მათი ამბავია? კაცი რუსეთში იყო დიდი ხანი, უგზო-უკვლოდ დაკარგული. ქალმა, მის ჩამოსვლამდე, აქ ფული იშოვა, ახლა კი მუშაობაც დაიწყო. ჰა, მარ, საიდუმლოს არ გამიმხელ?“

ახლა კი ამბის თხრობას განვაგრძობ, რომელიც წინა კვირას იქ შევწყვიტეთ, როდესაც რესტორნიდან გამოსულ ანას მანქანის მინაზე ვილაცამ მიუკაკუნა.



დასაწყისი — „გზა“, №11-15

## მარი ჯაშარიძე

მკვეთრად შემოვბრუნდი და დაბურულ მინაში „სტიანიშჩიკის“ სახე გავარჩიე. მინა ჩამოვნიე და ლარიანი გავუნოდე.

— ვერ გახვალთ, ქალბატონო, უკან მანქანა დგას, — ჯოხი სადღაც, უსასრულობისკენ გაიშვირა.

— დაუძახეთ პატრონს და გაიყვანოს, — უკმაყოფილოდ ჩავიბურტყუნე.

— თუ დაიცდით და თქვენი „ტანკით“ არ გაჭყლეთ, დავუძახებ, — კეთილად გაიღიმა მამაკაცმა და ვიდრე ძრავა არ გამოვრთე, ადგილიდან ფეხი არ მოიცივალა.

მარტო დარჩენილმა ვიგრძენი, რომ ძალიან მთვრალი ვიყავი და გონება ლამის მეზინდებოდა. შიში გამიჩ-

ნდა, მაგრამ თავი გავიმხნევე, სავარძელში შევსწორდი, თვალები დავაჭყიტე, რომ არ ჩამძინებოდა და რადიო ჩავრთე. ძალიან სასიამოვნო მელოდია გაისმა სალონში. ისე მომეწონა, ლამის ვიტირე. მელანქოლიური განწყობილება დამეუფლა. ამ წუთში ყველა და ყველაფერი მიყვარდა, ჩემი ყოფილი ქმარიც კი. რატომღაც მისი ნახვა ისე ძალიან მომინდა, რომ ვინატრე, ნეტავ ახლა შინ ვიყო-მეთქი.

როგორც იქნა, გაიყვანეს მანქანა და მეც ამოვისუნთქე. ძალიან ნელა ვმოძრაობდი. გული მაჩქარებდა, მაგრამ ვფრთხილობდი. ასე ძალიან მახო არასოდეს მომნატრებია. მობილურზე მისი ნომერი ავკრიბე.

— რა იყო? — ცივად მიპასუხა ყოფილმა ქმარმა.

— არაფერი, ბავშვს სძინავს?

— კი.  
— მზიასაც? — ძიძა მოვიკითხე.

— კი.  
— კი, მაგრამ რომელი საათია?

— შუალამეა, პირველი ხდება.

— შენ რატომ არ გძინავს?

— ტელევიზორს ვუყურებ.

— ახლა ეზოში შემოვდივარ. ჩაიცვი და ჩამოდი! — ბრძანებას უფრო ჰგავდა ჩემი ნათქვამი, ვიდრე თხოვნას.

— კარგი, — უცებ დამთანხმდა მახო და ტელეფონი გათიშა.

ლოდინმა დიდხანს არ მომიწია — როგორც ჩანს, ინტერესი კლავდა, რა მინდოდა. უცებ ჩამოვიდა და ჩემ გვერდით, სავარძელში მოკალათდა. მანქანა ისევ ნელა დავძარი და ეზოდან გამოვედი.

— სად მივდივართ? — სი-



გარეტს მოუკიდა მახომ.

— რა იყო, ხომ არ გეშინია? სადმე წავიდეთ, დავსხდეთ და ყავა დავლიოთ.

— შენ რა, მთვრალი ხარ?

— სახეზე დამაკვირდა.

— ჰო, — დავაქნიე თავი.

— კარგი, წავიდეთ. ისე, მანქანას მშვენივრად მართავ, პროფესიონალი მძღოლივით, — კომპლიმენტი გამოიმეტა. პასუხი არ გამიცია.

მთელი რუსთაველი ჩამოვიარეთ, მაგრამ ყველაფერი დაკეტილი დაგვხვდა. ძლივს მივაგენით ღია ბარს. ჩაბნელებულ კუთხეში დავსხედით და მიმტანს კონიაკი, ყავა, ხილი და პიცა შევუკვეთეთ.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო მახომ.

— არაფერს, უბრალოდ, დაღევა მინდოდა და სხვა ვინ გამეღვიძებინა ამ შუალამისას?

— როდის აქეთ დაიწყე სმა? — გაუკვირდა ჩემი ნათქვამი.

— დღეიდან ვინყებ! დღეიდან სხვა ცხოვრებას ვინყებ!

— ეს ჩემთვის კარგია თუ ცუდი?

— არ ვიცი, ეს შენ განსაზღვრე, მომავალში, — თითი ჭერისკენ ავიშვირე, — დაასხი! — ვუბრძანე და ბოთლს თავად დავწვდი, მაგრამ არ დამანება და თვითონ ჩამოასხა კონიაკი პატარა ჭიქებში.

— ამით ჩვენს წარსულს გაუმარჯოს! — მოკლედ ვთქვი და ჭიქა გამოვცალე.

— ე.ი. ჩვენ გაგვიმარჯოს, წარსულში! — არც ის იყო სიტყვაუხვი. ჭიქა დადგა და ისევ შეავსო.

— ამით კი — ჩვენს მომავალს, — ისევ ბოლომდე გამოვცალე სასმისი.

— ჩვენ გაგვიმარჯოს, მომავალში, — ჯიუტად იმეორებდა თავისას.

— მახო, გახსოვს, ერთხელ, შუალამეს, მთვრალი რომ მოხვედი ჩემთან, მთელი ოჯახი ფეხზე რომ დააყენე და

უფრო სწორად, მოკლულ სიყვარულს, გულზე ხელებგადაჯვარედინებულს, საცოდავს და დასავინყებლად გამეტებულს.

## როცა მის მხარზე თავი დავდე და დაძინება დავაპირე, ცას უკვე სინათლე ჰქონდა შეპარული

მამაჩემს ჩემი ხელი სთხოვე?

— მახსოვს, — ჩაიცინა მახომ.

— გახსოვს, როგორ გიყვარდი?

— მე ახლაც მიყვარხარ, სულელო.

— მე კი აღარ მიყვარხარ, — ვთქვი და თვალზე ცრემლი მომადგა, — სად წავიდა ის დიდი სიყვარული?

— არ ვიცი, — მიამიტად აიჩეჩა მხრები.

— შენ მოკალი! — ისე ხმამაღლა ვთქვი, რომ ყველას ყურადღება მივიპყარი. — შენ მოკალი, შენ! — ჯიუტად ვიმეორებდი და მაგიდაზე წკაპანკუპით დაცემულ ცრემლებს ქალაღდის ხელსახოცით ვწმენდდი.

— კარგი, დანყნარდი, — ხელი ხელზე დამადო მახომ. მისი ხელისგულის სითბო მესიამოვნა და გავიტრუნე, — კიდევ დაღევ? — მკითხა და მეორე, თავისუფალი ხელით სასმელი ჩამოასხა.

— კი, — თავი დავუქნიე და მეც თავისუფალი ხელით ავიღე ჭიქა.

— თქვი რამე, თამადა ხომ შენ ხარ? — ისე შემომცინა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

— მოდი, გარდაცვლილ სიყვარულს გაუმარჯოს.

— გარდაცვლილს? მე კი მგონია, რომ ჩვენი სიყვარული ჯერ არ გარდაცვლილა. ის ავადაა, მომაკვდავია და კარგი მკურნალის ხელი აუცილებლად გააცოცხლებს.

— არა, მკვდარია! — გავჟინიანდი.

— კარგი, როგორც გინდა, ოღონდ ახლა ერთიც დავლიოთ და მერე წავიდეთ. სასმელი ძალიან მოგეკიდა.

— მთვრალი არ ვარ! ჭირისუფალი ვარ და ცოტა დავლიე, დარდის გასაქარვებლად.

— ამით შენს ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს, რომელსაც დღეიდან იწყებ, — სადღეგრძელო შემომთავაზა. მეც ავიტაცე, მაგრამ ვეღარ დავლიე, რადგან სასმლის სუნზე ლამის გული ამერია.

— გასაღები მომეცი, — ხელი გამომიწოდა მახომ მას შემდეგ, რაც დანახარჯი გადაიხადა.

უსიტყვოდ მივანოდე, რადგან ვხვდებოდი, რომ მანქანის მართვას ვერ შევძლებდი.

ცოტა ხანს ქალაქში იბორიალა. მინდოდა მეკითხა, რატომ არ მივდიოდით შინ, მაგრამ ლაპარაკის თავი არ მქონდა. თვალები დახუჭული მქონდა და თვალწინ მისი სახე მედგა. მახოსნაირი სიმპათიური მამაკაცი მსოფლიოში არ არსებობს-მეთქი, — ვფიქრობდი. ვიგრძენი, რომ მანქანა გაჩერდა, მაგრამ ვიფიქრე, შუქნიშანთან ვიდექით.

— რა ღირს? — მახოს ხმა გავიგონე, მაგრამ პასუხი ვერ გავარჩიე.

უეცრად, რაღაც სველი და ცივი დამიდო კალთაზე. თვალი არ გამიხელია, ხელი მოვაფათურე და მივხვდი, ყვავილები იყო. გაოცებულმა



ილიოცემ მუყლამას ილიოცეზი ყო  
სმს, ილიოცეზისთვის აყვირებს.

დავაჭყიტე თვალები. მუხლებზე მუქი წითელი ვარდების თაიგული მედო. მადლობაც არ მითქვამს.

— უკვე 9 თვეა, აქ ხარ და ამის გაკეთება აქამდეც შეგეძლო, — ვუსაყვედურე ყოფილ ქმარს.

— ჰმ, აქამდე არ ვიცოდი,

— მაისურს დაეჭიდა თუ არა, საწოლზე გადავწევი და მახოც თან გადავიყოლე. ხელები კისერზე მოვხვიე და თვალებში შევხედე. ამღვრული თვალებით მიყურებდა. ახლა მის თვალებში ვერაფერს ამოვიკითხავდი, რადგან ამის თავი არ მქონდა. თვალები დავხუჭე

— არაფერი, ყავას დალევ?

— კი, დავლევ. შენი მზერა არ მომწონს, — მითხრა და წელზე ხელები შემომხვია, მაგრამ უხეშად მოვიშორე.

— წუხანდელი ღამე არაფერს ნიშნავს, მახო. ამით ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეიცვლება.

— გინდა, გითხრა, გუშინ რა მოხდა?

— მითხარი.

— დიდი ხანია, ჩემთან სექსი გინდა, მაგრამ ამის თქმას და გამჟღავნებას ვერ ბედავდი. განგებ დათვერი, რომ სითამამე შეგმატებოდა. აქამდე ვფიქრობდი, მამაკაცი გყავდა, მაგრამ წუხანდელი ღამის მერე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. მითხარი, სწორად გამოვიცანი?

— ვერ გამოიცანი. სიმართლე ის არის, რომ გუშინ ჩემს თაყვანისმცემელთან ერთად რესტორანში ვიყავი. ეს მამაკაცი მომწონს, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ვიცნობ. ამიტომ მასთან სექსი ჯერ გამორიცხულია. მასთან რომ ვიცეკვე, ვიგრძენი, აუცილებლად მჭირდებოდა სექსი. ვინაიდან ჩემი კავალერი ამისთვის არ გამოდგებოდა, ერთადერთი კანდიდატურა შენ იყავი. ეგ იყო და ეგ, — გულწრფელად გამოვუტყდი მახოს, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ჩემი ნათქვამი არ მოეწონებოდა.

— გამოდის, გამომიყენე?

— ჰო, ასე გამოდის, — ყავის ჭიქა გვერდზე გავწიე, სიგარეტი საფერფლეში ჩავსარიხე და წამოვდექი.

რამდენიმე წუთი დამჭირდა მოსამზადებლად. კარი უსიტყვოდ გამოვიხურე და სამსახურში იმ იმედით წავედი, რომ საღამოს ამ თემამზე საუბარი აღარ გაგრძელდებოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**— დიდი ხანია, ჩემთან სექსი გინდა, მაგრამ ამის თქმას და გამჟღავნებას ვერ ბედავდი. განგებ დათვერი**

თუ სიყვარული გარდაცვლილი იყო. ახლა გავიგე და პანაშვიდზე ხელცარიელი ხომ არ მივალთ?

— ჰმ, — პასუხად მხოლოდ ეს მოვახერხე.

როგორც იქნა, შინ მივედი. ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ წონასწორობას ძლივს ვინარჩუნებდი. მახომ ხელი შემამშველა — წელზე მომხვია და კიბეზე ისე ამიყვანა. საკეტს გასლები ძლივს მოარგო. მე კი ვიდრე კარს გაალებდა, ცხვირი მის კისერში ჩავყავი და სურნელს ხარბად ვისუნთქავდი. ვგრძნობდი, რომ მისი ალერსის დაუოკებელ სურვილს ვყავდი შეპყრობილი. ჩემი მთვრალი, დაბინდული გონება გზას ეძებდა, რომ ეს სურვილი აესრულებინა. როგორც იქნა, კარი გაიღო. მახომ ჩემს ოთახში შემიყვანა და საწოლზე დამსვა.

— მინერალურ წყალს მოგიტან, გამოგიყვანს, — მითხრა და სამზარეულოსკენ წავიდა. უკან მოზრდილი ჭიქით ხელში დაბრუნდა. მე გაუხდელად ვიყავი საწოლზე მიწოლილი და ჭერს ვუყურებდი. ჭიქა იქვე დადგა, წამომსვა და თავისი ხელით დამალევინა „ბორჯომი“. გრილი სითხე საამოდ მოედო სხეულს.

— გაიხადე და ჩანექი, — მითხრა და ტუმბოზე მდგარი სანათური ჩააქრო.

— გამხადე! — ვუბრძანე და ხელები მორჩილი ბავშვივით ზევით ავწიე, რომ მაისურის გახდა შესძლებოდა.

და დაველოდე, რას გადაწყვეტდა ჩემი ყოფილი ქმარი, მიიღებდა თუ არა გამონწვევას. მისი ტუჩები ფრთხილად შეეხო ჩემსას და მივხვდი, რომ მახო ჩემს უსიტყვო თხოვნას დაემორჩილა. მისი ალერსი უსასრულოდ გაგრძელდა, ისე დიდხანს, რომ გამოფხიზლებაც მოვასწარი. როცა მის მხარზე თავი დავდე და დაძინება დავაპირე, ცას უკვე სინათლე ჰქონდა შეპარული. საათს შევხედე — 7 იყო დაწყებული. „ხვალდან, უფრო სწორად დღეიდან, ყველაფერი ისევ ძველებურად იქნება“, — გავიფიქრე და თვალები დავხუჭე.

გალვიძებული სწრაფად წამოვხტი, რადგან უკვე 10 იყო დაწყებული და სამსახურში უნდა წავსულიყავი. მზია და სალომე შინ აღარ იყვნენ. წყალი გადავივლე და სამზარეულოში გავედი, ყავის მოსადუღებლად. მახო იქ დამხვდა. შევედი თუ არა, შეთქმულივით შემომცინა.

— რა იყო, მოხდა რამე? — მკითხა, როცა ჩემს ცივ მზერას გადააწყდა.

*ამ საღამოს მას აყოივებ ცოლი  
მისთვის იყოფო და თუ იყოფო,  
მიხარია, იღვას მთვრალ მოვინებს?*



# ჩას წაწმოადგენენ მამაკაცები 30 წლის შემდეგ



უკვე 3 კვირაა, ახალგაზრდა (როგორც თვითონ ამბობს) ქალბატონი მიმესიჯებს და მთხოვს, აფუხსნა, რატომ არიან მამაკაცები ასეთი უცნაურები. თავად დასძენს, რომ დიდი ხანია, მამაკაცებს აკვირდება და დაადგინა, რომ ისინი 30 წლამდე გაცილებით ჭკვიანები არიან, ვიდრე 30 წლის შემდეგ. ვეცდები, მისი (ალბათ არა მარტო მისი) ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო და აღვწერო 30 წელს გადაცილებულ მამაკაცთა ტიპები. ვფიქრობ, დასკვნას თავად გამოიტანს. მაშ ასე:

## ბრაში თარხანი

### 1. ცოლიანი-მოშინაურიებული

საკმაოდ მისაღები ტიპია. მორჩილად დადის სამსახურში, უსიტყვოდ შეექცევა, რასაც მართმევენ და სვამს, რასაც დაუსხამენ. ზუსტად ასრულებს ბრძანებებს: „დაწევი“ და „მოიტანე“. ხელფასი მთლიანად შინ მიაქვს, მაგრამ მცირე თანხის ხელმიწვდომელ ადგილებში დამალვა სჩვევია (შავი დღისთვის). უპირატესობას ანიჭებს განიერ „ფოხანს“. ცოლის ლალატს თავს არიდებს, თუმცა, სულ ამაზე ფიქრობს და ოცნებობს. სანოლში მორიდებული და სუსტი სექსუალური პარტნიორია. საყვარლის როლისთვის არ გამოდგება.

### 2. ცოლიანი ხელივანი

ოჯახურ სიტუაციაში წყნარი და მორჩილია, სახლის გარეთ — გახსნილი, მოლაყბე და „ნაგლი“. გამომწვევად იცვამს, მოსწონს ღია ფერის პერანგი და კონტრასტული ფერის შალსტუხი. „კულტურული ღონისძიებები-

დან“ უპირატესობას ლუდის ბარში ჯდომას ან იაფფასიან რესტორანში მუსიკის მოსმენას ანიჭებს. უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. განქორწინების ინიციატორი არასოდეს გახდება. ინტიმური ურთიერთობის დროს მშიშარა და არათავდაჯერებულისაა. ქალის ვნების დაცხრობა, როგორც წესი, არ შეუძლია, მაგრამ სამახსოვროდ, საცვლის მოპარვა სჩვევია.

### 3. ცოლიანი-პიუზონი

ამაყად თავანუელი დადის და მუდამ პირდაპირ იყურება. არ უყვარს სპირტიანი სასმელები, მაგრამ ცოტაოდენ, იაფფასიან ვისკის სიამოვნებით მიირთმევს და ამ დროს საკუთარ „საგმირო საქმეებზე“ ლაპარაკით ყურებს გამოგიჭედავს. კულტმასობრივ ღონისძიებებზე სიამოვნებით დადის და ამ დროს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, რადგან ნაცნობებთან შეხვედრას გაქცევს. სანოლში ბევრს ლაპარაკობს და შეუძლია, საათობით გაარჩიოს „კამასუტრა“. ხშირად განიცდის ფიასკოს, რის შემდეგაც საათზე იყურება და შინ გარბის. თან პირობას დებს, რომ ფიასკოს

მიზებს მომდევნო შეხვედრისას განმარტავს.

### 4. განქორწინებული-ჩუქურბიჩი

ნაცრისფერი, დაჭმუჭნილი კოსტიუმი, ჭუჭყიანი ფეხსაცმელი, ალიმენტი, უსახური სამსახური, ერთოთახიანი ბინა... აღვირახსნილი ცხოვრების უფლებას, თავს უფულობის გამო ვერ აძლევს. ყველა ქალს შიშამდგარი თვალებით უყურებს, რადგან ეშინია, სილა არ გაანნას. ქალის დაუფლებას დივანზე, გაუხდელად ცდილობს. უარის მიღების შემთხვევაში იგინება, ხოლო თანხმობის შემთხვევაში — იბნევა და არ იცის, როგორ მოიქცეს შემდგომ.

### 5. განქორწინებული-ბიზნესმენი

„როლექსის“ საათი, 2-3-ოთახიანი ბინა, ამაყი გამოხედვა. უყვარს გამოფენებსა და პრეზენტაციებზე სიარული. გარეგნულად ჯენტლმენს ჰგავს. ქალს ხელისგულზე ატარებს, რათა ყველამ დაინახოს და შურით გასკდეს. იოლად იძლევა დაპირებებს, რომლებსაც არასოდეს ასრულებს. სექსზე საუნაში, მეგობრების გარემოცვაში საუბრობს. სანოლში ზარმაცია. უყვარს უტაქტო კითხვების დასმა, პარტნიორის სხეულზე აღმოჩენილი უმნიშვნელო ნაკლის შესახებ და ხალისობს, როცა ქალი ამის გამო უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდება. სწყინს, თუ ეტყვიან, რომ სხვებისგან არაფრით გამოირჩევა.

### 6. განქორწინებული-პროგნაშისტი

მასში ურთიერთგამომრიცხავი თვისებებია თავმოყრილი:



ზარმაცია, უყურადღებო, დაბნეული, მობილიზებული... საყვარელი ტანისამოსი არა აქვს, საერთოდ, არანაირი ტანისამოსი არ გააჩნია — გარდა იმისა, რაც ზედ აცვია. კომპიუტერთან ერთად ცხოვრობს. კულტურულ ღონისძიებებზე ინტერნეტში „დადის“. არ ახსოვს არც ყოფილი ცოლის, არც შვილებისა და ყოფილი საყვარლების სახელები. კარგად იმახსოვრებს ვებგვერდების მისამართებს, მაგრამ ტელეფონის ნომრებს — ვერა. ინტიმის შესახებ ინტერნეტში ნაუკითხავს. საწოლში არასოდეს წვება. თუ მასთან რაიმის მიღწევას ცდილობ, მხოლოდ უსიტყვოდ, ძალადობის გზით მიაღწევს.

**7. ჩუქურბრთი-უცოლო**

უბრალოდ, მაგრამ სუფთად იცვამს, რადგან ჯერ კიდევ მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მშვიდია. თეატრში სიარული უყვარს, მაგრამ წარმოდგენის დროს ან ამთქნარებს, ან პროგრამას კითხულობს. ანტრაქტზე,

პირველი გარბის ბუფეტში, სპექტაკლის დამთავრებისას — გარდერობთან. სამუშაო საათების დროს პაემანზე არ დადის. სჩვევია, ხანგრძლივად და უმიზნოდ სდიოს ქალს, რომელსაც მშვიდად შეუძლია, ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე საყვარელი გამოიცვალოს — სულერთია, ის ვერაფერს მიხვდება. სექსს ყოველთვის მალეძარის დაყენებით იწყებს, დილით სამსახურში რომ არ დააგვიანდეს. სექსის შემდეგ სამზარეულოში ტრუსებით ჯდომა, ჩაის სმა და სიგარეტის მოწევა უყვარს. ამ დროს საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე საუბრით ყურებს გამოგიჭედავს.

**8. უცოლო-მაგანი ბიჭი**

ძვირფასი ავტომობილი, მაგარი სახლი, ძმაკაცები, ქალები, ქეიფი, საუნა... პაემანს „სტრელკას“ უწოდებს, უცნობებს — „ლოხებს“. „კულტურული ღონისძიებებიდან“ უპირატესობას ღრეობას ანიჭებს. მხიარულია და ყბედი. არ ცდილობს

ძმაკაცების ქალების დათრევას და არც თავისი ემეტება სხვისთვის. საწოლში გახსნილია, სიამოვნებით იხსენებს ყოფილ საყვარლებს და სასიყვარულო თავგადასავლებს.

**9. უცოლო-ინცულოგუნცო**

XIX საუკუნის კავალერიით იქცევა, ქალს ყვავილებსა და კანფეტებს უძღვნის. „როგორ გიხდებათ“, „უკაცრავად“, „ნება მიბოძეთ“ — ასეთია მისი ლექსიკა. დახვეწილად, გემოვნებით იცვამს. უყვარს გრძელი ლაბადის, აბრეშუმის შარფის, ტყავის ხელთათმანების ტარება. კულტურული ღონისძიებები მისი კრედიოა: ფილარმონია, ვერნისაჟი, კაპელა... ამ დროს შთაგონებული სახე აქვს, თვალები — დახუჭული, ტუჩები ალფრთოვანებისგან უთრთის. თანამგზავს კონცერტის დასასრულამდე ვერ ხედავს. შემდეგ ყურში ჩასჩურჩულებს — „ეს ღვთაებრივი იყო“. ინტიმურ ურთიერთობებამდე იშვიათად მიდის.

მოკლე ჩართვა

**6 ყველაზე გაქმცულად მუშაობს ქალის შეცდომა**

**ბრაუნი თარხანი**

**1. უყვარდება ის ადამიანი, რომელთან დაახლოების უფლებაც არა აქვს**

თუ ქალი ხვდება, რომ მის გარშემო მყოფ მამაკაცთა უმეტესობასთან ურთიერთობას არავითარი აზრი არა აქვს (ცოლიანია ან ხანგრძლივი ურთიერთობების მომხრე არ არის), ისიც ეცოდინება, რომ ასეთი მამაკაცი ქმრის როლისთვის არ გამოდგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოჯახზე, შვილებსა და ხანგრძლივ ურთიერთობებზე ვერც იოცნებებს — სამაგიეროდ, დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი კავშირისკენ ქალს ღრმა ურთიერთობის გაუცნობიერებელი შიში უბიძგებს. ეს შიში კი ხშირ შემთხვევაში, ბავშვობიდან მოდის. შესაძლოა, ქალს არ სურს ან უბრალოდ, ეშინია, მშობლების მიერ დაშვებული შეცდომების გამეორება (მაგალითად, თუ

მამა დედას არ აფასებდა). ქალმა ცხოვრების თანამგზავრი სწორად უნდა შეარჩიოს — ანუ გააცნობიეროს, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირი არ არის და ოჯახის შექმნა მის დამოუკიდებლობას საფრთხეს არ შეუქმნის.

**2. საყვარელი მამაკაცისთვის ძალზე ბავრს გაიღებს**


როცა ქალი მამაკაცის ყველა სურვილს ასრულებს, ეს, უმეტესწილად, პარტნიორის დაკარგვის შიშითაა გამოწვეული. ქალი თავისი სიყვარულის ობიექტის ყველა სურვილსა თუ კაპრიზს მხოლოდ იმიტომ ემორჩილება, რომ თავი შეაყვაროს და დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს. სინამდვილეში კი ასეთ დროს, მამაკაცს დამოუკიდებლობის დაკარგვის შიში უჩნდება, რის გამოც დისტანციის დაცვასა და თავისუფლების დემონსტრირებას ცდილობს. მთავარია, ქალი საყვარელ ადამიანზე არ ჩაიციკლოს, მასთან ურთ-

იერთობა ერთადერთ საყრდენ წერტილად და ცხოვრების აზრად არ ექცევს და სხვა საინტერესო საქმესაც მოჰკიდოს ხელი.

**3. სიყვარული ქალის ცნობიერებას ბთანთქავს**

არსებობენ ისეთი ტიპის ქალები, რომლებიც მათ ცხოვრებაში საყვარელი ადამიანის გამოჩენისთანავე მხოლოდ ამ გრძნობით არსებობენ, მასზე დამოკიდებული ხდებიან და ცხოვრების სტილსაც კი იცვლიან. პირველ ეტაპზე ძლიერი გრძნობის გავლენის ქვეშ ნებისმიერი ადამიანი ექცევა, მაგრამ თუ სიყვარული დამოკიდებულებაში გადავა, ქალმა ურთიერთობის ნორმალურად განვითარების იმედი არ უნდა იქონიოს, რადგან პარტნიორი არასახარბიელო და არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება და გაქცევას შეეცდება.

როგორ უნდა მიხვდე, რომ სიყვარული ავადმყოფობად გადაგექცა? ფსიქოლოგები ქვემოთ მოყვანილი გა-



მოთქმების წაკითხვას გირჩევ-  
ენ. თუ მათში საკუთარ თავს  
ამოიცნობ, მაშინ კარგად  
დაფიქრება გმართებს.

როდესაც პრობლემები  
გექმნება, გამოსავალს სასი-  
ყვარულო ურთიერთობაში  
ეძებ და თავს უკეთ გრძნობ.

სიყვარულს ყოველთვის  
პირველ ადგილზე აყენებ,  
რადგან მიგაჩნია, რომ მხო-  
ლოდ ესაა მნიშვნელოვანი,  
სხვა დანარჩენი კი — უინ-  
ტერესო.

არავითარი მნიშვნელობა  
არა აქვს, როგორ აისახება  
სიყვარული შენს სოციალურ,  
სამსახურებრივ ან ფინანსურ  
მდგომარეობაზე. მთავარია,  
როცა გიყვარს, ყველაფერი  
ლამაზად გეჩვენება და მასთან  
ურთიერთობის განწყვეტა არ  
შეგიძლია — თუნდაც აუტა-  
ნელ ტკივილს გაყენებდეს.

როცა საყვარელი ადამიანი  
გვერდით არ გყავს, უკმარი-  
სობის გრძნობა გეუფლება  
და მზად ხარ, ყველაფერი  
მოიმოქმედო, რათა მის გვერ-  
დით იყო.

დროთა განმავლობაში,  
საყვარელ მამაკაცთან ურთ-  
იერთობა მოთხოვნილებად  
გექცა, მიუხედავად იმისა, რომ  
ამ კავშირისგან სიამოვნებას  
ველარ პოულობ.

#### 4. არასოდეს არაფერს იღებს საკვასუხოდ

ხშირია შემთხვევა, როდესაც  
ქალი მთელი არსებით ეძლევა  
გრძნობას, ბოლომდე იხარ-  
ჯება, საპასუხოდ კი არაფერს  
იღებს. თუ ამის გამო წუხს,  
მაშინ უნდა დაფიქრდეს: სურს  
თუ არა გამოსავლის პოვნა?  
თუ — კი, მაშინ პარტნიორს

ამ თემაზე გულახდილად უნდა  
დაელაპარაკოს; გაუმხილოს,  
რა სურს. და თუ ამის მერეც,  
მის სურვილების იგნორი-  
რება მოხდება, მაშინ ჯობს,  
ურთიერთობის განწყვეტაზე  
იფიქროს.

#### 5. არაფერს გაიღებს, თუ საბავიროს არ ელის

ქალების ერთი ნაწილი  
სიყვარულს მანამ არ გამოხ-  
ატავს, ვიდრე პარტნიორის  
გრძნობებში არ დარწმუნდება.  
პარტნიორისთვის გაღმერ-  
თების უფლების მინიჭება,  
ერთ-ერთი ხერხია მის მო-  
სახიბლავად, მაგრამ თუ ეს  
თამაში დროში გაიწელება, შეს-

აძლოა წყვილის ურთიერთო-  
ბაში ცუდი როლი ითამაშოს.  
გრძნობის გამხელა ისეთ  
ადამიანებს უჭირთ, ვისაც  
თავდაჯერება აკლია. წარუ-  
მატებლობის შიში მის პარალ-  
იზებას ახდენს და გრძნო-  
ბებზე ლაპარაკის უფლებას  
არ აძლევს. ფსიქოლოგები ამ  
მოვლენას „კასტრაციის შიშს“  
უწოდებენ.

#### 6. პარტნიორზე ღამოიღებულა შიში

არსებობს მამაკაცების ის  
კატეგორია, რომელსაც ოჯახის  
შექმნაზე სიტყვას ჩამოუგდებენ  
თუ არა, თავქუდმოგლეჯილი  
გარბის. ასე ის ადამიანები  
იქცევიან, ვისაც პარტნიორზე  
დამოკიდებულების ეშინიათ.  
ეს პრობლემაც ბავშვობიდან  
იღებს სათავეს. მშობელი ყვე-  
ლას უყვარს, მაგრამ პატარებს  
მუდმივად სდევს შიში, რომ  
მშობლებს გადაუყვარდებათ  
და მიატოვებენ. ამის გამო,  
უკვე მოზრდილები, ფიქრო-  
ბენ, რომ ახლო ურთიერთობა  
არავისთან ღირს — შესა-  
ძლოა, შემდეგ მიატოვონ და  
ამის გამო დაიტანჯონ. ასეთი  
ადამიანი პარტნიორისგან  
შორს ყოფნას ამჯობინებს,  
ვიდრე მის გრძნობებში საბ-  
ოლოდ არ დარწმუნდება.

<<< 17

მოკლე ჩართვა

## რას არ მივწერ შეყვარებულს?

- 1. ბებიაშენი ქალწულია? 2. სახლში მარილი გაქვს? 3. კუზანოვის კლინიკაში წამომყვები? 4. შენს ძმაცაც, დათოს რა ჰქვია? 5. დედაშენი ყოველთვის ასეთი დანგრეული სიფათით დადის? ლუნა.
- რას არ მივწერ შეყვარებულს? — ამ საღამოს რას აკეთებ? უღებლო.
- ქმარს არ მივწერ, რომ ჩემი კია კიტრს რომ გაფცქვნიდა, ნახევარს მე მაჭმევდა და ნახევარს თვითონ შეჭამდა, თორემ გავა ეზოში და თუთის ხეს ჩაეხუტება. კახელი სალომე.
- სიხარულო, გარეთ ვარ და არ მეჩხუბო. მითხარი, სახლში როდის წავიდე და წავალ. — ღმერთო, რა სისულელეა! არადა, დღეს გადავანწყდი ასეთ ამბავს. ეჰ, პაცანა.
- როგორ ხარ, ქალუკ? — ასეთი გზავნილი არასოდეს მივა მის მობილზე. :) ეკაბეკა.




# მომცეთ-საუბრა

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

**წინა ნომრის შავპირიტი ქალბატონი**  
**პირველი მესიჯის ავტორია, 49 ხმით. მეორე ალბილზე მე-8 ნომერი, – 38 ხმით, ხოლო მესამე ალბილზე – მე-12 მესიჯის ავტორი, 22 ხმით. რას შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე ღილი მოწონება 27-ე მესიჯის ავტორმა ლიანსახურა, 32 ხმით. მეორე ალბილზე 23-ე მესიჯის ავტორი, 24 ხმით, ხოლო მესამე ალბილზე, 26 მესიჯის ავტორი, 15 ხმით.**

საუბრა



- ვარ მაღალი, ხვეული თმითა და ცისფერი თვალებით, დასაქმებული, მხიარული. ქორწინებაში არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, მაღალ, შევერცხლილთმიან, დასაქმებულ მამაკაცს.
- მსურს გავიცნო მამაკაცი, 29-ე ნომერი.
- გთხოვთ მომცეთ „გზა“ №14, 29-ე და 51-ე მესიჯის ავტორის ნომერი. მინდა, ისინი გავიცნო.
- ვარ 95 წლის მანდილოსანი. ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს, ყველაფრით უზრუნველყოფილს. სასურველია, იყოს 102 წლის. მატილდა.
- ვეძებ ფულიან მამაკაცს.
- ვარ 34 წლის, ლამაზი, სერიოზული, ინტელიგენტი, გან-

ქორწინებული ქალბატონი. სამეგობროდ გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, ყველაფრით უზრუნველყოფილ, ინტელიგენტ, თბილისელ მამაკაცს.

- მარი, შეგიძლია, ჩემი ნომერი მისცე მეთხუთმეტე ნომრის, 22-ე მესიჯის ავტორს? გმადლობთ.
- მივხვდი, რომ მარტოს არ გამომდის არაფერი. 12 წლის ბიჭი მყავს. უზრუნველი ცხოვრებისთვის მამა გვაკლია. 28 წლის ვარ და მინდა, ლამაზი ოჯახი გექონდეს.
- გთხოვთ გამომიგზავნოთ „გზა“ №15, 41-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
- ვარ თბილისელი გოგო, 38 წლის. ვეძებ მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით, ქართველ, ერუდიტულ, ბინიან, ფულიან, მაღალ, სიმპათიურ მამაკაცს. მეც მაღალი და ლამაზი გახლავართ.
- 37/57/157 მანდილოსანი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-43 წლის, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს.
- ვარ 22 წლის, მაღალი,

ლამაზი, შავგვრემანი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, განათლებულ, 30 წლამდე ასაკის უცოლო მამაკაცს, რომელიც იქნება 180 სმ-ზე მაღალი.

13. მინდა გავიცნო მამაკაცი, ოჯახის შესაქმნელად. სასურველია იყოს 70 წლამდე, ყველაფრით უზრუნველყოფილი. თავად ვარ 59 წლის ქალბატონი. უსაქმურებმა არ შემანუხონ. წინა ბებო.

14. ვარ 20/165/50, ნაბლისფერი, ხვეული თმით, სიმპათიური გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, სიმპათიურ, დასაქმებულ, 24-28 წლის, თბილისელ მამაკაცს.

15. სამეგობროდ და სამედიკოდ გავიცნობ შეგნებულ და გაგებულ ადამიანს. ანა.

16. ვარ ქმარს გაცილებული. მინდა გავიცნო ისეთი ადამიანი, ვინც იცის ქალის ფასი და არ არის ნარკომანი. თუ დაინტერესდით, დამიმესიჯეთ. ეკა-22. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

17. ვარ 27/177/ 55, სიმპათიური, ლამაზი, განათლებული ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32-45 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, განათლებულ ბიზნესმენს. გამომეხმაურონ მხოლოდ ბათუმელები.

18. ვარ განქორწინებული, 39/175/65, სიმპათიური, უმაღლესი განათლებით. გამომეხმაუროს წყნარი, მშვიდი, ოჯახის მსურველი, ჩემს მდგომარეობაში მყოფი, სერიოზული მამაკაცი. გელით.



19. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №13, 23-ე მესიჯის ავტორის, 37 წლის ქალბატონის ნომერი. გიორგი.

20. გინდათ, აზრი მისცეთ ცხოვრებას? გინდათ, თავი ნამდვილ ქალად იგრძნოთ? მაშინ დამიკავშირდით, თუ ხართ 16-30 წლის და შევავსოთ ერთმანეთი. შესვედრამდე.

21. მარი, გთხოვ დამაკავშირო მე-14 ნომერში დაბეჭდილი, მე-14 მესიჯის ავტორს. პირველად განუხებ.

22. სიამოვნებით გავიცნობ „გზა“ №14, 23-ე მესიჯის ავტორს, 37 წლის ქალბატონს. მარი, მიეცირა, ჩემი ნომერი. კმაყოფილი დარჩება.

23. მინდა გავიცნო 40 წლამდე ასაკის, სერიოზული ქალბატონი, ოჯახის შექმნის მიზნით.

24. მარი, გთხოვ მომცე „გზა“ №14, 25-ე მესიჯის ავტორის ნომერი. ზიკო.

25. ვარ 23 წლის მამაკაცი, სამსახურით. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 23-28 წლის მანდილოსანს. დამიმესიჯეთ.

26. ვეხმაურები „გზა“ №14, მე-7 მესიჯის ავტორ ქალბატონს. გთხოვთ, მომცეთ მისი მობილურის ნომერი.

27. გავიცნობ მიმზიდველ და ვნებიან გოგოს, უკომპლექსოს. კაცი.

28. ვარ 35/118/80. იმერელი, უმაღლესი განათლებით. ოჯახის შესაქმნელად ვეძებ სუფთა წარსულის მქონე მანდილოსანს, 35 წლამდე.

29. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 25-32 წლის, 160 სმ სიმაღლის, თბილისელ გოგოს. სიმპათიურს, განათლებულს, ზრდილობიანს და სუფთა წარსულის მქონეს.

30. ვარ 35/182/88, შინაგანად ლამაზი მამაკაცი, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი, არამსმელი და არამწველი. მინდა ლამაზი ოჯახის შექმნა.

31. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №14, პირველი მესიჯის ავტორის ნომერი.


32. ვარ 40 წლის, ხაშურიდან. მატერიალურად უზრუნველყოფილი. სამეგობროდ (შეიძლება თანაცხოვრებაც) ვეძებ წყნარ, ლამაზ ქალს. იკა.

33. სამეგობროდ გავიცნობ 28-42 წლის, სერიოზულ, პატიოსან ქალბატონს. 175 სმ სიმაღლის ვარ. სერიოზული, დასაქმებული, სიმპათიური მამაკაცი. მყავს ავტომანქანა. ანონიმი.

34. დედისერთა, ჭკვიან, განათლებულ, 38 წლის, ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს დაუმესიჯეთ სერიოზულმა გოგონებმა, ოჯახის შექმნის მიზნით. დამიჯერეთ, არ ინანებთ. ქუთაისი.

35. ვარ უცოლო, 42/168/70, დასაქმებული, ერთგული, პატიოსანი მამრი.


36. ვარ სიმპათიური, სერიოზული მამაკაცი. სამეგობროდ და ფარული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 18-30 წლამდე ასაკის, მიმზიდველ მანდილოსანს, სასიყვარულოდ. ბათუმელი.



37. ვეძებ ღია უვანიას, ჯგუფელს, ჩხორონყუდან. ერთად დავამთავრეთ პუშკინის ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის

ფაკულტეტი. გთხოვთ, დამიკავშირდით. ნანა კოკილაშვილი.

38. ვეძებ გივი ვანიშვილს. გთხოვ, დამიკავშირდი.



• გამარჯობა. გადავწყვიტე, „გზავნილების“ განვითარების საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო. უკვე დიდი ხანია, თვალს გადავვინებთ და თითოეულ თქვენგანზე გარკვეული შთაბეჭდილება ჩამომიყალიბდა. ამიერიდან ყოველ ნომერში დავამესიჯებ და გზავნილების კრიტიკას შევუდგები. ვისაც არ ეამება, ნუ წაიკითხავს. ამ მესიჯს „მობილი-ზაციაში“ იმიტომ ვგზავნი, რომ აუცილებლად დაიბეჭდოს. მარი, მომავალი ნომრიდან გთხოვ, ჩემი მესიჯები „გზავნილებში“ გაუშვა. მაგალითად, „გზა“ №15-ში ფინტიკოზას მესიჯი მაგრად მომეწონა. ვფიქრობ, მგელო ძალიან აგრესიულია. რა იყო, პატარავ? ამჯერად საკმარისია. ამ ნომერში მოსული გზავნილების შესახებ ჩემს აზრს მომდევნო კვირაში მოგახსნებთ. კრიტიკოსი.

• ოჩოპინტრე, შენ რა კაპასი ვინმე ყოფილხარ! აგრეთვე ძალიან საყვარელი და ეფექტური ბიჭი. არ დავმალავ და შენს მიმართ გარკვეული სიმპათიაც გამიჩნდა. :) ძალიან მინდა, დაგიმესიჯო და გეჭორიკანიზატორო, მაგრამ სამწუხაროდ, ნომერი არ ვიცი. მეგრელი მგელო.

• გამარჯობა, მარი. პირველად ვამესიჯებ თქვენთან. ძალიან მომწონს „გზავნილები“. კვირას რომ გავდივარ ომონიაზე, პირველ რიგში „გზას“ ვყიდულობ. მადლობა დიდი.

• პრივეტ, მარი, როგორ ხარ? იმედია, დაბეჭდავთ ჩემს წერილს. პირველად ვამესიჯებ. მაგარია „გზა“. მეც მარი ვარ. გაიხარეთ, ქართველებო. იმედია, მეც მიმიღებთ, თქვენთან. ეგნა.

• გამარჯობა. მე ახალი, მაგრამ ერთგული მკითხველი ვარ და იმედია, მიმიღებთ, ხომ? პასუხს ველი. მიყვარხართ ყველანი. P.S. პალმა.

• ათენში ხუთის მინდა ვუთხრა, რომ ვიზიარებ მის მწუხარებას. მეწყინა შენი ბებოს გარდაცვალება. ისე მოექცევი ადამიანს, როგორც შენ გინდა, მოგექცეს. ხუთი.

• კოხი-20, კეთილი იყოს შენი დაბრუნება. მის რეალ, დაბადების დღეს გილოცავ :-)) ლევა

მადრიდ, ასე ნუ დარდობ, ბურთი მრგვალია, რას იზამ? გაიხარეთ, სუყველამ. 9122-ნათია.

• ლევა, ის მილოცვა შენგან იყო? გაიხარე, მაგრამ შეცდომით დაიბეჭდა, 11 ივლისს მაქვს დაბადების დღე. რატომ გრცხვენია? ჩავარდნა ყველას აქვს. მომწერე, მის რეალი.

• ოჩოპინტრე, ეს ნაკლი კი არა, ღირსებაა. „ბარსას“ ფანი სახლშიც მყოფნის. :) შენს მესიჯზე მაგრად ვიცინე, კარგი იყო. თათა, ვერ მივხვდი, ვინ ხარ. ashley, გაიხარე. მის რეალი.

• ვარდენ, ვერ გავიგე, რადგან მამაკაცის ნეკნიდან გავჩნდით, ვალდებული ვართ, მათ ფეხქვეშ გავეგოთ? შენ ალბათ ეგ მოგწონს და ეგრე იყავი, მაგრამ დანარჩენებს არ მოგწონს.

• მის რეალ, გმადლობთ, ასეთი კარგი მეგობარი რომ შემძინე. ისე, შეგეძლო ჩემთვის გეთქვა, თუ ვინმეს უნდოდა ჩემი ნომერი. აჩიკოს მოკითხვა. ლუნა.

• აუ, მინდა „რეალის“ ფანკლუბის შეხვედრაზე, მაგრამ ვერ ჩამოვდივარ! თელავში ჩამოდით, 9122, ლევა და ashley, არ გინდათ, თელავი დაგათვალიერებინოთ? გაიხარეთ. მის რეალი.

• განძის მაძიებელო, მგონი მე მეძებ, არა? ჩემი პოვნა თუ გინდა, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი. იცი, რა საკალელი გოგჩო ვარ? განძი.

• მარი, პრივეტები, მე ახალი ვარ, მაგრამ ყოველთვის ვკითხულობ თქვენს ჟურნალს და ყველა მაგრად მიყვარხართ. მარი, ხარაგაული.

• ქსნის კოლონიაში დიდი სიყვარულითა და მონატრებით მოვიკითხავ ჩემს ძმებს, დათო კენჭოშვილს, ზაზას, დათოს, გოშას, ვაჟას, ვირთხას, თობიშას, მირიანს და ყველა ღირსეულ ადამიანს. ბიჭებო, გამაგრდით და ღმერთმა მოგცეთ გამძლეობა. მიყვარხართ და გეფერებით. გისურვებთ მოულოდნელ თავისუფლებას. კეთილი სურვილებით, მეგრელი ლიკა.

• სესი, ძან მაგარი ხარ. აქ „ჩელსის“ ფანი არავინაა? „ჩელსი“ სუპერკლუბია. არისტოკრატი.

• განძის მაძიებელი ყველაზე მაგარი ბიჭია, მაგრამ თორნიკე და თოკა სახელები არ უხდება. გაკოცეთ, ედელვასი. განძის მაძიებელო, ბოდში, თუ ვცდები, მაგრამ ასე მგონია, რომ თორნიკე (თოკა) შენ ხარ. ედელვასი.

• დღეს პარასკევია და „გზა“ ვერ წავიკითხე იმიტომ, რომ სოფელში ვარ. მენატრება მისი ჯადოსნური ფურცლები. არის „გზაში“ რალაც ჯადოსნური. „გზა“ ელექსირია. დატანჯული გოგო.

• სესი, უსაყვარლესი ხარ.  
• „გზაელებო“, ლუდით იმ

დედას გაუმარჯოს, რომელიც შვილის სახელით ისარგებლებს და იმ შვილს გაუმარჯოს, ვინც დედის სახელით სარგებლობს.

• პირველი სიყვარული 3 შვილის დედას რომ ეწვევა, ალბათ ესაა ნამდვილი სიყვარული. აბა, რა ეგონა, ჩემს ბედოვლათ ქმარს, რომ მომიტაცა 2 დღის გაცნობილი?

• მადლობა, ბაო-ბაო, ასევე შენც გაიხარე, ყველა მგზავნელთან ერთად. მიყვარხართ, ჯიგრები ხართ. ლიფსო.

• მოკლედ, ვისაც მართლა გინდათ ნამდვილი მეგობარი, შეგიძლიათ, შემეხმინათ. მეც მინდა მეგობრები, განსაკუთრებით — თქვენნაირები. მოკითხვა ყველას. სწუში.

• ლოთი მეზობელი მყავს. მისი პასხელიაზე გამოყვანა იმდენი ჯდება, რომ იმ ფულით 10-წელიწადმისჯილ პატიმარს გამოიყვან, სვაბოდაზე. სიკვდილის არ აქვს შიში, გული იმაზე სწყდება, თავის ქვლების სუფრას რომ ვეღარ დაეხსნება. თქვენა და... „არსენალის“ ბალელშიკი არის ვინმე აქ? მართალია, გავვარდით ლიგიდან, მაგრამ მაინც მაგრები ვართ. ჯე ჯე.

• ხომ გახსოვთ, ადრე მეტროში ბარიერები რომ იყო? ჰოდა, ერთ ქალს ჟეტონის ჩაგდება დაავიწყდა და ბარიერები მოხვდა ფეხებში. გამწარებულმა ქალმა ნამოიძახა — ოიი, გაგიხმეს ხელები! მართლაც დიდი ხელოვნებაა, 3 საათი ილაპარაკო და არაფერი თქვა. არა, მგზავნელებო? აუ, ერთმა ქალმა მეორე გალანძლა. ისეთი მწარე ენა ჰქონდა, ოქროს ქორწილში გაჰყრიდა ტკბილ ცოლ-ქმარს. ისეთი შებერტყილი ქალი ჩანდა, მაგას უეჭველი ეცოდინებოდა, ჭიანჭველას სად აქვს ჭაჭები. მჰუა, ყველას. მაგრები ხართ. ჯე ჯე.

• ჩემო მინდია, ძალიან, ძალიან მენატრები. მარი.

• როგორ ხართ? აუ, რა გჭირთ, სად იკარგებით? ჩორტიონზანეტ, შენ სად ხარ? ბაო, როგორ ხარ? აუ, მაგარი დებილი ვარ, რა, ნიკის მიწერა გამომჩნა. აუ, ამ ბოლოს, ვაბზე დავდებილდი, რა, ვერ ვარ, რა! ლიფსო.

• ashley pcd, თქვენი პუჩა მოისურვებს სხვა ჯიშის ბიჭზე გათხოვებას?

• ჩორი-ჩორი და lilly-19, უსაყვარლესი ქალუკები ხართ. დეებ ჰვართ, მე გთხოვე გაცნობა და არ გამეცანი და კიდევ ამბობ, ვერავინ მამჩნევსო? ashley pcd.

• ჩემი ძმა დაიჭირეს, განადგურებული ვარ. :( ashley pcd.

• აუ, ჩემს უბანში რა ამბები ხდება! გოგოს გული დაუნთეს და მეზობლები ყვიროდნენ — რას აკეთებთ, ახლავე ჩააქრეთ, ასფალტი დაინვებაო. :) ashley pcd.

• აუუ, დღეს გავიცანი აფხაზეთის პრინცესა, ჩათით. ბევრი ვილაპარაკეთ, ძალიან საყვა-

რელი გოგო აღმოჩნდა. პრინცესა, ჩემი ბაჭია ვინ არის? :) მიყვარხარ, ბაჭუუ...

• დარეჯან შუბითიძეს ვულოცავ დბადების დღეს. ვუსურვებ ლამაზი ოჯახის შექმნას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს. მზია.

• ჰო, მართლა, მეც ქუთაისის ყოფილი გეპეიშნიკი ვარ! მაგარია გეპეი! კვირას შევიკირიბოთ ომონიაზე, ეკლესიასთან და გავიცნოთ ერთმანეთი, პირველი საათისთვის. გუ-ათენი.

• პრივეტები ემიგრანტებს! ბოტოტა-17, OK! შევხვდეთ კვირას. ბიჭი ვარ! მოზიარე ვარ მწუხარების, გამაგრდი. გუ-ათენი.

• მინდა მოვიკითხო ყველა მგზავნელი და ათენში მყოფი ემიგრანტები. გამაგრდით, ემიგრანტებო! კობრა.

• მაგრად გამისწორდა, ჩემი მესიჯები „გზაში“ რომ გავჩითე. უკარება, უეჭველი შენც ჩემსავით ახალბედა მგზავნელი ხარ, ხომ? არ გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ?

• როგორ ხართ, ხალხო? შენც ათენში ხარ, ხომ? მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი, მაგრად მინდა, ერთი მგზავნელი მაინც გავიცნო. კობრა.

• ოპა, ოპა! ეს ვინაა? rainbow, არა? გვეითები და მიპასუხე, რა უფლებით ლანძლავ ქუთაისელების ჩაცმულობას? ვისაც რისი ყიდვის საშუალება აქვს, იმას იცვამს (თორე შენ ხომ ნუ იტყვი, სულ კონსტანტინ კაშპირის მაღაზიებში დადიხარ). ვისაც ფული აქვს, ცუდად ნამდვილად არ აცვია. აი, რაც შეეხება ძროხას, თვითონ ქუთაისში ძროხები ნამდვილად არ ჰყავთ (გარეუბნებში — არ ვიცი). თუ ქუთაისელობის გრცხვენია, ნუ გაამხელ და ეგაა, რა. 20 აპრილს, კვირას, თუ ვინმე მოდის ათენიდან საქართველოში, ხელში „გზა“ დაიჭიროს, ეგებ გამიმართლოს და რომელიმე მგზავნელთან ერთად ვიმგზავრო (ნუ, რა ბედნიერება იქნება). აუ, მგონი ლიმონა ნამეტნავედ შემიყვარდა (პრინციპში, ლიმონა ვის არ უყვარს?). ოთხი მესიჯიდან ერთ-ერთი მაინც როგორ არ დამეჭყანება მომავალ კვირას (ურააა! იმ კვირას საბოლოოდ ნავიკითხავ ათენში „გზას“) გაიხარეთ! კალომირა-14.

• ძალიან მენატრებით. მინდა, მოგეფეროთ, მაგრამ შორს ხართ ჩემგან. თუ კი ჩემზე მეტად ვინმეს ყვარებით, ვერც კი ნარმოვიდგენ, „მობილი-ზაციაჲ“. ლამით, როცა ვწვები, გულს არ ეძინება, თვალები ცრემლებში მძვინვარე ნავია, მუდამ თქვენზე ვფიქრობ, სად, როგორ იქნებით, სულ რომ მოგიფრთხილდეთ, ეს გრძნობა მნადია. ახლაც კი ავტირდი, თქვენს ამბებს ვისხენებ, ერთი დღეც არ მახსოვს, „გზისგან“ შორს, მარტო, ჩემი ერთადერთი დიდი იმედი

ხართ, თქვენით სიამაყე ლამაზად მრთავსო. ლმერთმა დაგვიფაროს, სული აგვიმალლოს, ფიქრი, განსაცდელი ლხინით დაგვიამოს, ცხოვრება ეკლის ვარდით დაგვიფაროს, ბავშვებო, გაგვეჩიოს, რა გზით გავიაროთ (ნუ, ზოგჯერ რას ნავისირიოზულებს). კალომირა-14.

• ჩემი ქორწინება ანგარე-ბაა. მომიტაცა უცნობმა. მას შემდეგ მისი ვარ და სანაცვლოდ ვთხოვე, ვუყვარდე ისე, როგორც მან შემყვარა თავი, მაგრამ ამაოდ. მიყვარხარ! ე.ი.

• ახლა კვირა ღამეა, სამუშაოზე გახარებული გამოვრბოდი, რადგან ჟურნალის ყიდვა მოვასწარი, მაგრამ სად აქვს ბედი უკარებას? კირიამ ბავშვი მომიყვანა. 1 თვის არის და დავაძინე, შუქი ჩავაქრე და ტელევიზორის სინათლეზე ვკითხულობ. ჰოდა, მინდა კობრას გამოვხმაურო. გავიცნოთ ერთმანეთი. აქ მეგობრები ნალდად არ მყავს. მინდა, ვინმესთან ვიმეგობრო. OK? გკოცნით ყველას, თქვენი უკარება.

• ახლა ღამეა, შენ ალბათ გძინავს, სიზმრად მოდიან თეთრი ნისლები, მინდა ახლავე მოვიდე შენთან, მაგრამ სველია ჩემი ფინსები. მიყვარხართ, მგზავნელებო, გკოცნით. უკარება.

• ახლა მივხვდი, ბოტოტა-17 ვინც არის. მე მას კარგად ვიცნობ და დღესაც ვნახე. ძალიან ვწუხვარ, მამის გამო და გამძლეობას გისურვებ, პატარავ. ახალი იდეა მაქვს — კვირას გავაკრავ განცხადებებს ომონიის „სტოლბეზზე“ და ჩემს ერთ-ერთ ნომერს მივანერ. ვისაც გინდათ, ათენელმა მგზავნელებმა, იმ ნომერზე დამირეკეთ და მე გაგაცვლევინებთ ნომრებს. კარგი იდეაა, ჰო? ასე ჭკვიანი ვარ. ისე, ალბათ ბევრი მიცნობს და არ იციან, რომ მე ის პატარა, ცელქი ვარდენა ვარ. ვარდენა.

• მომენატრები? ავტირდები! დაგინახავ? დავიბნევი! სხვაგან ნახვალ? შევიშლები! მიმატოვებ? მოგიკვდები! ჩემთან მოხვალ? გავგიჟდები! გვეყვარები? მეყვარები! ქრისტიანა, მიყვარხარ და მინდა, მთელმა მსოფლიომ გაიგოს, რომ მიყვარხარ! გილოცავ სიყვარულის დღეს. ათენი-23.

• გამარჯობა, მარი, მეც ემიგრანტი ქალი ვარ, ათენიდან. ვკითხულობ „გზავნილებს“ და ვხედავ, ემიგრანტები მომრავლებულან, რაც ძალიან მახარებს. ანუშეკები.

• მიუხედავად იმისა, რომ პაკლოების ნაკლებობას არ ვუჩივი, მაინც პირველი სიყვარული აქ, ათენში მენვია. მეტისმეტად უკარება ქალუკა სულ გამაგიჟა. სულ მის გვერდით მინდოდა ყოფნა. სამსახური თითქმის სულ დავივიწყე. ჩემი დიასახლისი კი მიგებდა, მაგრამ მე ის დავკარგე, რადგან



ჩვენ შორის ბევრი „შურიკა“ და ბოლმანი ხალხი ჩადგა და ჩვენი ლამაზი სიყვარული გააცამტვერა. დღესაც ისევ ველი, ჩემს აივანზე, რომ მოვა და ისევ მთხოვს მის გვერდით ყოფნას, მაგრამ, ეჰ... :( ანუშკები. ათენი.

• მიყვარს ჩემი საქართველო, ლამაზი და მზიანი; გოგონებო, გამეცანით, სანამ არ არის გვიანი. შემოგველეთ, გოგოებო, ლამაზი გაქვთ იერი, მუდამ თქვენთანა მიგულებთ, მე — მუკობაზიერი. მიორთ.

• მარი, გთხოვ მომეცი უფლება, კამელიას და გერასიმეს უღრმესი მადლობა ვუთხრა მოლოცვისთვის და დავძინო, რომ მათი მესიჯები საოცარი ენითაა დაწერილი და ძალიან ვხალისობ ხოლმე. ელისო. P.S. მარი, კანიბალკა სად დაგვეკარგა? და კიდევ, ძველო მგზავნელებო, ვეტერანებო, კვლავ აანკაპუნეთ თითები კლავიატურაზე და გამოჩნდით. გკოცნით ყველას. ელისო.

• rainbow, შენ ქუთაისელი ხარ? მე მყავს ქუთაისელი ლოვე და არც პლამოკვა შარვალი აცვია, არც პრიალა ტუფლი, არც ტყავის ქურთუკი და არც ბენდენა. ცდები. ოცნება.

• როგორ ხარ, კობრა? კარგი სახელი შეგიჩრევია. მე 2 თვეა, ათენში ვარ. ვარ 24 წლის. სახელს არ დავწერ. გამომეხმაურე და მომწერე შენზე რამე. სესილია.

• პრივეტ, მარიკუნა, როგორ ხარ? იცი, მე და ვარდენა ერთმანეთს რომ ვიცნობთ? კარგი ადამიანია. ბოტოტა-17.

• რა კარგია „გზა“. საქმე მალე მოვილიე, რომ წამეკითხა. მარია.


• მინდა, გერასიმეს გამოვეხმაურო. მინდა გაგიცნო და იცი, რატომ? ჩვენ 13 მარტი გვეერთიანებს და კიდევ, გვიან, მაგრამ მაინც გწერ. შენი გოგონა თავად აირჩევს გზას. უკარება.

• იცი, რა ბედნიერი ვარ, „გზა“ რომ მაქვს სახლში? შინაპატიმრობაში ვიმყოფები. „გზა“ და სიყვარული მართლა მენატრება. სულის სიმშვიდეს ჟურნალ „გზაში“ ვპოვებ. მართალია, ჩუმიად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ კვითხულობ, მაგრამ დადებით ენერჯის ვიღებ. მადლობა მარის და მგზავნელებს, ყველა ემიგრანტისგან. მარია.

• ქორწინება არა, მაგრამ მეგობრობა კი ვნახე ანგარებიანი. ცოლი, ქმარი და ქმრის მეგობარი ცხოვრობენ ტკბილად და გემრიელად. იმიტომ, რომ „მეგობარს“ ბევრი ფული აქვს. ლანა.

• იტალიიდან გწერთ. აქ ქართულ პრესას მხოლოდ ამნათით ვიღებთ. ჩემი მეუღლე „გზასთან“ ერთად სხვა ქართულ ჟურნალებსა და „სპიდინფოს“ მიგზავნის ხოლმე. ერთ-ერთ ქართულ

ჟურნალს აქვს რუბრიკა — „ინტიმური საუბრები“. სიამოვნებით კვითხულობდი ხოლმე იმ წერილებს, სადაც ქართველები თავს გადახდენილ ამბებს უზიარებენ მკითხველს. წარმოიდგინე ჩემი გაოცება, როდესაც იმ ჟურნალის №14-ში დაბეჭდილი ხუთივე წერილი „სპიდინფოს“ მარტის ნომრიდან იყო გადაბეჭდილი. სახელები შეეცვალათ, მხოლოდ. მარი, გახსოვს, გაბრალებდნენ, „გზავნილებს“ იგონებო? უამრავი ადამიანი ვიცი, რომელიც თავის ამბებს გწერს და ზოგჯერ გულს სწყვეტ, რადგან უამრავში საუკეთესოს არჩევ. მე არ ვიცი, ამ კვირის თემა რა არის. უბრალოდ, თავი მოტყუებულად ვიგრძენი. ნუთუ ცოტა რამ ხდება ქართველი ხალხის ცხოვრებაში? თუ წერილს არავინ სწერს, ირგვლივ მიმოიხედონ. სირცხვილია, თარგმნო, სახელები შეცვალა და დაბეჭდო. ეგ არის ჟურნალისტობა? „რაზოჩაროვანიე“! აი, რას ვგრძნობ მათ მიმართ. შენ კი ყოველთვის გულწრფელი ხარ და ამისთვის მადლობა! მარიკა.



მობილი-ზაცია

• 15 აპრილს 5 წელი ხდება, რაც ჩემი მეუღლე გავიცანი და 4 წელია, უკვე ერთად ვცხოვრობთ. უიმისოდ ძალიან მიჭირს, პატარაც ისე მეყოლება, რომ აქ არ იქნება. მინდა, ჩემს სიყვარულს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. გთხოვ, დამიბეჭდე და სამუდამოდ მადლობელი დაგრჩები. თამო, ხაშურიდან.

• ჩემო პუტკუნავ, ძალიან მიყვარხარ და მუდამ მენატრები. შენ ჩემი ცხოვრების აზრი ხარ, ჩემი იმედი და სიხარული. გკოცნი და გეფერები. შენი პუტკუნა ნათია.

• გიო მგალობლიშვილო, ჩემო ერთადერთო სიყვარულო, ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ. ზოგჯერ მგონია, გავგიჟდები შენი მონატრებით. დავდივარ და გელაპარაკები, თითქოს ჩემთან იყო. ჩვენი ბაია გოგოა, 250 გრამია, ჯერ. იცი, რა როჟაა? ფეხს რა საყვარლად მირტყამს, უნდა ნახო. როგორ მტკივა გული, რომ ამ სიხარულს შენ ვერ იზიარებ. შენც ხომ ძალიან გიყვარვართ? მალე ყველაფერი კარგად იქნება. მამაო ხომ ნახე, ჭკვიანად იყავი. მე და შენი პატარა შენით ვამაყობთ. სიგიჟემდე მიყვარხარ და მინდა, შენც ასე იყო. მეუღლე.

• ლამის 2 საათია, მე კი ისევ შენზე ვფიქრობ, კუსა. მენატრები. 9 წელი გავიდა, მე კი ძველებურად მიყვარხარ. კიდევ 5 წელი... ნეტავ ასეთი რა დააშავე? დათო, მენატრები.

• დედიკოო, მიყვარხარ! ვასასი.

• ვალიკო ტაბატაძე, სიგიჟემდე მიყვარხარ. ის ქალი ვერ ამახვეს შენს თავს. ნეტავ აქამდე სად იყო? ახლა მოუნდა ვალიკო? ბოდიში, ვერ მივართვი! შენი ერთგული ლიკა.

• კობა გუგუტიშვილო, ამქვეყნად ყველაზე მატყუარა კაცო, სიგიჟემდე მიყვარხარ. სიყვარულის დღეს გილოცავ, ყრუ! მენატრები, გესმის, მენატრებიიი! შენი დუდღუნი მენატრება. ნი.

• ინგა, ჩემო იაკო, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. არ მინდა შენი დაკარგვა. ახლა ვაცნობიერებ, თუ რა სიცარიელეს ვგრძნობ სულში, რაც შენ მიმატოვე. დამიბრუნდი, გთხოვ.

• 12 აპრილი... ამ დღეს ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, დათო. 9 წელი გავიდა. მე ისევ მიყვარხარ და მჯერა, დამიბრუნდები. შენი მოლე.

• ჩემი პირველი სიყვარული ქრისტინა ცქიტიშვილია და მინდა ვუთხრა, რომ ცხოვრებას მირჩევნია და ჩემი სიცოცხლეა. ათენი-23.


• ხალხო, ახალი ვარ და მიმიღებთ? მინდა, თქვენი მეშვეობით ვუთხრა ჩემს ლუკას (გრუზინი), რომ მაგრად მიყვარს. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ. შენი ნინი.

• მიყვარხარ, გული გეძახის, ენა ვერ ბედავს თქმას, მინდა იცოდე, ლამაზო, შენზე ფიქრები მკლავს. ათენი-23.

• ჩემო მონატრებულო ოჯახის წევრებო — თემო, სალო, დედიკო და მამიკო, მინდა გითხრა, რომ ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. ღმერთმა გაგახაროთ. გკოცნით ბევრს. თამუნა, ათენიდან.

• ჩემს ერთადერთ და განუმეორებელ სიყვარულს, ჩემი ოცნების მამაკაცს, გოჩა ბოტკოველს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მენატრება. შენი ნონა.

მობილი-ზაცია



• მედეა მიქელაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ საყვარელო, ჯანმრთელობას, წარმატებებს ყველაფერში. მალე გაგკეთებინოს მწვანე „კარტა“ და შვილებთან ჩასულიყავი. თინიკო.

• სალომე და ირმი, ბასკუსკებო, სალის დაბადების დღეს გილოცავთ და გლოცავთ, ბედნიერები იყავით. ბასკუსკა დეიდები: თეა, ნანა, ნუნუკა და ირმა.

• მიხეილ ჩიქოვანს, ბებოს სიყვარულს, ვულოცავთ დაბადების დღეს. 22 აპრილს 3 წლის, დიდი ბიჭი გახდი, ბებო. გისურვებთ ულევ სიხარულს, დიდ სიყვარულს და ყველაფერ ლამაზს. მოსულიყოს ის ტკბილი დღე, შენ რომ ჩაგიკრავს ბებო. ღმერთმა დაგლოცოს, ბებოს „კუკლა“. გკოცნით ბებიები, მერი და ირინა.

• ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, ნონა გოგოტიშვილს ვულოცავ შვილის გაბედნიერებას. უფალი ფარავდეს შენს ლამაზ ოჯახს. მეგრელო ათენიდან.

• ინგა და ვაჟა გედეშურებს. სიხარულებო, გილოცავთ ნინის დაბადების დღეს, 16 აპრილს. ჯანმრთელი, ბედნიერი და სასახელო შვილი გაგზარდოთ. ტიპი.

• 15 აპრილს, სიყვარულის დღეს ვულოცავ ათენში მყვალას, ციურის, ლილის, ნაზის, ნათიას, მეგრელოს, მყვალას. გაიხარეთ, გოგოებო! ლალი, ათენი.

• სიყვარულის დღეს ვულოცავ თამუნას, მაიკოს, სალოს, ჯონის, მარის, იას, ეკას, ნინოს, იკას, დათოს, შოკოს, ვაკოს, ლუკას, დედიკოს და ჩემს სანატრელ მეუღლეს. იიარგიონა.

• მინდა სიყვარულის დღე, 15 აპრილი მივულოცო ჩემს მონატრებულ ოჯახს — მალხაზს, ლიკა და ნიკა ბათირაშვილებს. ღმერთმა ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა არ მოგვაკლოს. დაესწარი მრავალს. დიდი სიყვარულით. ლალი, ათენიდან.

• ნინელი ბებო, გილოცავთ დაბადების დღეს, მრავალს მოგასწროს ღმერთმა, გურგენი ბაბუსთან და შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გკოცნით და გეფერებით, შენი გუგა და ნინი მეფარიშვილები.

• აპრილში დაბადებულ ქალბატონებს, თამრიკო ბექაურს და ნათელა ჭინჭარაულს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ სიხარულს, თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ყველგან და ყოველთვის. დიდი სიყვარულით, ამირანი და თამუნა, ათენიდან.

• ჩემო სანატრელო ზაზა, ჩემო სიხარულო, გილოცავ 15 აპრილს, სიყვარულის დღეს. შენი სიყვარული გადამარჩენს, შენი სიცოცხლით გავიხარე, შენი სიცოცხლით ოცნებებს მივსებ და შენი იმედი მაძლებინებს, ჩემო სიყვარულო. ძალიან მენატრები, სიხარულო. შენ

ჩემთვის ერთადერთი მამაკაცი ხარ, რომელსაც ვაღმერთებ და ვაფასებ მაგ დიდსულოვანი ადამიანობით. ჩემი ხარ და მე — შენი, მთელი ცხოვრება. ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებს. შორიდან გკოცნის, შენი მონატრებული სიყვარული.

• შოთიკო სვანაძეს დაბადების დღეს ულოცავს მეუღლე, მთელი სულითა და გულით. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ყოველივე კარგს, ოჯახთან ერთად. დაესწარი მრავალს. მიყვარხარ და მეყვარები. ნათია.

• გამარჯობა, მარი, მინდა სიყვარულის დღე მოგილოცო. სულ სიყვარულით გეცხოვროს. ათენიდან, მადონა.

• ჩვენს პატარა ანგელოზს, ვახო ამბროლაძეს დაბადების დღეს ვულოცავთ. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. სასახელო ვაჟაკი გაზრდილიყავი. უამრავ კოცნას გიგზავნით, ათენიდან.

• ზურა, გილოცავ სიყვარულის დღეს. შენი თამო.

• დაბადების დღეს გილოცავ, თიკო ხარაზიშვილო, 18 აპრილს. გისურვებ სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. ძალიან მიყვარხარ, თიკუნა. იცოცხლე და გაიხარე.

• ჩემს სიცოცხლე დედიკოს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 აპრილს. ქალბატონო ნორა, მრავალს დაესწარი, თქვენს გრანდიოზულ ოჯახთან ერთად. გკოცნით, გვხვევით, თქვენი ნაბოლარა (ვასასი).

• სიყვარულის დღეს ვულოცავ ჩემს პირველ და უკანასკნელ სიყვარულს, ქვემო ალვანში, თამაზოს. მიყვარხარ. თუში.

• ჩვენს პანანუნა თემუკა ქუთაშვილს 17 აპრილს ვულოცავთ 2 წლის იუბილეს. გაგვზარდე ჯანმრთელი ბიჭი. ღმერთი გფარავდეს, ჩვენო ბარტყო. ლალი ბებია, თინიკო დეიდა, თაკო.

• გლდანის ახალ ციხეზე, რამაზ ზაზაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გკოცნი, დე. გვენატრები. თამო.

• ჩვენს პატარა, მეტიჩარა დისშვილს, ქეთი მაჭარაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ბედნიერ ბავშობას და ღმერთის მფარველობას ვუსუსვებთ. მზია და ნანი. გვენატრები.

• ცისანა მამიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 15 აპრილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და ყველაფერ საუკეთესოს. ბედნიერი დედა ყოფილიყავი, ჩემო ცისანა, ძალიან გვიყვარხარ. ნათია და დათო, ათენიდან.

• ხონში მცხოვრებ მიშკო ჩარგეიშვილს დაბადების დღეს ვულოცავთ. ბედნიერებას, ჯანმრთელობას და მიზნების განხორ-

ციელებას ვუსურვებთ. სულ მწვანეზე გველოს, მიშა. გკოცნით, ნათია ნებიერიძე და დათო იაშვილი.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ზურა დევაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 აპრილს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გაიხარე, შენს პატარა და ლამაზ ოჯახში. მზია დევაძე.

• მინდა, 15 აპრილი, სიყვარულის დღე მივულოცო ინეზა ჭინჭარაულს. სიყვარული და სიხარული არ მოგაკლოს ღმერთმა. ლალი, ათენი.

• ჩემო ლამაზო და საყვარელო ნინი, დაბადების დღეს გილოცავს შენი ბებო, ციცი. მართალია, არ გიცნობ, მაგრამ ძალიან მიყვარხარ. ღმერთმა გაგზარდოს, ჯანმრთელი და სულგრძელი. შენი ციციწო.

• ჩემს სიხარულს, ჩემს სიყვარულს, ჩემს იმედს და ჩემს ცხოვრებას, ანუკი ჩალაბაშვილს ვულოცავ სიყვარულის დღეს. გისურვებ ულევ სიხარულს, ლამაზ სიყვარულს და ბედნიერ მომავალს. შენი მონატრებული დედიკო, ათენიდან.

• დაბადების დღეს, 26 აპრილს ვულოცავთ ქალბატონ ნათელა დულუზაურს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. დიდი სიყვარულით, თამუნა და მაიკო.

• სიყვარულის დღეს ვულოცავ ლერის და ეკას. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. მიყვარხართ და მენატრებით. უფალი გფარავდეთ, ყველგან და ყოველთვის. ნათელა.

• ჩემს საყვარელ დისშვილს, ლერი ქავზინაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. გკოცნის მონატრებული დეიდა, ათენიდან.

• ჩემს საყვარელ ძამიკოს, ლერი ქავზინაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ოცნებების ასრულებას, ჯანმრთელობას და ულევ ბედნიერებას. გფარავდეს უფალი. დაიკო ეკა.

• მინდა ჩემს საყვარელ ხალხს, ჩემს მონატრებულ ძმისშვილს, გიორგი კუბლაშვილს 22 აპრილს მივულოცო 3 წლის შესრულება. დე, დიდი ბიჭი გაიზარდე და გვასახელე. ასევე მინდა, ჩემს დედიკოს, ნინო გოგელაშვილს მივულოცო 26 აპრილს, 50 წლის შესრულება. დე, შენ გვერდით ვარ და მიყვარხარ. თქვენი გიჟი გოგო, მარეხუნა.

• დათუნა ზარიძეს მონატრებული დედიკო და დეიდა ულოცავნ დაბადების დღეს და უსურვებენ, სასახელო ბიჭი გაზრდილიყოს. ლია, ათენიდან.

• სიყვარულის დღეს, 15

# ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მე-სიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

აპრილს გილოცავ, ჩემო სიხარულო, დაე ეს ცხოვრება სიყვარულში გაგეტარებინოს. ქრისტო, მიყვარხარ. შენი ზურა. ათენი-23.

• ცისარტყელა აკისკინდა, მიებჯინა კლდეს, თოლიები ზღვის ნაპირზე, ჩუმად კრავენ წრეს, წვიმას იწყებს და წვეთები გისველებენ თიშებს, გეფერები და გილოცავ, ქრისტო, სიყვარულის დღეს. ათენი-23.

• დედოფლისწყაროში, დაბადების დღეს ვულოცავ ეკა უძილაურს. გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერ მომავალს, შენს პატარა ლუკასთან და საყვარელ მეუღლესთან ერთად. დიდი სიყვარულით, შენი ბიძაშვილი, თამუნა.

• ჩემს საყვარელ გოგოს, ნათია ქიმუცაძეს მინდა დაბადების დღე მივულოცო. ნათუკები, გილოცავ დაბადების დღეს, 25 აპრილს. 17 წელი შეგისრულდება და უკვე სათაყვანებელი მეუღლე გყავს. ბედნიერი მეყოლე, დე, შენს დედმამასთან და დაიკოსთან ერთად. ჩემო მონატრებულო პეპელავ, გოცნი და გეფერები. შენი დე.

• ათენში მყოფ კატერინას და ხოტორას ვულოცავთ სიყვარულის დღეს. სიყვარულის და ბედნიერების ოჯახი შეგექმნათ. გფარავდეთ უფალი. დიდი სიყვარულით, ლუდმილა და კოკროჭინა.

• დიდი სიყვარულით, დავით გუბელაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებებს და დიდ ბედნიერებას. პატივისცემით, თინიკო.

• ჩემს საყვარელ ძმისშვილს, გიორგი არაბულს დაბადების დღეს ვულოცავ. ღმერთის მაძლი არ მოგკლებოდეს, ჩემო კარგო. გეფერები შორიდან, შენი მზია მამიდა.

• ამირან ქავთარაძეს — დღეს 14 აპრილია, შენი დაბადების დღე. სულ ბედნიერი ყოფილიყავი. შენი მზია დეიდა.

• ჩემს საყვარელ დისშვილს, სალომე ვემაგურს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 აპრილს. სულ ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი, ჩემო ლამაზო. მომენატრე ძალიან. შენი მზია დეიდა.

• ვულოცავ ძალიან დიდ სიხარულს, პატარა ბარბარეს დაბადებას მის მშობლებს — ბეთქილს და ლიკას. ღმერთი გფარავდეთ. იხარეთ და იბედნიერეთ. მენატრებით. კესო.

• ჩემს საყვარელ დაიკოს და სიძეს, მეგი და სოსო ხუბუკელაშვილებს მინდა მივულოცო პატარა ვაჟკაცის, საბას შექენა. ღმერთმა ჯანმრთელი და

სასახელო გაგიზარდოთ, რომ თქვენი და ჩვენი გულები გახარებული ყოფილიყოს. გოცნით და გეფერებათ ნონიკო.

• ჩემს მეგობარს, თამუნა ბარბაქაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. თამო, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, ამ ქვეყანაზე, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. უფალი გფარავდეს ყველგან და ყოველთვის. თამუნა.

• ჩემს მეუღლეს, ალბერტი გაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ, ჩემო სიცოცხლე, ჯანმრთელობას, შვილებით გახარებას და რაც მთავარია, ჩემთან ერთად ბედნიერებას. ნატო. ათენი.

• ანა ციხიშვილს! ჩემს საყვარელ ანას და სიძეს, ზვიად თამლიანს ვულოცავ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. დაესწარიო მრავალს. გისურვებთ ყველაფერს კარგს და ლამაზ ცხოვრებას. მალე შეეხვედროდეთ ერთმანეთს. მამიდები, თინა და ნესტანი ციხიშვილები. გოცნით.

• 18 აპრილს, ჩემს საყვარელ შვილს, გიორგი ბებიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და სიხარულს, ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ძალიან მენატრებით. გოცნით. ნესტანი.

• საყვარელ დაიკოს და სიძეს, მეგი და სოსო ხუბუკელაშვილებს ვულოცავ პატარა ვაჟკაცის, საბას დაბადებას. ვუსურვებ, ჯანმრთელი და უფლისგან დალოცვილი ბიჭი გაზრდილიყოს. გაიხარეთ, მეგუნა და სოსო, თქვენს პატარა ანგელოზთან ერთად. გოცნით და გეფერებით. თქვენი მონატრებული დაიკო რუსუდანი, იტალიიდან.


• ათენში, მზია ბასილაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ტკბილ სიბერეს. გოცნი ბევრს. დიდი სიყვარულით, მათა ლომთაძე.

• თელავში მარიამ ბოტკოველს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 აპრილს. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ. მეგრელო, ათენიდან.

• ათენიდან იტალიაში აღდგომის დღესასწაული მინდა მივულოცო მზია მსხვილიძეს, იამზე მოსიძეს, ლალი ბაღდავაძეს, ეკა ყუბანიშვილს, მარიკა და ინგა მამასახლისებს. მრავალს დაეხარეთ, გოგონებო. მაგრად მენატრებით. მზია მამასახლისი.

• ტატოს და მარიამს ვულოცავ გაბედნიერებას. გისურვებთ უღვევ სიყვარულს და სიხარულს, თქვენს საყვარელ ხალხთან ერთად. მეგრელო, ათენიდან.

# ფოტო-ტრენდ-სპორტი



## მშეშანი

თითოეული (განსაკუთრებით რისკ-თან დაკავშირებული) გადაწყვეტილება კარგად აწონ-დაწონე. ეს კვირა ფინანსურად დამაკმაყოფილებელი იქნება. თუ დაოჯახებული ხარ, რომანტიკული განწყობილება დაგეუფლება, ხოლო თუ — დასაოჯახებელი, მაშინ ამ დღეს წამოწყებული ნებისმიერი საქმიანობა წარმატებას მოგიტანს და დიდი ხნის წინ დანებებულ პრობლემებსაც გადაჭრი.

## სამშეშანი

თაღლითობის რისკი მოიმატებს. ამიტომ გირჩევ, ყურადღებით იყო. მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეტი შრომა მოგიწევს, მაგრამ აუცილებლად დაგიფასდება. დღის ბოლოს რომანტიკული საღამო გელის.




## მარხმეშანი

ეს დღე რომანტიკულ ურთიერთობებს გპირდება. თუ ცხოვრების თანამგზავრი ჯერ კიდევ არ გიპოვია, სავსებით შესაძლებელია, სწორედ ახლა გაიცნო საბედო. ხოლო თუ დაოჯახებული ხარ, დღე მშვიდ, ოჯახურ გარემოში გაატარე, რათა მოსალოდნელი სტრესი თავიდან აიცილო.



# სეიშენი

კარგი დღეა სხვადასხვა გარეგნის დასადებად, მოსალაპარაკებლად, გავლენიან ადამიანებზე შთაბეჭდილების მოსახდენად. სამსახურში, კოლეგებთან არსებული დაძაბული სიტუაცია თავისთავად დარეგულირდება.




# წამსხეუვი



ერიდე თვითნებურ გადანწყვეტილებებს. ყველაფერს სჯობია, საქმე კოლეგებთან ერთად აკეთო, რადგან პროფესიულ წარმატებას მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევ. ამ დღეს, შესაძლოა, შენ გვერდით ისეთი ადამიანი გამოჩნდეს, რომელიც შენზე ცუდ ზეგავლენას მოახდენს და არასწორი ქმედებისკენ გიბიძგებს.

# მეშენი

შესაძლოა, გარშემო მყოფებთან ურთიერთობა გაგირთულდეს, რაც შენი ამბიციურობისა და ამპარტაუნების შედეგი იქნება. ეს დღე სასარგებლოა ძველი კონფლიქტების მოსაგვარებლად და განწყენებული ადამიანების შემოსარიგებლად.



# ყვირის

გარშემო მყოფები სათანადოდ შეაფასებენ შენს ღირსებებს. ამიტომ შენი ძალისხმევა, ფორმალური თუ დიპლომატიური საკითხების მოგვარებისას, სასურველ შედეგს გამოიღებს. კარგი დღეა ძველი მეგობრების მოსანახულებლად და მივიწყებული ურთიერთობების აღსადგენად.





# ჩიბორჩ ვიზსიზიზი დიეტიზი შიედი

თუ დიეტაზე ხარ და მის დასრულებამდე თითქმის ჩამოსათვლელი დღეები გაქვს დარჩენილი, ალბათ იმედოვნებ, რომ წამებას ბოლო ძალე მოელება და მოდუნებას შეძლებ. ეს ყველაფერი ძალიან ხარგი, მაგრამ საქმე იმის ცოდნაა, თუ როგორ უნდა მოდუნდე ისე, რომ მედმეტი ჟილოგრამები ისევ არ „აჯრიბო“. ამ შემთხვევაში ხომ დიეტა აწრს ჟარგავს და გამოდის, რომ ამდენი ხანი ტყუილად გინვალია.

რისი უფლება შეგიძლია მისცე თავს, მკაცრი დიეტის შემდეგ?

ურიგო არ იქნება, ჯერ გაერკვე, რატომაა ასე იოლი, დაკარგული, ზედმეტი კილოგრამების უკან დაბრუნება. საქმე ის გახლავს, რომ მკაცრი დიეტის დროს ორგანიზმი სტრესს განიცდის. ამ ხნის განმავლობაში მისი „მეხსიერება“ „ბოროტდება“ და როგორც კი კარგად დანაყრდები, ის „შავი დღისთვის“ ენერჯის მარაგის დაგროვებას იწყებს. ეს „შავი დღე“ კი შესაძლოა, მაშინ დაუდგეს, როცა ისევ დიეტის დაცვას გადაწყვეტ. ხოლო დაგროვილი მარაგი, რა თქმა უნდა, ის ცხიმის ფენაა, რომლისგან თავის დაღწევასაც დიეტის დროს ასე გულქოდგინედ ცდილობდი. სწორედ ამიტომ, თუ დიეტის შემდეგ ძველებურად კვებას გააგრძელებ, შესაძლოა, იმაზე მეტადაც კი გასუქდე, ვიდრე დიეტის დანაყრდამდე იყავი.

ცხიმის ფენის დადნობა ეტაპობრივად და ნელ-ნელა უნდა მოხდეს. იდეალური ვარიანტი, კვირაში 500 გრამის დაკლებაა. ამაზე სწრაფად გახდომა არ ღირს, ვინაიდან შესაძლოა, შიმშილი იხე შემოგიტოს, რომ ვეღარ გაუძლო და დიეტა დაარღვიო. თანაც, სწრაფად გახდომის დროს მოსალოდნელია, ნივთიერებათა ცვლა დაირღვეს და ცხიმის წვა აღარ მოხდეს. დიეტის შემდეგ შენი ამოცანაა, ორგანიზმი „დაარწმუნო“, რომ წონა, რომელიც დიეტის შემდეგ გაქვს, ნორმაა.

საკვების რაოდენობა თანდათანობით გაზარდე. ყველაზე გავრცელებული მითი ასე ჟღერს: „თუ ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ წყალს მიირთმევ, მეორე დღეს კი ტკბილეულითა და მსუყე

კერძებით დანაყრდები, არ გასუქდები“. ეს ასე არ არის. დიეტის შემდეგ რაციონი სასარგებლო პროდუქტით თანდათანობით უნდა გაამდიდრო. ამიტომ, ჯობს 10 ვაშლი შეჭამო, ვიდრე ერთი ნატეხი შოკოლადი ან ნახევარი ფუნთუშა.

უნდა იკვებო რეგულარულად. დღის განმავლობაში, 4-5-ჯერ — ყოველი 3 ან 5 საათის შემდეგ უნდა მიირთვა. როდესაც დღის მანძილზე ერთხელ ან 2-ჯერ გინევს ჭამა, გაცილებით მეტს მიირთმევ, ვიდრე რეგულარული კვების დროს. საკვების დიდი რაოდენობა კი კუჭის მოცულობას ზრდის. ამიტომ აუცილებლად უნდა მოახდინო რაციონის ბალანსირება, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა მიირთვა საკმარისი და არა — ზედმეტი. დღის განმავლობაში მიღებული ცხიმების, ცილების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების რაოდენობამ ნორმას არ უნდა გადააჭარბოს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ არსებობს ჰორმონი, რომელიც წონის დაკარგვას უწყობს ხელს. ის სისხლშია და ლეპტინი ჰქვია. სამწუხაროდ, მისი მოქმედების მექანიზმის აღწერა შეუძლებელია, რადგან ბოლომდე შესწავლილი არ არის.

ძვირფასო ქალბატონებო, დროა, შეეგუოთ იმ ფაქტს, რომ მთელი მსოფლიო სპორტს მისდევს და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს: მწველები თავს ანებებენ მოწვევას, დილაობით დარბიან. აღარაფერს ვამბობ სატრენაჟორო დარბაზში და აუზზე სიარულზე. თუმცა, არავინ გაიძულებს, ყოველდღე სავარჯიშოდ იარო — სალამოობით გასეირნებაც საკმარისია. ამ შემთხვევაში დიეტით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას შეძლებ.

დაბოლოს, არ არის რეკომენდებული, თუ დიეტის ვადას წინასწარ დაგეგმავ და ზედმეტ კილოგრამებს მთლიანად საკვების შემცირების ხარჯზე მოიშორებ. უმჯობესი იქნება, თუ დიეტას სპორტს შეუთავსებ. ამ შემთხვევაში, სხეულის მოხდენილობას დიდხანს შეინარჩუნებ.



ჯანსაღი ძილი სხანგმძლივებს  
სიცოცხლის და აძვირებს  
სამოქმად ღივს.

# სიზმარში გახვნილი ქალი...

## ინგა ჩაყელი

უცნაური სიზმრები მას შემდეგ დაეწყო ანდროს, რაც ცოლის მიმართ ყველა გრძნობა გაუქრა და ერთ ღამეს ისიც კი ინატრა: ნეტავი, მანანას ნაცვლად, თუ კლაუდია შიფერი არა, სექს-შოპში ნანახი გასაბერი თოჯინა მაინც მენწვეს ლოგინშიო!..

მანანა გარეგნობით არასდროს გამოირჩეოდა და არც ქალიშვილობაში ჰქონია დაკოკრილი მკერდი და მწყერივით დამრგვალებული თეძოები. გოგო ჭოკივით გამხმარი იყო და გულისპირიც ყოველთვის ფიცარივით ბრტყელი ჰქონდა. ანდროს ის ქალად არც არასოდეს აღუქვამს, მაგრამ მანანამ დაადგა თვალი სოფლიდან ჩამოსულ თანაკურსელს, უნაკლო გარეგნობა რომ ჰქონდა და თუ არ ჩანდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი წელიწადი გაუხდელად ეცვა ძველი შარვალი და ცხვირგაქეჩილი, ქუსლებში მობრეცილი ფეხსაცმელები...

ჰოდა, ისე მოხდა ზუსტად, როგორც ერთ ზღაპარშია: მეფის ასული ავად რომ გახდა — თუ ეს ბიჭი არ ჩამეხუტება, მოკვდებიო! — მანანა მდიდარი მამის ერთადერთი ასული გახლდა და ოჯახი მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული თავისი მომავლითა თუ იმედებით...

ბატონმა ვარდენმა ანდრო შინ მიიწვია და სახლ-კარი ისე დაათვალიერებინა, თითქოს იმ დღეს წერდა ანდროს. ახალთახალ მანქანაზეც პირდაპირ უთხრა, ჯერ ისევ ქარხნის „ტაოტის“ სუნი რომ ასდიოდა: სიძეს ვუნახავ, იმას ენაცვალს ჩემი სიცოცხლეო! — და უცებ გატყდა ბიჭი. მანანა მზე-თუნახავად მოეჩვენა, მით უმეტეს, როცა უძვირფასესი კონიაკის რამდენიმე სირჩაც გადაყურუნა...

ქორწილიც მალე გაიმართა და პირველი იმედგაცრუებაც პირველსავე ღამეს დაეუფლა ანდროს, დაახლოებით იმ ბავშვის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რძით სავსე მადლიანი ძუძუს ნაცვლად რეზინის სანოვარას რომ ჩასჩრიან პირში მშვიერს... თავს იმით იმშვიდებდა — ორსულობა მოუხდება, მშობიარობის მერე „შეივსებაო“! მაგრამ არც აქ გაუმართლა, ორმა ბავშვმა მთლად გამოწუნა თითქოს ქალი და ისედაც გამხმარ-განრეპილი ლამის გაქრა სანოლში. ისე ჰქონდა ნეკნები ამოჩრილი, კაცს ძველი გათბობის „ბატარეას“ მოაგონებდა, კარგა ხნის წინ რომ ჩააბარეს ჯართში...

ცოლთან დანოლას ყველაფერი ერთი და როცა იშვიათად მაინც უწევდა



მამაკაცური ვალის მოხდა, სახე ისე ემანჭებოდა, თითქოს ფიზიკური ტკივილით იტანჯებოდა... წყევლა-კრულვით აგდებდა ქალი და იქით აბრალებდა უჯიშობას კედლისკენ გადაბრუნებულ კაცს, რომელიც გულზე სკდებოდა ბოლმით და ცდილობდა, ფიქრში წამში ათას ქალთან ელალატა მობზრებული ცოლისთვის. ჰოდა, ალბათ, ამ ფიქრის შედეგი იყო ის, რომ ერთხელაც სიზმარში ის ქალი მოევლინა, ვისზეც ამდენი უოცნებია: მკერდსავსეს ლიფი ასკდებოდა, თეძოებზე კიდევ — კანი... გაუჩერა ჯიპი, გაუღიმა მაცდურად და აგრძნობინა — შენი ვარ, შენთვის დავიბადე და შენთვის მოკვდები. სახელიც უთხრა — მაკუნა და იქვე, მანქანის სავარძელზე „დანებდა“ პირველივე ხილვაში, კენესა დაწყებინა სისხლმოჭარბებულს და თავი-სივე კენესის ხმამ გააღვიძა, მერე ჩაესმა მანანას ხმა, თმაგანწილი რომ დაჰყურებდა ზემოდან უდროო დროს გაღვიძებული:

— რა ჭირი გეტაკა, ვითომ მკვდარი მართლა ხომ არ კვდები! — და მართლა სიკვდილი ინატრა ანდროს, პირველად ინანა, რომ ისევ იხილა დილა და სიზმარში არ ჩატოვა სამუდამოდ არსთაგამრიგემ...

სულ მაკუნაზე ფიქრობდა და ქუჩაში გასული თვალებს აცეცებდა იმ იმედით — იქნებ წინასწარმეტყველური იყო ჩემი სიზმარიო?! მაგრამ რა დაგიკარგავს რას ეტებ?!

ცხადში არა, მაგრამ სიზმარში კვირაში ორჯერ მაინც „მოდიოდა“ მაკუნა და ისეთ პოზებში ჰქონდა ანდროს წარმოსახვითი სექსი, წონასწორობას კარგავდა და ჩურჩულთ რომ დაინწყებდა, ბლავილით ამთავრებდა სათქმელს: შენ ხარ ჩემი ოცნების ქალი

და სიცოცხლე; მაკუნა, შენს გამზრდელს ვენაცვალე, შენი ძუძუებია ჩემი საფიცარო!.. — ჰოდა, იმას დღე დაადგა-ა!..

ნივილი, კივილი, სახლიდან გაგდების მუქარა...

ვერა და ვერ დააჯერა მანანა, რომ მაკუნა რეალური კი არა, სიზმარი იყო. ხილვა...

არც ის დაუმაღლავს:

— მართალი რომ იყოს, ვინ დამაკავებდა, საბელწაჭერილი ხბოსავით გაყვებოდი უკან! — და სწორედ მამის იყო, მანანამ ტაფას რომ წამოავლო ხელი და ისე ჩაარტყა თავში, ტვინის შერყევა დამართა. ორი კვირა ვეღარ დადგა ფეხზე ანდრო და გადაბმულად ეძინა — მეტი არც რამ უნდოდა — მაკუნა „გვერდიდან არ სცილდებოდა“ და სექსიგანტად იქცა ფანტაზიებში...

მანანამ თავიდან მკითხავი მოიყვანა სახლში, რომელმაც დაასკვნა:

— ეშმაკი ებრძვის, ძლიერი ჯადო აქვს გაკეთებული! — და ვინ იცის, რამდენი ფული ააგლიჯა გამოლოცვებში. საბოლოოდ, ჯერ მღვდლის, შემდეგ ფსიქიატრის მოყვანა ურჩია, მაგრამ... არც ანდროს ეშველა რამე და არც მანანას: კაცი ისევ მაკუნას სახელს აბოდებდა და ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა სიზმარში, ქალს კრუნჩხვა ემართებოდა ბოლმით და კინალამ ძვლების განლევა დაეწყო, ხორცი რომ აღარ შერჩა. ლამის დანგრევამდე მივიდა ოჯახი, არადა, სასამართლომ საქმე წარმოებაში არ მიიღო: კანონში არის სად წერია: სიზმარში ლალატისთვის ან ქალი როგორ დავსაჯოთ, ან კაცო!.. ჰოდა, გახდა ქვეყნის სალაპარაკო ეს ამბავი, ამიტომ მოალწია ჯერ ჩემამდე და მერე — თქვენამდე, ჩემო მკითხველო!..



# ბერძენელის ქვიზი რაკლი და სქესობრივი უსამომწესობელი კატაკლი

კაკლი ფართოვრული ცამეტი წელია, გერმანიაში, კერძოდ კი ბერლინში ცხოვრობს. წლების წინ, მან თავისი ბედი გერმანელ ფელიქს ქოილოვს დაუკავშირა და დღეს, ქართულ-გერმანული ოჯახი ცხოვრების დინებას შემბატობილებულად მიჰყვება. მათ ჰყავთ შვილი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ათი წლის ანაბელა, რომელიც ზაფხულობით სტუმრობს ქვიზს, სადაც მას ქართველი ბებია და პაპა მოუთმენლად ელიან.

## თორნიკე ყაჩიყვილი

— როდის და რა მიზეზით წახვედით გერმანიაში?  
— საქართველოდან 1995 წელს, ანუ მამის წახვედი, როცა არ გვექონდა შუქი, წყალი და საერთოდაც, ბევრი რამ გვაკლდა... გერმანიაში გავიცანი ფელიქსი, ერთ-მანეთი შეგვიყვარდა და დაქორწინება გადავწყვიტეთ.  
— თქვენს ამ გადამწყვეტილებას მშობლები როგორ შესვდნენ?  
— საერთოდ, ყველა მშობელს უნდა, მისი შვილი ბედნიერი იყოს და რა მნიშ-

ვნელობა აქვს, ის უცხოელთან შექმნის ოჯახს თუ თანამემამულესთან? თუმცა, რა თქმა უნდა, თავიდან ჩემებმა ძალიან განიცადეს, უცხოელს რომ მივეყვებოდი ცოლად. რაც შეეხება ფელიქსის მშობლებს, ისინი ძალიან კულტურული ხალხია. პირადად მე, მათი მხრიდან არაფერი მიგრძნია, მაგრამ ვიცი, ისინიც ააღლევან იმ ამბავმა, რომ მათი ვაჟი ქართველ გოგონაზე ქორწინდებოდა. ჩვენ ხომ განსხვავებული ტრადიციები, კულტურა, რელიგია, წესჩვეულებები გვაქვს. მიუხედავად ამისა, ისინი შვილის საქმეში არ ჩარეულან.  
— ქორნილი თუ გქონდათ?  
— ქორნილი გვექონდა, მაგრამ ქართული გაგებით, ის „ფართი“ უფრო იყო, რადგანაც მხოლოდ ოჯახის წევრები და მეგობრების ვინრო წრე დავვატყუეთ.  
— ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი, გერმანულ ტრადიციებს როგორ შეეგუეთ?

— პირველი ექვსი თვე ძალიან გამიჭირდა. მე კი არა, ყველა ქართველი, ვინც პირველად ჩადის გერმანიაში, კულტურულ შოკს იღებს. ბევრი არ ცდილობს, ამ ქვეყნის წესების გაეცნოს, მოერგოს, შეეგუოს და გერმანული ცხოვრების რიტმს აჰყვეს. ერთ ამბავს მოგიყვებით: გერმანიაში ახალი ჩასული გახლდით. ერთი ქალაქიდან მეორეში მატარებლით ვბრუნდებოდი. ერთ-ერთ გაჩერებაზე, ვაგონში ორი ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა. დაიწყეს ქართულად საუბარი. ძალიან გამიხარდა და მინდოდა, მათთან მივსულიყავი, მაგრამ მოულოდნელად, ჩემზე დაიწყეს ლაპარაკი. თან, თვალეში მიყურებდნენ და მილიმოდნენ. მოკვლევ, შემაფასეს თმის ღეროდან — ფეხის ფრჩხილებამდე. ძალიან მენწყინა. როცა ჩემი ჩასვლის დრო დადგა, ჩანთიდან ქართული წიგნი ამოვიღე და გადავშალე. ერთმანეთს გაკვირებულემა შეხედეს და განითლდნენ, გაშავდნენ, თავები

## თანამეამოვლები

# უცხოეთის ცის ქვეშ

სხვადასხვა საუკუნეში, სხვადასხვა მიზეზით, ძირითადად — ბედუკულებართობის გამო, ჩვენი სისხლი და სორცი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გადაიხვეწა. ათობით, ასობით, ათასობით ქართველი უცხო ცის ქვეშ დასახლდა და იქაურ გარემოს, ყოფას, ადათ-წესებს შეეთვისა, მაგრამ არც მშობლიური ტრადიციები დავიწყნია... ისტორიკოსმა გიორგი მახარაძემ ამ თემაზე უამრავ საინტერესო მასალას მოუყარა თავი და საზღვარგარეთ კომპაქტურად დასახლებულ ჩვენს თანამემამოვლებზე წერილების ციკლს გვთავაზობს.

## ბიორბი მახარაძე

დიდი ილია წერდა: „ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლადშემძლებლის გრძნობის ძალით, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან“.  
ქართველების ეს თვისება შესანიშნავად შეუმჩნევია ალექსანდრე დიუმა-მამას, რომელიც XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს სტუმრობდა საქართველოს. „ქართველ ხალხს, აღნიშნავდა ის, საქართველოს გარეთ თითქმის ვერსად ნახავთ...“

## ნოვოივანოვკა

შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ ჩვენს დედამდინარე მტკვარს სტავროპოლის მხარეში „ჰყავს სენია“, რომლის სანაპიროზე გაშენებულია რაიონული ცენტრი — კურსკაია. ამ რაიონში არის ქართული სოფელი ნოვოივანოვკა, რომელიც თითქმის საუკუნეა, არსებობს.  
დალესტანში მცხოვრები ქართველები, თავშესაფრის ძიებისას, 1912 წელს გამოჩნდნენ სტავროპოლის ველეში. დალესტანელმა პატრონმა მინა გაყიდა, მაგრამ გამოჩნდა იქაური მკვიდრი, რომელმაც ქართველი გლეხები სოფლიდან გააძევა.

კეთილ ადამიანებს ქვეყანაზე რა გამოლევს?! ჰოდა, უსახლკაროები თურმე, გადამდგარმა პოლკოვნიკმა, ვინმე ივანოვმა შეიფარა: განსაკუთრებული დამსახურებისთვის მთავრობის მიერ ნაბოძები მამული მან ქართველებს უსასყიდლოდ გადასცა და ასე დაფუძნდა პირველი ორი ათეული კომლი. მაღლიერმა ქართველებმა სოფელს ნოვოივანოვკა დაარქვეს.  
მისი არსებობის შესახებ ჩვენში კარგა ხანს არავინ იცოდა.  
ასლოვდებოდა გენიალური შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო დღეები. თბილისში ჩამოვიდა ნოვოივანოვკელი პავლე ნამალაიძის წერილი, სადაც ის მორიდებით ითხოვდა — მათთანაც ჩაგვეტარებინა დიდი შოთას საიუბილეო საღამო, ჩაგვეტანა რუსთაველის ბიუსტი, ქართული წიგნები და გვეჩვენებინა ქართული კინოფილმები. ყოველივე ამის შესახებ, მწერალი გივი გოგიჩაიშვილი 1966 წელს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე მოგივითხრობდა.  
შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, თბილისიდან იქ ჩავიდა მეცნიერთა, ლიტერატორთა და კულტურის მუშაკთა



ჩაქინდრეს. მერე, ერთ-ერთმა მორიდებით მკითხა: უკაცრავად, თქვენ ქართველი ხართო? — კი-მეთქი, — ვუპასუხე. ძალიან შერცხვით საკუთარი საქციელის. ბოდიში მომიხადეს და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. როგორც აღმოჩნდა, ისინი გერმანიაში რამდენიმე დღის ჩასულები იყვნენ. მოკლედ, მსგავსი რაღაცებიც ხდება ხოლმე.

**— ფელიქს ჩვენი ტრადიციები თუ მოსწონს?**

— ყველაზე მეტად, ქართული სტუმართმოყვარეობა მოსწონს. რომ ვთქვა, ქართულ წესებს ყოველდღიურ ყოფაში იყენებს-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ როცა ქართველები გვსტუმრობენ, ცდილობს, ქართველი მასპინძელივით მოიქცეს.

**— როგორია გერმანელი სიძის და ქართველი სიდედრის ურთიერთობა?**

— ფელიქსი და დედაჩემი ერთმანეთს ძალიან დიდი პატივს სცემენ. მათ თითქოს, ოფიციალური ურთიერთობა აქვთ, მაგრამ ამავე დროს, ძალიან თბილი.

**— რა განსხვავებაა გერმანულ და ქართულ ოჯახურ ურთიერთობებში?**

— პირველ რიგში ის, რომ გერმანიაში გენდერული თანასწორობა დაბალანსებულია, ცოლიც და ქმარიც ძალიან უფრთხილდებიან ოჯახს, ერთმანეთს ყურადღებას არ აკლებენ და ა.შ. მე და ჩემი ქმარი, ყოველი სადილობის შემდეგ, ერთმანეთს მადლობას ვუხდით; თუ შინ მისვლა დამავგინდა, ფელიქსი ცდილობს, ის სადილი დამხვედროს, რაც მიყვარს. ამას საქართველოში

სხვანაირად აღიქვამენ, მაგრამ ვფიქრობ, ეს აბსოლუტურად ნორმალურია.

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— ერთი შვილი გყავს — ანაბელა, რომელიც ათი წლისაა.

**— ქართულად ლაპარაკობს?**

— მართალია, კარგად ვერ მეტყველებს, მაგრამ ყველაფერი ესმის. ქართულად ძალიან სასაცილოდ ლაპარაკობს. მაგალითად: „ჩემი დედა „სემიჩკა“ ჭამა“. როცა პატარა იყო, ხშირად ვუმღეროდი „ჭრელო პეპელა“-ს და დღეს, ასე მღერის: „ჭრელო ფეფელა, გაფჰინდი ნელა, დელია ჰანუნიი...“

**— საქართველოში ხშირად ჩამოგყავთ?**

— თითქმის ყოველ ზაფხულს. ძალიან უყვარს საქართველო და განსაკუთრებით, ქიზიყი. ერთხელ სკოლაში დაავალეს, რამდენიმე მოცემული ქვეყნიდან ერთი ამოირჩიეთ და თემა დაწერეთო. მოცემულ ქვეყნებს შორის არ იყო საქართველო, რამაც საოცრად გაანანყენა.

**— ანაბელსა და ფელიქსს ქართული კერძებიდან რა მოსწონთ?**

— ხაჭაპური, ხინკალი და მწვადი. ანაბელს ქართული ხილიც ძალიან მოსწონს. გაიძახის: აქ სულ სხვა გემო აქვსო. სამიოთხი წლის იყო, როცა მამაჩემმა მაყვალი მოგვიტანა. ბავშვი გაკვირებული გვიყურებდა, რადგან არ იცოდა, როგორ ეჭამა და როცა გემო გაუსინჯა, ძალიან მოეწონა, იძახდა: კაქია, კაქიაო.

**— როგორ ზრდიან გერმანელები ბავშვებს?**

— ბავშვს ადრეულ ასაკში აჩვენებ დამოუკიდებლობას. გერმანელი მშობლების ყველაზე დიდი და უმთავრესი ამოცანაა, კარგად მოამზადონ ბავშვი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და შეძლებისდაგვარად, კარგი განათლება მისცენ. ასევე, შვილს პატარაობიდანვე უნერგავენ ბუნების სიყვარულს. მაგალითად: ანაბელამ იცის, ერთი წვეთი ბენზინი მიწაზე რომ დაიღვაროს, ოცი სანტიმეტრის რადიუსზე, გარკვეული დროის განმავლობაში, ვერანაირი მცენარე ვერ გაიხარებს; ანდა, ჩვეულებრივი ცელოფანის პარკი მიწაში თუ ჩაიმარხა, სამასი წელი დასჭირდება იმისთვის, რომ ნიადაგად იქცეს...

**— სამომავლოდ, საქართველოში დაბრუნებას არ აპირებთ?**

— ალბათ, როცა დაგებრდები, ამაზე მაშინ ვიფიქრებ...



**თანამეგობრული**

ჯუფი. მასპინძლები სიხარულის ცრემლებს ვერ ფარავდნენ. ამაში გასაკვირი არც არაფერი იყო: 1912 წლის შემდეგ, ისინი პირველად მასპინძლობდნენ ქართველთა ასეთ მრავალრიცხოვან ჯგუფს, ისმენდნენ მშობლიურ სიტყვას სცენიდან, ეკრანიდან. ნოვოვივანოვკელ თანამემამულეებს საჩუქრად გადაეცათ შოთა რუსთაველის ბიუსტი, „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემები, თანამედროვე მწერალთა 300-ზე მეტი ნიგანი, სამკერდე ნიშნები, შოთა რუს-

თაველის სურათები და ფირზე ჩანერილი, ქართული ხალხური სიმღერები. სტუმრებმა თან ჩაიტანეს დოკუმენტური ფილმები: „თბილისი“, „რუსთაველი და მისი დრო“, მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი“.

ნოვოვივანოვკაში ძირითადად, ოთხი გვარი ცხოვრობს, დუშეთისა და ახალგორის მკვიდრნი — წამალაიძეები, კობაიძეები, გოგიჩაშვილები, ნაზლაიძეები. შეხვედებით აგრეთვე, ბაშარულებს, სვანაიძეებს, ზაქაიძეებს,

ყველაშვილებს, თამარაშვილებს, ელოშვილებს, ჯამრიშვილებს, ბუთხუზებს...

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სოფელი გაიზარდა, მოლონიერდა, იმატა მოსახლეობამაც: 1976 წლისთვის იქ უკვე 500-700 ქართველი სახლობდა. იქაური ქართველები ცხოვრობენ რუსულ ხატებში, მისდევენ მეცხოველეობას, აგრეთვე, მოჰყავთ ხორბალი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი. გაახარეს ვაზიც.

საბჭოთა წლებში ნოვოვივანოვკელები პოლტავსკოეს საბჭოთა მეურნეობაში იყვნენ გაერთიანებული. ნოვოვივანოვკელი ივანე წამალაიძე ომამდე, კურსკაიას რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. სამამულო ომის დაწყებისთანავე, ფრონტზე წასულა და გმირულად დაცემულა ბრძოლის ველზე. მას გარდა, ფრონტზე ორმოცდაათამდე ნოვოვივანოვკელი ქართველი დაღუპულა.

*P.S. მომდევნო ნეროლში, პლასტუნკაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე მოგითხრობთ.*



**ნოვოვივანოვკელი ალექსი გოგიჩაიშვილის კარმიდამო. 1976 წ.**



# ქართული სალიტერატურო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-15

## სპეციალური კვარტალი

ის დღე ისე მიიღია, ბექას არ დაურეკავს. მოუსვენრობამ შემოიპყრო. არ ველოდი მისგან ასეთ უყურადღებობას. ნუთუ ასეთი თავმოყვარეა? იმდენად ცუდად ვიყავი, ნათიას დაფურეკე და ვთხოვე, გაეცვალა ჩემთვის მორიგეობა. სამაგიეროდ, სამშაბათს მე შეეცვლიდა. მისვდა, რომ სერიოზული მიზეზი მქონდა და უარი არ უთქვამს. ნათია მოვიდა თუ არა, შინ წამოვედი, არაფრის ახსნა არ დამინყია მისთვის, არც თვითონ უკითხავს, რა გჭირსო. მისვდა, შეკითხვები უადგილო იყო.

დალაშქრდა... არაფერი ისმოდა ბექასგან. არც მოვიდა, არც დამირეკა... თვალი ვერ მოვხუჭე, მთელი ღამე ვბორბავდი ლოგინში. როგორც ჩანს, გამთენიისას ძილმა წამართვა თავი, კომპარები მესიზმრა, თითქოს უფსკრულში ვიჩეხებოდი და ვილაცის ძლიერმა ხელმა გადამარჩინა. დაფეთებული წამოვხტი, ერთიანად ოფლში ვიყავი განურული. საბაზანოში შევედი და გრილი წყალი გადავივლე. სიცოცხლე აღარ მინდოდა. ასეთ მდგომარეობაში, ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. პირველად მივხვდი, რა გრძნობა ყოფილა სიძულვილი. მძულდა ყველა და ყველაფერი — ჩემი თავი, სანდრო, ბექა, თანამშრომლები, მშობლები, სამსახური, სახლი... სიცოცხლე შემჯავრდა. არ დაგიმალავთ და, ერთ მომენტში თავის მოკვლაზეც კი ვიფიქრე. არა, ამას არ ვიზამ. ვისთვის, რისთვის? ღირს კი სანდროს გამო ყველაზე დიდი სისულელის ჩადენა? გიზელა მართალია, აქ ხომ არ მთავრდება ყველაფერი?! გამოსავალი უნდა ვიპოვო.

დილის შვიდი საათი იყო, ოთახში თავგზააზნული ბოლოს ვცემდი. როგორ მოვიქცე? რით დავინწყო? იქნებ სამსახურიდან წამოვიდე, რომ ყველაფერი

დავივინყო? არ აჩქარდე, სოფი, კარგად დაფიქრდი, — თან ხმამალა ველაპარაკებოდი საკუთარ თავს. ნუთუ კლინიკის მიტოვებაა საუკეთესო გამოსავალი? იქნებ სხვა გზაც არსებობს? იფიქრე, სულელო, იფიქრე. ასე ადვილად ნუ დაყრი ფარ-ხმალს. ხომ ამბობენ, იმედი არ კვდებაო. ჰმ, იმედი... რისი? ვისი? და საერთოდ, რა არის იმედი? კეთილი მომავლის რწმენა? თან რომ გჯერა და თან რომ არ გჯერა? ან უნერია ასრულება და ან — არა? იქნებ სულაც უიმედობაა ყველაზე დიდი იმედი? იგი ან არსებობს, ან არ არსებობს, აქ შეცდომის დაშვება შეუძლებელია. რატომ გამწირა ღმერთმა ასე, რატომ დამსაჯა? რა დანაშაული მიმიძღვის ან ვის წინაშე? ახია ჩემზე, ახი! რა სიყვარულობანა ამიტყდა, რა მინდოდა! ახლა მაინც ხომ მისვდი, რომ სიყვარული მტაცებელი მხეცივითაა, რომელიც ბრწყალებით გონებას გიპორტყნის? სანამ სული არ დამისვრა, მანამდე, არ მოვისვენე. არ შეიძლება, შეცდე და ვერ მისვდე, რომ შეცდი. ოღონდ უნდა შეგწევდეს იმის უნარი, რომ აღიარო ეს. არა, უნდა მოვერიო თავს. როგორმე უნდა გამოვიდე ამ მდგომარეობიდან. ბოლოს და ბოლოს, დედამინაზე ვცხოვრობ, მარსზე ხომ არა? ამ სამყაროს თავისი კანონები აქვს. ზოგი იმარჯვებს, ზოგიც მარცხდება. უნდა შევძლო შეგუება. ერთხელ მოვიდვიართ ამქვეყნად, მეტჯერ ხომ არა? სიცოცხლე, სიკვდილი, ადამიანები და სხვა დანარჩენი — აი, ეს არის ჩვენი სამყარო, ეს არის ის, რაც ჩვენ გარშემო არსებობს. იგი უსაზღვრო და მიუწვდომელია. ვერასდროს შევძლებთ, ბოლომდე გავუვით მას. ვერასდროს ამოვხსნით მის საიდუმლოს. ამიტომაც, იძულებული ვართ, მივიღოთ სამყარო ისეთი, როგორიც არის, თავისი საოცარი საიდუმლოებით.

მე ახალ ცხოვრებას დავინწყებ. მე შევ-

ძლებ ამას და წინ ვერავინ გადამიდგება! ჯანდაბას, სიყვარული! მერე რა, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამქვეყნად უსიყვარულოდ ან თუნდაც იმედგაცრუებული? ზოგმა საერთოდ არ იცის, რა გრძნობაა ეს. მე კი იმით მაინც განვსხვავდები მათგან, რომ ვიცი, გამომიცდია... მაგრამ... ღირს კი ცხოვრება ასეთი ბოხოქარი შეგრძნების გარეშე? სულაც არ არიან შესაშური ის ადამიანები, ვისაც გული გაქვავებია ან ამურის ისარი აუცდენია. ბედნიერი მხოლოდ ის არის, ვისაც მძაფრად შეუძლია ამ გრძნობის აღქმა, ისე მძაფრად, რომ მწვავე ტკივილიც სიამოვნებას ანიჭებს. თუმცა ისეთებიც ხომ არსებობენ, რომლებსთვისაც სიყვარული თავბრუდამხვევი გრძნობაა და ისე ეწაფებიან, როგორც ეგზოტიკურ ნუგბარს, გამორჩეულ ტკბილულს? ჩემი აზრით, ადამიანმა უნდა გაიზაროს ყველა ის განცდა, რაც სიყვარულს ახლავს — ტკბილიც და მწარეც, აივსოს ამით სული და მერე შეისრუტოს ამ ყველაფრისგან ან ყველაზე ღვთაებრივი, ან ყველაზე მტანჯველი. ეს იმაზეა დამოკიდებული, თავად რომელი გსურს, შენთვის რომელი უფრო ახლოა და უფრო მისაღები. ნამდვილად არ მინდა, ბექასგანაც იგივე დამრჩეს, რაც სანდროსგან „მემკვიდრეობით“ მერგო. მეყო, რაც ვიტანჯე, რაც გადავიტანე. მეც ხომ მაქვს ბედნიერების უფლება? მაქვს იმის ამბიცი, ერთხელ მეც ვიყო ბედნიერი. სხვას ხომ არ ვპარავ? ჩემით ვცდილობ ამის მოპოვებას და ნუ შემიშლით ხელს, მაცალეთ, მაცალეთ... თუ შეიძლება...

შინ ვერ გავქელი და სამსახურში ადრე წამოვედი. ჩემს დანახვაზე ნათიას გაცემა აღებეჭდა სახეზე.

— გამოგაგდეს სახლიდან? — თბილად მკითხა და ლოყაზე თანაგრძნობის ნიშნად მაკოცა.

— უძილობა დამჩემდა, თანაც მარტო ვარ და მომბურღა, თქვენთან ყოფნა მირჩევნია, — მის ღიმილს ღიმილი შევაგებე.

— ხომ მშვიდობაა, სოფიო? მე შემიძლია რამით დაგეხმარო, გარდა მორიგეობის დაცვლისა? — გამომცდელად შემომხედა.

— არა, დიდი მადლობა, ნამგზავრი ვიყავი და ისე გადავილაღე, ღამისთვის თავი არ მქონდა, მეტი არაფერი, — თვალი ავარიდე თანამშრომელს.

— რა ვიცი, თუ დაჭირდი, შენ გვერდით ვარ, იცოდე! — მხარზე გადამდო ხელი და მომხეცია.

ამ სიტყვების გაგონებაზე გული ამიჩუყდა. ღამის ავტირდი, დროზე შევიკავე თავი. უაზროდ დაუქვნიე თავი გოგოს, ჩქარი ნაბიჯებით გავერიდე და ჩემს ოთახში განვმარტოვდი, სანამ ყველანი მოგროვდებოდნენ და დილის თათბირი დაიწყებოდა.

გული გამალებით მიცემდა. დღეს ერთდროულად ორივე უნდა მენახა —

სანდროც და ბექაც. რომელს რა რეაქცია ექნებოდა ჩემს დანახვაზე, წარმოდგენა არ მქონდა. ან კი მე როგორ უნდა შემეხედა მათთვის?.. ნამდვილი წამების წუთები მელიოდა, მაგრამ უნდა გადამეღახა ეს მდგომარეობა. მოსალოდნელი შეხვედრებით დათრგუნვილი და დაძაბული, კაბინეტიდან ვერ ვებედავდი გამოსვლას.

ათის ნახევარზე ნათიამ შემომძახა, მთავარი ექიმი გვიბარებსო. მეგონა, გული გამიჩერდა. რამდენიმე წუთი სარკის წინ დავყავი, რათა თავი ხელში ამეყვანა. მერე საკუთარ ორეულს შევეშახე, ყოჩაღად იყავი, არ დამალალატო-მეთქი და მშვიდი სახით გავედი ოთახიდან. პირველი, ვისაც თვალი მოვკარი, სანდრო იყო, ნანკას რალაცაზე გაცხარებული ევაბათებოდა. ჩემს დანახვაზე უეცრად შეწყვიტა ლაპარაკი და გამოცდელი მზერა მესროლა. დილა მშვიდობისა-მეთქი, ჩავილაპარაკე და ჩავიარე, არ შევჩერებულვარ. საკუთარი გულის ბაგაბუგი მესმოდა, ვგრძნობდი, ფერი არ მედო სახეზე.

დანარჩენებს უკვე მიხეილის კაბინეტში მოუყარათ თავი... არასანდროს დამავიწყდება ბექას შემოხედვა... საყვედურიც, გულგრილობაც, ორბაროვნებაც — ყველაფერი ერთად იკითხებოდა მის მზერაში, თუმიცა მხოლოდ ნამიერად. მერე მთელი საათის განმავლობაში, სანამ შემოვლას დავამთავრებდით, ყურადღება არ მოუქცევია ჩემთვის. ერთი სიტყვაც არ გამიგონია არც თათბირზე და არც პაციენტების მონახულებისას. ასე მეგონა, ეს მე არ მეხებოდა, სხვა სამყაროში მოვხვდი, ყველასგან გარიყულად ვგრძნობდი თავს.

მთელი დღე საქმეში ვიყავი ჩაფლული, თუმცა მთელი ყურადღება კარისკენ მქონდა მიყრობილი. ბექა არ შემოსულა, არ დაინტერესებულა, რატომ ვუთხარი ცივი უარი შეხვედრაზე. როგორც ჩანს, იფიქრა, რომ სანდრო ვერ დავივიწყე და ამიტომაც ვკარი ხელი. იქნებ იცის კიდევ, რაც მოხდა? სანდროსგან ყველაფერია მოსალოდნელი. არ არის გამორიცხული, რომ მიხვარებინა ორი დღის წინანდელი ამბავი. წუთუ ასე დაკნინდებოდა? წუთუ იკადრებდა ამას? არა, არა, არც მინდა, დავიჯერო. ასეთ შემთხვევაში, რალაცას მიიწვ მეტყოდა, მწარედ გადამიკრავდა სიტყვას. ალბათ, პირველი ვერსია უფრო მისაღებია: ჰგონია, რომ სანდროზე მახობდეს. ეგონოს... ალბათ, ასე აჯობებს. სიმართლის გაგებას, მიჩვევია, ასე ეგონოს. მიდი, მერე და დააჯერე, რომ მე არ მინდოდა; რომ მასთან სექსი ჩემი სურვილი არ იყო. როგორ გინდა ადამიანი დავარწმუნო შენს სიმართლეში? ის არც ისე კარგად მიცნობს. ის კი არა, თურმე მე არ მცნობია საკუთარი თავი. ახლახან არ იყო, ჩემს

კაბინეტში შემოსულს რომ ვეხვეწებოდი, შენთან მინდა, მიყვარხარ-მეთქი? ნიტას რომ შევხვდი, არ განვიცდიდი სინდისის ქენჯნას? მაშინ ხომ სხვა აზრზე ვიყავი? ახლა ჩემში სხვა სოფიო გაიღვიდა, რომელმაც სხვანაირად შეხედა მოვლენებს. ასეა, ღირებულებების გადაფასება მოხდა.

ხუთი საათი ხდებოდა, წამლების აღწერას რომ მოვრჩი, საქმე ბოლომდე მოვამთავრე. ხვალ ერთი ოპერაციაა დაგეგმილი, ეს ისტორიაც შევავსე. თანაც, ხვალ ნათიას მატორიად უნდა ვიმორიგეო. ოპერაცია გელამ უნდა გააკეთოს. რა კარგია, ეს ერთგვარი შვებაა ჩემთვის. ოღონდ მაგ ორთან არ მომიწიოს მუშაობამ ცოტა ხანს და ყველაფერზე თანახმა ვარ. ის იყო, თავი მოვიწესრიგე და წამოსვლას ვაპირებდი, რომ ოთახის კარი ფართოდ გაიღო და შეშლილი სახით სანდრო გამომჩნდა. მის დანახვაზე შევკრთი, სინითლემ გადამირბინა ლანვებზე. მართალი გითხრათ, არ ველოდი, ძალიან დავიბენი.



— არ წახვიდე, საქმე მაქვს შენთან, — ცივად თქვა.

მექანიკურად ჩამოვჯექი იქვე მდგარ სკამზე, ხელები ამიკანკალდა.

— რა გინდა? — ჩემს ხმას ვერ ვცნობდი.

— რალაც უნდა გკითხო, — ყრუდ წარმოთქვა და ჩემ პირდაპირ, სავარძელში ფეხმორთხმით ჩაჯდა.

— გისმენ, ბევრი დრო არ მაქვს, — რაც შეიძლებოდა, ოფიციალური დავიჭირე.

— როგორ თქვი ჩემზე? — თავი გვერდზე გადახარა და გამჭოლი მზერა მესროლოდა.

თვალი გავუსწორე. ამას სიტყვით ხომ არა აქვს, რა დავისზმრა ნეტავ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

— არ მესმის, რისი თქმა გინდა, — აუწიე ხმას.

— როგორ თქვი-მეთქი, ჩემზე, გაიმეორე, შენგან მინდა მოვისმინო.

— როგორ ვთქვი და ვისთან, იქნებ დააზუსტო? — შევეზურუნე კითხვა.

— ჯერ ის მითხარი, როგორ ხარ? — გადასარევეად.

— რალაც არ გეტყობა.

— მაშინ, რალას მეკითხები?

— შენც მართალი ხარ. ჰო, რაო, რას ვამბობდი?

— არ ვიცი, შენ წამოიწყე ლაპარაკი და შენგან უნდა გავიგო, ამისთანა რა ვთქვი.

— სანდროს როცა მინდა, მაშინ დავაჩოქებ და ოჯახს დავანგრევიებო, შენ არ თქვი?

— მართლა? საინტერესოა, ვისთან წამომცდა ამისთანა უმსგავსობა? — დამცინავად გავიღიმე.

— ნანკასთან.

იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის ნანკას სახელის ხსენება, თვალები გამიფარტოვდა.

— ვის-თან? — ჩავეკითხე, ხომ არ მომესმა-მეთქი.

— ნანკას-თან! — დამარცვლით გაიმეორა.

სიმწრის სიცილი ამიტყდა.

— როდის ერთხელ მნახე მაგ ქალთან მოლაპარაკე, ან რა საერთო მაქვს, რომელი ჩემი მეგობარი ნანკაა, ხომ ვერ მეტყვი? — ამრეზით გადავხედე სავარძელში გაშლართულს.

— რისთვის მოუყევი ჩვენი ამბავი, რა საჭირო იყო? ყველას სალაპარაკო გინდა გამხადო? რატომ გინდა, რომ ყველას ეგონოს, თითქოს უკან დაგდევ?

— მე არაფერი მინდა შენგან, სრულიად არაფერი, ეს დაიმახსოვრე. ერთხელ უკვე გითხარი, სამუდამოდ ამოგშალე ჩემი მესიერებიდან-მეთქი. თუ ვინმე რამეს მიგონებს, ეგ მისი პრობლემაა და არა ჩემი, — ფეხზე წამოვდექი წამოჭარბებული.

— გიგონებს? რატომ გგონია, რომ გიგონებს? თუ არა შენ, მაშინ ვისგან იცის, რა ხდებოდა ხომ ვერ მეტყვი?

— და რა ხდებოდა, ხომ ვერ მეტყვი? თუ არ ვცდები, არაფერიც არ ხდებოდა, ამიტომ, მოსაყოლიც არაფერია. ეგ ბრალდებები შენს ტოლებს წაუყენე, რა! ახლა კი, კეთილი ინებე და გადი აქედან, შენთან მეტი სალაპარაკო არაფერი მაქვს, — დავაკვეცე თვალები.

— გინდა, ნანკას დავუძახო? — წამოიწია და წელში გასწორდა, თან ხელი ტელეფონისკენ გასწია.

— დაუძახე, თუ ძალიან გინდა, მე არავისი მეშინია.

— სხვა გზა არა მაქვს, უნდა დაგაპირისპიროთ.

— მიდი, მოიყვანე, ვნახოთ ერთი, რას იტყვის.

სანდრომ საორდინატოროს შიდა ნომერი აკრიბა, თან თვალი არ მოუცილებია ჩემთვის.

— სოფიოსთან ვარ, ერთი წუთით შემოდი, — მშვიდად უთხრა.

თავს ვერ ვიკავებდი, ცოტაც და ტირილი წამსკდებოდა. ნერვების მოთოკვას მაქსიმალურად ვცდილობდი.

ნანკა ისეთი მედიდური სახით შემოვიდა, ისეთი ნიშნის მოგებით გადმომხედდა, თითქოს უდიდესი სამხილი ჰქონდა ჩემ წინააღმდეგ.

— უჩემოდ ვერ მორიგდით?

— ირონიულად თქვა და იმ სავარძლის სახელურზე ჩამოსკუპდა, რომელშიც სანდრო იჯდა.

— არ მიტყვამსო, მიმტყცივებს. რომელია თქვენ შორის მართალი? — სანდრო ხან მე გადმომხედავდა, ხან — ნანკას.

— აბა, ხომ არ გეტყვის, მე ვთქვიო? შენ რა გგონია, დამესიზმრა? — ფეხი ფეხზე გადაიდო ნანკამ და ვინრო კაბა მუხლს ზემოთ აუხტა.

— როდის გნახე მე შენ სალ-აპარაკოდ, იქნებ გაიხსენო?

— შენ რა, აღარ გახსოვს? — ნარბები გამომწვევად აზიდა.

— არათუ შენთან საუბარი, შენი არსებობაც კი მავინწყდება ხანდახან, — ვალში არ დავრჩი თანამშრომელს და თავხედურად ახედე.

— მაპატიე, საერთოდ არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ სიტუაციამ მოიტანა. მე დიდი ხანია, სანდროს ვიცნობ და არ მინდა, ვილაცის გამო ოჯახი დაენგრეს. ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, საქმის კურსში ჩამეყენებინა.

— რომელი საქმის კურსში, ნანკა? მე შენთან გაცნობის დღიდან თითქმის არ ვკონტაქტობ, საიდან მოგაქვს ეს სისულელები? რატომ მიგონებ ასეთ საზიზღრობებს, რამე დამიშავებია შენთვის ოდესმე? იქნებ ჩასმენები გაქვს და ვერ ხვდები?

— აბა, რა, ეს ყველაფერი დამესიზმრა? მე საიდან უნდა მცოდნოდა თქვენი ურთიერთობის შესახებ, როგორ გგონია? შენ თვითონ არ მითხარი, ვუყვარდი და ჩემზე აბოვდებო? ბოლოს ადგა და ნიტა მოიყვანა ცოლადო? ყველაფერი არ მომიყვებ? რაში მჭირდებოდა რამის მოგონება, მე რა, შენი ჟინი მჭირს? რა გამორჩენა მაქვს აქედან?

— როგორც ჩანს, გაქვს და თანაც — ძალიან სერიოზული. არ ვიცი, საიდან იცი ეს ამბავი, მაგრამ ფაქტია, ცდილობ, ჩემ წინააღმდეგ გამოიყენო. არ მაინტერესებს, რა გაქვს ჩაფიქრებული. ჩემთვის ყველაფერი სულერთია. ღმერთმა ყველა ჩვენი-ჩვენი სიმართლით გვატაროს. რაც გინდა, ის იფიქრე, სანდრო, არ მაღარდებს. მეტსაც გეტყვი, არ მაღარდებს, რას ფიქრობ ჩემზე. შენნაირ არარაობაზე ფიქრით თავს არ დავილლი, ეს იცოდე. არც შენი ოჯახის დანგრევა მჭირდება

და არც შენი სიყვარული. ყოველთვის არაკაცი იყავი და ასეთად დარჩი! აი, ეს არის ჩემი პასუხი. მე წავედი და როცა ერთმანეთში ყველაფერს გაარკვევთ, აგერ არის გასაღები, დაკეტეთ და მერე დაცვასთან დატოვეთ, — დემონსტრაციულად წამოვდექი, გასაღები სანდროსკენ მივაჩოჩე, თავი ამყადა ავნიე და ოთახიდან მტყიცე ნაბიჯებით გამოვედი. ასეთი თავდაჯერებული ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. გამიკვირდა, არ მეგონა, ამდენი თუ შემეძლო. ქუჩაში გამოსულმა ერთი ღრმად



ამოვისუნთქე, საკუთარი თავი შევაქე და მანქანაში კმაყოფილი ჩავჯექი.

ბნის კარამდე მისვლა ვერ მოვასწარი, რომ ტირილი ამიტყდა. გასაღები ძლივს მოვარგე საკეტს, ცრემლებმა თვალები ამიჭრელა. ოთახში შესვლისთანავე ბოლომდე მოვეშვი, იატაკზე ჩავიკეცე და ღრიალი მოვრთე. რატომ, რატომ, რატომ! რატომ მომიბრუნდა ყველაფერი ასე? რას მერჩიან, რა უნდათ ჩემგან, ვისთვის რა დამიშავებია? ვერც ერთ კითხვაზე პასუხს ვერ ვცემდი. რაში დასჭირდა ნანკას ამისთანა რაღაც? ნუთუ შურს ჩემი? რა სჭირს სამაგისო? რითია ჩემზე ნაკლები? არც ტანი აკლია, არც ფეხი და არც პროფესია აქვს ჩემზე უარესი. რატომ უნდა შურდეს? ან საიდან გაიგო ჩვენი ამბავი? ვინ უთხრა? მე ხომ არავისთვის მომიყოლია! ბექასგან? არც ბექამ იცის თავიდან ბოლომდე ყველაფერი, ვის შეეძლო ეთქვა? იქნებ ნიტამ გადაუშალა გული? ნიტა! — ამის გაფიქრებზე უცებ შევწყვიტე ტირილი. ჰო, რა თქმა უნდა, ეგ როგორ არ მომავიქრდა. ალბათ ნიტასგან გაიგო, ალბათ მეგობრობს მასთან. რატომ მაშინვე არ ვიფიქრე? ხომ არ დავურევო სანდროს? არა, სოფი, არავითარ შემთხვევაში. შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, რა აზრი შეექმნება შენზე სანდროს? არავითარი. ამიტომ, არ ღირს თავის მართლება. მოვა დრო და თავისით გაირკვევა ყველაფერი. ერთ მშვენიერ დღეს, ნანკას

შურიც სადღაც გაქრება. ისიც ინანებს ალბათ. ეჰ... მოვა დრო და მოშურნეები გაქრებთან, მაგრამ შური? ის ხომ ყოველთვის იარსებებს. რას ვიზამ, ყოველთვის ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება. ეს ცხოვრების კანონია, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში როგორ უნდა ვიარო სამსახურში? როგორ უნდა ვიმუშაო მათ გვერდით? როცა ერთ თანამშრომელს არ ეპიტყავენ, არც ის არის იოლი ასატანი და მით უმეტეს, როცა ასეთი ორი და სამია, რამ უნდა გაგაძლებინოს კოლექტივიში? ის დროა, დავხვიო და წამოვიდე კლინიკიდან, ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი.

ვერ გეტყვი, რამდენი ხანი გავიდა. ტირილისგან დავოსდი, თვალები შემიშუპდა. ცივ წყალს შევუშვირე სახე. რას ვგავარ, ცირკის მასხარას დავემსგავსე, განითლებული ცხვირითა და დასივებული ტუჩებით. რა გაათენებს კიდევ ერთ ღამეს, რა მეშველება! — ვოსრავდი ჩემთვის. თუმცა არაფერს ვნანობდი იმის გარდა, რომ ბექას ვკარგავდი. ჩემთვის ყველაზე ღირებული ამწუთას ის იყო, მისი სიყვარული. არც კი ისურვა, ჩემი უარის მიზეზი გაერკვია. რატომ, რატომ? ხომ შეიძლებოდა, ერთი სიტყვით მაინც ეკითხა, რატომ ვუთხარი უარი პაემანზე? ჰო, მაგრამ, რომ ეკითხა, რა პასუხი უნდა გამეცა? რა უნდა მეთქვა? სანდრომ ჩემზე ძალა იხმარა და ის სოფი აღარ ვარ-მეთქი? განა, ასე არ სჯობია? არ ვიცი, არ ვიცი, თავადაც არ ვიცი, რა ჯობია...

შუალამე გადასული იყო, ტელეფონმა რომ დარეკა. შიშისგან შევხტი, ახლა ზარს ნამდვილად არ ველოდი. რატომ-ღაც, ვიფიქრე, ბექა იქნებოდა და სუნთქვაშერული ვეცი აპარატს.

— გისმენთ, — სულმოუთქმელად ჩავმახე ყურმილიში.

— მე ვარ, — გაისმა სანდროს დახშული ხმა. მივხვდი, რომ მთვრალი იყო. თითქოს რაღაც ჩამარტყეს თავში, თვალთ დამიბნელდა.

— ხომ არ გაგაღვიძე? — რატომღაც, დამთბარი მელაპარაკებოდა.

— არა, — ცივად ვუპასუხე.

— მინდა, დღევანდელისთვის ბოდიში მოგიხადო, შენი ბრალი არ ყოფილა...

— ვიცი...

— რა იცი?

— ის, რომ მე არაფერი მილაპარაკია, დანარჩენი კი უბრალოდ, არ მაინტერესებს.

— ნიტას ბრალია ყველაფერი, ადვილად რომ ენდობა ადამიანებს, იმის ბრალია. ნანკამ მისგან გაიგო ჩვენი ამბავი.

— ძალიან გთხოვ, აღარასოდეს გაიმეორო ეგ ფრაზა.

— რომელი ფრაზა?  
 — „ჩვენი ამბავი“.  
 — რატომ?  
 — იცი, რატომაც.  
 — მე ახლა შენთან მოვალ.  
 — არა! — განწირული ხმით ვიკვილე. — არ გაბედო, თორემ პატრულს გამოვუძახებ.  
 — ვახ! პატრული რა შუაშია, არ მეტყვი?  
 — არ დაგინახო აქ მოსული!  
 — უნდა გელაპარაკო.  
 — არა-მეთქი, მორჩა და დამთავრდა! დაივინე ჩემი არსებობა, შენს ოჯახს მიხედ!  
 — არ შემიძლია, ახლა უკვე არ შემიძლია.  
 — მომისმინე, სანდრო... ძალიან გთხოვ, ადამიანურად, მეგობრულად, რა ვიცი, ყველანიჩრად, დამანებე თავი, შემეშვი. რა გინდა ჩემგან, რატომ არ მანებებ თავს?  
 — მინდა, რომ ისევ გიყვარდე, სხვა არაფერი.  
 — ეს გამორიცხულია, ჩემგან სიყვარულს ვერ ეღირსები. მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, საბოლოოდ მოკვდა, დასამარდა.  
 — პირიქით, სოფიო, ყველაფერი ახლა იწყება. მე დავტოვე ცოლ-შვილს, ფეხებზე მკიდაი ყველა ჩემ გარშემო, შენ გარდა. ნანკას დედასაც... ის ახვარი ქალია, ბოლმა, ბოროტი, შურიანი. მიხვდა, რომ ვგიჟდებოდი შენზე, ამიტომაც მოინდომა ჩვენი წაჩხუბება, მაგრამ არ გამოუვიდა. პირობას გაძლევ, არც გამოუვა. არც მას და არც სხვას, არავის არ გამოუვა. ნიტასაც მოხვდა თავისი მიაშიტობის გულისთვის. წელან ისე დავალილავე, კარგა ხანს ვერ დაემსგავსება ადამიანს. მივაფურთხე ყველაფერს და წამოვედი. ახლა შენთან მოვალ და ერთად გავარჩიოთ, რა იქნება ხვალ.  
 — არა, არა! არავითარ შემთხვევაში! მეზიზღები, მძულხარ, დასანახავად ვერ გიტან, მინდა, ეს იცოდე, მინდა, შეიგნო ეს, ერთხელ და სამუდამოდ!  
 — დიდი სიძულვილი დიდმა სიყვარულმა იცის, ჩემო სოფიო. მოდი, ასე შორიდან ლაპარაკით არაფერი გამოვა. მოვალ და მერე ვილაპარაკოთ, შენთან.  
 — არ დაგინახო ჩემ სიახლოვეს, ერთ მეტრზეც არ გამეკარო, იცოდე!  
 — მარტო ხარ?  
 — ეგ შენი საქმე არ არის.  
 — ისიც შენთან ხომ არ არის?  
 — შენ არავინ გეკითხება.  
 — თუმცა, რას გეკითხები, წელან არ დავურევე? ვიცი, რომ სახლშია. საინტერესოა, ერთად რატომ არ ხართ? ვერ გაბედე, არა? კარგადაც მოიქეცი. აბა, ხომ არ ეტყობი, როგორი სექსუალური ღამე გქონდა ჩემთან, ამას არ გაპატიებდა.  
 — პირუტყვი ხარ, მხეცი, ნადირი... როგორ მძულხარ, რომ იცოდე.  
 — მართლა მეუბნები მაგას? მართლა მეუბნები?

— მართლა, მართლა! ასე არასდროს არავინ შემზიზღებია. პირველად ახლა მივხვდი, რაც ყოფილა სიძულვილი.  
 — მაშინ, იცი, რას ვიზამ? იმას მოვუყვები ყველაფერს, თანაც ისე კი არა, როგორც იყო, როგორც უნდა ყოფილიყო სინამდვილეში, ისე. თუ ჩემი არ გახდები, ვერც მისი იქნები. ახლა ავდგები და ბექას მივადგები სახლში, ყველაფერს „გაფუიასნებ“. მე ცუდი კაცი ვარ, დაიმახსოვრე.  
 — ფეხებზე მკიდაი, რას გააკეთებ. ჩემთვის არც ერთი აღარ არსებობს, ჯანდაბამდე გზა გქონიათ ორივეს! — მთელი ხმით ვიყვირე და ყურმილი ბერკეტზე დავახეთქე...  
 სამასაშურში ვერავინ მცნობდა. არც მავიადი გამიკვებია, არც თვალზე შემიღებავს, საშინლად გამოვიყურებოდი.  
 — სოფიო, რა გჭირს? — ვაჟა შემოიჭრა ოთახში. — ხომ მშვიდობაა შენს თავს?  
 — ჰო, რა... — ნაღვლიანად გავუღიმე.  
 — მე შენ ასეთი არ მომწონხარ, ასეთ სოფიოს არ ვიცნობ. მეორედ არ გნახო ამ ფორმაში, გასაგებია? — ხუმრობით თითი დამიქინა.  
 — რა ხდება საოპერაციოში, ემზადებიან?  
 — ჰო, გელა ძალიან ნერვიულობს.  
 — რა აქვს სანერვიულო, არც ისე რთული ოპერაცია უნდა იყოს, როგორც მე ვიცი.  
 — არა, კაცო, სხვა რამეზე ნერვიულობს. შენ რა, არ იცი? — ეშმაკურად მოჭუტა თვალები.  
 — რა უნდა ვიცოდე?  
 — გელა ცოლს ირ-თაა-ვსოოო! — ხელით თეატრალური ჟესტი მოხაზა ვაჟამ ჰაერში.  
 — მართლა? გამიხარდა.  
 — და იცი, ვინ უნდა „გაბედნიეროს“?  
 — არ ვიცი, ვინ?  
 — ვინ და ჩვენი ნათი-ნათი ნათიაა...  
 — ნაიმედი ვაჟამ.  
 — კარგია, ერთი ლამაზი ამბავი მაინც რომ ხდება ირგვლივ, — ისეთ ცუდ ხასიათზე ვიყავი, სიხარულის გამოხატვაც არ შემიძლო.  
 — ჰოდა, გამოცოცხლდი ცოტა, ასე არ შეიძლება, — ვაჟამ თვალი ჩამიკრა და გავიდა.  
 ოპერაცია დიდხანს არ გაგრძელებულა, თან იმდენად მსუბუქი შემთხვევა იყო, პაციენტი პირდაპირ პალატაში გადაიყვანეს.  
 ბექა იმ დღეს სამსახურში არ მოსულა. ვერც ვერავის ვეკითხებოდი, რა სჭირდა, არც არავინ არაფერს ამბობდა. ცნობისმოყვარეობით დავიტანჯე. შუადღე ისე გადავიდა, ვერაფერი გავიგე. იქნებ მართლა ნახა წუხელ სანდრომ და ყველაფერი ჩაუკაკლა? იქნებ განიცდის და იმიტომაც არ მოვიდა? წარმომიდგენია, რამხელა დარტყმა იქნებოდა მისთვის. თუმცა არც ნანკასთვის მომიკრავს თვალი, დავიჯერო, ერთად არიან? სამაგიეროდ,

სანდრო მიტრიალებდა გარშემო. აშკარად ეტყობოდა, რალაცის თქმა უნდოდა და ვერ გაებედა. ზედაც არ შემიხედავს, ისე ვიქცეოდი, თითქოს ვერ ვამჩნევდი მის არსებობას. საღამოს, როგორც ჩანს, ვერ მოითმინა და კაბინეტის კარი მორიდებით შემოაღო.  
 — შეიძლება?  
 პასუხი არ გავეცი.  
 — მინდა, ბოდიში მოგიხადო, ვიცი, რომ ცუდად მოვიქეცი.  
 არც ახლა ვუბასუხე.  
 — არ მინდა, ცუდი წარმოდგენის იყო ჩემზე. დაივინე, გუშინ რაც გითხარი. ეგეთი ბოლმაც არა ვარ, — ისეთი მოთვინიერებული ჩანდა, გამიკვირდა, ასე რამ გარდაქმნა ერთ ღამეში-მეთქი.  
 — არ მაინტერესებს, რას იზამ და არც შენი ბოდიში მჭირდება ყოველდღე...  
 — იცი, რა? ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, ასეთი ურთიერთობა ხომ არ გეკენება. გარდა ამისა, ერთმანეთთან წლების მანძილზე, ბევრი რამ გვაკავშირებს.  
 — არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი, დამანებე თავი, — ტონს არ ვიცვლიდი.  
 — კარგი, როგორც ჩანს, აჯობებს, სხვა დროისთვის გადავდოთ ჩვენი საუბარი, — ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და გავიდა.  
 ერთხანს თვალგამტერებული ვიჯექი, ერთდროულად ყველაფერზე ვფიქრობდი. წინა დღეებში მომხდარ ამბებს გონებაში ვაანალიზებდი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ვცდილობდი. ამ დროს, დერეფანში ხმაური შემომესმა. მივაყურადე, სიცილის ხმები აღწევდა ჩემს ყურამდე. კარი გამოვალე და გავიხედე... ბექა და ნანკა ხელიხელგადახვეულები მიაბიჯებდნენ დერეფანში და რალაცაზე გულიანად ხარხარებდნენ...  
 გულში მოულოდნელი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს კიდევ ერთხელ მატაკეს დანა. მარცხენა მხარე მთლიანად ამენვა. თითქოს სწორედ ამ სცენის დანახვას ველოდი, უცებ მივიღე გადაწყვეტილება, კარი გამოვხურე და გეზი მთავარი ექიმის კაბინეტისკენ ავიღე. სახეზე ალმური ამდიოდა, თავი მიხურდა. ფრთხილად შევალე კაბინეტის კარი და თავი შევყავი.  
 — ბატონო მიხეილ, გცალიათ? — მოკრძალებით ვკითხე.  
 — მოდი, სოფიო, მოდი, გენაცვალე, — ფეხზე წამომიდგა მთავარი ექიმი, — რამ შეგანახა?  
 — იცით... პრობლემები შემექმნა, ერთ კვირაში უნდა გავემგზავრო ჩემებთან, მოსკოვში. სამსახურის მიტოვება მომიწყვეს, ამის სათქმელად მოვედი...  
 — რას ამბობ, კაცო, რა დროს წასვლაა? მერე, ჩვენ რას გვიპირებ?  
 — თუ თქვენ სხვა კანდიდატურა არ გყავთ, მე ვეცდები, შემცვლელი ვიპოვო, — ვთქვი და ვიგრძენი, ნიკაპი როგორ ამიკანკალდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გონების სასარჩილო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფრო „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვტიცისაჲ არ გაბაჲსეთ თვალი.

1. ვინ იყო თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი?
2. რა თანამდებობა ეკავა თბილისის ახალგაზსნილ უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილს?
3. ქრისტეს რჯულის ქადაგებისათვის, რომელმაც პეტრე მოციქული შეიპყრეს და ჯვარზე გაკვრა მიუსაჯეს. პეტრემ თავი ღირსად არ ჩათვალა, ისევე მომკვდარიყო, როგორც მაცხოვარი. რა სთხოვა მან ჯალათებს და როგორ დასაჯეს იგი?
4. ვის საფლავს ამშვენებს ეპიტაფია: „ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს მას მოკვდავად მაშინ, როცა დრო, ბუნება და ზეცა მის უკვდავებას ადასტურებენ“?
5. დასახელეთ ქართული კომედია, რომლის გადაღებისას ყოველი დილა რეჟისორის თანაშემწის ყვირილით იწყებოდა: „სადა ხართ?! დროა!.. ვინყვებთ!.. ჩაიცვით!.. ეროსი, ჩაიცვი! რამაზ, ჩაიცვი!.. გივი, გაიხადე!..“.
6. რომელ ქალაქში გაიხსნა მსოფლიოში პირველი მეტროპოლიტენი?
7. დასახელეთ მომღერალი, რომლის ერთ-ერთი კონცერტის დროს სცენაზე ღამურა დაეცა. მომღერალს იგი პლასტმასის ეგონა, ხელში აიყვანა და აკოცა. ღამურამ ენაზე უკბინა. გამწარებულმა მომღერალმა მას თავი მოაკვნიტა.
8. იმერეთის მეფემ სოლომონმა რაჭის ერისთავი როსტომი მოტყუებით ჩაიყვანა ქუთაისში და თვალელები დასთხარა. როსტომ ერისთავის დასჯაში იმ ადამიანის წინაპარიც მონაწილეობდა, რომლის პორტრეტიც დღეს ქართული ფულის ერთ-ერთ კუბიურაზეა გამოსახული. დასახელეთ იგი.
9. რომელ წელს გაიხსნა თბილისში მეტროპოლიტენი?
10. რა მიზნით იმართებოდა აცტეკებსა და სხვა ინდიელებს შორის უიარალო ომები?
11. ეს გამოჩენილი მხედართმთავარი 9 წლის იყო, როდესაც იგი საკუთარმა მამამ ტაძარში მიიყვანა, საღმრთო ცეცხლზე ხელი გააჩერებინა და დააფიცა, რომ მთელი თავისი ცხოვრება რომაელთა დაუძინებელი მტერი იქნებოდა. დასახელეთ იგი.
12. რა ფსევდონიმით წერდა ნაპოლეონის არმიის ოფიცერი ანრი ბელიი?
13. 1931 წელს მორის რაფელმა საფორტეპიანო კონცერტი მარცხენა ხელისთვის სპეციალურად, ავსტრიელი პიანისტის, პეტერ ვიტგენშტაინისთვის დაწერა. რატომ?
14. ერთმა ამერიკელმა გამომგონებელმა ხელისუფლებას შესთავაზა, გამოეშვათ ოდნავ მოღუნული ხურდა ფული. რა მოტივით?
15. რას ეძახდნენ არაბი ბედუინები ღვთის ლაშქარს?

# ანკლოცუბი

\*\*\*

სვანი თავში ლურსმანს იჭედებს.  
— რას შვრები, კაცო?! —

\*\*\*

სვანს საკუთარ ხვრინვაზე გაღვიძა და დასაძინებლად, მეორე ოთახში გავიდა.



\*\*\*

სასამართლოში მანქანის გატაცების საქმე ირჩევა. მოსამართლე ეკითხება დაზარალებულს:  
— რაიმე შეკითხვა ხომ არ გაქვთ ბრალდებულის ადვოკატთან?  
— არა, ბატონო, მან ისე დამაჯერებლად ილაპარაკა, რომ ახლა იმაშიც არა ვარ დარწმუნებული, საერთოდ თუ მყავდა მანქანა.

უკვირს მეზობელს.  
— პარიკმახერმა ამას წინათ ცუდად გამკრიჭა და სამაგიერო უნდა გადაუხადო, საპარსი მანქანა უნდა გავუფუჭო!

\*\*\*

— რა არის, შვილო, ორი ორიანი რომ გინერია დღიურში?  
— სხვა გაკვეთილები გაგვიცდა, მამიკო.

\*\*\*

მიხო და მიტო ჯარში წაიყვანეს. მოხვდნენ სადესანტო-საპარაშუტო ნაწილში. გადმოახტუნეს პირველად თვითმფრინავიდან. მოფრინავენ ერთად. მიხო ეუბნება მიტოს:  
— მიტო, ვაშლი გინდა?  
— ჰო!  
— აჰა!  
ცოტა ხნის შემდეგ — ისევ:  
— მიტო, ვაშლი გინდა?  
— ჰო!  
— აჰა!

\*\*\*

კახელი, ცოლთან ერთად, ველურებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და გარშემოცმკვავინ.  
— გაუპატიურება არ აგვცდება, — თქვა ცოლმა.  
— არა, შეგვჭამენ.  
— სულ საჭმელზე როგორ უნდა ფიქრობდე, შე უბედურო?!  
— ბოჩოლა, ჩემო ბოჩოლა... — ენას უჩლექს ცოლს ქმარი.  
— ბოჩოლას რატომ მეძახი?  
— რა ვიცი, ვიფიქრე, — ძროხა არ ეწყინოს-მეთქი.


\*\*\*

— გავიგე, ცოლი შეგირთავს, — მიმართავს კაცს ძმაკაცი.  
— ჰო, შევირთე.  
— რა ძალა გადგა?  
— აღარ მომწონდა ყოველდღე რესტორანში სიარული.  
— ახლა?  
— ახლა მომწონს!



\*\*\*

რაჟდენა იღვიძებს „პახმელიაზე“, სარკის წინ დგება და ათვალიერებს საკუთარ მოტველებილ თავს, უზარმაზარ ღიძს, გასივებულ თავ-პირს და სანოლისკენ იყურება, სადაც ძალიან მაგარი ქალი წევს:



— დედა, რაფრა ჰყვარებია ფული!...

\*\*\*

სვანი შედის მალაზიაში:

— 15-ლარიანი მონობარათი თუ გაქვთ?

— კი.  
— რა ღირს?

\*\*\*

— ხუთი წელი კაცეჭამებთან გავატარე! — უყვება სტუმარი რაჭველს.

— რას მეუბნები, კაცო!.. აბა, შენ ხორცი მოყირჭებული გექნება და ლობიო ქე მაქ ბლომად.

\*\*\*

სვანი კამიკაძე „გამოცდილების ორდენით“ დააჯილდოეს.

\*\*\*

— ცხირ-პირი ვინ გაგილამაზა?

— ჩემმა ენამ.

— ეგ როგორ?

— ბალში ვიჯექი ჩემთვის. ვხედავ, ვიდაც ქალი ძალღს მოასეირნებს... ვეკითხები, — ეგეც ძუკნაა-მეთქი? მეტი არაფერი მახსოვს...

\*\*\*

სიმონიკა მოსამართლის კითხვებს პასუხობს.

— ქორწინებაში თუ იმყოფებით?

— დიას.

— ვისთან?

— ქალთან.

— მორჩით ლაზღანდარობას! ეგ ისედაც ცხადია!...

— მაგას ნუ იტყვით, პატივცემულ მოსამართლევ. ჩემი და, მაგალითად, კაცთანაა ქორწინებაში...

\*\*\*

გაფრთხილება: ტურისტების საყურადღებოდ! ვინც ტყეში აპირებს ექსკურსიაზე წასვლას, თან იქონიეთ პატარა ზანზალაკი, რადგან მისი წვარუნი აფრთხობს ყველა ჯიშის დათვის, გარდა გრიზლისა. იმ ტერიტორიების ცნობა, სადაც გრიზლი ბინადრობს, შესაძლებელია ამ დათვის ფუნით, რომელშიც ყოველთვის მოჩანს პატარა ზანზალაკი.

\*\*\*

— კაპიტანო, რატომ ხართ ცუდ ხასიათზე?

— ლატარიაში პირველი პრიზი მოვიგე.

— მერე, რა არის მაგაში ცუდი?

— მეორე და მესამე პრიზი ფულადი იყო, პირველი პრიზი კი — ჩვენს გემზე კრუიზი...

\*\*\*

— ექიმო, როგორ არის ჩემი სიდდედრი?

— გამოჯანმრთელების გზაზეა, მაგრამ იმედი არ უნდა დაკარგოთ...

\*\*\*

„ნარკუშა“ დგას და ფიქრობს: დედას უნდა დაფურეკო და ვუთხრა, სად ვარ.

— ალო, დედა, სად ვარ?

# გონაგონ სპეკტიკლი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის


## (პასუხები)

1. პეტრე მელიქიშვილი.
2. ახალგაზსნო უნივერსიტეტში თავდაპირველად, ერთადერთი — სობრძის-მეტყველების ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. ივანე ჯავახიშვილი ამ ფაკულტეტის დეკანი გახლდათ.
3. პეტრე მოციქული ჯვალათებმა, მისივე თხოვნით, ჯვარზე თავდაყირა მიალოურსმეს.
4. ისააკ ნუტონის საფლავს.
5. „ლონდრე“.
6. ლონდონში (1863 წელს).
7. ოზი ოზბორნი.
8. პაპუნა წერეთელი (მისი შთამომავალი, აკაკი წერეთელი ათლარიან კუპურაზეა გამოსახული.)
9. 1966 წელს.
10. სისხლის მოყვარული ღმერთებისათვის შესანიშნავად, აცტეკებს წლის განმავლობაში აუარებული მონა და სამხედრო ტყვე ესაჭიროებოდათ. უფარალო ომების დროს მეომრები ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ, ლლიდნენ, ქანცავდნენ, რათა არაქათგამოცლილი მონინააღმდეგე შეეზოქათ, ხელფესუკრული წაეყვანათ და თავიანთი ღმერთებისათვის შეენიერთ.
11. ჰანიბალი.
12. სტენდალი.
13. ავსტრეელმა პიანისტმა პეტერ ვიტგენშტაინმა მარჯვენა ხელი პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტზე დაკარგა.
14. მისი თქმით, ეს მომხმარებელს საშუალებას მისცემდა, ადვილად აეკრობა მონეტები სწორი ზედაპირიდან.
15. კალიათა გუნდებს (აღტაცებული ჟივილ-ნივილით ეგებებოდნენ, იჭერდნენ და საკვებად იყენებდნენ — ხარშავდნენ, სრაკავდნენ, ამწნობდნენ.)

# ჩვენი უროსო მადანაა


## ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსნებთ, რომ ნამუ შევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com), „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



# თუ მამაკაცი ბებრიტიკებით...

არსებობენ ისეთი ტიპის მამაკაცები, რომლებსაც ქალებისთვის, გარეგნობასთან დაკავშირებული შენიშვნების მიცემა გამორჩეულად უყვართ. თანაც დელიკატურად, ჩუმად ჯი არ უებნებიან, ყველას გასაგონად უცხადებენ: „ეს ჯაბა საშინლად არ გიხდება“; ან – „ეს მარვალდი სად გამოძებნე?!“.. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შენიშვნების ავტორი შეიძლება არა მხოლოდ თქვენი მეუღლე ან მეგობარი, არამედ კოლეგა (მით უარესი, თუ ის თქვენი შეფია), მეგობრის ქმარი ან ახალი ნაცნობიც ჯი იყოს. ამიტომ ხშირად იბნევით და არ იცით, თავხედი თავის ადგილას როგორ „მოსვათ“ ისე, რომ მასთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. ფაქტობრივად, საყვარელ მამაკაცს თეორიულად უფლება აქვს, თქვენი გარეგნობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, მაგრამ შენიშვნა-რეკომენდაციები უსათუოდ აკურატულად უნდა მოგცეთ. მუდმივი კრიტიკის შემთხვევაში ჯი ისლა დაგრჩენიათ, ან საბოლოოდ შეეგოთ მის ახირებას, ან საწინააღმდეგო მოქმედების სტრატეგია შეიმუშაოთ.



## როგორ უნდა მოიქნეთ?

ალბათ, პირველი, რაც თავში მოგივთ, მასთან კავშირის განწყვეტაა. მაგრამ თუ ეს შარიანი მამაკაცი თქვენთვის ძვირფასია, მაშინ შეეცადეთ, ხელახლა აღზარდოთ. თუმცაღა, ეს ძალიან რთულია. ყველასთვის ცნობილია, რომ ზრდასრული ადამიანი იშვიათად იცვლება. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგებმა თქვენზე იზრუნეს და შეიმუშავეს რჩევათა კრებული, რომელიც შარიან მამაკაცებთან საბრძოლველად და მათზე გასამარჯვებლად გამიზნული.

## წყნია მამაკარი

მას არ მოსწონს არც ერთი თქვენი ნივთი. შეწუხებული ამტკიცებს,

რომ ატროფირებული გემოვნება გაქვთ და კაბისა და პომადის დამოუკიდებლად შეძენა არ შეგიძლიათ. გარდა ამისა, თქვენი ფიგურის, სახის ნაკვთების, თმის, ფრჩხილებისა და ხმის მიმართაც კი პრეტენზია უჩნდება.

## როგორ აიხსენა მისი ასეთი ქნევა?

თუ ის მაშინაც ასეთი იყო, როცა გაიცანით, მაშასადამე, დაბადებიდან ბუზღუნა ყოფილა. აიტანთ თუ ვერა, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ გახსოვდეთ: ამ სტადიაზე „ავადმყოფობა“ მკურნალობას უკვე აღარ ემორჩილება. თუ ის უკმაყოფილოა თქვენი შენაძენით, სავარაუდოა, ამის უკან სულ

სხვა გრძნობა იმალებოდეს: შეიძლება მას თქვენ მიერ ფულის უყაირათოდ ხარჯვა აღიზიანებს და ბანალურ სიძუნწეს ასეთი დახელოვნებული ფორმით ნიღბავს.

თუ ის, თქვენს გარეგნულ სტილს მეგობრების, მშობლების, მეზობლების, შემთხვევითი ნაცნობების თანდასწრებით სასაცილოდ იგდებს, მაშასადამე, თქვენთან განშორებაზე დიდი ხანია, ოცნებობს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ძალა არ ჰყოფნის. თქვენი ღირსების მუდმივი შელახვით, ქვეცნობიერად (ან შეგნებულად) იმედოვნებს, რომ ერთხელაც იფეთქებთ და თავმოებურებული მასთან განშორებას გადაწყვეტთ. მაშინ სუფთა სინდისით გაგეცლებათ.

თუ გულწრფელად ცდილობს ახალი ფესსაცმელებისა თუ ჩანთების შერჩევაში მონაწილეობას, გარისკეთ და დაეთანხმეთ. გამორიცხული არ არის, მართლა ზრუნავდეს თქვენს გარეგნობაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთები იშვიათად გვხვდებიან.

თუ დაბეჯითებით სურს, დაგარწმუნოთ, რომ სუპერსექსუალური კაბები (რომლებშიც საკუთარი თავი ძალიან მოგწონთ) არ უნდა ჩაიცვათ, მაშასადამე, ფარულად ეჭვიანობს და ყველა მისი შენიშვნა თქვენს სიმსუქნესა თუ სიგამხდრეზე — რაც ასეთ კაბებში მკაფიოდ იკვეთება — სინამდვილეში, იმისთვისაა გამიზნული, რომ საკუთარ არასრულფასოვნებაში დაგარწმუნოთ.

თუკი ახალ ვარცხნილობას გინუნებთ, უბრალოდ, არ ესიამოვნა, რომ შეიცვალეთ. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ცვლილება უკეთესობისკენაა, მამაკაცი თავს მოუსვენრად გრძნობს. მას ურჩევნია, ყოველთვის ერთნაირად გამოიყურებოდეთ. თქვენი ერთფეროვნება მისი სიმშვიდის გარანტიაა!

### სამარხეო კექსი

- მასალად საჭიროა:**
- 120 გ თაფლი;
  - 60 გ შაქრის ფხვნილი;
  - 50 გ მარგარინი;
  - 1 ჩ/კ საფუარი;
  - 250 გ ფქვილი;
  - 2 ს/კ ჯავზი;
  - 2 ჩ/კ დარიჩინი;
  - 1 მწიკვი მარილი;
  - 50 გ გარგარის ჩირი;
  - 400 გ მუქი (სამარხეო) შოკოლადი.

**მომზადების წესი:**

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ცომით. მოათავსეთ ცომი ცხიმწანამულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ლუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოილეთ ფორმიდან. შოკოლადი გააღწეთ და კექსს ზემოდან მოასხით.



## თქვენი რეაქცია

გაბრაზება ან მკვახე პასუხის გაცემა უაზრობაა. შესაძლებელია, ის სწორედ ასეთ რეაქციას ელის ჩხუბის წამოსაწყებად. ამიტომ, პირველ რიგში, მოლოდინი უნდა გაუნბილოთ: თავაზიანად გადაუხადეთ მადლობა წვრილმანებისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენის გამო; დაპირდით, რომ ამიერიდან ნებისმიერი ნივთის, სამოსის ან კოსმეტიკის შექმნისას რჩევას აუცილებლად ჰკითხავთ. თქვენი ასეთი რეაქცია მას უსათუოდ გააკვირვებს. მომავალში საყიდლებზე ერთად წადით და შესთავაზეთ, გამოსასვლელი ტანსაცმელი თვითონ ავირჩიოთ. ანგარიშსაც, რა თქმა უნდა, ის გადაიხდის. ეს ვარიანტი შესანიშნავად მოქმედებს ქონებზე — ისინი სასწრაფოდ სხვა თემებზე იწყებენ ლაპარაკს, კრიტიკა ავიწყლებათ და კომპლიმენტებით გაესვენენ.

შეძლებული მამაკაცი ზოგჯერ უკიდურესად მტკივნეულად აღიქვამს ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას. თქვენი ნაგაჭრი მას შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ ის მისი ფულით არ არის შექმნილი. ასეთ დროს ვერაფერს გააწყობთ, გარდა იმისა, რომ ყოველი ამგვარი შენაძინის მერე დაარწმუნოთ ხოლმე — ეს აღარ განმეორდება.

საჯაროდ დაცინვის შემთხვევაში საქმე ჩხუბამდე ან ფარულად ცრემლებების ღვრამდე არ მიიყვანოთ, მაგრამ არც მოუთმინოთ — მკაცრი და შეუვალი ტონით უთხარით: „არ მსურს ამ საკითხის სხვების თანდასწრებით განხილვა. გარდა ამისა, არ გეთანხმები და მოდი, ამაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ“. მთავარია, თავი ღირსეულად გექჩოროთ და მას თქვენი დამცირების უფლება არ მისცეთ.

თქვენი გარეგნობის ან ჩაცმის სტილის აბუჩად აგდებით, ის, სავარაუდოა, სხვა სფეროში თქვენი უპირატესობის კომპენსაციას ახდენდეს. მაგალითად, თუკი თქვენ მასზე გაცილებით ერთდირბული, ნიჭიერი, ამავე დროს, მატერიალურადაც წელში გამართული ხართ; ანდა, მას უფრო ძლიერად უყვარხართ, ვიდრე თქვენ — ის და უკვე აღარ იცის, როგორ მიიპყროს თქვენი ყურადღება. ასეთ შემთხვევაში რაიმე ქმედითის რჩევა ძნელია. თუ მან, ურთიერთობის დასარეგულირებლად, ასეთი გზა შეგნებულად აირჩია, საეჭვოა ამაზე უარი თქვას.

და თუ, ბოლოს და ბოლოს, არაფერი გამოგდით, მაშინ ისლა დაგრჩენიათ, თქვენც იმავეთი უპასუხით.

და მაინც, მამაკაცის მხრიდან გაუთავებელი შენიშვნები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენს ურთიერთობაში სერიოზული ხარვეზებია. ზრდასრული, ნორმალური, შეყვარებული მამაკაცი თავს არასოდეს მისცემს უფლებას, საყვარელი ქალის გარეგნობა გააკრიტიკოს.

## ფეხები რომ არ დაგელალოთ

დასავლელმა სპეციალისტებმა გამოთვალეს და განსაზღვრეს, რომ ადამიანის ფეხებს საშუალოდ დღეში 150000 კმ-ის გარბენა შეუძლია. ამგვარი გამძლეობა მათ ბუნებრივად მიაჩნიათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფეხების ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის არ უნდა ვიზრუნოთ. აი, რას გვირჩევენ სპეციალისტები:

### დილის ანარბიული პარჯიზი

✓ ჩამოჯექით საწოლის კიდეზე, მარჯვენა ფეხისგული მიიტანეთ მარცხენა ფეხისგულთან და 5 წუთის განმავლობაში იზილეთ. შემდეგ იგივე გაიმეორეთ მარცხენა ფეხით. ენერჯის მოზღვაგებას აშკარად და თანაც მაშინვე იგრძნობთ.

✓ დილით სასურველია, მიიღოთ ფეხის კონტრასტული აბაზანა. ის აუმჯობესებს კანის ელასტიკურობას და ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას.

✓ სასურველია, თუ ყოველ დილით 15 წუთით მაინც გაისეირნებთ სუფთა ჰაერზე. დილით სეირნობა ამაგრებს ვენებს, ფეხის კუნთებს, აძლიერებს ამტანობას.

✓ შეეცადეთ უარი თქვათ ლიფტი და ესკალატორით სარგებლობაზე, რადგან კიბეზე ასვლა შესანიშნავი ვარჯიშია ფეხებისთვის.



### ბუნებრივი ბრანიწი დღის განმავლობაში

✓ რამდენჯერმე აინიეთ და დადექით თითის წვერებზე, რადგან ამ დროს მთელი სხეულის სიმძიმე სწორედ ფეხის თითებსა და ქუსლებზე გადადის. შეეცადეთ, ათჯერ მაინც გაიმეოროთ ეს ვარჯიში.

✓ დადექით სწორად, შეეცადეთ, რომ ფეხის თითები რამდენჯერმე ზემოთ ასწიოთ. ამ ვარჯიშის დროს იჭიმება წვივის კუნთები. შემდეგ კი შეეცადეთ, 20 ნაბიჯი მაინც გაიაროთ ფეხის ქუსლებზე.

✓ საღამოს პროგრამა — მასტიმულირებელი აბაზანა.

✓ აიღეთ 3 ჩ/კ მდოგვის ფხვნილი და აურიეთ ცოტა ცივ წყალში. მიღებული მასა ჩაასხით თბილნიან აბაზანაში. ქუსლები მასში 10 წუთით მაინც გააჩერეთ, შემდეგ კი ცივი წყლით დაიბანეთ. ამგვარი აბაზანა არა მარტო დალილობას მოგიხსნით, არამედ მთლიანად სიმსუბუქის შეგრძნებას შეგიქმნით.

### რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა


აირჩიე და შეიქმნე სახლიდან გაუსვლელად  
ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 გზ. ფასი	6 თვე
1. რეტიინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. ზაღისა და ხაზისა	11.65	69.7
4. ზაღისა და ხაზისა	7.00	41.8
5. ზაღისა და ხაზისა	4.00	24.0
6. ზაღისა და ხაზისა	0.80	19.9
7. ზაღისა და ხაზისა		

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრების გაერთიანების სააგენტო  
საქართველო  
საქართველო

ქ. თბილისი  
იონებძის ქ. № 49  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73; 38-26-74.  
ფაქსი: 38-26-74  
E-mail: elva@kivrispalitra.com



# ლიბორის საჯარო ფინანსის აკრძალვა

გორა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15

XI საუკუნეში ახალი „სახადი“ მოიტანა.

„დიდმა თურქობამ“ საქართველო არნახული კატასტროფის წინაშე დააყენა. აზიის ცხელი უდაბნოებიდან გადმოსხმულმა სელჩუკებმა წესად გაიხადეს საქართველოს მუდმივი დალაშქვრა. ყოველ გაზაფხულს, სამხრეთ საზღვრებიდან შემოსული ურდო მთელ საქართველოს მოედებოდა. იგივე მეორედებოდა მომდევნო წელს. ისევ... ისევ... ისევ... და...

პარტახდებოდა ქვეყანა... ინგრეოდა სოფლები, ქალაქები... იწვოდა ტაძრები... ღვთისმსახურს პირდაპირ საკუთრებულში სჭრიდნენ ყელს... იტაცებდნენ ქალებს, ბავშვებს... ჩვილებს მკერდიდან ჰგლეჯდნენ დედებს და ხეზე შემოხეთქებით კლავდნენ...

და უკუნეთ წყვდიადში მოულოდნელად გამოჩნდა სინათლის სხივი. იმედი, რომ საქართველოს მოკავშირე გამოუჩნდებოდა...

ერთმორწმუნე ბიზანტიის ტახტზე ახალი იმპერატორი ნიკიფორე მესამე ბოტანიტიე ავიდა. მან ცოლად შეირთო წინა იმპერატორის, მიხეილ VII დუკას ქვრივი, საქართველოს მეფის — გიორგი II-ის და, დედოფალი მარიაში,

მაგრამ ვაგლახ ქართველის ოცნებას...

ოდეს ყოფილა ის მიღწეული?!

იმპერატორი აღმერთებდა ახალგაზრდა მეუღლეს, აღფრთოვანებული იყო მისი გონიერებითა და მშვენიერებით, მაგრამ პოლიტიკურად

სუსტ და მოხუც იმპერატორსა და სელჩუკების შემოსევის შიშში მყოფ ბიზანტიას არაფრით შეეძლო ქართველი გვირგვინოსნის დახმარება.

მაშინ კი გიორგი II-ემ გადადგა ნაბიჯი, რომელიც მანამდე და მას შემდეგ, არაერთ ქართველ მეფეს გადაუდგამს — საკუთარი ფეხით ეახლა საქართველოს დაუძინებელ მტერსა და დამაქცევარს, თურქთა სულთანს — მალაქ შაჰს.

შაჰმა დიდი ზარ-ზეიმით მიიღო ქართველი გვირგვინოსანი და პირობა მისცა, რომ საქართველოში ლაშქრობებს შეწყვეტდა (შენყნარებულ იქნა მისგან, ვითარცა შვილი საყუარელი), მაგრამ ამის სანაცვლოდ, საქართველოს ყოველწლიურ ხარკის გადახდა დაეკისრა. თუმცა სულთანმა „წყალობაც“ გაიღო: ქართველ გვირგვინოსანს კახეთ-ჰერეთის სამეფოსთვის შემოერთების ნება დართო და დამხმარე თურქული ლაშქარიც მისცა.

და ისევ მოხდა ის, რაც მანამდეც და მას შემდეგ, არაერთხელ მომხდარა — ქართულ-თურქული ლაშქარი, კახეთ-ჰერეთისკენ, საქართველოს „გასაერთიანებლად“ დაიძრა...

ფხოვი ხატობას ზეიმობდა. ოთხ ხევისთავსა და რვა ხევისბერს მასპინძლობდა არდოტის სახელგანთქმული ხევისთავი — ბერდია დაიაური.

გოლიათური აღნაგობით, ომებში სახედაჩებილი და ტანზე ჯაჭვისპერანგით, შავი ქვის ქანდაკებას ჩამოჰგავდა ხევისთავი. თითქოს არცა სუნთქავდა. მოსისხარს გადარჩენილი ცალი თვალით გადასცქეროდა სალოცავისკენ მომავალ ბილიკსა და მასზე გაჭიმულ უსასრულო ჯაჭვს. დროდადრო მხოლოდ მარჯვენათი გაკავებული დროშა ფეთქავდა, თორემ მართლა გაქვავებულაო ხევისთავი, იტყოდნენ ფხოველნი.

მალალი ბორცვიდან კარგად მოჩანდა ქვის გალანით შებორკილი სალოცავის ეზო, ჯიხვის რქით შემკული ბოძები. კედლების გასწვრივ შეკრებილი ფხოველი დიაცები, შეფარვით უჭკრეტდნენ ჯაჭვის პერანგებში ჩაჭედებულ, მუზარადიან და ფარხმალასხმულ ვაჟაკებს.

ხატობა იყო...

ბორგავდნენ ფხოველნი...

მეძღვნი ხუცებთან მიათრევდნენ

შესანიერ თხებს...

ისმებოდა ნაკურთხი ლუდი...

გალავანს მიღმა ქვაბებში იხარებოდა სალოცავს შეწირული — თხა, ცხვარი, ხარი, კურატი...

შულტები (ხატის მსახურნი) პირდაპირ ბალახზე ყრიდნენ მოხპრულ ხორცსა...

ლანგრებით დაჰქონდათ ხინკალი და იაფუხი (თაფლით შეზავებული ნამცხვარი)...

მომქე სამოდ გასაფიცს დაეძებდა...

თასში ითლებოდა ვერცხლი...

და გაისმოდა:

შენი მტერ, ჩემ მტერ იქნები!..

მოსისხლე კი კბილების ღრჭიალით ზომავდა მოსისხლეს... ძველ წყენას იხსენებდა ლუდით შუბლგახურებული და შეფარვით სინჯავდა ხანჯლის ვადას, მაგრამ ამაზედ შორს არ მიდიოდა...

ყველამ იცოდა, არავის შეარჩენდა არდოტის ხევისთავი, ხატობაში დაღვრილ სისხლსა... მისი მოსისხარი შეიქმნებოდა სალოცავში ავიზრახვით მისული...

„ეს იყო უნი,

და მარად იქნების,

ვიდრე ხატის და ხევისა დროშა, დაიაურის ხელთა ეყრობის...“

ფიცს ახალგაზრდებს აოკებდნენ ომში და მტრობაში ნაცადი ფხოველნი...

ოთხი ფხოველი გამოეყო მეძღვნეთ. ძლივს აკავებდნენ ვაჟაკები ქედგანიერ ხარსა.

— ვის ამწყალობებთ, ვოყებო? — ოდნავ შეიძრა დაიაური.

— მამასა ჩვენსა, ქალანდაურსა... განა გესწავლის, ხევისთავო. უნი დალუპულისა, შენის ერთად მოლაშქრისა ზვიადის ქალანდაურის სახელი!.. — დაიბუბუნა ოთხიდან ერთმა.

— ჰაი, ჰაი, რომ არ მესწავლის... კაი ყმა და ჩემ ძმადნაფიც იყო ზვიად, — დროშა შეარხია დაიაურმა და ნამიერი იყო მისი ფიქრიც.

დიდო-ძურძუკთა დაუძინებელი მტერი და ხევის ერთგული ვეშაგ (უღელტეხილის მცველი) იყო ზვიად. პირქუშივით იცავდა მშობლიურ მთასა და ბევრ მოსისხარსაც დაუბნელა თვალნი. მისი ნაძმობიც იყო ფიცვერცხლნაჭამი, მაგრამ მაინც არ დასცალდა მთაში სიკვდილი ქარაფზე აღზრდილ ფხოველ ვაჟაკს. თორღვა ძაგანისძეს შთამომავალი, შერგილთან ლაშქრობისას იმერი მეომრის ხმალს შეენირა. თავად იყო ამის შემსწრე დაიაური.

ორმოცდაათიოდ მეომრით ჩავიდა მთა ძაგანისძესთან. არაგვის ნაპირებზე დასცეს ბანაკი ფხოველმან. უცხოდ გრძნობდნენ თავს სალაშქროდ

მყოფნი. ძაგანისძენი თავს ევლებოდნენ ომში მიმავალთ, მაგრამ არ შეეძლოთ, ჭიუხში ნაზარდთ და ომში მიმავალთ ტანთ გახდა და ნაშენში ლამის გათევა. ამპარტავნობად და სხეულის მოდუნებად ჩაუთვლიდნენ ერთმანეთს წვიმა-ყინვასა და ტინს შეჩვეულნი...

და მაშინ...  
იგვიანებდა ძაგანისძე. თავს იზღვევდა. არ ელოდა მალე შემოსევას. თავად ემზადებოდნენ ლაშქრობისთვის და ამ ომში ტინსა და ციხის ზღუდებზე ცოცვას ჩვეული ფხოველნი, მომაკვდინებელი მახვილის წვერად უნდა ქცეულიყვნენ არაგველთათვის.

ახალგაზრდა იყო მაშინ ბერდია. ომი და ქარაფხედ სვლა იოლი იყო ფხოველთათვის, მაგრამ მძიმე — ომის მოლოდინი...

და მაშინ...  
ინყინა დაიაურმა და ომის საჩვენებლად ბარისკენ დაძრა ორმოცდაათი ფხოველი.

მცხეთას უნიეს. მერმე მტკვრის ხეობას აპყვნენ. მცირე ჯარი რამ ეგონათ. ქორწილი ყოფილიყო, ქართლელი აზნაურისა. გაფანტეს ამაღა და პატარძალი გაიტაცეს.

არა... პატარძალ არა. წესი არ იყო, ფხოველის საცოლის გარდა სხვა ქალის გატაცება, მაგრამ მხევალი ახლდა ვინმე აზნაურის ქალს...

მთისთვის უცხო იყო. ჩალისფერთმიანი და ცისტვალეა. არაფრით ჩამოჰგავდა შავგვრემან და კაცივით ნაგებ, უხეშ ფხოველ დიაცებს...

ალბათ, ასეთი უნდა ყოფილიყო ხუცის აღწერილი ძუ ეშმა.

იხვეწნენ ფხოველნი. ზვიადიც უბნობდა, მაგრამ ვერ გადააფიქრებინეს ახალგაზრდა დაიაურს. სიტყვის პატრონი იყო და სხვისგანაც იმავეს ითხოვდა. არა უნდოდა, რა... არცა ალაფი და არცა სახელი. მარტო ცისტვალა დიაცი იზიდავდა.

დაიბნენ ფხოველნი. წესად არ არის, მთაში ქალისა და ბაღლის ალაფად ჩათვლა. ასე მარტო დიდო-ძერძუკნი იქცევიანო, მაგრამ არ დათმო დაიაურმა. ცხენზე შესვა ჩალისფერთმიანი დიაცი და მთის ბილიკს შეუყვა. მაშინ წამოენივნენ მეფე გიორგის იმერნი. არ მოინდომა ბერდიამ მცირე რაზმით მეფის ლაშქართან

შებმა. ძალები არათანაბარი იყო, მაგრამ ბრძოლასაც ვერ გაერიდებოდა. სწრაფად მოინევენენ წინ სამეფო სპანი. მაშინ თავისი რაზმი წინ გაუშვა. თავად კი რამდენიმე მძანაფიცთან ერთად, გზის შესაკრავად დარჩა. იმათ შორის იყო ქალანდაურიც.

უეცრად მოიჭრნენ გიორგის სპანი და ყიჟინით ეკვეთნენ ფხოველებს. ფიცხი ხმალთაკვეთება შეიქნა. ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ დაიაური და ქალანდაური. სამი იმერი აჩეხა ზვიადმა, სამიც — დაიაურმა, მაგრამ მაინც უთანასწორო იყო ბრძოლა. ერთმანეთის მიყოლებით მარცხდებოდნენ ფხოველები. მერე ზვიადიც დააჩოქეს. მკვირცხლმა იმერმა ელვასავით გადაუქნია მახვილი. ჰაუ!.. — დაიგმინა დევკაცმა და მკლავმოსხებილი დაასკდა მიწას.

გაფთრებული მიუბრუნდა დაიაურ-

მიანებეს, მაგრამ ცოცხალიც არ ითქმოდა ფხოველზე. ოდნავ თუ ფეთქდა სიცოცხლე, შუბით განგმირულ სხეულში. მკურნალს, იმედიც არ ჰქონდა, რომ ძაგანისძის სასახლეზე მიიყვანდა. მაგრამ გადარჩა და სხვა მკურნალიც გამოუჩნდა — ჩალისფერთმიანი დიაცი. ჭრილობათა მოვლა სცოდნია თურმე ქართლელ დიაცსა და მარტო ესეც არ იყო მიზეზი. თავადაც ჩავარდნოდა გულში ახოვანი და შეუპოვარი ფხოველი...

ოთხ თვეს დარჩა დაიაური ძაგანისძის სასახლეში. მერე მაინც განშორდა თავის გადამრჩენელს, რომელიც არც დღე და არც ღამე არ მოშორებია მის სასთუმალს. არდოტში იხმობდნენ დაიაურსა, მაგრამ ქალის თან წაყვანა არ შეეძლო. შემოდგომა ახლოვდებოდა და ქალი, თანაც ორსული ვერ შეძლებდა მთის უღელტეხილების დაძლევას.



ძაგანისძეს მიაბარა მოლოგინების მომლოდინე დიაცი, იმ პირობით, რომ გაზაფხულზე მიაკითხავდა. იმ დროისთვის დაბადებულიც უნდა ყოფილიყო მათი შვილი.

ცრემლითა და ჩურჩულით ემშვიდობებოდა ქალი — დამივიწყებ... ფხოველი დიაცი დაიკავეს ჩემს ადგილს შენს გულში და ალბათ, ველარასოდეს გიხილავო...

ეცინებოდა დაიაურს. თავად კი იცოდა, რომ ვერავინ დაიკავებდა მის გულში ლელაის ადგილს, მაგრამ ვაგლახ, რომ არ ცდებოდა ქალი. თურმე მართლაც სამუდამოდ შორდებოდა და აღარ ენერა მის ცის მსგავს თვალეში ჩახედვა.

გაზაფხულის დადგომისთანავე, მიაკითხა დაიაურმა ძაგანისძის სასახლეს. გულაჩქოროლებული მოაჭენებდა ცხენს. მოუთ-

მენლად ელოდა ლელაისა და ახალნაშობი შვილის ხილვას... მაგრამ...  
აღარ შეპგებებია ლელაი. სამუდამოდ დახუჭოდა ცისა სადარი თვალეში. მშობიარობას გადაჰყოლოდა უბედური. დაიაურისთვის კი ტყუპი ვაჟი დაეტოვებინა...

უდედოდ დარჩენილნი ძაგანისძეს მოენათლა და სახელებიც შეერქმია — უშიშა და მუროჩი. უშიშა უფროსი ყოფილიყო, მუროჩი კი — უმცროსი.  
ბერდიამ თვალის ერთი დაკვრით ამოიცნო ჩვილებში დაიაურების ჯიში.

მენლად ელოდა ლელაისა და ახალნაშობი შვილის ხილვას... მაგრამ...  
აღარ შეპგებებია ლელაი. სამუდამოდ დახუჭოდა ცისა სადარი თვალეში. მშობიარობას გადაჰყოლოდა უბედური. დაიაურისთვის კი ტყუპი ვაჟი დაეტოვებინა...

უდედოდ დარჩენილნი ძაგანისძეს მოენათლა და სახელებიც შეერქმია — უშიშა და მუროჩი. უშიშა უფროსი ყოფილიყო, მუროჩი კი — უმცროსი.

ბერდიამ თვალის ერთი დაკვრით ამოიცნო ჩვილებში დაიაურების ჯიში.

მსხვილი ძვალი და ახოვნება ახლავე ეტყობოდათ. უშიშრად აბრიალებდნენ მჯიღივით თვალებს. თმა-თვალი და სახის ნაკვეთები კი დედისა დაჰყოლოდათ და კიდევ... გაჭრილი ვაშლივით ჩამოჰგავდნენ ერთმანეთს. დროდადრო ჩვენც ვერ ვარჩევთო, — იცინოდა შერგილ ძაგანისძე.

მას შემდეგ თხუთმეტი წელი გასრულებულიყო. ძნელი იყო, მაგრამ მაინც შეინახა დაიაურმა ლელაისთვის მიცემული პირობა. ყველა ქალი უცხო დარჩა მისთვის და მისგან დანატოვარი შვილების დავაჟვაცებებს მოახმარა მთელი ცხოვრება. ახლა თხუთმეტი წლისანი იყვნენ ძმები. ფხოველისთვის ზრდასრული ასაკი იყო ეს, მაგრამ იმაზე მეტი ჰქონდათ სახელი, ვიდრე ოცდაათი და უფრო მეტი ხნოვანების ვაჟვაცებს. არცა ნადირობაში დაუდებდნენ ვინმეს ტოლს, არცა — ომში, არცა ჩხუბსა და არცა — მტრობა-ძმობილობაში.

მაგრამ სად იყვნენ ახლა ძმები დაიაურები?..

ხევისთავმა მზერა მოავლო სალოცავის ეზოსა და ხატიონს. არსად ჩანდნენ მისი ვაჟები, უშიშა და მუროჩი.

გაუკვირდა ხევისთავს. განა, ყოფილა ოდეს, რომ მისი ვაჟების გარეშე ჩაველო ხატობასა?

— მაიბა ამწყალობე, ხევისთავო! — შეახსენეს ქალანდაულებმა.

ფიქრს მოსწყდა ხევისთავი. ხატის დროშა შეარხია. ცივი ჟღერიალი გამოსცა ზანზალაკებმა.

აღმოსავლეთისკენ შებრუნდნენ ქალანდაურები. ზეასწიეს ანთებული კელაპტრები და მუხლი ჰკრეს მიწას.

ცას ახედა დაიაურმა. ეს ნიშანი იყო.

წინ წარდგა ხუცი.

— ღმერთმა ადიდოს შენი სახელი, წმინდაო გიორგი, იახსარ, კობალა, პირქუში (ფხოველთა სალოცავები)... ამწყალობევენე ომში მოკლული ზვიად ქალანდაური, ყმა გუდანისა ჯვრისა!.. შენდა სამსახურს არა დაუკლია. ნუ დააკლებ წყალობასა, ღმერთ შენსა ბატონობას გაუმარჯვებს!.. დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, მზის მომყოლთ ანგელოზთა!.. — სიტყვა დაამთავრა თუ არა, ხუციმა ადლიანი ხანჯალი გამოუსვა ყელში ზვარაკს. დაიღმუვლა ხარმა. გაიბრძოლა, მაგრამ ვერ დაძალა ოთხი ქალანდაურის მარჯვენა. მიწაზე დასცეს ფხოველებმა და გააკავეს.

ქაფქაფა სისხლით შეავსო თასი ხუცმა. მარჯვენა ამოურია და სათითაოდ წააცხო შუბლსა და ლოყებზე ქალანდაურებს.

დამთავრდა დამწყალობება და შვილებზე ფიქრს მიუბრუნდა ქალანდაური. მაინც სად უნდა ყოფილ-

იყვნენ ტყუბი? ამ დროს გალავანს მიღმა ხმაური ატყდა. ხატიონი უღელტეხილის მხრიდან მომავალ მხედრებს ხელის ქნევითა და შეძახილებით ესალმებოდა.

— უშიშაჲ!.. მუროჩი!.. შეგენიოთ გუდანის ჯვრის მაღლი!..

თვალში ეცა დაიაურს — დიდი გზა გამოველოთ ბიჭებს. ცხენებსა და ტანსაცმელს ლაფი შერჩენოდა. თანაც ორივე საომრად იყო იარაღასხმული. საზეიმო, მოქარგული სამოსი და მოზარნიშებული იარაღი გვერდზე გადაედოთ. ჯაჭვის პერანგის ზემოდან ტყაპუჭი ემოსათ. წელს ფარი, ხანჯალი და შავი მგლისგამოსახლებიანი გორდა შეებათ, რომლებსაც მარტო საომრად იყენებდნენ. ბეჭზე მოეგდოთ მშვილდები.

განსაკუთრებული იყო მგლის გამოსახლებიანი გორდები. დაიაურების წინაპრებს პირადად გიორგი პირველისგან ჰქონდათ მიღებული. ბიზანტიაში, ბასილი კეისართან ომში ახლდნენ დაიაურები გვირგვინოსანს. ომში განუული სამსახურითა და სწორუპოვარი ვაჟვაცობით დაიმსახურეს მეფის წყალობა და მეფურივე საჩუქარი. ამ ხმლების გამო ბაგრატიონთანა ნათესავებადაც კი მიიჩნევდნენ ფხოველნი დაიაურებს, მაგრამ ხმამაღლა ამას არასოდეს ახსენებდნენ.

უშიშამ და მუროჩიმ მინდორი გადაკვეთეს, გალავანში შევიდნენ და ხევისთავებისა და ხევისბერების წინაშე ჩამოქვეითდნენ.

არათუ მოყვრის, მტრის თვალსაც გაახარებდნენ ძმები. ორივე ერთნაირად ახოვანი იყო. ბეჭბრტყელი და მკერდგანიერი. შვენილათ ჩაბაღასს ქვემოთ ჩამოშლილი ჩალისფერი თმა და დედისგან მემკვიდრეობით მიღებული ცისფერი თვალები, რაც უცხო იყო ფხოველთათვის. ეშხინად ედგათ ტანზე აბჯარ-იარაღი, ქორისფერი ჯაჭვის პერანგები, ფხოვერი ფარები, ფართოპირიანი სატყვერები და მგლისგამოსახლებიანი ხმლები.

— საით გივლიათ, ვოუებო? — იკითხა დაიაურმა.

პასუხად უშიშამ ცხენს ხურჯინი ახსნა და მოაპირქვავა. მიწაზე დაცვივდა ორი ხმალი, ორი ხანჯალი და ორიც — ჭინჭში გამოკრული მარჯვენა ხელის მტევანი.

საით უვლიათ თურმე!.. — უმაღ გაუელვა ხევისთავს. — სისხლი აუღიათ ძურძუკათაგან!..

წელი გასრულდებოდა მალე, რაც მგლოვიარედ იყვნენ უშიშა და მუროჩი. ძურძუკთა მურზამ, ასლანმა მათი ძმადნაფიცო დომგაი მოკლა.

შეუპოვარი ვაჟვაცი იყო დომგაი. ფხოვისა და ხევის ერთგული და ასლან

მურზას დაუძინებელი მტერი. უღელტეხილს მიღმა გადააწყდა მოსისხარ მურზას. იქით უყვარდა ნადირობა ფხოველს: რაც მაღალში ბინადრობს და ლალია, მით გემრიელია ჯიხვიო. მაშინაც სანადიროდ იყო და თავის ძმადნაფიცო, მარტიანთან ერთად, ჯიხვის ხორციით დატვირთული ბრუნდებოდა არდოტში. მისა კი არა იცოდა, რომ საპირისპირო მხრიდან მისი მოსისხლე მტერი მოდიოდა. წინა ღამით გადმოველო უღელტეხილი ძურძუკ მურზას. მიპარვით დაეხოცნა ვეშაგნი. მერმე მეჯოგეთ დასცემოდა, ისინიც დაეხოცა და ახლა ძურძუკეთს მიერეკვებოდა ფხოველთა ნახირს. არდოტში კი არა უწყოდნენ რა.

უღელტეხილზე დახოცილ ვეშაგებს გადააწყდა დომგაი. იაზრა, რაიც უნდა მომხდარიყო და ვინ უნდა ყოფილიყო თანამომე ფხოველთა სისხლის დამღვრელი. ისიც იაზრა, სადაც უნდა ყოფილიყო მოსისხარი. თავად ძურძუკეთის მხრიდან ამოუყვა უღელტეხილს და გზად არავინ შეხვედრია, არცა — მტერი და არცა — მოყვარე. მაშინ ჯვრაც ფხოვს უნდა ყოფილიყო მოახარი და ალბათ, მალე მოადგებოდა უღელტეხილს. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. იქნებ ფხოვს არც სცოდნოდათ ძურძუკთა შემოსევის შესახებ. მარტია სასწრაფოდ არდოტს აფრინა. თავად უღელტეხილზე დარჩა, რომ არ გადაეშვა მომხდური ძურძუკეთს.

მართალ ყოფილა დომგაი. არა იცოდნენ ხევისთავებმა. სასწრაფოდ შეიყარა ფხოველთა ლაშქარი და მარბიელს ჩაუდგა კვალში, მაგრამ უღელტეხილამდე ვერსად მოიხელთეს ძურძუკნი. უღელტეხილზე კი... მოველათ დომგაი უშჯულოთ. ომში დაცემულიყო ფხოველი ვაჟვაცი. მომკვდარიყო, მაგრამ ისე, რომ ნებისმიერი ფხოველი ისურვებდა მის ადგილზე ყოფნას.

კარჭაპში ისარი აღარ შერჩენოდა ეომარს. ყველა გაეხარჯა. დომგაი კი ჩუბინი იყო. ქარაფზედ მორბენალ ჯიხვსაც არ ააცდენდა ისარს და როგორ გადაურჩებოდა ხეობაში ძურდულად შემოპარული მარბიელი?!

მოფარიკავეც კარგი იყო და მოკრივეც. არც ხანჯლით გაუჭირდებოდა მტრის მოგერიება, მაგრამ სიმრავლემ თავისი გაიტანა. მერმე გაიკვს ფხოველებმა, რვა ძურძუკი მოეკლა დომგაის. ვიდრე მას მიანვდენდნენ ხმალს, მათი სისხლით შეღება უღელტეხილი.

დაუნდობლად აეჩხათ დომგაი, თანამომეთა დახოცვით გაშმაგებულ ძურძუკებს. მარჯვენაც მოეკვეთათ და მის იარაღთან ერთად, ალაფად



წადლოთ. ამ მარჯვენით დაამშვენა ასლან მურზამ თავისი საცხოვრებლის კარი.

ფიცი დადეს მაშინ უშიშა და მუროჩი დაიაურებმა, რომ მოძებნიდნენ და ძმადნაფიცის სისხლს აზღვევინებდნენ ძურძუკ მურზას. როგორც ჩანს, აღესრულებინათ ძმებს ფიცი და დომგაის დაღუპვის წლისთავზე ასლან მურზას მოკვეთილი მარჯვენით მოსულიყვნენ ხატობაში.

მაგრამ ვინ იყო მეორე, რომლის მარჯვენაც ხევისთავის ფეხებთან ეგდო?

— მუსა... ასლანის უმცროსი ძმა. ეგეც მონილეა დომგაის სიკვდილისა, — უპასუხეს ძმებმა.

სამი დღე მსხდარიყვნენ საფარში ძმები. ერთხელაც არ გამოჩენილა მურზა, მაგრამ მაინც არ გამოდნენ მის სიმაგრეს. წელიწადი ელოდნენ ამ დღეს და ახლა ხელცარიელი აღარ გაბრუნდებოდნენ ფხოვს. მურზა უნდა მომკვდარიყო. ამას მოითხოვდა ძმადნაფიც დომგაის სული.

მეოთხე დღეს გამოჩნდა ასლანი. თან ძმა და

კიდევ რვა კაცი ახლდა. ჯიხვზე ნადირობა მონატრებოდა მურზას.

აცადეს ძმებმა. ახლოს არ გაჰკარებინან. ფრთხილი იყო ძურძუკი მურზა და ამაღამიც საუკეთესო მეომრები ჰყავდა. შიში არ ჰქონდათ. ქაჯთა ლაშქარიც რომ ხლებოდა მურზას, მაინც დაადენდნენ სისხლსა, მაგრამ იცოდნენ, ამაღამს შეატოვებდა მოსისხართ, თავად კი სიმაგრეს შეაფარებდა თავს და თანატომელებს მიუტყვევდა. შორიდან კი...

შორიდანაც შეიძლებოდა მურზას მოკვლა ისრით. ირივე ჩუბინი მოსიხარი იყო, ასეთ მანძილზე ბეჭედშიც გააძვრენდა ისარს, მაგრამ არასოდეს ჰქონიათ წესად, ზურგიდან მიპარვითა და საფრიდან მოკვლა დაიაურებს. თვალბეჭედი უნდა ეცქირათ მომაკვდავი მოსისხარისთვის, მანამდე, ვიდრე საბოლოოდ არ ჩაუქრებოდა მურზა. თანაც მაინც უნდა მომკვდარიყვნენ ყველანი. ცოცხალი ამაღამ მურზას მარჯვენას არ დაანებებდა...

ფრთხილად მიჰყვნენ უკან მონადირეთ, ძურძუკთა ჯიხვზე ნადირობის წესის იმედად. არ უყვარდა მურზას ქარაფზე ბობღვა. ეს მისი მსახურების საქმე იყო მუდამ. თავად მურ-

ზა კი საფრიდან თუ გაისროდა ისარს. ასეც მოხდა. მთას შეუყვნენ მონადირენი. მერე დაიშალნენ. მურზამ, მისმა ძმამ მუსამ და კიდევ ორმა საფარი მოძებნეს. ექვსმა ძურძუკმა გზა განაგრძო, ჯიხვი რომ მოეწყვიტა მთისთვის და საფრისკენ გაერევა. მაშინ იმარჯვეს სისხლისმაძიებლებმა და უეცრად მიუხტნენ საფარში მყოფთ.

ასლანმა შორიდანვე შენიშნა საფრისკენ მომავალნი. მშვილდებით შეიარაღებულნი და ტყაპუჭებში გამოხვეულნი, მონადირეებად მიიღო. მსახურს უბრძანა, მათი იქიდან მოშორება. ისიც წინ წარდგა. ყვირილი არ გამოდიოდა: უცნობ მონადირეებზე ადრე, ფრთხილ ჯიხვს დააფრთხოვდა. ხელით ანიშნებდა: ვნადირობთ და აქაურობას გაეცალეთო. როდ-



საც უცნობებმა გზა განაგრძეს, ისიც ანიშნა: რეგვენო, თავად ასლან მურზა ბრძანდება აქ, ხელს ნუ უშლით, გამათრახება ხომ არ მოგენატრათო!

და ამ დროს... ბრძოლა მშვილდის მოზიდვით დაიწყო. ორმა ისარმა უეცრად გაათანაბრა მოსისხარნი. მურზას ორივე მსახური მკერდგანგმირული დააკვდა მიწას. და დარჩა ორი ფხოველი, ორი ძურძუკის წინააღმდეგ...

იქვე მიყარეს ძმებმა მშვილდები და ორივემ ერთად იფარა ფარი და იშიშვლა მგლისგამოსახულებიანი გორდა.

— დამიდექ, უშჯულოვ!!!

დანინაურდა უშიშა. უფროსი იყო ძმათა შორის და ეკუთვნოდა ხმლისა პირველი მოქნევა.

წინ მუსა გადაეღობა. ის კი უმცროსი იყო ძმათა შორის, მაგრამ სჩვეოდა ასლან მურზას, სხვისი, თუნდაც ძმის ზურგს უკან მალვა.

ასლან მურზა კი მუროჩის ერგო...

შხუილით გაკვეთა ჰაერი მუსას ხმალით. თავისი შეაგება უშიშამ. ჟღერილი გაიღო ფულადმა და ყველივით გაკვეთა ძურძუკის ხმალი. გაფითრებული გახტა უკან მუსა. სმენოდა: შაითანის ნაჭედ ხმლებს ატარებენო,

ხევისთავ დაიაურის ვაჟები, ვერ უძლებს მათ ფხას ჩვეულებრივი ფოლადი.

გადაიხარხარა უშიშამ, ფერმკრთალი ძურძუკის ხილვისას. ხმალი ქარქაშში დააბრუნა და სატევარს გაივლო მარჯვენა.

თანაბარი ბრძოლა სწყუროდა ფხოველს, მაგრამ აღარ იყო ეს თანასწორთა ომი. ფხოველის სიცილმა იმაზე მეტად დაზაფრა მუსა, ვიდრე უხმლოდ დარჩენამ. უნდილად წაეტანა ხანჯლის ვადას. ერთხელ მოქნევა მოასწრო მხოლოდ. უგანა ფხოველმა და თავადაც მოიქნია ელვარე სატევარი. ჭახანი ჩაესმა მუსას. უმალ თვალთ დაუბნელდა და მუხლმორღვეული დაასკდა მიწას. იმის გაგებაც აღარ ენერა, რომ მისი შუბლის ძვლის გაჩეხამ გამოსცა ის ჭახანი...

ნაიქცა მუსა. სამუდამოდ დახუჭა თვალბეჭედი და ველარი იხილა უფროსი ძმის დამარცხება და სიკვდილი...

ბრძოლას გაურბოდა მურზა. არ ახალისებდა მოქნეული მახვილის ზუზუნს. ქურდულად, ზურგიდან მიპარვა ერჩინა, მაგრამ ომის უცოდინარიც არ იყო.

თქმულა: ხაფანგში გაბმული ტურაც შეუპოვარია. სიკვდილის მოახლოებისას, ასმაგი გააფთრებით იცავს სიცოცხლესო.

ასეთი იყო ძურძუკთა მურზაც. რა იხილა თავგაჩეხილი ძმა, მახვილი მოზიდა და ნადირივით ღრიალით მიექრა მუროჩი დაიაურსა.

ღრიალებდა, მაგრამ ძმის სიკვდილით გაშმაგებისა არ იყო ის ყვირილი. მოსისხლის პირისპირ მარტო დარჩენა და გარდაუვალი სიკვდილი აფრთხოვდა უშჯულოს.

ხმალს კი კარგად ხმარობდა ძურძუკი. მარჯვენაც უჭრიდა და ფხაც კარგი ჰქონდა მის ფოლადს. ერთსა და ორ შემოხეთქებაში არ შეემსხვრეოდა ფხოველის მგელსახა გორდას, მაგრამ რაია ფოლადი, ოდეს აღარ გაქვს მარჯვენა.


წესად არ ჰქონდა მუროჩის, მკვდრისთვის მარჯვენის მოკვეთა. მკერდსა და კისერში არ დასცემდა მახვილს. მანამდე ეკვნლავებოდა მოსისხლეს, ვიდრე მაჯას არ მიანვდენდა ფოლადს...

ერთხელ შემოუქნია მახვილი... მეორედ... მესამედ...



# უბაზა მიჯაჭვული ღაილა ალექსანდრა და მესრობიძის პოლიტიკური ფაიროვარება

*როდესაც პოლიტიკურ  
ექსპერტსა და ფსიქოლოგს,  
რამაზ საჭვარელიძეს  
ინტერვიუსთვის დაუკავშირ-  
და და პოლიტიკური  
მოვლენების კომენტარების  
ნაცვლად, მისთვის დაუფინ-  
ყარო ადამიანების გახსენება  
ვთხოვე, მოკლედ მიპასუხა:  
ეს უკვე საინტერესოა.  
უშაზე მიჯაჭვული დეიდა  
ალექსანდრა, თეატრის  
კულისებში გატარებული  
ბავშვობა და შვედრანდის  
მიერ მონყობილი  
ფიერვერკები — ჩვენთან  
საუბრისას, რამაზ საყ-  
ვარელიძემ, ცხოვრების  
რამდენიმე დაუფინყარო  
ეპიზოდი გაიხსენა.*



## შეა გუხიაშვილი

— პირველ რიგში, დედა-მამა ჩემთვის ის ადამიანები, ვინც ყოველთვის მემახსოვრება. ჩემი მშობლების გარდა, ადამიანი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში, ბუბიაჩემის და, დედაჩემის დეიდა — ცნობილი ქართველი მთამსვლელი, ალექსანდრა ჯაფარიძე გახლდათ. მთელი ბავშვობა ალექსანდრას გვერდით მაქვს გატარებული, მასთან ვიზრდებოდი და დაოჯახების შემდეგაც არ გამიწყვეტია ურთიერთობა დეიდა ალექსანდრასთან. სხვათა შორის, მას დეიდას არა მხოლოდ ახლობლები და ნათესავები ვეძახდით, ის დეიდა ალექსანდრა იყო მისი მონაფეხებისთვისაც. შვილები არ ჰყავდა, დაოჯახებულაც არასდროს ყოფილა, ამიტომ განსაკუთრებულად ზრუნავდა ყველა იმ ბავშვზე, ვინც მის ირგვლივ იზრდებოდა. მკაცრი და მომთხრობი იყო, მისი ალერსი და მოფერება არავის ახსოვს, მაგრამ სიყვარულს

თვალეზით ამჟღავნებდა. მახსოვს, როგორი სითბო ჩაღვრებოდა ხოლმე თვალეზში, როდესაც ბავშვებს გვიცქერდა. დეიდა ალექსანდრასგან, მთამსვლელობის ბევრი საინტერესო ამბავიც მოგვისმენია. ყველაზე მეტად, იმის მოსმენა მიყვარდა, თუ როგორ ავიდა ალექსანდრა პირველად უშაზე. ამ ექსპედიციის დროს, ალექსანდრა ერთადერთი ალპინისტი ქალი ყოფილა. უშბის მწვერვალთან მცირე მანძილი აშორებდათ თურმე, როდესაც მთამსვლელებს შემოაღამდათ და გზის გაგრძელება ვეღარ შეძლეს. იმ ადგილას ვერც კარავს გაშლიდნენ თურმე, ამიტომ ალპინისტებს სხვა გზა არ დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ უკან დაბრუნებულიყვნენ და მზის ამოსვლასთან ერთად კიდევ ერთხელ ეცადათ მწვერვალის დაპყრობა. მაშინ ალექსანდრას მეგობრებისთვის უთქვამს: თქვენ ქვემოთ ჩადით, იქ, სადაც კარავს გაშლით, მე კი სვალამდე აქ მიმავითო. კაცებმა ჯერ იუარეს თურმე, მაგრამ ალექსანდრა არაფრით მოეშვა: მე რომ აქ არ დამტოვოთ, სვალ თქვენ აქ ამომსვლელი აღარ ხართო. ასე, უშაზე მიმბრუნებულმა გაათია ღამე ალექსანდრა ჯაფარიძემ. ერთხელ, როდესაც დეიდა ალექსანდრასგან ამ ამბავს ვისმენდი, ვკითხე: კი, მაგრამ, დეიდა ალექსანდრა, რამ გაიძულა ასე მოქცეულიყავი-მეთქი? ალექსანდრამ მიამბო, რომ უშა სვანეთში დაწყვეტილ მწვერვალად, სულთა საცხოვრებლად იყო

მარჯვენა დაურბილა და როგორც კი იგრძნო, რომ ხმაღს ძველებურად ვეღარ იქნედა მურზა, მაჯაში უქნია მგლისსახა...

ვაიო!.. — დაიგმინა მურზამ. ნაკვეთილ მტევანთან ერთად დაეხეთქა მისი ხმალი მიწაზე.

კიდევ ერთხელ იელვა მგლისსახამ და ძურძუკის უთავო სხეული მიწაზე აფართხალდა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ძმების ბრძოლა. გაშმაგებული ყვირილით მოცვივდნენ ასლან მურზას მარეკები. ისევ თითო ისარი სტყორცნეს ძმებმა. ორი მსახური დაადევნეს ჯოჯოხეთში მურზასა და მის ძმას. დანარჩენი ხმლებით გადაწყდა. ერთი კი — მურზას ვაჟი, აზატი ცოცხალი გაუშვეს ძურძუკეთს. სახეში მსუბუქად შემოჰკრა ხმალი მუროჩიმ. სამუდამოდ დაამჩნია თავისი ნიშანი და თანაც დაამატა: დაიურებს მოჰკითხე მამისა და ბიძის სისხლიო!..

თხრობის დასასრულს, მუროჩიმ ასლან მურზას ხმალი ლოდებს შორის გაჭედა, მძლავრად შემოუქნია თავისი მგლისსახა, ყინულის ლოლოსავით მიამტვრია ძურძუკეთს ნაჭედი ფოლადი და ხაფად დასძახა.

— ასე დაიღწოს არდოტისა და ფხოვის მოსისხლე!!!

— გნყალობდეს წმინდა გიორგი, გუდანის ჯვრის ყმასა!!! — ერთხმად იგრილა ხატიონმა.

ზეღამართა მარჯვენა უმცროსმა დაიურმა.

სათქმელი მაქვს რამ, მაცალეთო. მაგრამ ვიდრე იტყოდა, სალოცავში ჩოჩქოლი ატყდა. გზაზე მხედრების ჯგუფი გამოჩნდა. გამალებით მოაჭენებდნენ ცხენებს იარაღსაღმული მეომრები.

მომხდურად მიიღო ხატიონმა უცხოთა გამოჩენა. ყველა იარაღს წაეჭანა და მომხდურის მოსაგერიებლად მოემზადა.

— იყურეთ, ვოჟებო!.. — დაიბუხუნა ხევისთავმა.


მტერის ღრუბელში მოფრიალე ნაცნობი დროშა შენიშნა. სამტროდ მოსულნი არ უნდა ყოფილიყვნენ მხედრები. მისი შვილების ნათლისა, შერგილ ძაგანისძისა იყო ის დროშა.

სალოცავის გაღავანთან შედგნენ მხედრები. ჩამოქვეითდნენ. ერთი დანინაურდა. ძაგანისძის აზნაური, გუჯაბისძე ამოიცნო მასში ხევისთავმა.

სწრაფად გადაკვეთა არაგველმა სალოცავის ეზო. ხევისთავს მიეახლა. ფხოვის წესად, ემთხვია მკერდზე და უთხრა, შორი გზიდან მოსვლის მიზეზი.

— მტერ მოსდგომია არაგვის კარებს, ხევისთავო!.. ომში გინვევს ერისთავთ ერისთავი შერგილი!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ალექსანდრას მეგობრებისთვის უთქვამს: თქვენ ქვემოთ ჩადით, იქ, სადაც კარავს გაშლით, მე კი სვალამდე აქ მიმავითო

ალექსანდრა ჯაფარიძე და მისი შვილი შერგიანი

მიჩნეული და წყველა დაატყდებოდა თავს ყველას, ვინც უშმაზე ავიდოდა. სწორედ ამის გამო, ქართველი ალბინისტების ასვლას უშმაზე მთელი სვანეთი ელოდა და აკვირდებოდა. როგორც ალექსანდრასგან მსმენია, ალბინისტებს მწვერვალზე საბურავები აუტანიათ და როდესაც „დანყველილი მწვერვალი“ დაუპყრიათ, კოცონი დაუთთიათ, რითაც ნიშანი მისცეს სვანეთის მოსახლეობას, რომ სულელების რისხვას გადაურჩნენ. დეიდა ალექსანდრა ამბობდა: როგორც კი უშმაზე ცეცხლი ავანთეთ, სვანეთში ყველა ეზოში საპასუხო კოცონი დაინთო, უშმის მწვერვალიდან ეს ისეთი საოცარი სანახავი იყო, თავად რომ ნახავ, მაშინ მიხვდები, რატომ ვიპყრობთ მწვერვალსო.

**— თქვენც გაზარათ მთას დეიდა ალექსანდრამ?**

— დეიდა ალექსანდრა იმ დროს, პიონერთა სასახლეში ალბინიზმის მასწავლებლად მუშაობდა და როდესაც მოსწავლეები სასწავლო ტურით მთაში მიჰყავდა, მეც თან ვახლდი ხოლმე. მთაში ალექსანდრა აღარ იყო დეიდა, ის იყო მთამსვლელი, ერთნაირად მომთხონი და მკაცრი, როგორც ნათესავეების, ასევე მოწაფეების მიმართ. დედა მიყვებოდა, რომ ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვყოფილვარ, როდესაც მე და დედა, ალექსანდრას ბაკურიანის ხეობაში ვახლდით. დეიდას იქ მოწაფეები ჰყავდა ნაყვანილი და სასწავლო ტურებს უტარებდა. ხის კოტეჯებში ვცხოვრობდით თურმე და ერთ ღამესაც, ერთ-ერთ კოტეჯს ცეცხლი გაუჩნდა. დედა ამბობდა: შეშინებულმა, პირველ რიგში, შენ გაგახვიე ზენარში და იქაურობას გაგარიდეთ. ალექსანდრას კი ჩემთვის არც შემოუხედავს, პირველ რიგში მოსწავლეების მობილიზაცია მოახდინა, ჩამოწკრივა ისინი მდინარემდე, დაურიგა კასრები და მანამ, სანამ სახანძრო სამსახური მოვიდოდა, მოწაფეებთან ერთად ჩააქრო ხანძარი. ალექსანდრამ წარუშლელი კვალი დატოვა ყველა იმ ადამიანის ცხოვრებაში, ვისთანაც ჰქონია ურთიერთობა. მან უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება შეგვიძინა. მასსოვს, ამბობდა ხოლმე: ტოტს მანამ არ გაუშვა ხელი, ვიდრე არ დაინახავ, რომ ამ ტოტს შენ უკან მდგომიც ჩაეჭიდაო. ალბინიზმში ეს მნიშვნელოვანი წესია: თუ ტოტი დროზე ადრე გაუშვი ხელიდან, შესაძლოა, უკან მიმავალს მოარტყა და რაიმე დაუშავო. მაგრამ ამ წესის გათვალისწინება არც ცხოვრებაში იქნებოდა ურიგო. ყოველ 11 თებერვალს, ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების დღეს, მისი მოწაფეები და ახლობლები, ცნობილი მთამსვლელის საფლავთან ვიკრიბებით და ამ დაუფინყარ ქალბატონს ვისხენებთ. სხვა მხრივ, არ ვიცი, მაგრამ ცხოვრებაში იმის ილბალი ნამდვილად მქონია, რომ ბევრი საინტერესო

ადამიანი შემხვედროდა. მამაჩემი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ტარიელ საყვარელიძე გახლდათ. ამიტომ, ისევე როგორც მსახიობთა შვილების უმეტესობას, ბავშვობის დიდი ნაწილი თეატრის კულისებში მაქვს გატარებული. თეატრის კულისებში ერთად გავიზარდეთ მე, ლაშა თაბუკაშვილი, იაშა ტრიპოლსკის ვაჟები და სხვა მსახიობთა შვილები. კულისები განსაკუთრებით მაშინ ივსებოდა ბავშვებით, როდესაც თეატრს საგასტროლო გასვლა ჰქონდა. ასე — კულისებიდან, თხუთმეტჯერ მაინც მაქვს ნანახი სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“ და ბავშვობის დროინდელი გამოცდილებით ვიცი, რომ არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი სპექტაკლი. სხვათა შორის, მაშინაც კულისებში ვიდექი, როდესაც სცენაზე დეკორაცია მოწყდა და პიერ კოზახიძე დაშავდა. მოგეხსენებათ, რომ მიღებული ტრაგედიის შემდეგ, პიერი მალე გარდაიცვალა. ჩემთვის დაუფინყარი პიროვნება და ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობარი, კოლორიტული კაცი იაშა ტრიპოლსკი გახლდათ. საღამო, რომლის დროსაც იაშა უძღვებოდა სუფრას, ყველასთვის დაუფინყარ მოგონებად რჩებოდა. ის იყო ბრწყინვალე რიტორი, ჰქონდა ფენომენური მესხიერება და იუმორის ნიჭით უხვად იყო დაჯილდოებული.

**— მსახიობის შვილებს ხშირად, სცენაზეც უხდებოდათ თამაში. თქვენ თუ გხვდათ წილად ამგვარი ბედნიერება?**

— პროფესიონალური თეატრის სცენაზე გამოსვლის შესაძლებლობა არ მქონია, მაგრამ სკოლაში სწავლის პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი შემოქმედებით საღამოებში. ბავშვობაში ლექსებსაც ვწერდი და მასსოვს, მამას ხშირად ვსაყვედურობდი: შენ სხვის დაწერილს კითხულობ და ჩემს ლექსებს არ სწყალობ-მეთქი. იმ დროს პიონერთა სასახლეში იმართებოდა ხოლმე სალონური საღამოები, რომლის ორგანიზატორი საოცარი ქალბატონი ფაცია პაიჭაძე გახლდათ. ასეთ საღამოებზე ხშირად გამოვდიოდი და ჩემს ლექსებს ვკითხულობდი.

**— თქვენ აღმოსავლეთმცოდნეც ბრძანდებით, ფსიქოლოგიც, მაგრამ ფართო საზოგადოება როგორც პოლიტიკურ ექსპერტს, ისე გიცნობთ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ფიგურებს შორისაც იქნებოდათ თქვენთვის დაუფინყარი ადამიანები. ასე არ არის?**

— ჩემი საქმიანობის წყალობით, შესაძლებლობა მქონდა შევხვედროდი ინგლისის პრემიერ-მინისტრ მეიჯორს, თურქეთის პრემიერ-მინისტრ დემირელს, ამერიკის რამდენიმე პრეზიდენტს და სხვა მრავალ საინტერესო პოლიტიკოსს. მაგრამ, როგორც პოლიტიკურმა ექსპერტმა, შემიძლია გითხრა, მთელ

**დიპლომატიურ მაგიდასთან, შევარდნაზე მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსებთან ერთად მინახავსა**



ამ პოლიტიკურ „პარადში“, ყველაზე საინტერესო და დაუფინყარი სახე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. მე მიხეილ სააკაშვილის მრჩეველიც ვიყავი მანამ, სანამ ის პრეზიდენტი გახდებოდა. პოლიტიკური რაკურსით, სააკაშვილიც საინტერესო ფიგურაა. მასსოვს, როდესაც სააკაშვილი პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამდა, ზურაბ ჟვანიას ვუთხარი მასზე: საპრეზიდენტო ფიგურა მოდის-მეთქი. მიშც, მისი წინამორბედივით, კანით გრძნობს პოლიტიკას, მაგრამ შევარდნაძე მოლაპარაკებების მაგიდასთან ნამდვილ პოლიტიკურ ფეიერვერკებს აწყობდა. დიპლომატიურ მაგიდასთან, შევარდნაძე მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსებთან ერთად მინახავს. მაღალ დონეზე განვითარებული პოლიტიკური ინტუიცია, თავდაჭერა, მანევრირების არაჩვეულებრივი უნარი, — ყოველივე ეს, მას აძლევდა საშუალებას, მოლაპარაკება დაეწყო ერთი პოზიციიდან და გზადაგზა, ზოგჯერ, მეტოქესთან ხუმრობით, ხან — დაბეჯითებით, ხანაც — აგრესიით, მოლაპარაკება მისთვის სასურველ შედეგამდე მიეყვანა. შევარდნაძის პოლიტიკური ხერხების მრავალფეროვნება ჩემს ალტაცებას იწვევდა. ეს ყველაფერი „პოკერის“ თამაშს ჰგავდა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ „პოკერი“ უბრალოდ ბანქოს თამაში კი არა, ფსიქოლოგიაა. შევარდნაძის ხელშიც პოლიტიკა ფსიქოლოგია იყო და არა მხოლოდ პოზიციის დაფიქსირება. კარგი სპექტაკლივით შეგძლო გეყურებინა, როდის რა როლს თამაშობდა შევარდნაძე პოლიტიკაში.

# ვნების შვიდეული მაცხოვრის ვნების, ჯვარცმისა და დაფვლის მოსახსენიებელი

ახლოვდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე მართლმორწმუნე ქრისტიანები ბზობას — მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას დღესასწაულობენ, რომელსაც ვნების კვირა — ვნების შვიდეული მოსდევს. ეს კვირა იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დაფვლის მოსახსენიებლად და დაწესებული, მის ყოველ დღეს დიდი ეწოდება — მოსახსენიებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო... წლეულს ვნების კვირა 21 აპრილიდან იწყება და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე — 27 აპრილამდე გასტანს.

## მორენა მერკვილაძე

ვიდრე ვნების შვიდეულის თითოეული დღის შესახებ ვისაუბრებთ, მცირედს იერუსალიმის შესახებაც მოგიტხრობთ, სადაც მაცხოვარმა — განკაცებულმა უფალმა იესო ქრისტემ მიწიერი ცხოვრება გაატარა, ამიტომაც ეწოდება წმინდა მიწა. იერუსალიმში მოხდა უფლის ვნება და ჯვარცმაც: „საკლესიო გადმოცემით, წარღვნის დაწყებამდე ნოემ კიდობანში შეიტანა ადამის თავის ქალა. შემდეგ ეს სინამინდე თავის უფროს ვაჟს, ღვთივეურთხეულ სემს გადასცა. ნოეს ვაჟმა ალაშენა ქალაქი იოპია. მოანყო იქ სამსხვერპლო, რომლის ქვეშაც დაფლა ადამის თავის ქალა. იქვე ახლოს კი დააარსა ქალაქი იერუსალიმი, რაც „მშვიდობის ქალაქს“, „მშვიდობის სავანეს“ ნიშნავს.

შემდგომში პალესტინა ქანანელმა ტომებმა დაიკავეს. ის ადგილიც ააოხრეს, სადაც ადამის თავის ქალა იყო დაფლული, თუმცა ხალხის მხსიერებაში მაინც შემორჩა ეს ადგილი და მას გოლგოთას ანუ — ადამიანის თავს (თხემს) უწოდებდნენ, — წერს არქიმანდრიტი რაფაელი. სწორედ გოლგოთაზე მოხდა კაცობრიობის გამოხსნა...

„წმინდა წერილში“ იერუსალიმი პირველად „ისუ ნავეს წიგნში“ მოიხსენიება.

## დიდი ოთხაბათი

„დღევანდელი დღე წმინდა და თაყვანსაცემია, რადგან სწორედ ამ დროიდან იწყებს უფალი ჩვენი ცოდვების გამო ჯვარზე ვნებას“, — ბრძანებს წმინდა თეოდორე სტუდიელი.

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო

ლევის სის განმობას იხსენიებს. უნაყოფო ლევის ხე, რომელიც დასწყევლა უფალმა და გახმა, იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც უფალმა ვერ პოვა ადგილი, მხოლოდ გარეგნულად ალასრულებდნენ სჯულის წესებს. ამიტომაც ამხილა და დაგმო მათი საქციელი მაცხოვარმა. იუდეველთა მსგავსად, უნაყოფო ლევის ხეს ემსგავსება ყველა ქრისტეს მიმდევარი, რომელსაც არ გააჩნია ჭეშმარიტი რწმენა და ღვთის სიყვარული, რომლის სულიც სინანულის ნაყოფს ვერ გამოიღებს. დიდი ორშაბათის ღვთისმსახურებით წმინდა ეკლესია ჭეშმარიტი სინანულისკენ მოგვიწოდებს, რათა ჩვენმა ქრისტიანობამ, ქრისტეს მიმდევრობამ ნაყოფი გამოიღოს — თავმდაბლობის, სიმშვიდის, სულგრძელობის, სულიერი სიფხიზლისა თუ სხვა მცნებათა დაცვა-აღსრულების სახით.

## დიდი სამშაბათი

დიდ სამშაბათს განსაკუთრებით იხსენიება იგავნი „ათი ქალწულისა“ და „ტალანტების“ შესახებ და იკითხება მათეს „სახარების“ საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს განსაკუთრებული სულიერი სიფხიზლისკენ, რადგან არ ვიცით, როდის დაგვიდგება ამა სოფლიდან გასვლის ჟამი ან როდის დადგება უფლის მეორედ მოსვლის ჟამი, ამიტომ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ უფალთან შესახვედრად. ხომ გვაფრთხილებს: „იღვიძებდით, უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაი მოვიდეს“ (მათე 24,42). აქ სწორედ სულიერი სიფხიზლე იგულისხმება.



ბზობა

## დიდი ოთხაბათი

ვნების კვირის ოთხშაბათს იხსენიება იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემა. „სახარების“ თანახმად, ოთხშაბათის ღამე უფალმა სიმონ კეთროვნის სახლში გაატარა. იმ დროს, მღვდელმთავრებს, მნიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი. მაცხოვართან ცოდვილი ქალი მივიდა, თაყვანი სცა და თავისი გულშემუსვრილების ნიშნად, 300 დენარის ნელსაცხებელი დაასხა — იმხანად ეს ძალზე დიდი თანხა იყო. დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, მაცხოვრის ერთ-ერთ მოწაფეს, იუდა ისკარიოტელს უმაღურ სულში ბოროტი ჩაუსახლდა და ქრისტეს გაცემა განიზრახა — დაებადა აზრი, მოძღვარი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის — მღვდელმთავრებისა და მნიგნობრებისთვის გადაეცა... დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურებისას, წმინდა ეკლესია განადიდებს დედაკაცის საქციელს და გმობს იუდას შემზარავ ცოდვას — ვერცხლისმოყვარეობასა და გამცემლობას.

## დიდი ხუთშაბათი

დიდ ხუთშაბათს წმინდა ეკლესია იხსენიებს საიდუმლო სერობას და საიდუმლო სერობისას ექვარისტიის



— ზიარების საიდუმლოს დაწესებას. სწორედ ამის ნიშნად აღესრულება ვნების შვიდეულის ხუთშაბათს სადღესასწაულო წირვა (ლიტურგია): „სახარებისეული მონათხრობით, დიდი ხუთშაბათის ტროპარითა და ამ დღის მსახურების ლოცვებით წმინდა ეკლესია მოგვიწოდებს და შეგვახსენებს, რომ ქრისტეს სისხლსა და ხორცს იუდა მიმცემელივით არ ვეზიაროთ“, — გვიკადაგებს არქიეპისკოპოსი სერაფიმი.

ბასილი დიდის წირვა, რომელიც დიდ ხუთშაბათს აღესრულება, უერთდება სერობას, ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარმა სწორედ საიდუმლო სერობის ჟამს დაადგინა ზიარების საიდუმლო. სერობისას აღესრულება ფეხბანის რიტუალიც: მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრები ფეხებს ჰბანენ თორმეტ მღვდელმსახურს. ამგვარად იხსენიება მაცხოვრის მიერ საიდუმლო სერობისას მოციქულების ფეხთბანვა. ამ ქმედებით უფალმა უკიდურესი თავმდაბლობა გვიჩვენა და მოგვცა მაგალითი თავმდაბლობისა.

დიდ ხუთშაბათს იხსენიება კიდევ ორი მნიშვნელოვანი „სახარებისეული“ მოვლენა: იესო ქრისტეს ლოცვა გეტსიმანიის ბაღში და იუდას მიერ მისი გაცემა ამბორით. დიდი ხუთშაბათი ერთადერთი დღეა მთელი წლის მანძილზე, როდესაც საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება.

ვნების შვიდეულის ხუთშაბათს საღამოს აღესრულება დიდი პარასკევის, ცისკრის მსახურება, რომლის დროსაც იკითხება „ათორმეტი სახარება“ — „სახარების“ თორმეტი მონაკვეთი, ოთხივე „სახარებიდან“ ამოკრებილი 12 ნაწყვეტი, სადაც მაცხოვრის ვნებანია აღწერილი. „ათორმეტი სახარების“ კითხვისას, მორწმუნენი ანთებული კელაპტრებით დგანან. ამ ქმედებით გამოიხატება სიყვარული და კრძალვა ჩვენი მსხენელის მიმართ, რომელმაც ადამიანთა გამოსახსნელად ჯვარცმა იტვირთა, ასევე ვიხსენიებთ, რომ მაცხოვარს ღვთაებრივი დიდება ტანჯვა-წამების დროსაც არ დაუკარგავს. მსახურების დასრულების შემდეგ, მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმას მიეახლებიან, მეტანიითა და ამბორყოფით სცემენ თაყვანს და ტაძარს ტოვებენ. თუკი სურვილი გაქვს, შეგვიძლია, „თორმეტი სახარების“ კითხვისას, ანთებული სანთელი ლამპრით წავილოთ შინ და შესასვლელი კარის თავზე, სანთლის ალისგან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ.

ეს ძველი ქრისტიანული ჩვეულებაა. კელაპტარი ერთი წლის მანძილზე, მომდევნო ვნების შვიდეულამდე უნდა შევინახოთ. მის წინაშე მაშინ უნდა ვილოცოთ, როდესაც ვნებებთან ბრძოლა გვჭირდება ან სხვა სახის განსაცდელი გვეწვევა.

**დიდი პარასკევი**

დიდი პარასკევი წლის ყველაზე მძიმე დღეა, რადგან სწორედ ამ დღეს მოხდა უფლის ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი. ვნების პარასკევის მსახურებაზე წმინდა ეკლესია იხსენიებს იესო ქრისტეს ვნებას და ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნას და დაფვლას. პარასკევის წირვა არ აღესრულება, ნიშნად იმისა, რომ უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად, კაცობრიობის ცოდვათაგან გამოსახსნელად. ცისკრის მსახურების დასრულების შემდეგ, მაგალობები და მეფსალმუნენი კითხულობენ სამეფო ჟამნებს, რომლის დროსაც, კვლავ იკითხება „სახარება“ ქრისტეს ვნების შესახებ...

ორ საათზე იწყება სერობა, რომელიც ჯვრიდან მაცხოვრის გარდამოხსნასა და დაფვლას ეძღვნება. საგალობლები, რომლებიც დიდი პარასკევის სერობისას იგალობება, იესო ქრისტესა და ჯვარცმას ასახავს. ტაძრის შუაგულში მზადდება შემადლებული, ყვავილებით მორთული საფლავი, რომელიც უფლის საფლავს განასახიერებს. ტაძრის საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე კი გარდამოხსნას დააბრძანებენ. შავით შემოსილი ღვთისმსახური ჯვარცმის გარშემო კმევას აღასრულებს. ამის შემდეგ იგალობება „მამაო ჩვენი“ და იკითხება ტროპარი: „მშენიერმა იოსებ ძელისგან გარდამოხსნა უზრუნველი გვაში შენი“ (მაცხოვარი ჯვრიდან ხომ იოსებ არიმათიელმა გარდამოხსნა). ამის შემდეგ, გარდამოხსნა საკურთხეველიდან გამოაქვთ, ტაძარში შემოატარებენ და შუაგულში საგანგებოდ მომზადებულ საღვამზე დააბრძანებენ, ნიშნად მაცხოვრის საფლავში დაფვლისა.

საღვთობა კვერცხი დიდ პარასკევის, მზის ჩასვლამდე უნდა შეიღებოს. ჭეშმარიტად მორწმუნენი ამ დღეს მკაცრად მარხულობენ, მხოლოდ პურსა და წყალზე გადადიან, ზოგი საერთოდ არ იხმევს საზრდელს.

**დიდი შაბათი**

დიდ შაბათს აღესრულება წმინდა ბასილი დიდის წირვა. ამ დღის მსახ-

ურებისას იხსენიება იესო ქრისტეს ხორციით საფლავში, სულით კი — ჯოჯოხეთში ჩასვლა. „დიდება მალაღიანის“ გალობით, ღვთისმსახურებს გარდამოხსნა ტაძრიდან გააქვთ და მის გარშემო შემოატარებენ, ნიშნად მაცხოვრის ჯოჯოხეთში შთასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა (დიდი შაბათი ვნების შვიდეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღეა, რამეთუ ამ დღეს შეიმოსა ბჭენი ჯოჯოხეთისანი. შაბათს მაცხოვრის სხეული იმყოფებოდა სამარხში, ხოლო სული ჩავიდა ჯოჯოხეთში, ამცნო გარდაცვლილთა სულს სიკვდილზე გამარჯვება, გამოიყვანა იქიდან მართალთა სულელები და სამოთხეში დაამკვიდრა, ე.ი. გაიხსნა სასუფევლის კარი). ამის შემდეგ, გარდამოხსნა კვლავ ტაძარში შემოაქვთ და ღია აღსავლის (საკურთხეველის) კარის წინ მიაბრძანებენ, რაც მიანიშნებს იმას, რომ იესო ქრისტემ, რომელიც განუყოფლად იმყოფება მამასთან, თავისი ჯვარცმული სიკვდილით, კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი.

გარდამოხსნას კვლავ ტაძრის შუაგულში დააბრძანებენ და იკითხება წინასწარმეტყველება, ეზუკია წინასწარმეტყველის წიგნიდან, გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომის შესახებ — მონაკვეთი სამოციქულოდან, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი აღდგომაა ყოველი ადამიანის სულისთვის; აგრეთვე — „სახარების“ ის მონაკვეთი, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დააყენეს მცველები მაცხოვრის საფლავთან, სამარხის კარი ღოდით ჩარაზეს და ზედ ბეჭედი დაასვეს.

ბასილი დიდის წირვას, რომელიც ვნების შვიდეულის შაბათს აღესრულება, მწუხრი უერთდება. ღვთისმსახური, საკურთხეველის ტრაპეზის ნაცვლად, ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ გარდამოხსნასთან მსახურობს. დიდი შაბათის მსახურების დასრულების შემდეგ იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ღვთისმსახურები, შავის ნაცვლად, სადღესასწაულო — ნითელი ფერის შესამოსლით იმოსებიან. ნითელი ფერები ცვლის ანალოლიის გადასაფარებელსაც და შავი ფერის კრეტსაბმელსაც — ნიშნად იმისა, რომ მაცხოვრის საფლავთან მისულმა მენღესაცხებლედ დაედგა ნათლის ანგელოზი იხილეს. წინასაღღესასწაულო მსახურების დასრულების შემდეგ, სამღვდელოება გარდამოხსნას საკურთხეველში შეაბრძანებს და იწყება საღვთობა ღვთის მსახურება.



## „ბენ გურის“ მისჯვით ახალ სტილს გადაიღებენ



50-იანი წლების ბლოკბასტერის — „ბენ გურის“ რეჟისორის, უილიამ უაილერის ვაჟიშვილი დევიდი, 1959 წელს გადაღებული და „ოსკარის“ 11 ჯილდოს მფლობელი ლეგენდარული სურათის სატელევიზიო ვერსიის გადაღებას აპირებს. 30-მილიონიანი პროექტის რეჟისორად, კრისტიან დიუგეი მიიწვიეს. გადაღებები წელსვე დაიწყება. სერიალის პროდიუსერი თავად დევიდ უაილერია, რომელიც ამბობს, რომ ახალი ფილმი უფრო ახლოს იქნება ამერიკელი მწერლის, ლიუ უოლასის რომანთან, ვიდრე 1959 წელს გადაღებული სურათი. სერიალში რელიგიური იდეის ჟღერადობა შედარებით შესუსტებული იქნება, მთავარი გმირი კი საგრძნობლად „გაახალგაზრდავდება“. ახალი ამბავი „ბენ გურის“ რიმეიკის გადაღების შესახებ, მსახიობ ჩარლტონ ჰესტონის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში გავრცელდა. შეგახსენებთ, რომ ჰესტონმა უაილერის სურათში მთავარი როლი ითამაშა.

## „ბუსი“ მუშეუფობის დამტყუანა

ინტერნეტში ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 6 თვეში, რუსეთის კინოეკრანებზე ახალი ფილმი — „მუშეუფობა დაბრუნება ანუ



## ლინდსი ლოჰანს სასამართლოში უჩივან

პირადმა მცველმა დევიდ კიმმა ცნობილი ვარსკვლავის ლინდსი ლოჰანის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. კიმი, ლოჰანისა და მისი კომპანიისგან 55 ათასი დოლარის გადახდას მოითხოვს. სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია, რომ დევიდ კიმმა ლოჰანთან 19 კვირის განმავლობაში იმუშავა, მსახიობს ფანატებისა და პაპარაცებისგან იცავდა და ზოგჯერ საკუთარ ფულსაც კი ხარჯავდა, მაგრამ ლოჰანმა ხელფასი არ გადაუხადა! მსახიობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დევიდ კიმს ლინდსისთან არასდროს უმუშავია.



ამერიკული პრესის ერთ-ერთმა ყველაზე სკანდალურმა პერსონაჟმა, ლინდსი ლოჰანმა მთავარი როლები ითამაშა ფილმებში: „ჭირიანი პარასკევი“ და „ცუდი გოგონები“. მსახიობმა სახელი გაითქვა 2004 წელს, როდესაც ეკრანზე ჯეიმი ლი კერტისთან ერთად გამოჩნდა.

კარდინალ მაზარინის საგანძური“ გამოვა. ადრე საიტის გამოცემები იუნსეებოდნენ, რომ სურათის პრემიერა 2008 წლის თებერვალში შედგებოდა, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ კომპიუტერული გრაფიკის შექმნას დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა. ფილმის მთავარი მოქმედი პირები მუშეუფობის — დ'არტანიანის (ბოიარსკი), ათოსის (სმეხოვი), პორტოსისა (სმირნიტსკი) და არამისის (სტარიგინი) შვილები იქნებიან. რეჟისორად კვლავ, ცნობილი ტელეფილმის — „დ'არტანიანი და სამი მუშეუფობი“ — შექმნილი გიორგი იუნგვალდ-ხილკევიჩი მოგვევლინება. სიუჟეტის თანახმად, გარდაცვლილი მუშეუფობები ზეციდან ადევნებენ თვალყურს საკუთარ შვილებს, რომლებიც მაზარინის საგანძურის პოვნას ცდილობენ. როდესაც ახალგაზრდებს გაუჭირდებათ, დ'არტანიანი ღმერთს თხოვნით მიმართავს და მეგობრები, შთამომავალთა დასახმარებლად, დროებით დედამინაზე ბრუნდებიან...

ფილმისადმი ინტერესის გასაღვივებლად, საიტზე ორსაათიანი სურათის სამუშაო მასალის 15-ნუთიანი რგოლია განთავსებული, სადაც მყურებელი ზეციდან დაბრუნებულ მუშეუფობებს ფილმის პრემიერამდე იხილავს.

## ქუნალისცი უბინების დღას დავა



ამერიკელმა ჟურნალისტმა და მუსიკალურმა კრიტიკოსმა ნილ ელპერტმა ემინემის დედის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ის ირწმუნება, რომ დები ნელსონის წიგნის — „ჩემი მარშალი, ჩემი შვილი ემინემი“ — ბრიტანეთში გაყიდვიდან მიღებული შემოსავლიდან, მისი კუთვნილი წილი არ მიუღია. როგორც ელპერტი ამბობს, იგი ნელსონს ცალკეულ თავების წიგნად შეკვრაში ესმარებოდა და მას, როგორც ლიტერატურულ აგენტს, მოგების 25% უნდა მიეღო! აღსანიშნავია, რომ ნილ ელპერტმა და დები ნელსონმა შესაბამის კონტრაქტს ჯერ კიდევ 2005 წელს მოაწერეს ხელი. სარჩელში ნათქვამია, რომ ბრიტანეთში უკვე ამ წიგნის 100000 ეგზემპლარი გაიყიდა.



ლალი შახია

სუნამო თანამედროვე ქალბატონის ცხოვრებაში ხომ ის ატრიბუტია, რომელიც მას ენერჯის, ცხოვრების სტიმულს, ხალისს მატებს; შესაბამისად, გუნება-განწყობილებას უზმჯობესებს და უმაღლებს. აღნიშნულ საღამოზე წარმოდგენილი ახალი სუნამოც, როგორც ხატიამ გვითხრა, სწორედ ახალგაზრდა, თანამედროვე, ენერჯული, მხიარული, მხნე ქალბატონებისთვის არის განკუთვნილი, რომელიც მათში ყველა შემოჩამოთვლილ თვისებას კიდევ უფრო აღვივებს და აძლიერებს.

პრესლანი კი სტუმრებისთვის შამპანურით საესე ჭიქების შეთავაზებით დაიწყო. მერე ხატიამ სტუმრებს სუნამო წარმოუდგინა და მასზე ვრცლად ისაუბრა; ყველაფერი კი კანაპუსა და ხილის ეგზოტიკური ასორტის დაგემოვნებით დაგვირგვინდა.

სახიზ ვაშუპია:

— „ბარბერი“ ის ბრენდია, რომელიც ინგლისის სამეფო ოჯახს სამოსს უკერავს და აქსესუარებს უმზადებს. სასიხარულოა, რომ ჩვენც გვერგო პატივი, ქართველი პარფიუმერიის მოყვარულებს ამ ბრენდის ახალი პროდუქტია შევთავაზოთ, რომლის პრეზენტაციებიც მანამდე, ამერიკაში, ინგლისსა და იაპონიაში შედგა და თან — მეტად უჩვეულო გარემოში, რადგანაც ორგანიზატორებს ყველგან „ბარბერის“ მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინება მოუხდათ, მათ შორის — ჩვენც. იყო მოთხოვნა, რომ შენობაში, სადაც პრეზენტაცია ჩატარდებოდა, ავეჯი არ მდგარიყო; სტუმრებს ხელში თეფში არ უნდა სჭეროდათ, რათა დისკომფორტი არ შექმნილიყო. მგონი, ყველაფერს წარმატებით გავართვით თავი.

მერე კი, რამდენიმე ცნობილ სტუმარსაც გავსაუბრე.

ირინა ონაშვილი, ჟურნალის რედაქტორი:

— როგორც ყველა ქალს, სუნამო მეც მიყვარს. ამასთან, მუდმივად თვალყურს ვადევნებ პარფიუმერიული კომპანიების ქსელში ახალ-ახალი სუნამოს გამოჩენას. ამის გამო, დღეს აქ დიდი სიამოვნებით მოვედი და ინტერესით გავეცანი ქალბატონებისთვის საქართველოში შემოტანილ სუნამოს, რომელიც „ბარბერი“ შემოგვთავაზა. ამასთან, დღევან-

# ქართველი ჟურნალისტები და

## მათი თანამედროვე სურნალები

„სუნამო ჩემს ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობდა მანამდეც, სანამ „ისი-პარის“ სახე გავცდებოდი და მას მერეც, რაც ამ კომპანიაში დავინყე მუშაობა“, — ამბობს ხატიამ შამუგია, რომელიც ცოტა ხნის წინ, აღნიშნულ კომპანიაში მარკეტინგისა და პიარის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშნეს. ხატიამ ახალი თანამდებობის რანგში პირველი ღონისძიება გასულ კვირას, ერთ-ერთ თბილისურ კლუბში გამართა, სადაც სტუმრებს „ბარბერის“ ახალი სუნამო — The Beat წარუდგინა. საღამოს კი პრესლანი დაარქვა, რადგანაც სტუმართა შორის, მხოლოდ მედიის წარმომადგენლები მიიწვია ანუ ჟურნალისტები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთიდან და ტელევიზიიდან...

დელი საღამო ძალიან მომწონს. ყველაფერი საოცარი გემოვნებით გავტედა და დახვნილად გამოიყურებოდა.

— დღის განმავლობაში სუნამოს რამდენჯერ იპყურებ?

— იმის დრო არ მაქვს, რომ დღის განმავლობაში ბევრჯერ ვიპყურო. თან ხელჩანთაში სუნამოს ჩასადები ადგილიც არ მაქვს (იციან). ამიტომ, ზოგჯერ შეიძლება, სახლიდან ისე გავიდე, რომ სუნამოს მიპყურება დამავიწყდეს. საერთოდ, მიყვარს მრავალფეროვნება, ერთი და იგივე სუნამო არასდროს მაქვს ამოჩემებული და სურნელს მუდმივად ვცვლი; მაგრამ დღის განმავლობაში სუნამოს სურნელის შეცვლა არ მიყვარს.

ბარინა სალუძევაძე, ტელენამყვანი:

— სუნამო ქალის ცხოვრებაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს. სახლიდან ისე არ გავალ, თუ არ ვიპყურე, რადგანაც ის ჩემს სასიათსა და გუნება-განწყობილებაზე დადებითად მოქმედებს. შეიძლება, საერთოდ, ცხოვრება არ მომინდეს, თუ სურნელი არ მომწონს. თან სუნამოს ამოჩემებაც ვიცი. ამბობენ, სწორედ ის სუნამო არის შენი, რომლის სურნელსაც ვერ გრძნობო...

— დღეში რამდენჯერ იპყურებ ხოლმე სუნამოს?

— ძირითადად, ერთხელ, დილაობით — სახლიდან გასვლის წინ. შემდეგ, დამოკიდებულია იმაზე, რას ვაკეთებ, სად მივდივარ, მნიშვნელოვან შეხვედრაზე თუ წვეულებაზე, რადგანაც სურნელს და არომატს ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სასიამოვნო სურნელით ადამიანებს შენ მიმართ დადებითად განწყობ.

— სუნამოში ფული არასდროს გენანება?

— არასდროს და

მირჩენია, ის ყოველთვის მე ვიყიდო, რადგანაც ყველა სუნამო ერთნაირად არ მიყვარს. ზოგი მაღიზიანებს კიდევ. შეიძლება, სხვას რომ ასხია, მომწონდეს, მაგრამ თვითონ არ შევიძინო. ამრიგად, ნაჩუქარი შესაძლებელია, ჩემი გემოვნების შესაფერი არ აღმოჩნდეს.

ინო პრაზაშვილი, ტელენამყვანი:

— როდესაც ვფიქრობ, ვლაპარაკობ ან ვიხსენებ ადამიანს, პირველ რიგში, რატომღაც, მასწენდება ის, თუ რა სურნელი დაჰყვება ხოლმე მას. მამაკაცებთან მიმართებაშიც ასეა. მიყვარს თბილი მამაკაცები, რომლებსაც გრილი სუნამოები ასხიათ.

— ხშირად ცვლი სუნამოს?

— იყო პერიოდი, როცა მეგონა, რომ ჯობდა, ერთი სურნელი მქონოდა, ყოველ შემთხვევაში, ერთ სეზონზე მაინც, მაგრამ მერე მივხვდი, რომ კაცებს ქალებისგან სიურპრიზები უყვართ... თუ ყოველდღე გამოცვლი სუნამოს, ამით არაფერს დავაშავებ მეთქი. ამიტომ, დღეს სხვადასხვა სუნამოს ვიყენებ. დილაობით, გადაცემის წინ, ვიზაჟისტის ოთახში თავდაბანილი რომ შევდივარ, ძალიან მიყვარს, თმაში სუნამოს მიპყურება და მერე ეს სურნელი მთელ დღეს მიმყვება, რაც კარგად მოქმედებს ჩემს განწყობილებაზე. ეს ჩემთვის დიდი კომფორტია. ■



როგორც ყველა ქალს, სუნამო მეც მიყვარს

24-დან 28 აპრილამდე, პირველად საქართველოში, კერძოდ კი ქალაქ ბათუმში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი — „ბიმინი“ გაიმართება. ეს ფესტივალი თავიდან — 2003 წელს ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩატარდა და მასში უამრავი ქვეყნის მულტიპლიკატორები მონაწილეობდნენ. მოგვიანებით, მათ ქართველი კოლეგებიც შეემატნენ: ნახატი ფილმები ქართული ანიმაციის განვითარების ფონდმა წარმოადგინა (ფონდი 2005 წელს ჩამოყალიბდა). მას შემდეგ, ფესტივალში საქართველო სისტემატურად მონაწილეობს.

ფონდის მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმები ქართველ მაყურებელს ჯერჯერობით არ უნახავს, თუმცა ისინი არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე წარუდგენიათ. ანიმაციური ფილმების ფესტივალის ჩვენს ქვეყანაში ჩატარების იდეა ქართველებს გაუჩნდათ, რასაც „ბიმინის“ დამფუძნებლებიც სიამოვნებით დათანხმდნენ. ამგვარად, წლეულს ფესტივალი, რიგის ნაცვლად, მზიან ბათუმში გაიმართება.



# ჩვენში ანიმაციური ფილმების გადაღება ისევ დაიწყეს

## საერთაშორისო ფესტივალი ბათუმში ჩატარდება

### მაია ლუღნიშვილი

**ზურაბ დიასამიძე**, ანიმაციის განვითარების ფონდის დირექტორი:



— 2005 წელს კომპანია „მი-ფა-სი ფილმი“ დაფარსეთ. იმ პერიოდში, ერთი დოკუმენტური ფილმი გადავიღეთ. ერთი წლის შემდეგ, ანიმაციური ფილმების გადაღებას მივყავით ხელი. საქართველოში მხატვრულ ფილმებს ძალზე იშვიათად, ანიმაციურს კი საერთოდ აღარ იღებენ, რადგან ეს გაცილებით რთული საქმეა. მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების მიხედვით, სამწუთიანი ვიდეოკოლაჟი შევქმენით. უკვე რამდენიმე ანიმაციური ფილმი გვაქვს გადაღებული, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით არავის უნახავს.

— რატომ?  
— ისევე, როგორც მხატვრული, ანიმაციური ფილმის წარმოებაც ბი-

ზნესთანაა დაკავშირებული. ყველაფერი მარკეტინგზეა დამოკიდებული. საჭიროა, დავაგროვოთ ფილმების გარკვეული რაოდენობა. უკვე დიდი ხანია, ქართული მულტიპლიკაციური ფილმი არავის გადაუღია. არადა, ჩვენი ბავშვები მუდმივად მიჯაჭვულები არიან ტელეეკრანს, სადაც ხშირად საშინელებებს უცქერენ. ჩვენს პატარებს, გვინდა, მათთვის გასაგები და საინტერესო ნახატი ფილმები შევთავაზოთ.

— ფესტივალ „ბიმინის“ საქართველოში ჩატარების იდეა რატომ გაგიჩნდათ?

— ფესტივალზე რიგაში ჩასულელებს, ერთხელაც დაგვბადა იდეა, მსგავსი დათვლიერება საქართველოშიც ჩაგვეტარებინა. სხვათა შორის, ფესტივალის ორგანიზატორების სურვილიც ის იყო, რომ „ბიმინი“ სხვა ქვეყანაში ჩატარებულიყო. ბუნებრივია, სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. მსგავსი ტიპის ფესტივალები ხშირად, პერიფერიებშიც იმართება. იმის გამო, რომ ბათუმელი ვარ, ანიმაციური ფილმების ფესტივალის ჩატარება სწორედ ბათუმში გადაწყვიტეთ (ფილმების ჩვენება და დაჯილდოების ცერემონია კინოთეატრ „თბილისში“ შედგება).

— წლეულს ფესტივალს ბევრი მონაწილე ჰყავს?

— ორმოცი ქვეყნიდან 500-ზე

მეტი ფილმი ჩამოგვივინდა. საკონკურსო პროგრამაში 6 ქართული ანიმაციური ფილმი იქნება ჩართული, აქედან ორი — პირველად იქნება ნაჩვენები. ერთი კლიპია და ერთი — სარეკლამო რგოლი.

— ვინ შეაფასებს გამარჯვებულებს? რა ნომინაციები გაქვთ დანესებული და რა იქნება მთავარი პრიზი?

— გრან-პრის საერთაშორისო ყიური გამოავლენს. საუკეთესო საბავშვო ფილმს კი თავად — ბავშვებისგან შემდგარი ყიური. საერთაშორისო ყიური ასევე გამოავლენს: საუკეთესო ქართულ ანიმაციურ ფილმს, სადებიუტო ნამუშევარს, საუკეთესო გამოყენებითი ანიმაციის ნიმუშს და საუკეთესო ექსპერიმენტულ ნამუშევარს. რაც შეეხება მთავარ პრიზს — საუკეთესო ანიმაციური ფილმის ავტორს ჩვენი ფესტივალის სიმბოლო — საგანგებოდ დამზადებული თოჯინა გადაეცემა.

— დაბოლოს, როგორია თქვენი გეგმები?

— გვინდა, ჩვენი საქმიანობით, ხელი შევუწყოთ ანიმაციური ფილმების განვითარებას — ეს სფერო ხომ ჩვენში ჯერჯერობით შეჩერებულია. პატარები ხარისხიან და შინაარსიან ანიმაციურ ფილმებს უნდა შევაჩვიოთ.



ვანა. ბინა დაცარიელდა და იქ წლების მანძილზე არავის უცხოვრია. დაახლოებით 3 წლის წინ, კორპუსით ერთ-ერთი საინვესტიციო კომპანია დაინტერესდა და იქ მცხოვრებლებს გამოუცხადა, რომ შენობა ავარიული იყო და უნდა დაეგრეთათ, მის ადგილზე კი კომერციული დაწესებულება აეშენებინათ. ბინები პრივატიზებული არ გახლდათ და ისინი, რეალურად სახელმწიფო ქონებას წარმოადგენდა. კომპანიის წარმომადგენლებმა მობინადრეებს, შერობიდან გასვლის სანაცვლოდ, გარკვეული თანხა შესთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ კამკამიძეებს იქ არ უცხოვრიათ, საკომპენსაციო თანხა მათაც აიღეს, — აღნიშნავს დაზარალებულის ადვოკატი.

საქმის მასალებში არსებული, მსჯავრდადებულის მეუღლის ჩვენების თანახმად კი აღებულნი საკომპენსაციო თანხიდან ზურაბ კამკამიძეს არაფერი შეხვედრია. „კომპანიის შემოთავაზების შესახებ პირველმა ზალიკომ შეიტყო. ისე, რომ ჩვენ საქმის კურსში არ ჩავგაყენა, კომპანიის წარმომადგენლებს გაურიგდა. თუკი ჩემი მეუღლის მშობლების გარდაცვალების შემდეგ, იმ ფართობზე მას რაიმე უფლება ჰქონდა, ასევე გვექონდა ჩვენც. მაგრამ გადაწყვიტა მხოლოდ თავად ესარგებლა და ჩვენთვის არაფერი ეთქვა“, — ამბობს მსჯავრდადებულის მეუღლე **თაზარ ლოჟანიძე**.

წყევს კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ შენობა დანგრევას გადაურჩა, მობინადრეებს კი ბინების პრივატიზების შანსი მისცეს. საქმის მასალების მიხედვით, ზაალ კამკამიძემ გამგეობას განცხადებით მიმართა და ფართობის თავის სახელზე გაფორმება და დაკანონება მოითხოვა. მოთხოვნა დაუკმაყოფილეს.

**თაზარ ლოჟანიძე:**

„რატომღაც ყველამ ერთბაშად დახუჭა თვალი უკანონობაზე. რატომ — დღემდე გაუგებარია. პასუხს არავინ მცემს. შემდეგ ისიც გავიგეთ, თურმე, ასეთი თაღლითური გზით მითვისებული ფართობის გაყიდვა გადაუწყვეტია. ეს ერთ-ერთი ნათესავისგან შემთხვევით შევიტყვევით. მისთვის ბინის გაყიდვაში დახმარება უთხოვია. ბუნებრივია, ჩემი მეუღლე გაბრაზდა, რადგან მისმა ძმამ ჩვენი ოჯახის მდგომარეობა შესანიშნავად იცოდა. იცოდა, რომ ჩემი დეიდაშვილის ბინაში ვცხოვრობდით. ჩემი დეიდაშვილი თავისი ოჯახით საზღვარგარეთ იყო, მაგრამ საშუალოდ იქ გაჩერებას არ აპირებდა და როცა ჩამოვიდოდა, იქურობა უნდა დაგვეტოვებინა. ღია ცის ქვეშ ვრჩებოდით. დედამიშვილისგან ასეთი გულცივი ნებისმიერს გამოიყვანს წონასწორობიდან. ჩემს მეუღლესაც ასე დაემართა. ბოლო დროს მოჭარბებული პრობლემების გამო, ისედაც ნერვიული და ფიცხი გახდა. ასეთ დარტყმას და ლალატს მისმა ფსიქიკამ ვეღარ გაუძლო“.

განაწყენებულმა ოჯახმა გამგეობის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა. თუმცა, ვიდრე სარჩელს განიხილავდნენ, ზაალ კამკამიძემ ვინმე გუბამ-

ვილთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა და ფართობი კანონიერად გაასხვისა. ეს რომ შეიტყვეს, გაცხარებული ზურაბ კამკამიძე და მისი მეუღლე, შვილებთან ერთად, ზემოთ აღნიშნულ ბინაში შეიჭრნენ და იქ თვითნებურად დაიწყეს ცხოვრება. საქმეში საპატრულო პოლიცია ჩაერია. სამართალდამცველებმა ოჯახს ბინა ძალით დაატოვებინეს, ზურაბ კამკამიძე კი დააკავეს, გაასამართლეს და ბინის ხელშეუხებლობისა და კანონიერი მესაკუთრის ინტერესების შელახვისთვის ორწლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდეს...

დაზარალებული მხარის ვერსიას შანტაჟისა და ფულის გამოძღვის მცდელობების შესახებ, მსჯავრდადებულის მხარე კატეგორიულად უარყოფს. მათი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით შელაპარაკება როგორც ძმებს, ისე მათ მეუღლეებს ერთმანეთში არაერთხელ მოსვლიათ, მაგრამ შანტაჟის ან მუქარისთვის არასდროს მიუმართავთ. „გარდაცვლილი სიდედრის ხსოვნას რომ პატივი მიაგო და მის საფლავთან ორი ჭიქა ღვინო დალია, ეს იყო სამარცხვინო და დასაძრახისი? იქ უამრავი ადამიანი იყო. ყველამ ნახა, რაც მოხდა. არავის დაუწერია ჩვენებაში და არც სასამართლოზე უთქვამს, რომ იქ რაიმე შეთქმულებას და წინასწარ დაგეგმილ „გარჩევას“ ჰქონდა ადგილი. იქ ისეთი ნათესავები და ახლობლები იყვნენ შეკრებილი, რომელთაც ჩვენს დავასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ და არც არასდროს მიუღიათ მონაწილეობა ამაში. წინასწარ რომ დაგეგმა ჩემს ქმარს ყველაფერი, იმდენ ხალხს არ დაასწრებდა ამ ფაქტს“, — აღნიშნავს მსჯავრდადებულის ცოლმა...

ოჯახში წარმოშობილ ამ დავამდე, ზურაბ კამკამიძე რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული არ ყოფილა. ის, რომ მკვლელობა მან პირობითი მსჯავრის პირობებში ჩაიდინა, განაჩენში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა და ამით განსასჯელის კონფლიქტურ ხასიათს და

ძალადობისკენ მის მიდრეკილებას გაუსვა ხაზი. შემამსუბუქებელი გარემოების სახით, მხედველობაში მიიღეს მისი მცირეწლოვანი შვილები, რომელთა ერთადერთი მარჩენალიც თავად გახლათ. ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისთვის საბოლოოდ, სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განაჩენი ორივე მხარე გაასაჩივრა. დაზარალებულმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ სასამართლომ დაუნდობელი და სასტიკი მკვლელობისთვის განსასჯელს სათანადო პასუხი არ მოსთხოვა და მისდამი ლოიალობა გამოიჩინა. მსჯავრდადებულის ადვოკატი კი საჩივარში ძლიერი სულიერი აღელვების პირობებში ჩადენილ დანაშაულზე ლაპარაკობს. მისი თქმით, წლების მანძილზე, სისტემატურმა შეურაცხყოფამ პიკს დანაშაულის დღეს მიაღწია და მსჯავრდადებული წონასწორობიდან გამოიყვანა... სასამართლოსთვის ორივე მხარის პოზიცია მიუღებელი აღმოჩნდა და განაჩენი ძალაში დარჩა.

„სასამართლოს ყველანაირი პირობა ჰქონდა, სამართლიანი განაჩენი გამოეტანა და დაეფიქსირებინა, რომ რაც მოხდა, მართლაც ძლიერი სულიერი აღელვების შედეგი იყო და არა წინასწარ განზრახული და დაგეგმილი ქმედების. ჩემი მეუღლე თავს არ იმართლებს, ის ისედაც დაისაჯა ყველაფრისთვის. ოღონდ სურდა, მართლმსაჯულებას დაენახა, რომ აქამდე უსამართლობამ მიიყვანა“, — აღნიშნავს მსჯავრდადებულის მეუღლე. დაზარალებული კი ამბობს, რომ უმძიმესი ცოდვისთვის დაუსჯელი არავინ დარჩება: „მეც მყავს არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც საკუთარმა ბიძამ დააობლა. მათ ამ ტკივილს ვერაფერი მოუშუშებს, ვერც ის — დამნაშავისთვის საშუალოდ პატიმრობა რომ მიესაჯათ. მაგრამ როცა უსამართლობას გრძნობ, ეს კიდევ უფრო გიმძაფრებს ტანჯვას. ვერაფერი მკვლელობისთვის ღმერთის წინაშე აგებს პასუხს. ამ ცოდვისთვის ერთხელ აუცილებლად განიკითხება“...

**ქალიფოსკოვი**

**ბუნასალ მრავალცოლიან სექტანტებს 137 გოგონა ნაჰვარეს**

როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, ტეხასის პოლიციამ მრავალცოლიან მორმონთა სექტის კუთნილი ფერმიდან 46 ქალი და ექვსიდან ჩვიდმეტ წლამდე ასაკის 137 გოგონა გამოიყვანა. პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ერთი შეხედვით მშვიდობიანი და თავიანთი სარწმუნოების ერთგული მორმონები გოგონებს განსაკუთრებული სისასტიკით ექცეოდნენ. მორმონთა ამ კონკრეტული ფერმით კი სამართალდამცავი ორგანოები მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც მიიღეს ინფორმაცია იქ მცხოვრები 16 წლის გოგონას შესახებ, რომელიც 50 წლის მამაკაცს ჰყავდა ცოლად და უკვე 8 თვის შვილსაც ზრდიდა. ასეთი ადრეული ქორწინება კი აშშ-ში უკანონოდ ითვლება.

როგორც „როიტერმა“ გაარკვია, ზემოთ აღნიშნული ტეხასური ფერმა 2003 წლიდან იესო ქრისტეს ფუნდამენტალისტური ეკლესიის მფლობელობაშია. ამ ეკლესიის წინამძღვარი უორენ ჯეფსი კი 2006 წელს გაუპატიურებაში თანამონაწილეობისთვის იყო დაპატიმრებული და 2007 წლის ნოემბერში 10 წლით ციხეც მიუსაჯეს. უორენ ჯეფსმა 14 წლის გოგონა აიძულა, თავის 19 წლის ბიძაშვილს გაჰყოლოდა ცოლად.

# მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰვადიმირ სუხოდაევი



დასაწყისი იხ. „გზა“ №44-15

სტალინის გახსენებისას, მარშალი როკოსოვსკი თავის წიგნში — „ჯარისკაცის ვალი“ წერდა: „...მორიგე მომახსენა, რომ არმიის მეთაურს სტალინი იძახებდა.

ეს ის დრო იყო, როცა მონინალმდეგე კვლავ ჩაგრავდა ჩვენს საჯარისო ნაწილებს, თუმცა უმნიშვნელოდ შეავიწროვა, მაგრამ მაინც... ერთი სიტყვით, აპარატისკენ მიმავალმა და უუკოვთან საუბრის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, ნათლად წარმოვიდგინე, თუ რა ჭეჭა-ჭუხილი დამატყდებოდა თავს. ყოველ შემთხვევაში, ყველაფრისთვის მზად ვიყავი.

ყურმილი ავიღე და ვუპატაკე, რომ სმენად ვიქეცი. პასუხად უმაღლესი მთავარსარდლის მშვიდი ხმა გავიგონე. მან მკითხა, როგორი მდგომარეობა იყო ისტრინსკის საზღვარზე იმ დროს. როდესაც ამაზე მოვახსენებდი, თან ვცდილობდი მეთქვა, თუ წინააღმდეგობის გასანევად რა ზომები გვქონდა მიღებული. მაგრამ სტალინმა რბილად შემანყვეტინა და მითხრა, რომ ჩემ მიერ მიღებულ ღონისძიებებზე ლაპარაკი საჭირო არ იყო. ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ, როგორც ხარდალს, მენდობოდა. საუბრის დასასრულს ბელადმა მკითხა, — რამდენად გვიჭირდა? როდესაც დადებითად ვუპასუხე, მითხრა:

— გთხოვთ, გარკვეული პერიოდ

კიდევ გაუძლოთ, დაგეხმარებით...

განა საჭიროა იმის თქმა, რომ უმაღლესი მთავარსარდლის ასეთი ყურადღება ძალიან ბევრს ნიშნავდა მათთვის, ვისაც ეს მართლა ესაჭიროებოდა, ხოლო თბილი, მამობრივი ტონი გვაგულიანებდა, თავდაჯერებულობას გვმატებდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ დილით არმიამი დაპირებული დახმარებაც მივიღეთ.

მარტვი უმაღლესმა მთავარსარდლმა აპარატში მიმიწვია და ზოგადი რჩევები მომცა მასშტაბური ოპერაციის მზადებასთან და იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი ეკისრებოდა ამ ოპერაციაში ბელორუსიის პირველ ფრონტს. შემდეგ, სტალინმა აზრი მკითხა. ოპერაციის გეგმის შემუშავებისას იგი ადრეც მართავდა ხოლმე ფრონტების სარდლებთან ასეთ საუბრებს. ჩვენთვის — ყოველ შემთხვევაში, ჩემს აზრს მოგახსენებდა — ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

...საღამო ხანი იდგა. ის იყო, სასაღილოში სავახშომოდ შევიკრიბეთ, რომ მორიგე ოფიცერმა მომახსენა, — უმაღლესი შტაბიდან სამთავრობო ტელეფონით გირეკავენო. აპარატთან უმაღლესი მთავარსარდლი იყო. მან მითხრა, რომ ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდლად მნიშვნავდნენ. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ აღელვებულმა, მაშინვე ვკითხე:

— რისთვის ასეთი სასჯელი?! რა, მთავარი მიმართულებიდან მეორეხარისხოვან უბანზე გადაგყავართ?

სტალინმა მიპასუხა, რომ ვცდებოდი: ის უბანი, რომელზეც გადაგყავდი, დასავლეთის საერთო მიმართულებას მიეკუთვნებოდა, რომელზეც სამი — მე-2 ბელორუსიული, პირველი ბელორუსიული და პირველი უკრაინული ფრონტები იბრძობებდნენ; ამ ოპერაციის წარმატება დამოკიდებული იქნებოდა ამ ფრონტების მჭიდრო ურთიერთქმედებაზე. ამიტომ სარდლების შერჩევას უმაღლესმა შტაბმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო.

როდესაც ჩემს გადაყვანაზე მელაპარაკებოდა, სტალინმა ისიც მითხრა, რომ პირველი ბელორუსიული ფრონტის სარდლად უუკოვი დაინიშნა. შემდეგ მკითხა:

— რას ფიქრობთ ამ კანდიდატურაზე? მე ვუპასუხე, რომ კანდიდატურა ძალზე ღირსეულია, რომ ჩემი აზრით, უმაღლესი მთავარსარდლი თავის მოადგილეს ყველაზე ნიჭიერი და ღირსეული გენერლებიდან არჩევს და უუკოვი სწორედ ასეთია. სტალინმა მითხრა, რომ კმაყოფილია ასეთი პასუხით. შემდეგ კი საკმაოდ

თბილი ტონით მომმართა და მაცნობა, რომ მე-2 ბელორუსიულ ფრონტს ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანა ეკისრებოდა, ამიტომ დამატებითი შენაერთებითა და საშუალებებით გაძლიერდებოდა.

— თუ თქვენ და კონევი წინ არ წაიწევთ, ამას უუკოვიც ვერ მოახერხებს, — დაასკვნა უმაღლესმა მთავარსარდლმა.

საუბრის დასასრულს სტალინმა განმიცხადა, რომ წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ შტაბისა და სამმართველოს იმ თანამშრომლებსაც წავიყოლებდი თან, რომლებთანაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვთანამშრომლობდი. მზრუნველობისთვის მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, რომ ვიმედოვნებდი, ახალ ადგილზეც შევხვდებოდი ნიჭიერ თანამშრომლებსა და კარგ ამხანაგებს. სტალინმა მოკლედ მიპასუხა:

— აი, ამისთვის კი მადლობელი ვარ! ეს საუბარი, თუ არ ვცდები, 12 ნოემბერს შედგა. მეორე დღეს კი ახალი დანიშნულების ადგილას გავემგზავრე“.

სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ, ბელადი, როკოსოვსკის, ისევე, როგორც შაპოშნიკოვს, მხოლოდ სახელითა და მამის სახელით მიმართავდა ხოლმე.

იმასაც ჰყვებიან, რომ ომის დამთავრების შემდეგ გამართულ ერთ-ერთ მიღებაზე სტალინმა ჰკითხა როკოსოვსკის:

„— ნაწყენი ხომ არ ხართ, რეპრესირებული რომ იყავით და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი პატიმრობაში გაატარეთ?“

როკოსოვსკიმ მშვიდად და მოკლედ უპასუხა:

— მე პარტიის რწმენა არ დამიკარგავს. დრო იყო ასეთი“.

ხანგრძლივად დადიოდა ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს ომის შემდეგ სტალინი ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა როკოსოვსკი, როგორც ადამიანი, რომელიც ქვეყანასა და არმიამი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა; ჰოდა, თითქოს სწორედ ამიტომ გაგზავნა იგი პოლონეთში 1949 წელს, მაგრამ ცნობილია, თუ რა საუბარი შედგა სტალინსა და როკოსოვსკის შორის, იქ გამგზავრების წინ. ბელადმა მას უთხრა:

„— ვითარება ისეთია, რომ საჭიროა, თქვენ ჩაუდგეთ სათავეში პოლონეთის სახალხო არმიას. ყველა საბჭოთა წოდება კვლავაც გრჩებათ, იქ კი — თავდაცვის მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პოლონეთის პოლიტიბუროს წევრი და მარშალი იქნებით. ძალიან მინდა, რომ დამთანხმდეთ, თორემ შეიძლება, პოლონეთი დაეკარგოთ. მოაგვარეთ საქმე პოლონეთში და კვლავ დაუბრუნდით თქვენს ადგილს. მოსკოვში არსებული თქვენი კაბინეტი მუდამ თქვენს განკარგულებაში იქნება!“

შვიდი წლის განმავლობაში როკოსოვსკი სათავეში ედგა სახალხო პოლონეთის არმიას, როგორც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ნაციონალური თავდაცვის მინისტრი და პოლონეთის ჯარე-



ბის მთავარსარდალი. მას მიენიჭა პოლონეთის მარშლის წოდება, იყო პოლონეთის სახალხო პარტიის პოლიტიკური წევრი და პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ხოლო, როდესაც 1956 წელს საბჭოთა კავშირში დაბრუნდა, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს.

ხრუშჩოვმა პიროვნების კულტთან დაკავშირებული მოხსენებით გამოსვლის შემდეგ, კონსტანტინ როკოსოვსკის სთხოვა, რაიმე ცუდი დაენერა სტალინზე. როკოსოვსკიმ, ისე, რომ დიპლომატიურ პასუხზე არც უზრუნია, მოკლედ მოუჭრა:

„— ნიკიტა სერგევიჩ, ამხანაგი სტალინი ჩემთვის წმინდანია!“

მეორე დღეს, როცა როკოსოვსკი სამსახურში მივიდა, მის კაბინეტში — თავდაცვის მინისტრის მოადგილის სავარძელში იჯდა მოსკალენკო, რომელმაც გაუწოდა ბრძანება, თანამდებობიდან მისი მოხსნის შესახებ. ასე ექცეოდა ხრუშჩოვი „არაკეთილსამედო ადამიანებს...“

დიდ პატივს სცემდა სტალინი შაპოშნიკოვს. ბელადი იცნობდა მის ფუნდამენტურ სამტომეულს — „არმიის ტვინი“, მის სხვა ნაშრომებსაც. 1940 წლის 7 მაისს შაპოშნიკოვს მიენიჭა უმაღლესი სამხედრო წოდება — საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. ერთი წლის შემდეგ კი, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, იგი ქვეყნის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნა.

ომის დაწყებიდან მეორე დღეს — 1941 წლის 23 ივნისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და პარტიის ცეკას დადგენილებით, შაპოშნიკოვი უმაღლეს შტაბთან ჩამოყალიბებული, მუდმივ მრჩეველთა ინსტიტუტის შემადგენლობაში შეიყვანეს. 1941 წლის 30 ივლისს, სტალინის წინადადებით, გენერალური შტაბის უფროსად და უმაღლესი მთავარსარდალობის შტაბის წევრად დანიშნეს.

მარშალი ვასილევსკი, რომელიც დიდხანს მუშაობდა შაპოშნიკოვთან ერთად, ომის შემდეგ წერდა: „როდესაც შაპოშნიკოვთან ერთად კრემლში მივემგზავრებოდი ხოლმე, საშუალება მქონდა, თვალნათლივ დაერწმუნებულიყავი იმაში, თუ რა დიდ პატივს სცემდა მას სტალინი. უმაღლეს მთავარსარდალთან უშუალო კონტაქტში მუშაობისას შაპოშნიკოვი მას მოახსენებდა გენერალური შტაბის მიერ მომზადებულ ინფორმაციას, აწვდიდა არგუმენტირებულ წინადადებებს, რომელთა საფუძველზეც, უმაღლესი შტაბი შემდგომში, დირექტივებს გასცემდა. სტალინი მუდამ დიდი ყურადღებით ისმენდა შაპოშნიკოვის რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავდა, რომ უმაღლესი მთავარსარდალი მუდამ ეთანხმებოდა მას. მე მგონია, ბელადი განსაკუთრებით აფასებდა შაპოშნიკოვს იმისთვის, რომ საკუთარ მსჯელობას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, არასოდეს აგებდა იმ მოსაზრებაზე, რომელ-

იც უკვე ტრიალებდა შტაბში. მას შეეძლო, ღირსეულად დაეცვა საკუთარი შეხედულებები, თუ დარწმუნებული იყო მათ სისწორეში.

მაგრამ სტალინმა ისიც იცოდა, რომ თუ გადაწყვეტილებას საბოლოოდ მიიღებდნენ, შაპოშნიკოვი მას აუცილებლად განახორციელებდა, მიუხედავად იმისა, ემთხვეოდა იგი მის მოსაზრებას თუ არა. იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები, სტალინი სულ უფრო მეტად იცავდა წესს — ყოველგვარი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება სამხედრო საქმეში მხოლოდ გენერალური შტაბის უფროსის წინასწარი მოხსენების შემდეგ მიეღო.“

როცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შაპოშნიკოვი გენშტაბიდან წავიდა, ის სამხედრო აკადემიის უფროსად დანიშნეს. სტალინი უწინდებურად ხშირად ურეკავდა მას, ინვევდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და

უმაღლესი შტაბის სხდომებზე.

შაპოშნიკოვი ვერ მოესწრო დიდი გამარჯვების დღეს. მოსკოვში, ნითელ მოედანზე დაკრძალვის დღეს, 1945 წლის 28 მარტს, გაისმა უმაღლესი მთავარსარდალის, საბჭოთა კავშირის მარშლის სტალინის ბრძანება:

„...საბჭოთა კავშირის არმია და ფლოტი თავიანთ საბრძოლო დროშებს დაბლა ხრიან შაპოშნიკოვის კუბოს წინ და პატივს მიაგებენ ნითელი არმიის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მხედართმთავარს.

ვბრძანებ:

საბჭოთა კავშირის მარშალ შაპოშნიკოვის დაკრძალვის დროს, უკანასკნელი სამხედრო პატივი მიეგოს გარდაცვლილს და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში, ასოცდაოთხი ზარბაზნიდან ოცდაოთხი ზალბი გაისმას.“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნომერი ინილით: 2 პოსტარი

18 აპრილიდან იყიდა

ოპარასია ვაულიანის არმიის გადასარჩანა

1000 პარტული ყუბარსაბურსანი

და გოლის გარბოვის 80 წელი

ათასი პარტული ყუბარსაბურსანი

ფუბიითის გარბოლა

რატომ მოხდა სააკლასიო აჯანყება საქართველოში

ყველაზე კასური შურალი არა მარტო მაგაკასაბისთვის

„ჯინაბა საფანაზი ზაბიყა...“

# ქიქა ყავით „განმცვივებუდი“ სპექტაკლი

## და მსახიობი-მიმცანები რუსთავის ადგილობრივ თეატრში

### მაია ლუკინიძე

ამბობენ, ცხოვრებაში ერთი დიდი ოცნება მაინც სრულდებაო. რუსთაველი ახალგაზრდების ნაწილისთვის ასეთი დიდი ოცნება — მშობლიურ ქალაქში ახალგაზრდული კულტურული კერის არსებობა გახლდათ. ეს იდეა სამი წლის წინ გაჩნდა — როდესაც რეჟისორმა ლაშა ნოზაძემ საკუთარი პიესის მიხედვით, სპექტაკლი — „არ გადამრიო“ დადგა. დასმა სპექტაკლი ლიტერატურული თეატრის სცენაზე მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა. საკუთარი შენობის არარსებობის გამო, „არ გადამრიო“ თბილისში, „თეატრალურ სარდაფში“ (რუსთაველზე) გადანიშნულა და დიდი წარმატებაც ზედა წილად. სამი წლის წინ ჩაიფიქრებული, ამ ცოტა ხნის წინ რეალობად იქცა: რუსთაველი ალტერნატიული — ე.წ. კლუბური თეატრი „ბრაგო“ გაიხსნა. რას ნიშნავს „კლუბური“? — ამას მისი მესვეურები განგვიმარტავენ. მანამდე კი გაცნობებთ, რომ ახალი თეატრის საზეიმო გახსნას, ადგილობრივებთან ერთად, თბილისიდან ჩასული, ცნობილი ხელოვნებრივ ესწრებოდნენ. რუსთაველის თეატრის მსახიობმა, ნანუკა ხუსკვივაძემ ახალგაზრდა კოლეგებს „ჯადოსნური საღამოს გმირები“ უწოდა. ის რუსთაველური შოუს — „დასის“ მონაწილეებთან ერთად სტუმრობდა.

„ბრაგოს“ პირველი მაყურებლის სამსჯავროზე ლაშა ნოზაძის პრემიერა — სპექტაკლი „პიკეტი“ წარმოადგინეს, რომელშიც ორი მსახიობი: ანა შარვაძე და გიორგი ტრაპაიძე მონაწილეობენ.

ილეობენ. სპექტაკლმა დევიზით — „ვისისტი ხარ, ბიძია, შენ?“ — სრული ანშლაგით ჩაიარა.

### ლაშა ნოზაძე:

— სპექტაკლი ორი მეზობლის ურთიერთობაზეა აგებული და ორად გახლეჩილი საზოგადოების ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს. მესამე პერსონაჟი — „რადიო ჰიტლერი“ გახლავთ, რომელიც მხოლოდ „ზემოდან“ ემინება ამ ადამიანებს და დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს... გვინდოდა, მხატვრული ფორმით გვეთქვა, რომ ერის ორ ნაწილად გახლეჩა მათ შორის კედლის წარმოქმნის საშიშროებას შეიცავს. ამას წინააღმდეგ ვსაუბრობდით და ვხუმრობდით: ქალი და მამაკაცი წესით, ერთმანეთს უნდა ეპრანჭებოდნენ, დღეს კი ვიდრე გაიხდიან, ერთმანეთს ეკითხებიან — „ვისისტი“ ხარო?.. ქართველი ახალგაზრდა უნდა იყოს: „ერისტი“, „ლემერისტი“, „სიყვარულისტი“ და „ერთმანეთისტი“ — აი, ეს გახლავთ ჩვენი სპექტაკლის მთავარი სათქმელი.

### როგორც ვიცი, უკვე ორ ახალ სპექტაკლზე მუშაობთ. რას შეთავაზებთ უახლოეს მომავალში „ბრაგოს“ მაყურებელს?

— ამ დღეებში „ბრაგოს“ სცენაზე კიდევ ერთი პრემიერა შედგება. სპექტაკლს „კრიტი“ ჰქვია. მოგესვენებათ, კრიტი საპატიმროს ის ნაწილია, სადაც პატიმრებისთვის განსაკუთრებით მკაცრი პირობებია შექმნილი. სცენარი ჩემი დანერგულია. მთავარი გმირი ბერი არსენია, რომლის თავგადასავალში ორი ისტორიული პიროვნების — მამა არსენისა და გაბრიელ ქიქოძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებია გაერთიანებული... „კრიტის“ შემდეგ ჩვენს სარეპერტუარო ნუსხაშია სპექტაკლი — „ნარკოლოგია“. რაშია ნარკომანიის ლოგიკა? — აი, კითხვა, რომელსაც ამ სპექტაკლით გვინდა გავცეთ პასუხი. როლები უკვე განანიღბ-




ბულია და მალე რეპეტიციებსაც დავიწყებთ. რამდენიმე დღის წინ, ჩვენი თეატრის ბარში, განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოვადგინეთ სპექტაკლი „არ გადამრიო“, რომელიც თეატრალურ სარდაფში (რუსთაველზე) სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. გადაწყვეტიეთ, ის ერთგვარ შოუდ გვექცია, რომელშიც ძალზე ბევრი იმპროვიზაციაა. რადგან ჩვენს თეატრს კლუბური თეატრი ჰქვია, ამგვარი ექსპერიმენტები საჭიროა.

### რამდენად შესაძლებელია, ერთ შენობაში თეატრიც იყოს და ბარიც?

— მართალია, თეატრის და ბარის გარემო ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდება, მაგრამ ვცდილობთ, მათი საინტერესო სინთეზი შევთავაზოთ საზოგადოებას. დარბაზიდან გამოსულ მაყურებელს ბარში, სპექტაკლის თემატიკის შესაბამისად შემოსილი მიმტანები დახვდებიან. მთავარი კი იცით, რა არის?... თუკი ადამიანს სურს, დაისვენოს, მიცვთ მას სრულყოფილი დასვენების საშუალება; სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ყავის დასალევად, საკუთარი შთაბეჭდილებების ერთურობისთვის გასაზიარებლად, აქვე შევთავაზოთ შესაფერისი გარემო. კიდევ ერთი უპრეცედენტო შემოთავაზება გვექნება ჩვენი სტუმრებისთვის: სპექტაკლებს ბარშიც წარმოვადგენთ. მსახიობები მიმტანების როლში იქნებიან, თან როლს შეასრულებენ, თან სტუმრებს მოემსახურებიან. ჩვენი დევიზია — ეს არის თეატრი კარის გარეშე, აქ ყველას ადგილია...

### გაგი ლიპარტიანი, თეატრის მენეჯერი:

— ძალიან დიდ საქმეს შეეჭვიდეთ. აქ თითოეული დეტალი ჩვენი შექმნილია. ამ დღეს დიდხანს ველოდით,



ძალიან დიდ საქმეს შეეჭვიდეთ (გვგა ლიპარტიანი და გვიად კუჭაყმაძე)

გვინტერესებდა, როგორ მიიღებდა საზოგადოება ჩვენს ნამოწყებს. მზად ვართ, ჩვენს სტუმრებს მრავალფეროვანი პროგრამა შევთავაზოთ. დიდი შრომა ჩავდეთ, რომ აქ მოსულ საზოგადოებას ჩვენი ნამუშევარი მოსწონებოდა და ვფიქრობ, ეს მოვახერხებ — სახეებზე კმაყოფილება ეტყობოდათ. ჩვენი მიზანი იყო, აგვეშენებინა დიდი სახლი, სადაც ყველა ერთად ვიცხოვრებდით: კლუბური თეატრი „ბრავო“ ყველას სახლი უნდა იყოს.

**ზვიად კეჭაყვანიძე, თეატრის დირექტორი:**

— „ბრავოს“ დიდი მიზნები აქვს დასახული. გარდა იმისა, რომ ჩვენს მაცურებელს სპექტაკლებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებას შევთავაზებთ, ვუმასპინძლებთ აგრეთვე სხვა თეატრების სპექტაკლებს. თავის მხრივ, ჩვენი დასი გაემგზავრება გასტროლებზე. უკვე გვაქვს შემოთავაზებები რამდენიმე თეატრიდან. „ბრავოს“ პირველ სტუმრებს შორის კი რეალური შოუ „დასის“ მონაწილენი იყვნენ. 4 და 5 აპრილს მათ, რობერტ სტურუასა და გოგი ქავთარაძის პიესის მიხედვით, სპექტაკლი „ბრალდება“ წარმოგვიდგინეს, რომელიც რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ცოტა ხნის წინ ნანუკა ხუსკივაძემ დადგა.

**დავით ჭალიძე, მსახიობი:**  
— ამ თეატრის მიმართ გან-

საკუთრებული სიყვარული იმიტომ გვაქვს, რომ ძალზე ბევრი რამ საკუთარი ხელით გავაკეთეთ. რამდენიმე კვირის განმავლობაში თეატრი ავეჯის საამქროს ჰგავდა, სადაც თეატრისა და ბარის ინვენტარი მზადდებოდა. ეს დამღლელი, მაგრამ ამასთანავე, ძალიან სახალისო პროცესიც გახლდათ. მთელი ღამე შრომაში ისე გადიოდა, ვერც ვიგებდით. საბედნიეროდ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მაცურებელს „ბრავო“ იმაზე მეტად მოეწონა, ვიდრე გვეგონა. ამჟამად კიდევ ერთი პრემიერისთვის ვემზადებით — მხედველობაში მაქვს „კრიტი“, რომელშიც ერთ-ერთ როლს ვასრულებ. ძალიან საინტერესო სიუჟეტი. ვფიქრობ, მაცურებელში ის დიდ ემოციას გამოიწვევს.

მიხარია, რომ ისეთ თეატრში აღმოვჩნდი, როგორზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი.

**თაზ ზარვაშიძე, მსახიობი:**

— „ბრავო“ ადამიანების იმ გუნდმა შექმნა, ვისი დევიზიცაა: თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს, კარგად ვერ იმღერებო. ეს თეატრი დიდი სიყვარულის შედეგია. ყველაფერი კარგად დაი-

წყო, გვინდა, ასევე გაგრძელდეს. როცა რაიმეს საკუთარი ხელით ქმნი, მას განსაკუთრებული რუდუნებით ეპყრობი. ამასთანავე, ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, ეს არის ის ადგილი, სადაც საკუთარი შესაძლებლობების სრული გამოვლენის საშუალება შემეძლება. ყველა ჩვენგანისთვის, ვინც ამ სცენაზე უნდა ვიდგეთ, მთავარი სწორედ ეს არის.


**ანა ზარვაშიძე, მსახიობი:**

— მე და გიორგი ტრაპაიძეს განსაკუთრებული მისია დაგვეკისრა: რუსთაველი პირველი ახალგაზრდული თეატრი იმ სპექტაკლით გაიხსნა, რომელშიც ჩვენ ვთამაშობთ. ეს ძალზე საპასუხისმგებლოა, ამავე დროს — დიდი ბედნიერებაც. იმედი მაქვს, კარგი ფეხი გვექნება (იცინის)...



ეს თეატრი დიდი სიყვარულის შედეგია (ანი ზარვაში და გოგი ტრაპაიძე „პიეტრო“)

# არ გაუმობრჩეთ! აპრილის ნომერი



**თქვენ სოც გაგოვნებიანი  
გაითხველი ბრკანდავით...**

# პოლონეთის პრაზილატა რუსეთის პარტოლადილაბლურ ქალასიასთან ურთიაროტოტა გაირთულა



უკრაინის და პოლონეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილისათვის მზადების პერიოდში, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განმტკიცებას ისახავს მიზნად. დეკლარაციის მიხედვით, ვიქტორ იუშჩენკო და ლეხ კაჩინსკი „ევრო-2012“-ს არა მარტო „მსოფლიო მასშტაბის სპორტულ მოვლენად“,

არამედ იმ „მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროექტადაც“ მიიჩნევენ, რომელსაც ამ ორი სახელმწიფოსთვის „განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და პრესტიჟული მნიშვნელობა ექნება“.

ევროპული პირველობის მომზადებისას, მხარეებს პირველ რიგში, „სპორტულ, სატრანსპორტო, სასტუმრო, ტურისტულ და ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურებში ურთიერთთანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარება, ორი ქვეყნის საზღვარზე დამატებითი გამშვები პუნქტების გახსნა და ჩემპიონატის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში უკრაინისა და პოლონეთის მოქალაქეებისთვის საზღვრის გადალახვის რეჟიმის გამარტივება“ აქვთ განზრახული. დეკლარაციაში ასევე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „ევრო 2012“-ის საჭიროებებისთვის საინვესტიციო რესურსების მოზიდვასა და ფეხბურთის მატიჩების მიმდინარეობისას, როგორც სპორტულ ობიექტ-

ბზე, ისე მათ ფარგლებს გარეთ უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფაზეც“.

ერთი სიტყვით, დეკლარაცია და მისი ხელმოწერის აქტი დიდად გამორჩეული არ იქნებოდა, ამის შემდეგ, იუშჩენკო და კაჩინსკი პოლონეთში მცხოვრებ უკრაინელებს რომ არ შეხვედროდნენ. შეხვედრა დასაწყისშივე იძულებით დატოვეს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებმა, რომლებიც პოლონეთის პრეზიდენტმა ლონისძიებაზე დასასწრებად მიწვეულთა შორის საერთოდ არ მოიხსენია, — მაშინ, როდესაც ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის (უნიატების) შეხვედრაზე ყოფნას საგანგებოდ მიესალმა(!). მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მომხდარი მაშინვე „სკანდალად“ მონათლეს, კაჩინსკის კანცელარიიდან მას ოფიციალურად ჯერაც არავინ გამოხმაურებია.

## ბუში ჩინიზა საგჯარ ღარიბია

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ბიუჯეტი უკვე მერამდენე წელია, დეფიციტურია, ხოლო ამერიკის მოქალაქეების კეთილდღეობა მცირდება, ქვეყნის ხელმძღვანელთა საოჯახო ბიუჯეტებზე ეს ძალზე ნაკლებად თუ აისახება. თერთმა სახელმა ბუშისა და ჩეინის საოჯახო წყვილების შემოსავლების დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ და მისმა მეუღლემ 2007 წელს 3 მილიონ დოლარზე მეტი გამომიშუშავეს, ხოლო მისმა უშუალო უფროსმა ჯორჯ ბუშმა და მისმა მეუღლემ, ერთ მილიონსაც კი ვერ მოუყარეს თავი.



ამერიკის ლიდერმა, მეუღლე ლორასთან ერთად, შარშან 924 ათასი დოლარი „იშოვა“, საიდანაც 204 ათასი გადასახადებში წავიდა. პრეზიდენტის ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ბუშის ხელფასმა (400 ათასი დოლარი) შეადგინა; კიდევ 220 ათასი ცოლ-ქმარმა საინვესტიციო საქმიანობიდან მიიღო. გარდა ამისა, ლორამ, რომელმაც უფროს ქალიშვილ ჯენისთან ერთად, საბავშვო წიგნის დაწერა გადაწყვიტა, დამატებით 150 ათასი დოლარი გამოი-

მუშავა. საერთო ჯამში, 2007 წელი ბუშებისთვის, წინა წელთან შედარებით, 158 ათასი დოლარით უფრო შემოსავლიანი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ „მეგობარ დიკის“ ხელფასი პრეზიდენტისაზე თითქმის ორჯერ ნაკლებია და წელიწადში მხოლოდ 212 ათასს შეადგენს, ოჯახის საერთო შემოსავალმა მაინც 3 მილიონ დოლარს (აქედან 600 ათასი გადასახადებში წავიდა) გადააჭარბა. ხელფასის გარდა, 65 წელს მიღწეულმა ჩეინიმ 2007 წელს,

სარკინიგზო კომპანიის — Union Pacific Corporation-ისგან, რომელსაც ოდესღაც თავად ედგა სათავეში, პენსიის სახით, 32 ათასი დოლარიც მიიღო. შეერთებულ შტატებში იმაზეც ბევრს ლაპარაკობენ, რომ დევიდ ლესარისთვის სატრასტო მმართველობაში საქმეების გადაცემის მიუხედავად, ჩეინი შემოსავლებს კომპანია Halliburton-სგანაც უწინდებურად იღებს. ამ აზრს ის გარემოებაც ამყარებს, რომ ერაყში ომის დაწყებისთანავე, ჯარების მომარაგების მიზნით, პენტაგონის შეკვეთების უმეტესობა სწორედ Halliburton-მა მიიღო. ხოლო თავად ჩეინის, რომელიც ბალდადში ბლიცვიზიტებით ხშირ-ხშირად ჩადიოდა, უმეტესწილად, ჯარისკაცებთან კი არა, ზურგის მუშაკებთან ჰქონდა ურთიერთობა. არანაკლები შემოსავალი აქვს ჩეინის მეუღლესაც, რომლის წიგნებშიც წარმატებით იყიდება და არც ამერიკის მენარმეობის ინსტიტუტში იღებს ურიგო ხელფასს.

ბუშებმა ჩეინებს საქველმოქმედო საქმიანობაშიც კი ვერ გაუსწრეს. პრეზიდენტის ოჯახმა 2007 წელს ქველმოქმედებაზე — 167 ათასი დოლარი, ჩეინებმა კი ათასი დოლარით მეტი გაიღეს.

### ფინანსური კრიზისის დასრულებამდე 100 დღე რჩება...

„ბირჟებზე არასტაბილურობას ბოლო არ უჩანს, ხოლო კრიზისი მოსალოდნელზე უფრო დიდხანს გაგრძელდა“ — ასეთ უნ-უგემო დასკვნამდე მივიდნენ ვაშინგტონში ახლახან გამართული, ფინანსური „დიდი შვიდეულის“ შეკრების მონაწილენი. ფინანსთა მინისტრების თავშეყრას, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიოს ცენტრალური ბანკებისა და უმსხვილესი საინვესტიციო კორპორაციების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურმა ბენ ბერნანკემ გულახდილად თქვა, რომ 2008 წლის კვარტალი I-ზე არანაკლებ მძიმე იქნება. შეხვედრის მონაწილეებმა დოლარის ძალზე სწრაფი დასუსტების გამოც გამოთქვეს შეშფოთება. მათი აზრით, ამერიკული ვალუტა სულ უფრო იაფდება, ხოლო ევრო, ჩინური იუანი, იაპონური იენი — პირიქით, მეტისმეტად სწრაფად მყარდება, რაც ყველა რეგიონს ზიანს აყენებს.

შექმნილი სიტუაციის სირთულემ და მასშტაბებმა ფინანსისტებს სიმშვიდის შენარჩუნებასა და ეკონომიკის გადარჩენის ასდღიანი გეგმის შემუშავება-შეთანხმებაში ხელი მიიწვევს. დოკუმენტის თანახმად, „დიდი შვიდეულის“ ყველა ქვეყანამ უნდა გააპკაცროს კომპანიების ანგარიშებზე ბაზრების მარეგულირებელთა კონტროლი. ამას ერთი მიზანი აქვს: ბაზრები უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს, ინვესტორებმა კი რისკების სათანადო შეფასება უნდა ისწავლონ (შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი მას შემდეგ დაიწყო, რაც სარეიტინგო და სადაზღვევო სააგენტოები იპოთეკური ფასიანი ქაღალდების საიმედოობის შეფასებაში შეცდნენ).

გარდა ამისა, ცენტრალურმა ბანკებმა ითხოვეს, იმისთვისაც ყურადღებით ედევნებინათ თვალყურს, რომ კომერციულ ბანკებს შესაძლო ზარალის დასაფარავად, ნაღდი ფული ყოველთვის საკმარისად ჰქონდეთ. „დიდი შვიდეულის“ მონაწილეები გამოთქვამენ იმედს, რომ მათი გეგმა „არა მარტო მსოფლიო ფინანსური სისტემის უფრო ხანგრძლივი პერიოდით გამტკიცების, არამედ ბაზრების მუშაობის გაუმჯობესების საშუალებასაც შექმნის“.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, საფინანსო ჩინოვნიკებს ბიზნესმენებზე უცხადებენ სოლიდარობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი კომპანიების აქციები კვლავაც უფასურდება.

„საკრედიტო კრიზისიდან დაზარალებული ინვესტორებისა და საფინანსო კომპანიებისთვის „გვირაბის ბოლოს შუქს“ ვხედავ. კრიზისი კი არ იწყება, უფრო — დასასრულს უახლოვდება“, — განაცხადა ბანკ Goldman Sachs-ის მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ლოიდ ბლენკფენიმმა, რომლის ოპტიმისტურ პროგნოზს ბანკ Morgan Stanley-ს მეთაურიც იზიარებს. ■

რუბრიკა მოამზადა რუსულან ლეპანიძემ

## „არისტოკრატთა“ ლხინი

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ, ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელებმა — ჯონ ტერიმ, ფრენკ ლამპარდმა, ჯო კოულმა და სხვებმა ლონდონის ერთ-ერთ ლამის კლუბს მიაშურეს. იქ ისინი შამპანურსა და არაყს მიირთმევდნენ და ლამაზმანებთან ერთად კარაოკეით ერთობოდნენ. მაგალითად, „არისტოკრატთა“ კაპიტანმა კლუბის დიჯეისთან ერთად, ცნობილი სიმღერა — Roses Are Red შეასრულა, ხოლო მისივე ბალაკმა იმპროვიზაციის ნიჭით გამოიჩინა თავი და ბრევიდანსი იცეკვა. ამით მან კლუბში მყოფთა წინაშე თავისი მრავალმხრივი ნიჭი გამოავლინა. „ჩელსის“ დანარჩენი მოთამაშეები ტახტზე დაბრძანებულ იყვნენ და ნახევრად შიშველი გოგონების ცეკვას ადევნებდნენ თვალყურს. ლონდონური კლუბის ყოფილმა მკვარემ, ლენი პიჯელმ კი იმ ღამეს, რბილად რომ ვთქვათ, დიდად ვერ გამოიჩინა თავი: ის ისე დათვრა, რომ საკუთარი ფეხით კლუბის დატოვება ვეღარ შეძლო. „ბარმენმა უფასოდ მისცა მას ერთი ბოთლი არაყი. მალე ლენის ფეხზე დგომა აღარ შეეძლო...“ — იხსენებს კლუბის ერთ-ერთი კლიენტი. ■

## მოგოსკოვსა და „ფორმულა 1“-ს ლამაზმანები დაეშვენიები

გოგონები: ტესი, სარა, სტეფანი, ემა, ჰოლი, ემი, კიდევ ერთი ემი, დონა, მეგანი, სტეისი (ფოტოზე) და ნატალი, სუპერბაიკის ბრიტანული და მსოფლიო ჩემპიონატების სხვადასხვა ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას. მომავალი 12 თვის განმავლობაში სწორედ ეს ლამაზმანები დაამშვენებენ გრან-პრის სასტარტო მონაკვეთს. აღსანიშნავია, რომ ამას წინათ მათ The Sun-ის მიერ მონაცემილ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. გარდა ამისა, ინგლისურმა ტაბლოიდმა ლამაზმანები კიდევ ერთი პრესტიჟული შეჯიბრების — „ფორმულა 1“-ისთვის შეარჩია. მათ შორის მოხვდნენ: ელიზაბეტ გრეგორაჩი (ფაბიო ბრეატორეს გატაცების ობიექტი), ლუნა ფიზიკლა (ჯანკარლო ფიზიკლა), კარენ მინირი (დევიდ კულტჰარდი), კორა შუმასერი (რალფ შუმასერი), ჯენი დალმანი (კიმი რაიკონენი), რაკელ როსარიო (ფერნანდო ალონსო), რაფაელა ბასი (ფელიპე მასა), გაბრიელა კონსტანტინო (ნელსინიო პიკე), ფლორანს ბრიუდენელ ბრუსი (ჯენსონ ბატონი). ■



## „შიშველი“ ფოტოსესია „ეპრო-2008“-სთვის

ამერიკელმა ფოტოგრაფმა სპენსერ ტუნიკმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატთან დაკავშირებით (რომელსაც ავსტრია და შვეიცარია უმასპინძლებენ), ვენის სტადიონზე 2008 შიშველი ადამიანის ფოტოფირზე აღბეჭდვა გადაწყვიტა. ავსტრიის რკინიგზა მზადაა, უფასოდ მოემსახუროს 2008 მგზავრს — მათ, ვინც ერნსტ შაპელის სახელობის სტადიონზე 11 მაისს ტუნიკის ფოტოსესიაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს. სწორედ ამ არენაზე შედგება ჩემპიონატის ფინალური მატჩი 2008 წლის ივნისს. ვენის პრესტიჟული საგამოფენო ცენტრის — Kunsthalte Wien — წარმომადგენლის, კატარინა მურშეტცის აზრით, ტუნი-

კის უჩვეულო შემოქმედება იდეალურად ასახავს ევროპის ჩემპიონატის ატმოსფეროს, რადგან ისიც, ისევე, როგორც სპორტი, ადამიანის სულიერი სიძლიერის მაჩვენებელია. თუ როგორ იქნებიან გადაღებული სიშველის მოყვარულები — ეს ფოტოსესიის წინ გახდება ცნობილი. ღონისძიების ორგანიზატორთა თქმით, ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში, ტუნიკის ფოტოკამერის წინ გაშიშვლების 2 ათასი მსურველი დარეგისტრირდა. ფოტოსესიის შრომის ნაყოფი 23 ივნისს ავსტრიის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე იქნება გამოფენილი. ტუნიკი ცნობილია ნამუშევრებით, რომლებზეც პლანეტის სხვადასხვა კუთხის წარ-



მომადგენელი შიშველი ადამიანების ჯგუფებია გამოსახული. მეხიკოსითში ჩატარებული მისი ფოტოგადაღება ნიუს სტილში ყველაზე მასშტაბურ პროექტად იქცა. მაშინ ფოტოგრაფის წინაშე 18 ათასი შიშველი ადამიანი პოზირებდა. ■

# ბაქსი დააჯარიმეს



ინგლისის ნაკრებისა და „ლოს-ანჯელეს გელფისის“ მოთამაშე დევიდ ბექჰემი საგზაო მოძრაობის წესის დარღვევისთვის დააჯარიმეს. ჯარიმა 80 ევროს შეადგენს. The Sun-ი იუწყება, რომ დასავლეთ ჰოლივუდში მდებარე ბულვარ სანსტუბუ ფეხბურთელის „კადილაკ ესკალადმა“ მარცხნივ მოუხვია, იქ, სადაც მხოლოდ მარჯვნივ მოხვევაა დაშვებული. „ინციდენტს მართლაც ჰქონდა ადგილი, — განაცხადა პოლიციელმა გლენ ლერმანმა, — დევიდმა უმნიშვნელოდ დაარღვია მოძრაობის წესი და ჯარიმაზე შემთხვევის ადგილზევე შევთანხმდით“. ჯარიმის გარდა, შესაძლოა, ბექსი მანქანის მართვის ამერიკული ლიცენზიის გარეშეც დარჩეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იგი აშშ-ის საავტომობილო მართვის სკოლაში გამოცდას არ ჩააბარებს.



## Bugatti-ს სუპერავტომობილი

გაისად კომპანია Bugatti სუპერავტომობილის — Veyron — ლია ვერსიის გაყიდვის დაწყებას გეგმავს. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სიახლეს Webasto-ს მიერ შემუშავებული ძარა ექნება. ეს კომპანია კაბრიოლეტის — Volkswagen Eos — ძარას შექმნიდა ცნობილი. ავტომობილში არ იქნება გათვალისწინებული დასაკეცი სახურავის შესან-

ახი, სპეციალური დანაყოფი, ხოლო წვიმის შემთხვევაში, Veyron-ს გამძლე ქსოვილისაგან დამზადებულ, სპეციალურ დამცავს გაუკეთებენ. სუპერავტოს ლია ვერსიის გაძლიერებული ძარა ექნება. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 350 კმ/სთ-ს მიაღწევს. როგორც ვარაუდობენ, Bugatti ასეთ ავტომობილს მხოლოდ 80 ეგზემპლარად გამოუშვებს.

## ავარია ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს კიბაზე

რამდენიმე დღის წინ, მანჰეტენის ცენტრში, ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს შენობის კიბის საფეხურებზე ავტომობილმა ადამიანი გაიტანა. მანქანამ ტროტუარი გადაკვეთა, ყავის გამყიდველის დახლი გაანგრია და საფეხურებზე ავარდა. მის ქვეშ მოყ-

ოლილმა მამაკაცმა კი სერიოზული ტრავმა მიიღო და ფეხზე ადგომა ვეღარ მოახერხა, ამიტომ მასველის გამოძახება გახდა საჭირო. ინციდენტის შედეგად, დაზარალებულ აგრეთვე, ყავის გამყიდველი, ავტომობილის მძღოლი, მისი მგზავრი და ორი გამველი.

## ავტოავარია 93 წლის მძღოლმა მოახდინა

ყოფილმა მღვდელმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ 93 წელი შეუსრულდა, „პორშეს“ ორი სპორტული ავტომობილი დააზიანა და მათ მფლობელებს ჯამში, 60 ათასი გირვანქა სტერლინგის (2,8 მლნ დოლარი) ოდენობის ზარალი მიაყენა. The Times-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ინციდენტამდე ჯექ ჰიგსი არასოდეს მოყოლილა ავტოავარიის, თუმცა მას მძღოლობის მართლაც დიდი — 76-წლიანი სტაჟი აქვს. საგ-

ზაო შემთხვევა ხანდაზმული მძღოლის სახლის მახლობლად მდებარე, „პორშეს“ ავტოსალონთან მოხდა. იგი 1995 წელს გამოშვებული Ford Fiesta-ს საჭესთან იჯდა. რაღაც მომენტში, მოხუცმა მძღოლმა საჭეზე კონტროლი დაკარგა, რის შედეგადაც, მანქანა ამოტრიალდა და ჯერ ახალ Carrera 2-ს, ხოლო შემდეგ — Porsche 911-ს შეეჯახა. ავტოსალონის თანამშრომლებმა უმალ მიიბრინეს ამობრუნებულ Ford-თან და სალონში, უსაფრთხოების ქამრებით სავარძელს მიჯაჭვული, თავდაყირა მყოფი მძღოლი აღმოაჩინეს. მაღაზიის ხელმძღვანელი, დეივ კუმბსი აცხადებს, რომ ხანდაზმულ მძღოლს სხეულის არანაირი დაზიანება არ მიუღია. უფრო მეტიც, მან თვითონვე შეძლო მანქანიდან გამოძრომა. „ჯექ ჰიგსის ნამდვილი ჯენტლმენია, მან საქარე მინის ნაშხვრელების ამოღებაში დახმარებაც გვთხოვა, — ამბობს დეივ კუმბსი, — მაგრამ ჩვენ მაინც სახლამდე მივაცივალეთ. დაზიანებული ავტომობილების გამო ძალიანაც არ განვიცდი, მთავარი ისაა, რომ ჯექი ცოცხალი გადაურჩა“. ავტოავარიის მთავარი გმირი კი გამოტყდა, რომ ეს ინციდენტი მის ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი იქნება, რადგან ამერიკიდან მანქანის საჭეს აღარასოდეს მიუჯდება.

**აირჩიე და შეიქმნე სახლიდან გაუსვლელად**  
**ინტერნეტ მაღაზია**  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაჩი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗРЕНИЕ	82.80	496.8
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

პრესის  
გავრცელების  
სააგენტო  
საქართველო  
საინფორმაციო

ქ. თბილისი  
თბილისის ქ. № 49  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73; 38-26-74.  
ფაქსი: 38-26-74  
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა  
დასახელების ჟურნალ-გაზეთები



## Range Rover Sport-ის განახლება იზაზაზა

შასის შეიმუშავებს. ეს იქნება 400 ცხ.დ. სიმძლავრის, რვაცილინდრიანი მოტორი. თუმცა უცნობია ის, თუ რამდენად აპირებენ RR Sport-ის მოდერნიზებას პარტნიორები. მიუხედავად ამისა, Kahn Design-ის მფლობელი, აფხალ კანი ამ პროექტს ბრიტანული ავტონარმოების ისტორიაში უკვე ყველაზე ამბიციურად მოიხსენიებს.

სახელგანთქმული საინჟინრო კომპანია — Cosworth — ექსკლუზიური მანქანების წარმოებაში დახელოვნებულ სატიუნინგო ატელიესთან — Kahn Design — ერთობლივი პროექტის განხორციელებაში მიიღებს მონაწილეობას. ამ თანამშრომლობის დეტალებს ჯერჯერობით არ ახმაურებენ. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ერთობლივი საქმიანობის საფუძვლად ზემოთ ხსენებულმა კომპანიებმა სპორტული არასაგზაო Range Rover Sport აირჩიეს. Kahn Design სავარაუდოდ, Range Rover Sport-ის გარე სტილინგითა და ინტერიერის გადაკეთებას იკისრებს, ხოლო Cosworth — ამ ავტომობილის ძრავასა და



## „პანტერა“ ლეგენდარულ იტალიურ მარკას ააღორძინებს

გერმანელი დიზაინერი, შტეფან შულცე ლეგენდარული იტალიური მარკის — De Tomaso — აღორძინებას აპირებს, რომელიც 1963-2004 წლებში სპორტულ ავტომობილებს უშვებდა. მან უკვე შეიმუშავა პროექტი — Panthera, რომელსაც პოტენციურ ინვესტორს წარუდგენს. საგულისხმოა, რომ შულცე ჩვეულებრივი 3D-დიზაინერია და ამჟამად De Tomaso-ზე საავტორო უფლებას არ ფლობს. მის მიერ

გამოქვეყნებული პირველი ილუსტრაციების თანახმად, სიახლე გარეგნულად სპორტავტოს — De Tomaso Pantera — დიზაინის თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს, რომელიც პირველად 1971 წელს იყო ნაჩვენები. ასეთი მანქანის საფუძვლად შულცე Lamborghini Gallardo-ს პლატფორმის გამოყენებას აპირებს — სრულამძრავიანი სისტემითა და მძლავრი 10-ცილინდრიანი ბენზინის ძრავით. შე-

გასვენებთ, რომ De Tomaso ალესანდრო დე ტომასომ 1959 წელს შეიმუშავა, ხოლო ამ მარკის პირველი ავტომობილი ბაზარზე 4 წლის შემდეგ გამოჩნდა. მოდელი Panthera „ფორდის“ მიერ შეიმუშავებული, რვაცილინდრიანი, 5,8-ლიტრიანი, 330 ცხ.დ. სიმძლავრის აგრეგატით იყო აღჭურვილი. ასეთი მანქანა სულ 7200 ეგზემპლარად გამოუშვეს. 2004 წელს კი კომპანიამ De Tomaso არსებობა შეწყვიტა.



**სკანსორდი**

		<b>1</b> ესპანეთის ფეხბურთის გუნდი	<b>2</b> თაებრუ	<b>3</b> რანის ძველი სანულოფა	<b>4</b> ზევის დედა	<b>5</b> ერთგვარი შავი ლუდი	<b>6</b> კუზანი კურდღელი
		<b>7</b> ამერიკის შტატი			<b>8</b> ლეონდარო რუსი ბალერინა	<b>9</b> გაწეული შრომის საფასური	
				<b>10</b> შებოლილი ღორის ხორცი			
		<b>11</b> ქვეყანა აფრიკაში					
<b>12</b> გამოუცვლა ხალხში გამოუცვლელი				<b>13</b> მოხუცებულ- თა ფულადი დახმარება			<b>14</b> რუსი ელუზონისტი
<b>15</b> ნადრის საცხოვრებელი				<b>16</b> სკოლწავლის მეთორმეტედი		<b>17</b> ჩამანათელი	
<b>18</b> იძულებითი გადასახადი					<b>19</b> თითი		
<b>20</b> მოსამართლე მუსლიმანებში	<b>21</b> მოგ საურობა წრიული მარშრუტით			<b>22</b> ქვის ფილები ტროტუარის გასწვრივ	<b>23</b> ტუჩი	<b>24</b> ... კოკერი	
	<b>25</b> ქალაქის ტიპის დასახლება						<b>26</b> რუსეთის ექს- პრეზიდენტი
				<b>27</b> ფალაშე- ლის ოპერა			
			<b>28</b> ქვეყანა აზიაში	<b>29</b> იფიფა, რაც მსახიობი	<b>30</b> ვიეტნამის დედაქალაქი		
<b>31</b> ავტორი რომანოვა, სპი მუშაველი	<b>32</b> კონფილიის ცალკეული სცენა						
<b>33</b> თვალის ექიმი							
<b>34</b> მღვიმე ქუთაისის მახლობლად							
	<b>35</b> პუშკინის მკვლელი						
	<b>36</b> სასტუმროს მსახური ბიჭი	<b>37</b> მრავალშრი- ანი ფანერა					
					<b>38</b> აპონური აუტობილი		

**წინა ნომრის სკანსორდის პასუხები**

1. პრესტიჟი; 2. კრისტალი; 3. პეკინეზი; 4. ემისია; 5. ტატამი; 6. ყოლო; 7. ბოდლერი; 8. ფიესტა; 9. აბე; 10. რეალობა; 11. ოლიმპი; 12. კურიოზი; 13. ნიორი; 14. ალაო; 15. ისლი; 16. სემი; 17. რუბლი; 18. მედრესე; 19. ცხენი; 20. მერკელი; 21. პნომპენი; 22. ფიბა; 23. პერუ; 24. ელი; 25. ათანელი; 26. ნეი; 27. დერბი; 28. რომბი; 29. რაი; 30. ფრუ; 31. კუ; 32. ლაციო; 33. სატელიტი; 34. ატომი; 35. ბრუნეი; 36. ასტრა; 37. ბორდო; 38. ერბო; 39. მადონა; 40. რეტი; 41. იალტა; 43. ვირი; 43. ფიატი.

**სურათებზე:** კრისტინა რიჩი; მეთ დილონი.



# გედნიერი ოჯახი გაქვთ?

იღბლიანია თუ არა თქვენი ქორწინება? ბედნიერად გრძნობთ თუ არა თავს? იქნებ, თქვენ ტყუილად გეპარებათ ეჭვი თქვენი ქორწინების იღბლიანობაში? ამას ტესტის ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიგებთ.



1. ახერხებთ თუ არა კარიერისა და ოჯახის შეთავსებას?

- ა) ვერ ვახერხებ;
- ბ) იოლად ვახერხებ, რადგან ოჯახის წევრები მხარში მიდგანან და ყველანაირად მიწყობენ ხელს;
- გ) ვახერხებ, მაგრამ გაჭირვებით.

2. ხშირად ეჭვიანობთ?

- ა) სამწუხაროდ, დიას;

ბ) საერთოდ არ ვეჭვიანობ, რადგან ჩემს მეუღლეს ვენდობი;

- გ) უმიზეზოდ არასოდეს ვეჭვიანობ.

3. სამსახურიდან შინ ყოველთვის სისხარულით ბრუნდებით?

- ა) არასოდეს მიმიხარია შინისაკენ;
- ბ) პრაქტიკულად ყოველთვის სის-

არულით ვბრუნდები შინ;

- გ) როდის — როგორ...

4. თქვენს ოჯახში მიღებულია თავ-თავიანთი პრობლემებისა და განცდების ერთმანეთისთვის გაზიარება?

- ა) სამწუხაროდ, არა;
- ბ) რა თქმა უნდა. ამის გარეშე ხომ ოჯახური თანაცხოვრება წარმოუდგენელია;
- გ) ეს ყოველთვის არ გამოგვდის.

5. ოჯახური პრობლემებით თქვენ უფრო დატვირთული ხართ, ვიდრე თქვენი მეუღლე?

- ა) რა თქმა უნდა; ოჯახში ხომ ყველაფერი ჩემს მხრებზე გადადის;
- ბ) ამ საკითხში მე და ჩემი მეუღლე პარიტეტული სანყისებით ვხელმძღვანელობთ;
- გ) არა, ბევრი რამ ჩემს მეუღლეს მივიანდევ.

6. თქვენი ოჯახური თანაცხოვრების ინტიმური სფეროთი კმაყოფილი ხართ თუ არა?

- ა) სამწუხაროდ, არა;
- ბ) ამ სფეროში ყველაფერი შესანიშნავადაა;
- გ) გააჩნია, როდის როგორ.

7. როგორ გრძნობთ თავს ჩნუბის შემდეგ თქვენს მეორე ნახევართან?

- ა) კმაყოფილი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, პირში ვუთხარი ის, რაც გარკვეული ხნის განმავლობაში დამიგრძობდა!

ბ) განვიცდი და სინდისი მქენჯნის, ასე რომ მოხდა;

- გ) სიტუაციას გააჩნია.

8. ოჯახური უღელი მძიმე ტვირთად ხომ არ განეწეო?

- ა) დიას, ასეა;
- ბ) რალა თქმა უნდა, არა!
- გ) ზოგჯერ მართლაც მძიმე ტვირთად მანვება.

## ტესტის შედეგები

I — იმ შემთხვევაში, თუკი „ა“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს, გამოდის, რომ ოჯახური თანაცხოვრებით უკმაყოფილო ხართ. როგორც ჩანს, ოჯახში ბევრი სერიოზული პრობლემა დაგიგროვდათ. დროა, ამის მიზეზებში გაერკვეთ და გულახდილად დაეღაპარაკოთ თქვენი ცხოვრების თანამგზავს; სხვათა შორის, არც ფსიქოლოგთან (ოჯახისა და ქორწინების სპეციალისტთან) კონსულტაცია იქნებოდა ურიგო. იმოქმედეთ, თორემ შესაძლოა, თქვენი ოჯახი ურთიერთგაუგებრობის ნიადაგზე წარმოქმნილ პრობლემებს შეენიროს.

II — თუკი თქვენს შემთხვევაში „ბ“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს, გამოდის, რომ თქვენი ქორწინება იღბლიანია და თავსაც ბედნიერად გრძნობთ. თქვენი ოჯახური კავშირი კეთილგანწყობილებას, ურთიერთგაგებას, პატივისცემასა და სიყვარულს ემყარება. მტკიცე და მყარი ოჯახური კავშირის

წყალობით კი, თქვენ არც ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება გიჭირთ.

III — ხოლო თუკი თქვენს შემთხვევაში „გ“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ დაბეჯითებით არც კი შეგიძლიათ იმის თქმა, მოგწონთ საკუთარი პირადი ცხოვრება თუ — არა. როგორც ჩანს, თქვენს ოჯახში რალაც სათანადოდ ვერ არის, და — რა, ეს აუცილებლად უნდა გაარკვიოთ. შესაძლოა, თქვენ მხოლოდ ასლა აცნობიერებთ საკუთარ ოჯახურ პრობლემებს. გაითვალისწინეთ, დროის განვლა და მოსალოდნელი კონფლიქტის გაღრმავება თქვენთვის ხელსაყრელი არ არის. შესაძლოა, ყველაფრის მიზეზი სწორედ თქვენ ხართ! შეეცადეთ, გაარკვიოთ, რეალურად რასთან გაქვთ საქმე ანუ შექმნილი სიტუაცია გულახდილად განიხილეთ თქვენს მეორე ნახევართან ერთად.



# ფოტოკუჩიოზები





1 კბატი  
ბებო  
1 კბატი  
ფორმა

სიასლა!

1 NOW 1 NESCAFÉ